


114  
1985



ISSN 0134-1590  
საქართველოს  
საქართველოს

# გეოგრაფია



4

---

1985



# ენათმეცნიერება

საქართველოს  
მწერთა კავშირი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური უფროსი

წელიწადი 61-0

№ 4

აპრილი, 1985 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კლდეში	4
საკვ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ანხანაშ მ. ს. გორგაძის	
სიტყვა სააკვ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 11 მარტის კლდეში	6
მიხეილ სერგის ამ გორგაძის	11
საკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის,	
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიხატევა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს	13

### პროზა, პოეზია

ბალახიონ ტაბიძე — ილია, ლექსი	16
გიორგი ლეხანია — ანხანაში გუბერნატორი, რომანი, დამსარტული	17
ეზარ კვიციანი — ლექსები	65
გუსეა ხარანაული — ხეობი, ლექსი	71
ილია რურა — გამეზობული ლექსის დაბრუნება, მოთხრობა	82
მარინე ხუციანი — ლექსები	89
თეიმურაზ ჯანაშვილი — ციხელაზი გავრული დედაშივა, ამგადახდილის მოგონებანი	91
ნოდარ ნარსია — ლექსები	119
პირან კალაძე — ლექსები	122
შარვაშ ანდრესი — ორი მოთხრობა, ინგლისურიდან თარგმნი რუსულიდან შახათაძე	123

### კრიტიკა, უპლინისტია

აკაკი ვასაძე — ლექსი — შუაში	131
სულხან შოქრანი — შოქრის წინობრივი იპარატივი	141

### მომონებები, ფაქტები

სარბი დურაშიძე — ეიროლი ილია შიქრის ცხოვრებისა	146
სულხან ლეიანი — ილია შიქრის ბიობრაშის უფრკლები	156

(ი. შიქრე ვერდი).

**მეცნიერება**

ვახტანგ გომილაძე — ვახტანგ გორგასლის ოჯახური ქრონოლოგია . . . . . 161

**წიგნების მიმოხილვა**

სოლომონ ხუციშვილი — უღვივე წყარო	167
ნორა აბთიანია — შინის ისტორიის კვლევებულ	169
გიორგი ნაფარიშვილი — უკანასკნელი წიგნის მაღლი	174
ზაზა სინარულიძე — ქალმოსილება მართალი სიტყვისა	174



შთავარი რედაქტორის ბრძილ სულაბაუჭი

ს ბ რ ე დ ა ქ ტ ო რ კ ო ლ ე გ ი ა :

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუაძელი (შთ. რედაქტორის მოადგილე),  
მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, ზ. დონანაშვილი, ნ. ეზრალიძე  
(პ/შგ. მდივანი), ბ. ტალაძე, მ. ლახურიძე, მ. ლეზანიძე, ე. მალარაძე, ლ. მრე-  
ლაშვილი, ზ. ნატროშვილი, რ. პატარაძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულუის-  
პირი, ი. ზილბაძე, ზ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ზ. ჯიბლაძე.



სსკპ ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში  
მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი

საქ. სსრ კ. შარქის  
საბ. საბ. რესპუბ.  
პრეზიდიუმი

17.941

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(1985 წლის 11 მარტი)

1985 წლის 11 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით პლენუმში გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ანხ. მ. ს. გორბაჩოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი სამგლოვიარო დუმილით სცეს პატივი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ხსოვნას.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მთელმა საბჭოთა ხალხმა დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, თანამიმდევრული მებრძოლი კომუნისმის იდეალების გამარჯვებისა და ჭეშუნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მთელი თავისი სიცოცხლე შეაღწა ლენინური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს. სადაც უნდა გაეზავნა პარტიას, იგი ყველგან მისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოდა სკკპ პოლიტიკის განხორციელებისათვის.

დიდ უფრადღებას უთმობდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო იმ კურსის თანამიმდევრულ გატარებას, რომლის მიზანია განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლება, მანების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომი გაზრდა, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება, დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცება.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ დიდი წვლილი შეიტანა მოძვე სოციალისტურ ჭეშუნებთან უოველმზრვი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელებას, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცებას. მისი ხელმძღვანელობით მტკიცედ და თანამიმდევრულად ზორციელდებოდა სხვადასხვა საწოგადობრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, საკადრისი პასუხი ეძლეოდა იმპერიალიზმის აგრესიულ ზრახვებს, წარმოებდა დაუღალავი ბრძოლა იმპერიალიზმის მიერ თავსმოხვეული გამაღებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბრთვისული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ხალხთა საიმედო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

თვალისწინებით უფროსხილდებოდა კონსტანტინე უსტინის ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთიანობას, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს საქმიანობის კოლექტიურ ხასიათს. იგი მუდამ ისწრაფოდა, რომ პარტიას ყველა დონეზე ემოქმედა როგორც შეერული, აწყობილ და მებრძოლ ორგანიზმს. მას კომუნისტთა აზრებისა და საქმეების ერთიანობა მიაჩნდა ყველა ჩვენი წარმატების, ნაკლოვანებათა დაძლევის საწინდრად. განუხრელი წინსვლა-განვითარების საწინდრად.

პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ ამ გლოვის დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაიარაღებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტიბიუროს გარშემო. საბჭოთა ადამიანები სრულიად საფუძვლიანად რაცხენ პარტიას საზოგადოების ხელმძღვანელ, წარმმართველ ძალად და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზაციისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამომავარი გამოუცხადეს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლოებულ-ნათესავეებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

პოლიტიბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა პოლიტიბიუროს წევრმა ამხ. ა. გრომიკომ. მან შეიტანა წინადადება აირჩიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხ. მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთსულოვნად აირჩია ამხ. მ. ს. გორბაჩოვი.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. მ. ს. გორბაჩოვი. მან უღრმესი მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს დიდი ნდობისათვის და აღნიშნა, რომ ძალზე კარგად ესმის, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ამასთან დაკავშირებით.

ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ ძალღონეს არ დაიშურებს, რათა ერთგულად ემსახუროს ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, დიად ლენინურ საქმეს. რათა განუხრელად ხორციელდებოდეს სკკპ საპროგრამო მითითებები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, რათა განუხრელად ხორციელდებოდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

# სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური კლავის აბხანაბ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა სსკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 11 პარტის პლენუმზე

## კვირფასო აბხანაბაძო!

ყოველ ჩვენგანს, მთელ ჩვენს პარტიას და ქვეყანას დიდი გლოვის ვაში დაუდგათ. გარდაიცვალა ერთგული ლენინელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამორჩენილი მოღვაწე, ფაქიზი სულის, დიდი ორგანიზატორული ნიჭის მქონე ადამიანი — კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

დიდი და სახელოვანი გზა განვლო კონსტანტინე უსტინის ძემ. ყოველ უბანზე, რომელიც მისთვის პარტიას მიუძღვნა, სულ უფრო სრულად ვლინდებოდა მისი ნიჭი, ადამიანებთან მუშაობის უნარი. სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო მთელ თავის ძალასა და ცოდნას ახმარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ზრდას, სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფას, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებასა და დამკვიდრებას.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო თვალისჩინივით უფროსილდებოდა ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთიანობას, ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტიბიუროს საქმიანობის კოლექტიურ ხასიათს. იგი მუდამ ისწრაფოდა, რომ პარტიას ყველა დონეზე ემოქმედა როგორც შეკრულ, აწყობილ და მებრძოლ ორგანიზმს. კომუნისტთა აზრებისა და საქმეების ერთიანობას რაცხდა იგი ყველა წარმატების, ნაკლოვანებათა დაძლევის საწინდრად, შემდგომი წინსვლა-განვითარების საწინდრად.

სტრატეგიული გეზი, რომელიც XXVI ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმებზე შევიმუშავეთ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვისა და კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს აქტიური მონაწილეობით, კვლავც უცვლელი დარჩება. ამ გეზის მიზანია დავაჩქაროთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, სრულყოფით საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარე. საქმე ეხება წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნას. საქმე ეხება საზოგადოებრივი ურთიერთობის, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური ურთიერთობის სისტემის სრულყოფას. საქმე ეხება თვით ადამიანის განვითარებასაც, მისი ცხოვრებისა და შრომის მატერიალური პირობების, მისი სულიერი ხასის თვისებრივ გაუმჯობესებას.

ჩვენ უნდა უზრუნველყოფთ ვადამწყვეტი შემობრუნება სახალხო მეურნეობის გადაყვანაში ინტენსიური განვითარების რელსებზე. ჩვენ მოკლე ვადაში უნდა მივაღწიოთ, მოვალენი ვართ მივაღწიოთ ყველაზე მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკურ პოზიციებს, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების უმაღლეს მსოფლიო დონეს.

იმისათვის, რომ უფრო წარმატებით და სწრაფად გადაეწყვიტოთ ეს ამოცანა ჩვენ გვმართებს კვლავც შეუპოვრად სრულყოფით სამეურნეო მექანიზმი და მართვის მთელი სისტემა. ამ გზით წინსვლისას, ობიექტულად გადაწყვეტათაა შერჩევის დროს ჩვენ შემოქმედებითად უნდა გამოვიყენოთ სოციალისტური მეურნეობრიობის ფუძემდებელი პრინციპები. ეს კი ნიშნავს — განუზრუნვლად



ვახორციელებდეთ ეკონომიკის გეგმიან განვითარებას, განვამტკიცებდეთ სოციალისტურ საკუთრებას, ვაფართოებდეთ საწარმოთა უფლებებს, ვამაღლებდით მათს დამოუკიდებლობას და პასუხისმგებლობას, ვაძლიერებდეთ მათს დაინტერესებას მუშაობის საბოლოო შედეგებით. ეს ნიშნავს დაუქვემდებაროთ მთელი ეკონომიკური განვითარება, საბოლოო ანგარიშით, საბჭოთა ადამიანის ინტერესებს.

პარტია განუზრელად განახორციელებს სოციალურ პოლიტიკას, რომელიც მან შეიმუშავა. ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის — ამ საპროგრამო დებულებას სულ უფრო ღრმა და კონკრეტული შინაარსი უნდა ენიჭებოდეს. ვასაგებია, რომ ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება უნდა ეფუძნებოდეს საერთო საქმეი მისი წვლილის ზრდას. იქ, სადაც ამ პრინციპის გადახვევებს უროგდებიან, ვარდაუვლად ირღვევა სოციალური სამართლიანობა, რომელიც სოციალისტური საზოგადოების ერთიანობისა და სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

პარტიას საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირეულ ამოცანად მიაჩნია დემოკრატიის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფა და განვითარება. ამოცანები აქ მრავალმხრივია. ამ თვალსაზრისით ბევრი რამ კეთდება. მხედველობაში მაქვს საბჭოების როლის შემდგომი გაზრდა, პროფკავშირების, კომკავშირის, სახალხო კონტროლის, შრომითი კოლექტივების გააქტიურება. მაგრამ კიდევ მოგველის დაჟინებით მუშაობა, როგორც დასახული, ისე ახალი მიმართულებებით.

სოციალისტური დემოკრატიის ვალრმაგება განუზრელად არის დაკავშირებული საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებასთან. აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის მანიშნებელია ის, თუ როგორ მონაწილეობენ მუშევი, კოლმეურნეები, ინტელიგენცია დიდი თუ მცირე პრობლემების გადაჭრაში, როგორ ირჯებიან, როგორ იბრძვიან ნაკლოვანებათა წინააღმდეგ.

საბჭოთა ადამიანების შრომითი და სოციალური აქტიურობის გაზრდა, დისციპლინის განმტკიცება, პარტიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გამო-მუშავება — ი, რა არის მთელი იდეოლოგიური საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა.

ამასთან უწინდებურად განხორციელდება გადამწყვეტი ღონისძიებები, რათა კვლავაც დამყარდეს წესრიგი, გაიწმინდოს ჩვენი ცხოვრება უცხო მოვლენებისაგან, საზოგადოებისა და მის მოქალაქეთა ინტერესების ყოველგვარი ხელყოფისაგან, განმტკიცდეს სოციალისტური კანონიერება. ამ საქმეში საბჭოთა სახელმწიფო მტკიცე და თანამიმდევრული უნდა იყოს.

მოვალენი ვართ კვლავაც გავაფართოოთ საჯაროობა პარტიული, საბჭოთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებით. ჩვენმა პრაქტიკამ მთლიანად დადასტურა ეს დასკვნა. რაც უფრო უკეთ არიან ინფორმირებული ადამიანები, მით უფრო შეგნებულად მოქმედებენ ისინი, მით უფრო აქტიურად უჭერენ მხარს პარტიას, მის გეგმებსა და საპროგრამო მიზნებს.

საგარეო პოლიტიკის დარგში ჩვენი კურსი ნათელი და თანამიმდევრულია. ეს არის მშვიდობისა და პროგრესის კურსი.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს პირველი მცნებაა ვუფროსილდებოდეთ და ყოველი ღონისძიებით განვამტკიცებდეთ ძმური მეგობრობას ჩვენს უახლოეს თანამოსაგრეებთან და მოკავშირეებთან — დიდი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა გავაფართოოთ თანამოქმედება სოციალისტურ სახელმწიფოებთან, გავზარდოთ სოციალიზმის როლი და გავლენა მსოფლიო საქმეებში. ვისურვებდით, სერიოზულად გაუმჯობესებულიყოს ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, და მიგვაჩნია, რომ ნაცვალგების პირობებში ეს საცნებით შესაძლებელია.

საბჭოთა კავშირი უჭერდა მხარს ხალხთა ბრძოლას კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, და დღესაც, ჩვენი სიმშაითები აზია-აფრიკისა და

ლათინური ამერიკის იმ ქვეყნების მხარეზეა, რომლებიც თავიანთი დემოკრატიული დებულების განმტკიცებისა და სოციალური განახლების გზას ადგანან. მათ შეგობრებად და პარტნიორებად მივიჩნევთ მტკიცე მშვიდობის, ხალხთა შორის უკეთესი, სამართლიანი ურთიერთობისათვის ბრძოლამ.

რაც შეეხება კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობას, მინდა ვთქვა შემდეგი. ჩვენ მტკიცედ განვაგრძობთ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ კურსს. კეთილ ნებას საბჭოთა კავშირი მუდამ უპასუხებს კეთილი ნებით, ნდობას — ნდობით. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენი სამშობლოსა და მისი მოკავშირეების ინტერესებს არასდროს არ დავთმობთ.

ჩვენ ვაფასებთ საერთაშორისო დამაბულობის შენელების წარმატებებს, რომლებიც 70-იან წლებშია მიღწეული, და მზად ვართ ვმონაწილეობდეთ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი, ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის მოგვარების პროცესის განგრძობაში, რომელიც თანასწორუფლებიანობის, ორმხრივი პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საწყისებზე განხორციელდება. ამ მიმართულებით გადადგმული ახალი ნაბიჯებით შეგვეძლო ღირსეულად აღგვენიშნა პიტლერულ ფაშიზმსა და იაპონიის მილიტარიზმზე დიადი გამარჯვების ორმოცი წლისთავი.

კაცობრიობა ჯერ არასდროს მდგარა ისეთი საშინელი საფრთხის წინაშე, როგორც დღეს არის. შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გონივრული გამოსავალია მოპირისპირე ძალები მორიგდნენ, რომ დაუყოვნებლივ შეწყვეტენ გაძალადულ შეიარაღებას — უწინარეს ყოვლისა, ბირთვულს — დედაშიწაზე, და არ დაუშვებენ მას კოსმოსში. მორიგდნენ პატიოსან და თანასწორუფლებიან საფუძველზე, ისე, რომ არ მოუნდომონ მეორე მხარეს დაჯაბნა და თავისი პირობების თავს მოხვევა. მიაღწიონ მორიგებას, რომელიც ყველას დაგვეხმარება მიუახლოვდეთ ნანატრ მიზანს — ბირთვული იარაღის სრულ მოსპობას და სამუდამო აკრძალვას, ბირთვული ომის საფრთხის სრულ აღკვეთას. ამაში მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი.

ხვალ გენევაში იწყება მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირის მიდგომა ამ მოლაპარაკებისადმი. შემძლია მხოლოდ ერთხელ კიდევ დავადასტურო: ჩვენ არ ვესწრაფვით ცალმხრივი უპირატესობის მიღწევას შეერთებული შტატების, ნატოს ქვეყნების წინაშე, არ ვესწრაფვით სამხედრო უპირატესობის მოპოვებას მათთან შედარებით; ჩვენ გვინდა კი არ გაგრძელდეს, არამედ შეწყდეს გაძალადული შეიარაღება, და ამიტომ წინადადებას ვაყენებთ გავყინოთ ბირთვული არსენალები, შევწყვიტოთ რაკეტების შემდგომი განლაგება; ჩვენ გვინდა კი არ შეიქმნას ახალ-ახალ სისტემათა იარაღი, იქნება ეს კოსმოსში თუ დედამიწაზე, არამედ ნამდვილად და მნიშვნელოვნად შემცირდეს დაგროვილი იარაღი.

ვისურვებდით, გენევის მოლაპარაკების მონაწილე ჩვენს პარტნიორებს გავვით საბჭოთა კავშირის პოზიცია და თანხმობით ეპასუხოთ. მაშინ შეთანხმება შესაძლებელი გახდებოდა და მსოფლიოს ხალხები შევებით ამოისუნთქავდნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია. ჩვენს საზღვარგარეთელ თანამოაზრეებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ: მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში ლენინის პარტია, როგორც ყოველთვის, მჭიდროდ ითანამშრომლებს მოძემ კომუნისტურ, მუშათა და რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიებთან, იღვანებს მთელი რევოლუციური ძალების ერთიანობისა და აქტიური თანამოქმედებისათვის.

ამხანაგებო! ჩვენს წინაშე მდგომი რთული ამოცანების გადაწყვეტა გულისხმობს პარტიის შემდგომ განმტკიცებას, მისი მორგანიზებული და წარმართველი როლის გაძლიერებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუდამ ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს იმ ლენინური დებულებით, რომ პრინციპული პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა. ასეთი პოლიტიკა,



რომლის შემუშავება კოლექტიურად ხდება, თანამიმდევრულად და განუწყობელად განხორციელდება. პარტია სწორედ ის ძალაა, რომელსაც შეუძლია განათავსოს წინოს ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ინტერესები, შეაკავშიროს და გააერთიანოს ისინი, მოახმაროს ხალხის მთელი ენერჯია კომუნისტური აღმშენებლობის საერთო საქმეს.

პარტიის პოლიტიკა ემსახურებოდა და მოემსახურება მუშათა კლასის, კომმუნურნე გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებას, ჩვენი დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხთა მეგობრობის განუზრუნველყოფას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველმხრივ განავითარებს ახალგაზრდობის შემოქმედებითს ინიციატივას. არ მოაკლებს მზრუნველობას ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ომისა და შრომის ვეტერანთა მოთხოვნილებებს.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში დღეს განსაკუთრებით საჭიროა ვიქონიოთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა ისეთ დონეზე, რომ პოტენციურმა აგრესორებმა კარგად იცოდნენ: — საბჭოეთისა და მისი მოკავშირეების უშიშროების, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი ცხოვრების ხელყოფა წააწყდება შემუშავებულ საპასუხო დარტყმას. ჩვენს სახელოვან შეიარაღებულ ძალებს კვლავაც ყველაფერი ექნებათ საამისოდ.

ახლა ფართოდ მიმდინარეობს მზადება სკკპ XXVII ყრილობისათვის. ყრილობაზე განვიხილავთ პარტიის პროგრამის ახალ რედაქციას, განვსაზღვრავთ შემდეგი ხუთწლეულისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს.


დრო მოითხოვს, რომ დაძაბულ, შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდეს ყველა პარტიული ორგანიზაცია, თავიდან ბოლომდე. ყველა უბანზე, ყველგან და ყველაფერში კომუნისტები სამაგალითონი უნდა იყვნენ მოქალაქეობრივი ვალის მოზდით, საზოგადოების საკეთილდღეო კეთილსინდისიერი შრომით, ყველგან ამკვიდრებდნენ მუშაობის ლენინურ სტილს. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხებათ პარტიის კადრებს, პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუზრუნვლად გაატარებს მომთხოვნელობის, დაკისრებულ საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების გეზს.

პლენუმის დამთავრების შემდეგ ცენტრალური კომიტეტის წევრები, საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, პლენუმის ყველა მონაწილენი თავთავიანთ ადგილებს მიაშურებენ, რათა ახალი ენერჯიით მოჰკიდონ ხელი საქმეს. საქმე კი ბევრი გვაქვს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა წარმატებით დავამთავროთ მუშაობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლებვანდელი გეგმების შესასრულებლად და ამით უზრუნველვყოთ მომდევნო ხუთწლეულის მტკიცე სტარტი.

სუსხიანმა ზამთარმა რამდენადმე დააბრკოლა საგვეგმო დავალებათა რეალიზაცია მთელ რიგ დარგებში. მაშასადამე, ახლა საჭიროა დავირაზმოთ, თავი მოვუყაროთ რეზერვებს, დავაბოთ მთელი ძალები, რათა შევავსოთ ხარვეზი და წლის დამლევს მივალწიოთ დასახულ მიჯნებს.

ამხანაგებო, ამ დღეებში ჩვენ კიდევ უფრო მძაფრად ვგრძნობთ, რაოდენ მძლავრი და მონოლითურია კომუნისტთა რიგები, რაოდენ დარაზმული და ერთიანია ჩვენი საბჭოთა ხალხი. ამასწინანდელ არჩევნებში საბჭოთა ადამიანებმა კვლავ ცხადყვეს, რომ ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს კურსს. ეს მხარდაჭერა ფრთას გავსხამს და ბევრს გავავლებს.

დღეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რთული და დიდი მოვალეობა დამაკისრა. კარგად მესმის, რაოდენ დიდია ნდობა და რაოდენ დიდია ამასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. იმედი მაქვს, რომ მომავალ მუშაობაში მხარში მედგებიან და აქტიურად დამეხმარებიან პოლიტბიუროს წევრები, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები და ცენტრალური კომიტეტის მდივნები, საერთოდ, პარტიის ცენტრალური კომიტეტი. თქვენს მრავალმხრივ გამოცდილებაში კონცენტრირებულია



ჩვენი ხალხის ისტორიული გამოცდილება. აღვითქვამთ, ამხანაგებო, ერთ-ერთი ჩვენი  
 ღონეს არ დავიშურებ, რათა ერთგულად ვემსახურო ჩვენს პარტიულ ინტერესებს  
 ხალხს, დიად ლენინურ საქმეს.

ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ, ეგებებიან რა სკკპ XXVII ყრი-  
 ლობას, ცენტრალური კომიტეტის გარშემო შეკავშირებული ხალხი და პარტია  
 ყველაფერს იღონებენ, რათა კიდევ უფრო მდიდარი და ძლიერი იყოს ჩვენი  
 საბჭოთა სამშობლო, რათა კიდევ უფრო ღაღად გაშალონ ფრთები სოციალიზ-  
 მის აღმშენებელმა ძალებმა.



## მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი დაიბადა 1931 წლის 2 მარტს, სტავროპოლის მხარის კრასნოგვარდისკის რაიონის სოფელ პრივოლნოეში, ვლუხის ოჯახში.

მალე 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის შემდეგ 15 წლისამ დაიწყო შრომითი საქმიანობა. მუშაობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორად. 1952 წელს შევიდა სკკპ რიგებში. 1955 წელს დაამთავრა მოსკოვის შ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (იურიდიული ფაკულტეტი), ხოლო 1967 წელს — სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მიიღო სწავლული აგრონომ-ეკონომისტის სპეციალობა.

1955 წლიდან შ. ს. გორბაჩოვი კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზეა. მუშაობს სტავროპოლის მხარეში: ალკ სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანად, კომკავშირის სამხარეო კომიტეტის პრობაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო შემდეგ — მეორე და პირველ მდივანად.

1962 წლის მარტში შ. ს. გორბაჩოვი დააწინაურეს სტავროპოლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოს პარტორგანდ, ხოლო ამავე წლის დეკემბერში დაამტკიცეს სკკპ სამხარეო კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგედ.

1966 წლის სექტემბერში იგი აირჩიეს პარტიის სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანად. 1968 წლის აგვისტოდან შ. ს. გორბაჩოვი მუშაობს სკკპ სტავროპოლის

სამხარეო კომიტეტის მეორე მდივანად, ხოლო 1970 წლის აპრილში აირჩიეს პირველ მდივანად.

შ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრია 1971 წლიდან. იყო პარტიის XXII, XXIV, XXV და XXVI ყრილობების დელეგატი. 1978 წელს აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანად, 1979 წელს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად. 1980 წლის ოქტომბერში შ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან გადაყვანილ იქნა პოლიტბიუროს წევრად. არის სსრ კავშირის მე-8-11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, რუსეთის სფსრ მე-10-11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა. ვჯვლა პოსტზე, რომლებიც მისთვის პარტიას მიუნიფიცია, შრომობს მისთვის ჩვეული ინიციატივით, ენერჯიითა და თავდადებით, თავის ცოდნას, დიდ გამოყვდილება-სა და ორგანიზატორულ ნიჭს ახმარს პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, უანგაროდ ემსახურება ლენინის დიად საქმეს, მშრომელი ხალხის ინტერესებს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე გაწეული ღვაწლისათვის შ. ს. გორბაჩოვი დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი ჯრომის, „საბჭოთა ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.



კონსტანტინე უსტინის ძე ჩაჩნაძე

**სსრკ ცენტრალური კომიტეტის,  
სსრ კავშირის უმაღლესი საჭმოს პროზოდუბის,  
სსრ კავშირის მინისტრთა საჭმოს  
მიმართვა  
კომუნისტურ პარტიას, საჭმოთა ხალხს**

**ძვირფასო ამხანაგებო!**

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ, მთელ-  
მა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კონსტანტინე  
უსტინის ძე ჩერნენკო — გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე,  
პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისა და  
ქვეყნად შვიდობისათვის თანამიმდევრული მებრძოლი.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მთელი ცხოვრება ლენინური პარტიის  
საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს შეაღია. სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას,  
იგი უცვლელად, მისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოდა საბჭოთა კავშირის  
კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის რიგებშიც  
იყო ორმოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს.

კომკავშირული წინამძღოლიდან და სასაზღვრო საგუშაგოს პარტორგიდან  
სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდიანამდე, სსრ კავშირის უმაღლეს-  
ში საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემდე — ასეთია კ. უ. ჩერნენკოს ცხოვრე-  
ბის გზა. პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს პოსტებზე მთელი სისხვებით გა-  
მოვლინდა მისი როგორც ორგანიზატორის, ლენინური ტიპის ხელმძღვანელის  
ნიჭი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტ-  
ბიურო კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ  
სკკპ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გა-  
დაწყვეტილებათა შესასრულებლად მშრომელთა დარაზმებისათვის.

თანამიმდევრულად ხორციელდებოდა განვითარებული სოციალიზმის  
სრულყოფის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდი ამოცანების  
გადაწყვეტის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მახების შე-  
მოქმედებითი აქტიურობის შემდგომი ამაღლების, იდეოლოგიური მუშაობის  
გაუმჯობესების კურსი. პარტიის ყურადღების ცენტრში მუდამ იყო დისციპლი-  
ნის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების, საკადრო პოლიტიკის, საბჭო-  
ების, კომკავშირის, სახალხო კონტროლის საქმიანობის გააქტიურების, სკოლის  
რეფორმის, ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი როლის ამაღ-  
ლების საკითხები. წარმოებს აქტიური მუშაობა სკკპ შორივი, XXVII ყრი-  
ლობის მოსამზადებლად, პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის შესამუშა-  
ვებლად.

საერთაშორისო ასპარეზზე პარტიის მეცადინეობა უმთავრესად სმარდებო-  
და მოქმე სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდ-  
გომ განვითარებას. კ. უ. ჩერნენკოს მოღვაწეობასთან დაკავშირებულია სო-



ციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასვლა, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცება.

საკვ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, გადაჭრით უკუაგებდნენ იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული წრეების აგრესიულ ზრახვებსა და მისწრაფებებს, დაუცხრომლად იბრძოდნენ იმპერიალიზმის მიერ განაღებული გამაღებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთისათვის, ხალხების საიმედო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

მძიმე დანაკლისთან დაკავშირებით საკვ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კომუნისტებს, საბჭოთა ხალხს მოუწოდებენ კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირონ პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს გარშემო. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ჩვენი ქვეყნის მშრომელები სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევენ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად. პარტიის ყველა საქმე და განზრახვა მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის ძირეული ინტერესებისადმი, კომუნისმის საქმისადმი თავდადებულ სამსახურს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია შეიარაღებულია უკვდავი რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით. იგი განუხრელად მიაბიჯებს ლენინის მიერ დასახული გზით და ამ გზას არასოდეს არ გადაუხვევს.

პარტია კვლავაც განახორციელებს განვითარებული სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფის კურსს. მას თავისი საქმიანობის უმაღლეს აზრად მიაჩნია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დანაშარების საფუძველზე. მთელი გულშეაღებებით სულ უფრო სრულად განხორციელებდა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში სოციალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური სამართლიანობის პრინციპი, განუხრელად გატარდება ქვეყნის მშრომელთა მიერ მოწონებული და მხარდაჭერილი დისციპლინის, წესრიგის, ორგანიზებული განმტკიცების გზით. პარტია კვლავიც განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირს, საბჭოთა ხალხების ძმურ მეგობრობას, რაც ჩვენი საზოგადოების ცხოველმოქმედების საფუძველს წარმოადგენს, განავითარებს სოციალისტურ დემოკრატიას. პარტიას საბჭოთა ადამიანების უზუნაეს ხულიერ ღირებულებებად მიაჩნდა და მიაჩნია მარქსისტულ-ლენინური მრწამსი, კოლექტივიზმი, პატრიოტიზმი, პროლეტარული სოციალისტური ინტერნაციონალიზმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობდნენ და ხმარობენ სოციალისტური თანამეგობრობის გაძლიერებისათვის. მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციათა განმტკიცებისათვის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისა და მყარი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ჩვენ გვინდა და განუხრელად ვესწრაფვით გამაღებული შეიარაღების შეწყვეტას, კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილებას. ჩვენი საბოლოო მიზანია ბირთვული იარაღის სრული მოსპობა მთელ პლანეტაზე, ბირთვული ომის საფრთხის სრული აღმოფხვრა. საბჭოთა კავშირი უცვლელად იღვწოდა და იღვწის კონსტრუქციული დიალოგისათვის, ისეთი პრაქტიკული ღონისძიებებისათვის, რომელთა შემეფობითაც შეიძლება საერთაშორისო დაძაბულობა, დამყარდება ყველა ხალხსა და სახელმწიფოს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო.

საბჭოთა კავშირი არავის ემუქრება და არ ესწრაფვის სამხედრო უპირატესობას. მაგრამ იგი არ დაუშვებს, რომ რომელიმე სხვა ქვეყანამ ან სახელმწიფოთა კოალიციამ მოიპოვოს ასეთი უპირატესობა. აი ამიტომ ჩვენ კვლავაც


დაუცხრომლად გაეძლიერებთ სიფხიზლეს, განვამტკიცებთ ჩვენი კომუნისტური საშობლოს თავდაცვისუნარიანობას.

ჩვენ სიმპათიით ვეკიდებით და მხარს ვუჭერთ იმ ხალხებს, რომლებიც თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უცვლელად ერთგულობს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ძალების ყოველნაირად შეკავშირების თანამიმდევრულ კურსს

პარტიის მიზნები ნათელი და კეთილშობილურია. მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მშრომელთა უსაზღვრო ნდობა მოაპოვებინეს. ხალხთან ერთიანობაა პარტიის ძალა. პარტიასთან ერთიანობა, მისი ხელმძღვანელობაა ხალხის ძალა.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე პარტიის, საბჭოთა ხალხის ერთგულ სამსახურს შეაღწია, სამუდამოდ დარჩება კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის ხსოვნაში. იგი დარჩება ჩვენს ხსოვნაში როგორც მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი, როგორც ვულისხმიერი და მომთხოვნი ხელმძღვანელი, როგორც მშრომელი ადამიანების საჭიროებებისა და საზრუნავისადმი უაღრესად ყურადღებიანი ადამიანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოავლენენ დიდ შეგნებასა და ორგანიზებულობას, იმრომებენ მეტი ერთუზიანობითა და თავდადებით, განამტკიცებენ ჩვენი საშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვითს ძლიერებას, ღირსეულად ატარებენ დიდი ოქტომბრის დროშას.






ბალახტიონე ტაბიძე

იღეა

რწმენით იარ, რწმენით იარ!  
 მტკიცე გქონდეს ბიჭი!  
 ყოველ ნიჭზე ძლიერია  
 ქვეყნის დაცვის ნიჭი!  
 ასე იყო და ასეა  
 ბრძოლა ჩვენი მიწის,  
 რწმენა ბევრად ძვირფასია:  
 მან გატანა იცის.  
 ურყეველი რწმენის მტერი  
 გზას ვერა რით აგნებს,  
 როს სხვადასხვა გზით უცქერის  
 ათასნაირ საგნებს.  
 საგანიც ფერს მისთვის ზშირად  
 იცვლის იმის გვარად —  
 როგორ ხედავ, რანაირად,  
 რომელ მხრიდან და რად.  
 განა ვისმე ვიყავ მონა,  
 როცა მდევდა ზრაბვა  
 და მრავალი დღეთა კონა  
 ძლიერ ლელვას გაჰყვა?!  
 არა მონა! ო, პირიქით,  
 თავისუფალ ამბით  
 ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი,  
 საკუთარი შტამპით.

მაგრამ, გრძნობათ სიმაისეც,  
 ფიქრო ნათელ ფრენის,  
 თუ მონა ხარ, მონა ისეც —  
 საკუთარი რწმენის.  
 რწმენით იარ, რწმენით იარ!  
 მტკიცე გქონდეს ბიჭი!  
 ყოველ ნიჭზე ძლიერია  
 ქვეყნის დაცვის ნიჭი!  
 ერთბელ, ღამით, ცეცხლის აღზე  
 მივდიოდით ტოლნი.  
 მივდიოდით და, ჰა, თვალწინ  
 აღიმართა სმოლნი!  
 სმოლნი, სმოლნი! აქ — იმ დროის  
 მახვილი და ბრძმედი —  
 ქუხდა რწმენით მსოფლიოის  
 ერთი მეექვსედი.  
 ის, ტიტანი, ვინ თქვა სახლად,  
 მრავალ ღამენათევს  
 სწევს იღეა მალღა-მალღა,  
 ზრუნვა ტვირთად ადევს...  
 და როდესაც თვალს აცეცებს  
 ლულა ტყვიამფრქვევის,  
 გუშაგის ხმას: — თქვენ ვის ეძებთ?  
 ვუპასუხე: — ლენინს!



# ამხანაგი გუბერნატორი\*

რომანი

თავი 26

საწყისი... აღსასრულისა. კაპიტნები. იხვევამო-  
ნდნენ. წამები... სიკვდილის ზღვარი. ვინ არის  
ავსენაოვ? განცდებისა და მოლოდინის ღამე.  
განერაღმა სპეციალური გაითავაზა. „აპი დემო-  
ნი“. მიმალვები დახმარნენ.

17.6.41

კვირალამემ ქუთაისში შედარებით მშვიდად ჩაიარა. დილაადრიანად გააღვიძდა გუბერნატორი დაცვის უფროსმა.

— გენერალ ალიხანოვ-ავარსკისაგან ფელდეგერი გეახლათ, — მოახსენა მან, — ამბობს, პაკეტი პირადად უნდა გადავცეო.

სტაროსელსკიმ სწრაფად ჩაიცვა და პირველ საათულზე კაბინეტში ჩავიდა. ფელდეგერი გუბერნატორს მხედრულად მიესალმა და პაკეტი გადასცა. მერე სწრაფად შეტრიალდა, ქუსლი ქუსლს მიართყა და გავიდა.

სტაროსელსკიმ მოუთმენლად გახსნა პაკეტი. კითხულობდა ბარათს და სახე თანდათანობით ელუშებოდა. ალიხანოვ-ავარსკი ოფიციალურად იუწყებოდა გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობაა

გამოცხადებული და, რომ დაუყოვნებლივ, „ქვემოთე მიწერილობის მიღებისთანავე“ გუბერნატორი და ვიცე-გუბერნატორი უნდა გამოცხადდნენ მასთან ყვირილაში.

სტაროსელსკიმ სასწრაფოდ გამოიძახა ყიფშიძე და მოსვლისთანავე უხმოდ გაუწოდა წერილი. მან სწრაფად ჩათვალიერა იგი.

— ჩემო ალექსანდრ ფეოდოროვიჩ, საქმე ისე წარიმართა, რომ ბოლოს და ბოლოს ალიხანოვ-ავარსკის ტყვეები გაეხდით. არ დაგვიშავ, ვერ გამოვივა, ვინ მართავს მზარეს?! —

— ისე, კაცმა რომ თქვას, რა უფლებით გვიბარებს?! — გაოცებით იკითხა ყიფშიძემ.

— ახლა ის დრო არ არის, რომ ვინმემ თავი ეტყეტის დაცვით შეიწუხოს... — განავრძობდა შეფიქრიანებულ სტაროსელსკი. — თანაც არა მგოსა.

\* დასასრული. დასაწყისი იხ. „მნათობი“, №№ 11, 12 (1984), ა. წ. 1, 2, 3.

საქ. სსრ კ. მარტ. საბ. სახ. რესპ.

ნია, რომ ამის თაობაზე არა ჰქონდეს სათანადო რწმუნებები.

— მაშინ ამ „რწმუნებების“ შესახებ პირველ რიგში ჩვენ უნდა ვიცოდეთ. ხომ შეიძლება არ დავემორჩილოთ ან თუნდაც, მაგალითად... მივიშალოთ. იმედი მაქვს, ხალხი შეგვიფარებს, თუმცა თავისთავად ცხადია, ამას ჩვენ არ გავაკეთებთ.

— მართალს ბრძანებთ. ექვსგარეშეა, ჩვენი გაუჩინარება სამხედრო ხელისუფალთ მეტ საბაბს მისცემს, ხალხის დარბევისა და რეპრესიების გაძლიერებისათვის. ღმერთმა უწყის, შეიძლება ჩვენი გატაცება ან მოკვლაც კი დასწამონ მათ. — შენიშნა სტაროსელსკიმ.

— თუ იმაზე აღარაფერს ვიტყვით, რომ ეს სიმხდალეში ჩავგეთვლება. — დაუმატა ყიფშიძემ.

— გულახდილად რომ გითხრათ, მე სხვა რამ მაშინებს და მაწუხებს. ხალხი ჩვენს დატყვევებას (ეს რომ ასე იქნება, ეჭვი არ მეპარება), როცა შეიტყობს, შეიძლება ჩვენი გამოხსნა მოინდომოს. ამას კი აუცილებლად დიდი სისხლისღვრა მოჰყვება.

— ეს ნამდვილად ასე იქნება.

— ამიტომ, თუკი გადაწყვეტთ გენერალს ვეახლოთ, ეს ისე უნდა გავაკეთოთ, თითქოს ჩვენის ნებით და ინიციატივით მივდივართ...

— ეს იმ შემთხვევაში, თუ ბრძანებას დავემორჩილებით... — შენიშნა ყიფშიძემ.

— ამ ვითარებაში ჩვენ სხვა არჩევანი არა გვაქვს — თქვა სტაროსელსკიმ და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა: — ყოველ შემთხვევაში მე არ გამაჩნია.

— ამას რას ბრძანებთ, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, ნუთუ შეგიძლიათ ერთი წამით მაინც გაივლოთ გულში, რომ ამ მიმომე განსაცდელის ეჟის მე თქვენს გვერდით არ ვიქნები?

— გმადლობთ, ალექსანდრ ფეოდოროვიჩ, — უპასუხა ალღელებულმა სტაროსელსკიმ. — თქვენ მაინც გეტ-

ყვით გულახდილად, რომ წმენდას ვაძლავ მზად ვახლდით... ამგვარი წინასწარ-

ყიფშიძემ გაოცებით შეხედა სტაროსელსკის. მერე გაახსენდა, რომ ერთხელ, მათ საერთო მეგობარმა გომართელმა ჰკითხა: „გწამთ კია, ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, გამარჯვებისა?“ მან უპასუხა: „ადვილი შესაძლებელია, რომ ამჟამად მიზანს ვერ მივალწევთ, მაგრამ საბოლოო გამარჯვებაში ერთი წამითაც ეჭვი არ მეპარება“. „კი მაგრამ, ხომ შეიძლება, რომ შეეწიროთ ამ ბრძოლას!“ — „რა ვუყოთ, თუკი საერთო საქმეს ეს არგებს, დაე, დავიღუპო!“.

ფიქრებში წასული ყიფშიძე სტაროსელსკის ხმამ გამოარკვია:

— დიახ, დიახ, შექმნილ ვითარებაში, ერთმანეთს დაპირისპირებულ ძალთა ახლანდელი თანაფარდობის პირობებში მე არ მქონდა სრული რწმენა, რომ ჩვენი საქმე წარმატებით დავიკავინდებოდა.

— არ დაგიშალოთ, მეც მაგას ვგრძობდი და ამიტომაც იყო, რომ მაკვირვებდა თქვენი შეუპოვრობა.

— კიდე მეტი, — განაგრძო სტაროსელსკიმ, — მე არ გამოვირიცხავდი დამარცხებას, მაგრამ ამავე დროს ძალას მმატებდა იმის რწმენა, რომ ოდესმე აღამიანთა რომელიმე თაობამ ხომ უნდა იკისროს, არსებული ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე, და თუნდაც უდიდესი მსხვერპლის გაღება, მაგრამ ვილაყამ ხომ უნდა დაიწყოს პირველმა ეს ბრძოლა...

იმ დროს, როცა გუბერნატორი და ვიცე-გუბერნატორი საკმაოდ ნაღვლიანად საუბრობდნენ, ქვევით, საგუბერნატოროს შესასვლელთან დაცვას დავა ჰქონდა გამართული კაპიტან სიდორენკოსთან, რომელიც ჭარისკაცებისა და პოლიციელების თანხლებით გამოცხადდა და კატეგორიულად მოითხოვდა: სტაროსელსკისთან სასწრაფო საქმე მაქვს, შემიშვითო; რახმელეებს ახსოვდათ რა მისი ადრინდელი „ვიზიტი“

ავსენეკოსთან ერთად, არ ატარებდნენ.  
— იმ დღეს შენ და შენი ამხანაგი კაბინეტიდან გიფრინათ, დაპატიმრებას გადაურჩით.

— გაიგეთ, თქვე ბრიყვებო, გუბერნატორს პოლკოვნიკ შჩერბინის განკარგულებით სასწრაფოდ პირადად უნდა გადაეცემა პაქეტი, — ბრაზობდა სიდორენკო და თანაც რაღაც წითელ კონვერტს მათ თვალწინ აფრიალებდა.

— თქვენ ჩემი უფროსი არა ხართ, მე დაცვის უფროსმა მიბრძანა, ჩემი ნებართვის გარეშე არაფერს შეუშვაო. — მომეცით, თავად გადაეცემ მაგ პაქეტს.  
— ეკამათებოდა კოსტია.

— არა მაქვს უფლება. ნაბრძანები მაქვს ხელში გადაეცე, თან პირადადაც მაქვს სათქმელი, რას მედავებით? დაუძახეთ კანცელარიის უფროსს.

— ამ კვირა დღეს სად გავაჩინო?  
— ბოლოს და ბოლოს, რა შენი საქმეა, წადი და მის აღმატებულებას მოახსენე, რომ მასთან მისვლა მსურს.

კოსტიამ რაზმელებს უბრძანა, არავინ გამოატაროთ, და უხალისოდ, ზღაზღინით სტაროსელსკისთან ავიდა. კაბინეტში ბეგლარი და ვასიაც იყვნენ.

— ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, ერთ-ერთი იმ არამზადა კაპიტანთაგანი, ამასწინათ თქვენთან რომ იყვნენ, გუბერნატორის ნახვა მსურსო, ამბობს, პოლკოვნიკ შჩერბინისაგან პირადად პაქეტი უნდა გადაეცეო.

— გამოატარეთ. — მოკლედ მოჭრა სტაროსელსკიმ.

— რატომ თაქ არ გამოართვი პაქეტი? — შეეცა ხა კოსტიას ბეგლარი.

— არ მომცა, ე. ვთქვი, ნაბრძანები მაქვს, პირადად ვცეო. და კიდეც რაღაც უნდა ვუთხ...

— გამოატარეთ, გამოატარეთ, — გაიმეორა სტაროსელსკიმ, — მის შესახებ დამირეკეს. ალბათ ბოდიშის მოსახდელად მობრძანდება...

...რამდენიმე საათით ადრე კი ქანდარმათა სამმართველოს უფროსს სტრელცოვს თავის კაბინეტში კაპიტან

ავსენეკოსთან კონფიდენციალურად უბარი პქონდა.

— არ მოველოდით, რომ ჩვენთვის ასეთი სასარგებლო კაცი აღმოჩნდებოდა. ახლა შეგიძლია კვლავ გამოიჩინო თავი. ცნობისათვის გეტყვი: გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადებული. გაცემულია ბრძანება ამბოხების იარაღის ძალით მთელი სისასტიკით ჩახშობაზე. ამასთან დაკავშირებით გუბერნატორსა და ვიცე-გუბერნატორს აჭაურობას აცილებენ, თბილისში იწვევენ. გენერალი ალიხანოვი-ავარსკი ყვირილაში დაიბარებს მათ.

— ახლა რომელი საათია? — ერთ-ბაშად იკითხა სტრელცოვმა და კედლის საათისაკენ გაიხედა. — მე მგონი, მათ უკვე იციან, რომ გენერალთან უნდა გამოცხადდნენ, შენი ამოცანაა: საგუბერნატოროში მიხვიდე, როგორც გენერლის ადიუტანტი, მაღლობა ღმერთს, ამ როლის შესრულება პირველად არ გიხდება, და მოახსენო, რომ ნაბრძანები გაქვს მათი პირადი უშიშროების მიზნით მიაცილო ისინი შენს უფროსთან ყვირილაში. მათ საშუალება არ უნდა მიეცეთ ვისთანმე დაკავშირებისა, კარგია, რომ დღეს კვირაა, ჩვენ ვიზრუნებთ, რომ ტელეფონი გამოითიშოს. ქვევით ეკიპაჟი, კაზაკები და ქანდარმები გელოდებიან, შენ მათ უმეთაურებ. სადგურისკენ რომ გასწეეთ, თავს დაგესხმებიან „რაზმელები“. გასაგებია, რომ ეს გადაცმული ჩვენი ხალხი იქნება, ისინი სროლას აგიტებენ, რაღა თქმა უნდა, ფუჭი ვაზნებით.

თქვენ ჰაერში სროლით უპასუხებთ. ამ ორომტრიალში შენი პისტოლეტიდან გასროლილმა „ბრმა“ ტყვიებმა ორივე უნდა გამოასალმოს სიცოცხლეს. მინდა გაგაფრთხილო, ეს დავალება მოდის ფრიად ავტორიტეტული ინსტანციიდან. — ქანდარმა საჩვენებელი თითი საღდაც ჰერისაკენ ასწია და განავრძო, — ისე, რომ თუ მათ ყვირილაში უგნებლად ჩაიყვან, ჩათვალე, რომ ოპერაცია ჩაშალე, რისთვისაც, ექვი არ

შეგებაროს, იმას მიიღებ, რისი ღირსიც იქნები.

მალე საგუბერნატოროს შენობას კაზაკებისა და ეანდარმების თანხლებით გადახურული ფურგონი მიაღგა. ამ უცნაურმა ეკიპაჟმა დაცვა გააკვირვა. უფრო მეტად გააკვირვა, იმან, რომ კოფოლან კაპიტანი ავსეენკო გადმოხტა.

— ბიჭებს გაუმარჯოს! — როგორც ძველ და კარგ ნაცნობებს მიესალმა ის რაზმელებს.

მერე იქ მდგომი პოლიციელებისა და ჯარისკაცების ჭგუფი რომ შენიშნა, რალაც ეჭვი დაებადა.

— ჩემს თანაპოლკელს უმდაბლესი სალაში, — განსაკუთრებული „სითბოთი“ მიეგება კოსტიას კაპიტანი.

— კიდევ მოხვედი, შე ტურა, — სპასუხო მისალმების მაგიერ გამოეპასუხა კოსტია. — არ დავიმალავ, და იმ დღეს კარგად იმოქმედე, ის ბრბო ადვილად დაიმორჩილე, გენერალი და პოლკოვნიკიც კი გააწბილე...

— ხომ ხედავ, ახლაც დანაშაულის გამოსასყიდად ვეახელი შენს უფროსს. — სასწრაფოდ უნდა ვნახო თქვენი შეფი.

— რაშია საქმე? ვითომ რატომ გეჩქარება ასე.

— ნაწილში მივდივარ. ნაბრძანები მაქვს, გუბერნატორს იმ დღეს ნასვამებმა შეურაცხყოფა რომ მივაყენეთ, ოფიციალური ბოდიში უნდა მოვუხადო.

— შეურაცხყოფა ერთად მიაყენეთ და ბოდიშის მოსახდელად კი ცალ-ცალკე მოდიხართ. ეს-ეს არის შენი მეგობარი სამი ჯარისკაცის თანხლებით მასთან ავიდა. გამოდის, ოფიციალურად პაექტით უნდა გადასცეს თავისი მობოდიშების განცხადება... აი, დანარჩენები მისი რაზმიდან აგერ აქ ელოდებიან. — და კოსტიამ ტროტუართან მდგომ ჯარისკაცებსა და პოლიციელებზე მიუთითა. ამის გამგონე ავსეენკოს ერთბაშად ნირი წაუხდა, რამაც კოსტია მეტად გააოცა.

— რაშია საქმე? ეტყობა გაუგებ-

რობა მოხდა... — შეშფოთებულმა შეტყნუნა გაფითრებულმა ავსეენკომ. — ზევიდან სროლის ხმა მოისმა...

— ეგონებ დავიგვიანეთ! — სროლის ხმის გაგონებაზე შეპყვირა ავსეენკომ, რამდენიმე ხელქვეითსა და იქვე მდგომ დაბნეულ კოსტიასა და რაზმელებს უბრძანა, მომყევითო, სხვებს კი შესასვლელის დაცვა დაევალა.

— არაეინ არ გამოატაროთ! — და კიბეებზე აირბინა.

მას კოსტია და რაზმელები მიჰყვნენ. ტროტუართან მდგომმა სიდორენკოს ამაღამაც შესასვლელს მიაშურა, მაგრამ ავსეენკოს ჯარისკაცებმა და რაზმელებმა გზა გადაუღობეს.

— სწრაფად! სწრაფად!... ღრიალებდა ავსეენკო.

მისაღების შესასვლელში მდგომმა ორმა ჯარისკაცმა რაზმელებს გზა კი გადაუღობეს, მაგრამ კაპიტანი რომ დაინახეს, დაიბნენ. ავსეენკომ მათ ხელი ჰკრა და ოთახში შევიარდა. კოსტიამ რევოლვერი დაახალა; ჯარისკაცი ჩაიყვია. მეორე ჯარისკაცმა დაასწრო და კოსტიას ესროლა. მან მკერდზე იტაცა ხელი, მოცელილივით დაეცა და კიბეებზე ჩაგორდა. რაზმელები მეორე ჯარისკაცს გაუსწორდნენ.

უწყსრიგო სროლამ სიდორენკოს უურამდე მიიღწია. მან იფიქრა, რომ მისი ხელქვეითები გარეთა დაცვას გაუსწორდნენ, როგორც ეს წინასწარ იყო დათქმული. მაგრამ ამ დროს მისაღებში შემოკვივდნენ ავსეენკო, ჯარისკაცები, ეანდარმები და რაზმელები. სიდორენკო მოულოდნელობისაგან გაქვავდა. ამავე დროს კაპიტნის კარებში გაფითრებული სტაროსელსკი და ყიფშიძე გამოჩნდნენ. მათ თვალწინ საზარელი სურათი გადაიშალა. მისაღებში, სისხლში ამოსვრილ უსულო ვასიასა და ბეგლარის გვერდით ორი განგმირული რაზმელი ეგდო. დაველდათა შემსრულებელს თითქმის მაგიდაზე ჩამოედინაო, — თავი ჩაეჭინდაო, ყურიდან სისხლი მოყონავდა.

— ნადირებო!.. მკვლელებო!.. ეს რა

ჩაიღინეთ? — აქანკალებული ხმით დაიყვირა სტაროსელსკიმ. — ყაჩაღებო!

სტაროსელსკიმ კაბინეტში დაბრუნება დააპირა.

— თავს ტყუილად ნუ შეიწუხებთ, ტელეფონი გამორთულია. — დამცინავად მიაყოლა კაბიტანმა.

ვლადიმერი სისხლის გუბეში მწოლიარე ვასიასთან მიიჭრა, მაჯა მოუსინჯა, დამდღურულივით გაუშვა ხელი. მერე ფრთხილად, თითქოს ეშინია, არ გაველიძოო, ყიფშიძის დახმარებით შეაბრუნა. ჭაბუქმა მათ თაფლისფერი ცრემლმორეულ თვალების გაყინული მზერა შეაგება. აქანკალებული ხელით ყიფშიძემ თვალები დაუხუჭა, ანგარიშ-მიუცემლად დასწვდა იქვე დაგდებულ მის სათვალეს და გაუკეთა. სტაროსელსკი შუბლზე ემთხვია. შემდეგ ბეგლარის წინ მოიყარა მუხლი, წიელში გაიმართა და ავეენკოს შეხედა. სიძულვილი, მწუხარება და შეუპოვრობა გამოსჭვივოდა მის თვალთაგან. ამ მზერამ შეაკრთო ავეენკო. რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა...

მისაღებში ნადეჟდა შემოვიარდა. სისხლში მცურავი ვკამები რომ დაინახა, ხელები გაასავსავა და ქვითინით ქმარს გადაეფარა. ვლადიმერმა ალერსიანად დაადო მხარზე ხელი, ფრთხილად მოიცილა.

— ნუ გეშინია, ნადიუშა, ეს მხეცები მე ვერაფერს გამიბედავენ!...

— თქვენ წარმოიდგინეთ, რომ გავბედავთ! — ჩაისისინა სიდორენკომ და ავეენკოს ცერად გახედა. იგი კი შეცბუნებული და სახტად დარჩენილი იდგა და იმის ფიქრში იყო, რა მოემოქმედა.

— როგორ თუ გაბედავთ?! — მრისხანედ შეპყვირა ყიფშიძემ. — გაბედავთ და ხელს აღმართავთ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ერთგულ მსახურზე?! თქვენ ხომ ოფიცრები ხართ! ნუთუ არ გესმით, რომ სახარზობელა არ ავცდებთ!

— ჩვენ, ჩვენი ვალი მოვიხადეთ,

თავის დროზე გაგადრთილეთ, რკინეზს კი ამას ყური არ ათხოვეთ. ჩვენ, ესე იგი, მე და კაბიტანმა ავეენკომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ოფიცერთა ღირსების სასამართლოს განაჩენი სისრულეში უნდა მოვიყვანოთ. აქ სიდორენკომ რევოლვერი ხელში შეათამაშა.

ნადეჟდა წინ გაიჭრა, სტაროსელსკიმ და ყიფშიძემ ხელი სტაცეს.

— მოიცა, მოიცა, რას ნიშნავს ეს „ჩვენ?!“ — მკაცრად შეეცინა ავეენკო და წინ გადაედობა სიდორენკოს, — ერთი მითხარი: როდის მიიღეთ ჩემგან თანხმობა ამ აქციაზე?

— როგორ თუ როდის?! — გაიკვირვა სიდორენკომ, — ჩვენ ხომ ერთად ვმოქმედებთ?!

— ადრე ვმოქმედებდით, ახლა კი არა. მე ოლქის მთავარსარდლის, გენერალ-ადიუტანტის, მისი უგანათლებულესობის, მეფისნაცვლის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ნება-სურვილი უნდა შევესრულო და ჩემი უფროსის, მის მალაკეთილშობილების გენერალ-ალიხანოვ-ავარსკის განკარგულების თანხმად გუბერნატორი და ვიცე-გუბერნატორი უვენებლად უნდა მივეგარო მას ყვირილაში, — დაუმარცვლა ავეენკომ, თანაც სიტყვას „უვენებლად“ მხვრილი გაუკეთა. — ისინი განსჯიან და მიუზღავენ მათ მისაზღავს, — დაასკვნა მან და სიდორენკოს ეჭვი რომ არ შეჰპარვოდა, დააყოლა: — ამ მიზნით ჩემს განკარგულებაშია კახელებისა და ქანდარმების ქვედანაყოფები, ქუჩაში რომ მგლოდბიან.

სიდორენკო მიხვდა, რომ საიდუმლოდ ჩაფიქრებული ოპერაცია მოულოდნელად ჩაიფუშა. „ეტყობა იქ, ზემოთ, ვარიანტები ვაითამაშეს. ამიტომაც ავეენკო გადამიდგა, — გაუეღვა მას აზრმა, — ჩანს, ბოლოს პასუხს მარტო მე მაგებინებენ. გუბერნატორზე თავდასხმას დამწამებენ“, დაასკვნა მან და მოულოდნელად ისე, რომ წარბიცი არ შეუხარია თავის ყოფილ „პარტიზორს“ განუცხადა:

— შენ ატეხე ეს ყველაფერი და ახლა შენვე ავე პასუხი!

— როგორ თუ მე? — გაიკვირვა ავსეენკომ.

სიღორენკომ ამ შეკითხვას წაუყრუა, სწრაფად შემობრუნდა და გავიდა.

ავსეენკომ სტაროსელსკისა და ყიფშიძის ბრძანებით მიმართა:

— ბატონებო, გთხოვთ გამოძვევთ. მათ ერთმანეთს გადახედეს და გოგნებულბებმა ყველაფერი იმით, რაც ეს ეს არის აქ მოხდა, უსიტყვოდ დამორჩილება არჩიეს.

ნადეჟდამაც წინ გაიწია, მაგრამ ქმარმა ალერსიანად მიმართა:

— ნადიუშა, ნუ ლელავ, არაფერი მიჭირს, სჯობს, ბავშვებს მიხედო...

ქუჩაში რომ გამოვიდნენ, ავსეენკომ რაზმელები შენიშნა და ენდარბებს უბრძანა:

— განაიარაღეთ!

რაზმელებმა თოფები მოიმარჯვეს.

— კაპიტანო, გთხოვთ, მოეშვათ მათ! ეს გაართულებს მდგომარეობას, ქალაქი გაიგებს... — მიმართა ავსეენკოს სტაროსელსკიმ. — გარანტიას ვაძლევთ, რომ ისინი არაფერს გაბედავენ. მერე რაზმელებს ქართულად მიმართა:

— მეგობრებო! ჩვენზე ნუ სწუხართ, აქ რალაც გაუგებრობას აქვს ადგილი, მალე ყველაფერი გაირკვევა. ჩვენ ჩვენი ნებით თბილისს მივიღივართ. ისე, რომ გადაეცით, ვისაც ჯერ არს, რომ ჩვენს გამოსახსნელად არაფერი მოიმოქმედონ. ვასაგებია? ეს ბრძანება.

ავსეენკომ ხელქვეითებს უბრძანა:

— შეეშვით!

სტაროსელსკი და ყიფშიძე გადახურულ ფურგონში ჩასხდნენ და კაპიტნის მეთაურობით სადგურისაკენ დაიძრნენ. სმენაზე გაჭიმულმა რაზმელებმა სევდიანი მზერა გააყოლეს სტაროსელსკის და ყიფშიძის. ავსეენკომ გუბერნატორის რეზიდენციის დანაცვადა რამდენიმე ჯარისკაცი დატოვა.

სიღორენკოს რაზმმა კი საპირისპირო მხარეს გაუხვია და მალე გაუჩინარდა...

ავსეენკომ ერთ-ერთ მურყნულ მურყნულ ხალხს მოაკრძოდა.

— ეს ნამდვილად წითელრაზმელებია! — ხმამაღლა წამოიძახა მან და ბრძანებაც მიაცოლა:

— მოემზადეთ საბრძოლველად!

შესახვევიდან სროლა ატყდა.

— ჩამოქვეითდით, ცეცხლი! — უბრძანა ავსეენკომ, ფურგონიდან გადასახდით, რევოლვერი მოიმარჯვა და შეძახილით: „მოძვევით!“, წინ გაიჭრა.

რამდენიმე წუთში „რაზმელები“ განადგურებულ იქნენ.

— ღმერთო ჩემო! ხომ ვუბრძანე არაფერი მოიმოქმედოთ-მეთქი ჩვენი გულისათვის! ამოდენა უბრალო მსხვერპლი. სიმწრითა და მწუხარებით ამოიხზრა სტაროსელსკიმ.

ავსეენკომ უბრძანა სწრაფად განეგრძოთ გზა.

მალე სადგურის მოედანს მიუახლოვდნენ. აქ ერთი ალიაქოთი იყო ატეხილი:

— რა მოხდა? სროლის ხმა შემოგვესმა. — ეკითხებოდნენ ახლად მოსულთ.

— წითელრაზმელები. დაგვესხნენ, ტყვეების გამოხსნა მოინდომეს, მაგრამ ვერ მივართვით, — ტრაბახობდნენ ჯარისკაცები, — ჩვენმა კაპიტანმა იმარჯვა. მისი მამაცობისა და სიყოჩაღის წყალობით არც ერთი კაცი არ დაგვიარგავს...

სადგურის მოედნის მთელი ტერიტორია პოლიციის, ენდარბებისა და კაზაკების გაძლიერებულ ბადრაგებს ჰქონდა დაკავებული. ბაქანზე ჯარისკაცების გარდა არავინ ჩანდა.

— წუნს ვერ დასდებ, კეშმარიტად მეფური პატივი მოგვაგეს. — სარკასტულად შენიშნა სტაროსელსკიმ.

ვაგონის შესასვლელთან მდგომმა პოლიციოვნიკმა სამხედრო სალამი მისცა მათ. სტაროსელსკიმ და ყიფშიძემ არ უმასუხეს, სწრაფად ავიდნენ ვაგონში და მათთვის განკუთვნილ კუპეს მიაშურეს. ავსეენკომ „გულამარცხებული ზრუნვა“ გამოიჩინა მათი უსა-



ფრთხობისათვის. მან ფანჯარა ნაბლით დაფარა, კუბეში კი მცველს ფარანი შემოატანინა.

— ასე აჯობებს — განმარტა ავსეენკომ, — თქვენდამი სიძულვილით გამსპვალულმა ვინმე თავზებულაღებულმა, თვალი რომ მოგკრათ, ვინ იცის რას განიზრახავს!

გუბერნატორსა და ვიცე-გუბერნატორს შიგ კუბეშივე ორი ჯარისკაცი დარაჯობდა. ვაგონში, ტამბურიდან ტამბურამდე, პოდპოლკოვნიკი ბოლოს სცემდა. ვაგონის შესასვლელშიც გუშაგები იდგნენ.

ავსეენკო სადღაც გაქრა, მაგრამ მალე ისევ გამოჩნდა, რაღაც აღელდება ეტყობოდა, ჩქარობდა, სწრაფად შევიდა კუბეში და ჯარისკაცებს ანიშნა — გადითო. ტყვეებთან პირისპირ რომ დარჩა, უცხად გარდასახულმა, დაღლილ-დაქანცულ ადამიანს დამსგავსებულმა ჩურჩულით, მღელვარებისაგან აკანკალებული ხმით მიმართა მათ:

— ახლა კი, ძვირფასო ამხანაგებო, უნდა დაგემშვიდობოთ. მე პარტიული კომიტეტის დავალება შევესარულე. შეიძლება მიხვდით კიდევ, — ყველაფერი ვიღონე, რომ ვადამერჩინეთ. ახლა კი საქმე ისე ეწყობა, რომ უნდა გავუჩინარდე. კეთილ მგზავრობას ვისურვებთ, უმორჩილესად გთხოვთ, აუგად ნუ მომიხსენიებთ თქვენს ერთგულ მეგობარსა და თანამოაზროვნეს. — ავსეენკომ სამხედრო სალაში მისცა ტყვეებს და კუბიდან სწრაფად გავიდა.

სტაროსელსკი და ყიფშიძე, გაოგნებულნი, ერთმანეთს მისჩერებოდნენ, კუბეში ისევ ის ორი ჯარისკაცი შემოვიდა. ცოტა ხნის შემდეგ, უცნობი ხანშიშესული ოფიცრის თანხლებით, კარებში პოდპოლკოვნიკი გამოჩნდა.

— გაიცანით, ეს კაპიტანი საეჩენკოა, ვინც თქვენ გაგიწევთ მეურვეობას. — მოკლედ მოჭრა მან და გავიდა კუბედან.

— კაპიტანი ავსეენკო რაღა იქნა? —

სასხვათაშორისოდ იკითხა სტაროსელსკიმ.

საეჩენკო აშკარად დააბნია ამ შეკითხვამ. ერთხანს დუმდა, მერე კი გაურკვეველად უპასუხა:

— ღმერთმანი, არა ვიცი რა; ბატონებო, ვგონებ რაღაც ფათერაკი შეემთხვა...

კაპიტანმა საუბრის თემა შეცვალა. მორიდებულად, მაგრამ მკაცრად გააფრთხილა ისინი, რომ სადგურებში მატარებლის ჩასვლისას არ გამოჩენილიყვნენ, ბარათები არ ეწერათ. ჯარისკაცებს უბრძანა, კუბედან გასულიყვნენ და კარებთან ედარაჯათ. მერე იკითხა, ხომ არაფერი გნებავთო. საქმაოდ გაგრძელებული პაუზის შემდეგ, მოულოდნელად თავისი ამბების მოთხრობა დაიწყო. სულ ეხლაბან ქერჩიდან ამბობების ჩასაქრობად ჩვენი დივიზია ჩამოყვანესო.

ეს ერთ-ერთი ის ნაწილი გახლდათ, რომელიც ვორონცოვ-დაშკოვის ობოვნით სამხედრო მინისტრმა ზღვით ფოთზე გავლით ალიხანოვ-ავარსკის დასახმარებლად ქუთაისის გუბერნიაში გამოაგზავნა. იგი არტილერიით, ალალითა და პოსპიტლით იყო აღჭურვილი და შესამჩნევად შეავსო ადრე აჭეთიენ წამოსული სამხედრო ძალები.

კაპიტანმა ისიც კი აცნობა, რომ გუბერნიის ამბების შესახებ ადრე ჰქონია ყური მოკრული, და ზოგიერთი მისი ამხანაგები სიმპათიითაც კი ლაპარაკობდნენ მის შესახებო. საერთოდ ეს ახლადგაცნობილი ოფიცერი სასიამოვნო, გულლია კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ამ საუბრისას, უცებ მატარებელი შეტოვდა და მიიმედ დაიძრა. ყვირილაში მალე ჩავიდნენ. ცოტახანში კუბეში ისევ ის პოდპოლკოვნიკი შემოვიდა და განაცხადა, რომ გენერალ ალიხანოვ-ავარსკი მხოლოდ დილით შეძლებს მათ მიღებას, — ასე, რომ შეგიძლიათ მოისვენოთო.

მოლოდინითა და მღელვარებით აღსავსე ღამე უსასრულოდ გრძელი მო-

ეჩვენათ. მხოლოდ გარეუბ ატეხილ ხმაურით მიხედნენ, რომ გათენდა. ცოტა ხნის შემდეგ პოდპოლკოვნიკმა სთხოვა, რომ გაპოლოდნენ. ვაგონიდან პირველი კლასის მოსაცდელ დარბაზამდე ჯარისკაცები ორშუკრივად ჩამდგარიყვნენ. ირგვლივ სამხედროები ტრიალებდნენ. დარბაზი გენერლის მოლოდინში ოფიცრებით იყო გაჭედილი.

სტაროსელსკისა და ყიფშიძის გამოჩენას ბევრი დამსწრე დაუფარავი გაკვირვებითა და გაუგებრობით შეხვდა. ზოგი მათ გულთბილად მიესალმა, ზოგმაც თითქოს ვერც კი შეაჩნია. ისეთებიც იყვნენ, ვინც თავის სიძულვილს ვერ მალავდა, და შემოსულთა მისამართით ხმამალა შეურაცხყოფელ რეპლიკებს ისროდნენ.

მოულოდნელად სიჩუმე ჩამოვარდა. მაღალი სამხედრო ჩინების თანხლებით დარბაზში გაბღენძილი და თვითქმაცოფილებით აღსავსე ალიხანოვ-ავარსკი შემობრძანდა. სტაროსელსკის და ყიფშიძის გარდა ყველა ფეხზე წამოხტა. გენერალი ოდნავ შესამჩნევი თავის დაქნევით მიესალმა მათ. გუბერნატორსა და მის მოადგილისკენ არც კი გაუხდია. შემდეგ აღიუტანტს ტყავის საქალაღდე გამოართვა და მის წინ დაჯგომულ, სმენადქცეულ ოფიცრებს ბრძანების კილოთი მიმართა:

— ბატონო ოფიცრებო! ჩვენმა ხელმწიფე-იმპერატორმა და კავკასიაში მეფისნაცვალმა, მისმა უგანათლებულესობამ გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა უდიდესი და კეთილშობილური შინსია დაგვაკისრეს — ამბოხების ჩაბშობა და გუბერნიაში წესრიგისა და სიშშვიდის აღდგენა. დარწმუნებული ვარ, რომ მეფისა და სამშობლოს წინაშე ამ ჯარისკაცული მოვალეობის აღსრულებისას არც ერთ თქვენგანს, არც გულის, და არც ხელის სიმტკიცე არ უღალატებს. ახლა კი ყურადღებით შოისმინეთ ოლქის მთავარსარდლის მისი უგანათლებულესობის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანება:

„მოუხედავად იმისა, რომ გუბერნა-

ტორ სტაროსელსკის შემოსევნაში საფუძველზე ქუთაისის გუბერნიის სამხედრო მდგომარეობა გავაუქმე, საქმის ვითარება გუბერნიაში, არათუ არ გაუმჯობესდა, არამედ ამბოხების ხასიათიც კი მიიღო. — რიხიანად კითხულობდა ალიხანოვ-ავარსკი. — მთავრობის მოხელენი გადაყენებულია, სათემო ჩაფრები განაიარაღეს და შეცვალებს საკუთარი მილიციით, სარკინიგზო მოძრაობა არამთუ შეწყვეტილია, — ზოგიერთ უბნებზე გზა მთლიანად აყრილია; სადგურები დაკავებულია ამბოხებების შეიარაღებული რაზმებით, რომლებიც ჩხრეკენ, ართმევენ იარაღსა და პაკეტებს, განაიარაღებენ ეანდარმებს, ოფიცრებს კი საერთოდ არ უშვებენ. დაბოლოს, მეამბოხეთა ბანდებმა, დაიკავეს რა სურამის უღელტეხილი, მიზნად დისახეს მოსპონთბილისის გუბერნიიდან ქუთაისის გუბერნიაში ჩაღწევის ყოველგვარი საშუალება, ამასთან მათ გვირაბი ჩაბერგეს, ორთქლმავლით. ესეც არ იკმარეს; ჩემს მიერ გაგზავნილ რაზმს, რომელსაც სადგურ წიფაში განლაგებული თენგიწელების ასეული უხდა გამოგზნათ, ცეცხლი დაუშინეს. სამი კახაკი მოკლეს, ერთი დაჭრეს. მოკლულია აგრეთვე კახაკების შვიდი ცხენი:

დაბოლოს, ახლახან მივიღეთ ცნობა, რომ ბელოგორიდან ყვირილაში მიმავალი თენგიწელთა ასეულის მეთაური მოკლეს, რიგითები განაიარაღეს. ყვირილაში ზელთ ჩაიგდეს ხაზინა, თენგიწელების ასეული განაიარაღეს, ერთი რიგითი მოკლულია, სამი დაჭრილი.

ასეთი მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიაში დაუშვებელია, რაც შაიხულუმს კანონიერებისა და წესრიგის აღდგენის მიზნით დაუყოვნებლივ მივიღო ერთობ გადაწყვეტი ზომები.

გავიწვიე რა გუბერნიიდან ვ. ა. სტაროსელსკი, — აქ გენერალმა მრავალმნიშვნელოვნად გუბერნატორსა და ვიცე-გუბერნატორს გადახედა, — გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობა გა-

მოვაცხადე და დროებით გენერალ-გუბერნატორად გენერალ-მაიორი ალიხანოვ-ავარსკი დაენიშნე, დაეუქვემდებარე რა მას გუბერნიაში განლაგებული ყველა სახის ქარები. ამასთან დასახელებული გუბერნიის ფარგლებში ჩემს მიერ თბილისიდან გაგზავნილია: პოლკოვნიკ გავრილოვის რაზმი 6 ბატალიონის, მესანგრეთა ასეულის, პლასტუნთა ასეულის, ოთხი ქვემეხის, ოთხი ტყვიამფრქვევისა და კაზაკთა სამი ასეულის შემადგენლობით, ხოლო ბათუმიდან ოზურგეთზე გავლით სადგურ სამტრედიის პოლკოვნიკ კრილოვის რაზმი პლასტუნთა ბატალიონის, ხერსონელთა ორი ბატალიონის, ოთხი სწრაფსროლი ქვემეხისა და კაზაკთა ნახევარასეულის შემადგენლობით.—გენერალი წამით შეჩერდა, მერე კი განსაკუთრებული ზეწეული ტონით განაგრძო:—მივანიჭე რა გენერალ ალიხანოვს სრული დამოუკიდებლობა მომავალ განკარგულებებსა და მოქმედებაში, ამავე დროს მივეცი შემდეგი მითითებები:

1. მთელს გუბერნიაში სასწრაფოდ აღდგენილი იქნეს მთავრობის ხელისუფლება მისი წარმომადგენლების სახით: ყველა უწყების სამთავრობო დაწესებულებებმა უნდა დაიწყონ ნორმალური ფუნქციონირება.

2. შინაგან საქმეთა მინისტრის ციკლური რევოლუციური ორგანიზაციების განადგურების, ყველა ჭურის საგაფიცო და სხვა კომიტეტების დაპატიმრების თაობაზე ქუთაისის გუბერნიაშიც უნდა განხორციელდეს სრულყოფილად, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვერიდოთ სასტიკი ზომების მიღებას.

3. ადგილობრივი მილიციის შეიარაღებული რაზმები, არა მარტო ქალაქებში, არამედ საერთოდ ქუთაისის გუბერნიის ფარგლებში განადგურებულ უნდა იქნენ ისე, რომ მათი აღდგენის აზრიც კი არავის მოუვიდეს.

4. მცირეოდენი ცდის შემთხვევაშიც

— მოაწყონ აჯანყება, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევს ისევე როგორც ბომბების სროლა ან მოსახლეობის მიერ ქარების წინააღმდეგ იარაღის გამოყენება, უნდა იმოქმედოთ დაუნდობლად — იქონიეთ მხედველობაში მთავარი შტაბის უფროსის 26 დეკემბრის № 9965 დეკრეტის შინაარსი: „ხელმწიფე-იმპერატორმა იწვევა მიეცა უზენაესი მითითება, რომ ქარები ვალდებულია სროლაზე სროლითვე უპასუხოთ და შეიარაღებული წინააღმდეგობის მცირედიც ცდაც კი დაუნდობლად ჩაახშონ“.

ოქტის მთავარსარდალი, გენერალ-ადიუტანტი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი“.

სტაროსელსკი მიხვდა, რომ ბრძანების წაკითხვა მისი თანდასწრებით სპეციალურად მისი დამცირების მიზნით ჩაფიქრებული სპექტაკლის გათამაშება იყო. ასეც გამოდგა.

გენერალმა კითხვა რომ დაასრულა, სტაროსელსკისა და ყიფშიძეს მიუბრუნდა და მიმართა:

— თქვენ კი, ბატონებო, ჩემს მიერ თანამდებობიდან გადაყენებული ბრძანდებით და სასწრაფოდ თბილისს უნდა გაემგზავროთ. გზაში ხალხისა და ქარების საყოველთაო სიძულვილისა და რისხვის შესაძლო მსხვერპლი რომ არ გახდეთ განკარგულება გავეცი, რომ გაძლიერებული ბადრაგი გამოგაყოლონ...

დაბოლოს გენერალმა გამოაცხადა:

— თავისუფალი ბრძანდებით, ბატონო ოფიცრებო, დაუყოვნებლივ შეუდექით ბრძანების შესრულებას!

ასე, ამგვარად, გრაფმა კრავის ქუჩაში მოიშორა და თავისი მგლის არსი გამოაშკარავა, ტიპიური დამსჯელისა და მეფის თავდადებული სატრაპის საზე გამოავლინა. მაგრამ ამ მომენტშიც კი თავის ფლიდ, ორპირ ბუნებისათვის არ უღალატნია, ეგრეთწოდებული ლიბერალობის კიდევ ერთი დასაბუთება მოინდომა, და სტაროსელსკის პირადი ბარათი მისწერა, რომელიც მისი და-

ვალეებით გუბერნატორისათვის მატარებელში უნდა გადაეცათ.

როგორც კი სტაროსელსკი და ყიფშიძე იმავე გზით, და იმავე საგულდაგულოდ მოწყობილი დაცვით ვაგონში დაბარუნეს, ოფიცერმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს პაკეტი გადასცა. მან ის სწრაფად გახსნა, წერილი ჩათვალიერა, მერე კი მიუბრუნდა ყიფშიძეს და ხმაშემალი წაუკითხა:

„მის აღმატებულებას ვ. ა. სტაროსელსკის! — წერდა გრაფი. — მოწყალეო ხელმწიფევე, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ! ამ წერილის მიღებისთანავე, ეთხოვ თქვენს აღმატებულებას, გადაბაროთ გუბერნია ვიცე-გუბერნატორს...—აქ სტაროსელსკიმ კითხვა შეწყვიტა და ყიფშიძეს მიმართა: — უნდა ვივარაუდოთ, რომ თქვენ, ძვირფასო ალექსანდრე ფეოდოროვიჩ — თქვენს და განაგრძო, — „ანდა დროებითი გენერალ-გუბერნატორის მიერ შერჩეულ სხვა პირს და ქალაქ თბილისში გამოემგზავროთ. დარწმუნებული ბრძანებოდით ჩემს თქვენადმი პატივისცემასა და ერთგულებაში.“

გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი“.

\*\*\*

...ავსეენკომ ის-ის იყო დატყვევებული სტაროსელსკი და ყიფშიძე თან გაიყოლია, რომ ნადეჟდას მძიმე, დამთრგუნველი სევდა შავ კაეშნად შემოაწვა გულზე. მოეჩვენა, რომ უკვებ რაღაც უცნაურ ცარიელ სივრცეში აღმოჩნდა, რომელშიც ვერავითარი ხმები ვერ აღწევდნენ. შეშინებული და გაოგნებული ბავშვების ღრმად დაშუბრებულ სახეებს მისჩერებოდა, მაგრამ შათი ტირილი, ვიშვიში და ვაივაგლანი მის სმენას ვერ სწევდებოდა, ვერ აღიქვამდა. ეს რომ შენიშნეს, ბავშვები დედის მისცვივდნენ, კოცნა და ალერსი დაუწყეს.

— დედიკო, დედიკო, ძვირფასო, საყვარელო, რა დაგემართა?...!

ნადეჟდა, როგორც იქნა, გამოერკვა და ახლა თვით დაუწყაო შვილებს დამშვიდება:

— არაფერია, ჩემო ნიჭიერი ბავშვებო! წუთიერმა სისუსტემ მძლია...

აღსრულებული ბავშვები დედას მიეკრნენ, მხოლოდ ბორისი ცდილობდა მამაკაცური სიღინჯით დაევიროთ თავი, თუმცა სახე მთლად ვაფთოტებოდა და ქვემო ტუჩი სატირლად უთრთოდა.

— ნუ გეშინიათ, აი ნახავთ, ყველაფერი რიგზე იქნება, ყველაფერს გაარკვევენ და ჩვენი მამიკოც მალე დაგვიბრუნდება — ამშვიდება შვილებს დედა, თუმცა თვითონ ამისა არ სჯეროდა.

— როგორ უსინდისოდ, თავხედურად ექცევიან ჩვენს მამიკოს, რას ერჩიან, რისთვის ჩაგრავენ ასე, რა დააშავა? ის ხომ მართალ საქმეს ემსახურება! — ტირილითა და აკანკალებული ხმით ამბობდა ელენე.

ნადეჟდა ტახტზე ჩამოჯდა და კვლავ უსიამო ფიქრების ტყვეობაში მოექცა. ხილვათა ქაოსში მოულოდნელად ავსეენკოს ფიგურა ამოტივტივდა...

უკვებ ტელეფონის ზარის წეარუნი გაისმა, რამაც ყველა შეაკრთო, იგი ხომ აღრე გამოთმული იყო!

ყურმილი ნადეჟდამ აიღო.

— ქალბატონო სტაროსელსკიაია! — გაისმა ყურმილში, — გამარჯობათ. მაიორი ვლასოვი გახლავართ პოლიციის სამმართველოდან. თქვენი ყოფნა საგუბერნატორის შენობაში მიზანშეწონილად ბავშვებითურთ არ მიგვანია. სხვა არა იყოს რა, მართალია, შენობას იცავენ, მაგრამ უსაფრთხოების გარანტიას ჩვენ ვერ მოგცემთ. ამიტომაც გირჩევთ — ხვალვე დასტოვოთ ბინა.

— ჯერ ერთი, ჩემი სახელი და მამის სახელი თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, მეორეც: საინტერესოა, სად გვიბრძანებთ გადასვლას? — აღშფოთდა ნადეჟდა. — თქვენ გგონიათ, რომ გუბერნატორ სტაროსელსკის გაუსწორდით არა? საქმე უკვე მორჩა, გათავდა, გეშლებათ, მოწყალეო ხელმწიფე! ღრმად გეშლებათ!

— რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ, ნადეჟდა კონსტანტინოვნა! — გათამა-



შეხვეული აღმდგომით წამოიძახა პოლიციელმა. — ჩვენ მხოლოდ თქვენნი უსაფრთხოების საკითხი გვაწუხებს...

— მაშინ ნება გვიბოძეთ, ჩვენ თვითონ გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ.

— როგორც გენებოთ... — პოლიციელმა ყურმილი ჩამოკიდა.

— უზრდელი!... — გაცხარდა ნადედა. მეორე დღეს, დღით, მთელი ოჯახი ჩვეულებისამებრ სასადილოში მაგიდას მიუსხდა, ყველა ერთდებოდა მაშის დაცარიელებულ სავარძლისკენ გახედვას. მძიმედ ჩამოწოლილ სიჩუმეში სვაძდნენ ჩაის, მხოლოდ სამოვრის გაბმული შიშინი ისმოდა და შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ოთახში მიცვალებული ასვენიაო.

ამ დროს ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. ყველა შეკრთა, დაიძაბა. კაკუნი განმეორდა... ნადედა რატომღაც ფეხაკრეფით მივიდა კართან და იკითხა:

— ვინ არის?

— მე ვარ, ავსეენკო!

— ისევ ეს ავი დემონი... — ჩუმად ჩაილაპარაკა ნადედა, კარების გაღებას არ ჩქარობდა.

— ქალბატონო, გთხოვთ!

თავზარდაცემული ბავშვები გაქვავდნენ. ბოლოს ნადედამ კარი გაუღო. ამჯერად კაპიტანს ვერ იცნობდით. მეტად კორექტული და მორიდებული გახლდათ... ჯერ დიასახლისს სამხედრო სალაში მისცა, მერე ბავშვებს თავი დაუქნია.

— მაპატიეთ, ბავშვებო, — თითქმის ალერსით მიმართა მათ, — გთხოვთ, წუთით მეორე ოთახში გახვიდეთ.

შეცხუნებულ, შეშინებულ ბავშვებს არ უნდოდათ დედის ამ ავ დემონთან\* პირისპირ დატოვება.

— ნუ გეშინიათ, ბავშვებო, მე სრულებითაც ისეთი არ ვარ, თქვენ რომ გგონივართ... მე თქვენი მეგობარი გახლავართ.

კაპიტნის ამ სიტყვებში იმდენი სითბო და გულწრფელობა იყო ჩაქსოვილი, რომ ბავშვებმა ეს მათთვის დამა-

ხასიათებელი უშუალოდით უფრთხილდნენ რალაცნაირად უცებ დამშვიდდნენ, თუმცა ოთახიდან გასვლას არ ჩქარობდნენ.

— გადი, შეილებო... — უთხრა მათ ნადედამ და უკიდურესად დამაბული იქვე მდგომ ტახტის კიდეზე ჩამოჯდა.

ავსეენკო ფეხზე დგომას განაგრძობდა.

— უპირველესად ყოვლისა, თქვენს წინაშე ბოდიშის მოხდა მსურს, გთხოვთ, მომიტყევთ, რომ უხეშობა და უტაქტობა გამოვიჩინე, — დაიწყო მან, მერე წამით შეჩერდა და განაგრძო: — სამწუხაროდ, ამას მოითხოვდა საქმის ვითარება და კონსპირაციის მოსახზრებები. მე მართო არ გახლდით, ჩემს გვერდით პოლიციის აგენტი სიდორენკო იყო.

კაპიტნის ამ ტირილამ დიასახლისის მხოლოდ სარკასტული ღიმილი გამოიწვია. კაპიტანმა თითქოს ეს არ შეიმჩნია და განაგრძო:

— გუშინ აქ თქვენი ქმარი გარღვეულ სიკვდილს გადავარჩინე, ეს, თქვენთვის, მე მგონია, ნათელი უნდა იყოს, გუშინვე ჩემი მეშვეობით, მეორედ გადაურჩა იგივე საფრთხეს, აქედან სადგურისაკენ როცა მივემართებოდით. ახლა უნდა გაგაფრთხილოთ, — ის ამჟამად ისეთი ადამიანების ხელშია, რომლებიც ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ „კანონიერ“ საფუძველზე მას სიცოცხლე მოუსპონ, მაგრამ განაჩენის სისრულეში მოყვანა ვლადიმერ ალექსანდროვიჩის ამჟამინდელი თახამდებობრივი და საზოგადოებრივი სტატუსის გათვალისწინებით მეფის რესკრიპტის გარეშე არ შეიძლება. ამიტომ ვირჩევთ, სასწრაფოდ გაემგზავროთ პეტერბურგში, ყოველნაირი ღონე იმპაროთ იმისათვის, რომ იმპერატორთან აუდიენცია მიიღოთ და ქმრის პატიება გამოსთხოვოთ.

ნადედა თითქოს რაღაც ბურანში გახვეული უსმენდა ამ სიტყვებს. აზრები ერეოდა, გონებას სრული ქაოსი და-

ეუფლა. „ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება? ჩემს უსაყვარლეს, ყველაზე ძვირფას ადამიანს სიკვდილი ემუქრება! არა, ეს შეუძლებელია, რის გულისთვის? როგორ შეიძლება ასეთი უსამართლობა მოხდეს!“. ნაღვედა ძლივს იკავებდა თავს, რომ არ ეყვირა, არ სცემოდა ამ ადამიანს, რომელმაც, მისი აზრით, ამდენი უბედურება მოუტანა მას და მის ოჯახს; არ ეთქვა ყველაფერი, რასაც ფიქრობდა თვით მასზე და ყველაფერზე, რაც ირგვლივ ხდებოდა. კაპიტანმა, თითქოს ნაფიქრალს მიუხედიაო, ღინჯად წარმოთქვა:

— მე მესმის, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ყველა თქვენი უბედურების მიზეზი მე ვარ. მერწმუნეთ, რომ ეს ასე არ არის. ვლადიმერ ალექსანდროვიჩი და მე თანამოაზრეები ვართ. ერთ სამართლიან საქმეს ვემსახურებით.

— მოწყალეო ხელმწიფე, თქვენმა ფარისევლობამ ყოველნაირ ზომას გადააჭარბა,—ღაიწყო ნაღვედამ, მის აკანკალეულ ხმაში ნებისყოფის დაძაბვის მიუხედავად აღშფოთება და რისხვა გამოსჭვიოდა, — რატომ მეუბნებით ყველაფერ ამას მე, თქვენს მსხვერპლს? შესანიშნავად უნდა გესმოდეთ, რომ არც ერთ თქვენს სიტყვას არ ვენდობი. უბრალოდ თქვენ და თქვენმა შეგობარმა ნადავლი ვერ გაიყავით. იქნებ უმჯობესი იყო ჩვენთვის ყველასთვის ერთად მოგესპოთ სიცოცხლე.

— თქვენ სრული უფლება გაქვთ არ მენდოთ: მაგრამ ოდესმე დარწმუნდებით რომ მე თქვენი გულწრფელი შეგობარი ვარ. ამა თვით განსაჯეთ, მე ხომ რამდენიმე წუთის შემდეგ დაგტოვებთ და, ალბათ, ჩვენი გზები სამუდამოდ გაიყრებიან. უფრო მეტი, ამ წუთში მე თავად საფრთხე ემუქრება, მაგრამ ჩემს მოვალეობად ჩავთვალე შეთხოვა, სასწრაფო ზომები მიგელოთ თქვენი მეუღლის, ჩვენთვის ფრიად ძვირფასი ადამიანის გადასარჩენად...

— როგორც ჩანს, თქვენ საღისტური სურვილი გამოძრავებდათ, როცა აქ მობრძანდით, გინდოდათ დამტკბა-

რიყავით საკუთარი ნაწილი და ბოროტად უთხრა ნაღვედამ. მერე ფეხზე წამოდგა, თმებზე ხელი გადაისვა, თითქოს უსიამოვნო ფიქრები მოიცოლო და მტკიცედ განაცხრო: — არა! მე ამ სიამოვნებას არ მოგანიჭებთ! რაც არ უნდა დაემართოს ჩემს საყვარელ ქმარს, მე მზადა ვარ თავი შევწირო იმ საქმეს, რასაც ის ასე უანგაროდ ემსახურებოდა.

ავსეენკომ გაოცებული და აღფრთოვანებული მხერა მიაპყრო ამ ახალგაზრდა, პატარა ტანის ქალს, მერე სამხედრო სალამი მისცა და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

„მართლაცაა, რისთვის მობრუნდა? — ცოტა რომ დამშვიდდა, ფიქრებმა გაიტაცეს ნაღვედა, — ეს ხომ ფაქტია, რომ მან ჩემს თვალწინ გადაარჩინა სიკვდილი ვალადია და მისი მეგობარი...“

ამ დროს საწოლი ოთახიდან ატირებული ბავშვები შემოვარდნენ. კარს უკან გამოსულებმა მოისმინეს დედისა და კაპიტანის საუბარი.

კარებზე კვლავ ვიღაცამ დააკუნა, ოთახში ისევ ავსეენკო შემოვიდა. სახე გაფითრებული ჰქონდა. კარი მოიხურა და გასაღებით სწრაფად დაკეტა. ბავშვებმა ტირილი შეწყვიტეს და მოსულს გაკვირებულებმა, შეშინებულებმა შეხედეს.

მან ნაღვედას მიმართა:

— როგორც ჩანს, ჩემს კვალს პოლიციამ მიაგნო. ისინი აქეთ მოემართებიან. ახლა ბევრი რამ თქვენზეა ქალბატონო დამოკიდებული, — ან მომეხმარეთ, ან გამეციეთ. — წყნარად თქვა ავსეენკომ.

ბავშვებმა კითხვით სავეს მხერა დედას მიაპყრეს, რას მოიშოქმედებს ის? ნაღვედა მერყუებდა. მას ერთიმეორის საწინააღმდეგო ფიქრები და გრძნობები დაეუფლა. „ეს იქნებ მორიგი ფარსია, ან ეს კაცი მართლაც ჩვენი შეგობარია?“ კარებზე ვიღაცამ ძლიერად და მომთხროვნელად დაარახუნა. ნაღვედა მყისივე გამოერკვა.

— იმ ოთახში შედიოთ...— ჩურჩულით უთხრა მან კაპიტანს და მოპირდაპირე კარებზე მიუთითა.

ავსეენკო სწრაფად მიიშალა კარებს უკან.

— ვინ არის? — ხმაძალა იკითხა ნადეჟდამ.

— ნუ გეშინიათ, ეს მე ვარ, მაიორი ვლასოვი.

ნადეჟდამ კარი გააღო და ვლასოვი სასადილოში ხუთი პოლიციელის თანხლებით შემოვიარდა.

— მადლობა ღმერთს, თქვენ ცოცხლები ბრძანდებით! — არტიტულად, ყალბი პათოსით დაიძახა მან და პირვეარი გადაიწერა — ის სადღა არის?

— ალბათ ავსეენკო გყავთ მხედველობაში, არა? ეს-ესაა აქედან გავიდა, გამარჯვებთ რაშია საქმე?

— საქმე ის არის, რომ ეგ ავსეენკო არ არის და არც ალიხანოვ-ავარსკისის აღიუტანტია. ეგ საშიში ბოროტმოქმედი. — სხაპასხუპით მიაყარა ვლასოვმა, თანაც თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. რა გითხრათ, რატომ მოვედლო?

— დაჩოქილი მევედრებოდა, დაპატრონებით მემუქრებიანო... ვიცი, საცაა გუბერნატორი დაბრუნდებო, მიშუამდგომლეთ, რომ ჩემი თავხედური საქციელი მომიტევოსო და ბევრი რამ სხვაც მპატიოსო, — დინჯად უპასუხა ნადეჟდამ.

ეს რომ გაიგონეს, პოლიციელებმა მრავალმნიშვნელოვნად ერთმანეთს გადახედეს.

— ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდ ბოდიშს ვიხდით, — ხაზგასმული შორიდებით წარმოთქვა მაიორმა და ოდნავ წამოწითლდა, — ჩემს თავს ნებას მივცემ, შეგეკითხოთ: სად შეიძლება ახლა ის იყოს?

— აბა რა ვიცი? მე ხომ გითხარით ეს-ეს არის აქედან გავიდა-მეთქი. შესაძლოა, სადღაც ქვემოთ საართულში მიიშალა. ოთახები დიდხანია ცარიელია.

— გარეთა დაცვამ გვითხრა, რომ ის

აქ შემოვიდა შენობაში და <sup>გარეთს</sup> ~~შევიდა~~ მოსულა — შენიშნა მაიორმა, მერე მიუბრუნდა ორ პოლიციელს და უბრძანა — თქვენ აქ დარჩით, ნადეჟდას კი მოზოდისშების კილოთი მიმართა:

— ამას, ქალბატონო, თქვენი უსაფრთხოებისათვის ვაკეთებ. ვინ იცის, რას მოიმოქმედებს სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნილი ბოროტმოქმედი!

ამის თქმა და პოლიციელებთან ერთად კორიდორში გავარდა.

ოთახში დარჩენილებმა ბოლოთის ცემა დაიწყეს, თანაც ყოველ კუთხეს აჩერდებოდნენ.

ნადეჟდა და ბავშვები მათ თვალს არ აცილებდნენ.

— თაშარა, მარია, ბორის, უკვე ძილის დროა, შემდეგ ფრანგულად დამატა: ლენა, კომოდის ზევითა მარჯვენა უჭრაში ეზოში გასასვლელი კარის გასაღები დევს. გადაეცო...

ბავშვები ხმის ამოუღებლად გავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მაიორი კვლავ გამოჩნდა.

— ვერ გამიგია, ცამ უყო პირი თუ დედამიწამ, სად უნდა იყოს? ყველა სართული ვნახეთ, ყველა ოთახი დავიარეთ, სხვენიც კი გავჩხრიკეთ. სახელი გარშემოტყმულია. ნამდვილად ვერსად წაგვივიდოდა.

მერე ცოტა ყოყმანის შემდეგ ნადეჟდას მიმართა: — იქნებ შიშობთ, რომ თუ გასცემთ, ბოროტმოქმედი რაიმე ზიანს მოგაყენებთ? — და დიასახლისის დაძაბული მზერა რომ დაიჭირა, უყოყმანოდ განაგრძო:

— ის ხომ იმ ოთახში იშალემა?!

„მოასწრო, ნეტავ, გასვლა?“ — გაიფიქრა ნადეჟდამ და ყოველი შემთხვევისათვის დროის მოგება გადაწყვიტა.

— ეს რას ნიშნავს, მოწყალეო ხელმწიფევ? მე არავისა არ მეშინიან. გამოდის, რომ გატყუებთ!

— რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ, ქალბატონო! ეს რამ გაფიქრებინათ? — ყასილად დაირცხვინა მაიორმა, მერე კი ჭიქურ შეეკითხა:

— ის ვისი ოთახია?

— მისი აღმატებულების კაბინეტია.

— თქვენის ნებართვით ჩვენ მაინც...

— არა, ვერ მოგცემთ ნებართვას, — გააწყვეტინა ნადეჟდა. — რას იტყვის გუბერნატორი? ის წუთი-წუთზე შეიძლება დაბრუნდეს და დიდად უკმაყოფილო დარჩება, როცა გაიგებს, რომ მის აპარტამენტებში ჩხრეკის უფლება დაგართეთ.

— ჩვენ ჩხრეკას არც ვაპირებთ, მხოლოდ დავათვალიერებთ კაბინეტს, მერწმუნეთ, ის ჩვენს საქციელს გაამართლებს, — მიუგო მაიორმა, — ჩვენ ხომ ბოროტმოქმედს დავეძებთ, რომელმაც გუშინ პოლიციელების მთელი რაზმი ამოხოცა.

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! მას ხომ ჩემი ქმრის მოკვლაც შეეძლო!

— რა თქმა უნდა, მაგრამ ამჟამად თქვენს ქმარს არაფერი ემუქრება...

ამასობაში ელენეც შემოვიდა. მან მრავალმნიშვნელოვნად შეხედა დედას.

— აი, ამას ჰქვია წესი და რიგი! გამოდის, რომ გუბერნატორი ბანდიტებს ჩავარდნია ხელში, თქვენ სად ბრძანდებოდით, ახლა მაინც რას უყურებთ?! გამარკვიეთ, რა ხდება ჩემი ქმრის თავზე? სად არის ის ამჟამად? — ჩაეკითხა ნადეჟდა.

მაიორმა მხრები აიჩეჩა:

— ერთი კი ვიცი, რომ მისი აღმა-

ტებულება გენერალ ალიხანოვ-ავარსკისთან გახლავთ... მერე შეჩერდა და განაგრძო:

— მაპატიეთ, მაგრამ მაინც ვთხოვთ, უფლება დამართოთ იმ ოთახში შევიხედოთ.

— თუ მაინცდამაინც ჩემი არ გჭერთ, მიბრძანდით.

მაიორმა ყოველ შემთხვევისათვის გუბერნატორის კაბინეტში შესვლისაგან თავი შეიკავა და ხელქვეითებს უბრძანა, ოთახი დაათვალიერეთო, მალე პოლიციელები უკან დაბრუნდნენ და მაიორს მოახსენეს იქ არაფერი არისო.

— ოთახში კარია, რომელიც კიბით ეზოში გადის. ახლა ის დაკეტილია. — შენიშნა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

მაიორი გაფითრდა. თავის შეცდომას მიხვდა. სწორედ ეს გასასვლელი არ იყო დაცული. გული მოუვიდა თავის თავზე, როგორ მომივიდა ესაო. „შოშიტევეთო“, წაიბურტყუნა და მხლებლებითურთ გარეთ გავარდა. ცოტა ხნის შემდეგ მეზობელ ქუჩიდან სროლა მოისმა.

— ნუთუ?!.. წამოიძახეს შეშინებულმა ბავშვებმა.

— შესაძლოა!... გამოეხმაურა მათ დედა. მის ხმაში დაუფარავი მღვლეარება იგრძნობოდა.

## თავი 27

**ერთგულება. საზინაო ჯანაშია. მეგობრის მხარი. სიფიანავის ოჯახში. ქუთაისელს სიამთე ახსოვთ. როგორც ბემის ვირთხები. სასიხარულო ცნობა.**

ოთახში ყველა შინამოსამსახურე შეიკრიბა. ისე დაწებებულნი ჩამწყვიდნენ, თითქოს პანაშვიდიო. თვით მზარეული სეთით, მთვარესავით გაბადრული, სახეზე კეთილი ღიმილი რომ უერთოდა და რავეკლური დარბაისლობით გამოირჩეოდა, ისიც კი დღეს უჩ-

ვეულოდ აღღვებულნი და მოღუშული იყო.

— შენი ჭირიმე, — დაიწყო მან, — ქალბატონო ნადია, ეს-ეს არის უბნის ზედამხედველი აქ მოეთრია... გვიბრძანა, თქვენი ღუბი აქ არ ვნახოთ. ჩვენ რომ ვუთხარით, ასე არ გამოვაო, დაგ-

ვემუქრა: „აქ თუ კიდევ დამხვდით, ყველას დაგიჭერთო“. ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ არ მივატოვოთ, ყაბულსა ვართ, უხელფასოდ გემსახუროთ.

ბავშვების გადიამ თავი ვერ შეიმაგრა, აქვითინდა, ნადედას მუხლებზე დაუჩოქა...

— დამტოვეთ, ღვთის გულისათვის, დამტოვეთ!...

— თალიკო, გენაცვალე, რა დაგეძართა, რას სჩადი? ადექი, თუ ღმერთი გწამს, ადექი! — დაიბნა ნადედა.

— ბავშვების გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლები ვერ მივატოვებ მათ, ჩემს პაწია ადას ვერ დავთმობ! ეგენი ხომ საქაროდან ჩემს კალთას არ მოსცილებიან... ყველაფერს გაფიცებთ, სთხოვეთ, რომ დამტოვონ!...

ბავშვები ტირილით შემოეხვივნენ გადიას, ეფერებოდნენ, კოცნიდნენ...

— მე?... მე...! აბა რა შემიძლია, უძლურს?... — უმწეოდ გაასაგსავა ხელები ნადედამ. — მე თვითონ ტყვე ვარ აქ... აი... ალბათ უახლოეს დღეებში ყველაფერი გაირკვევა... ვლადიმერს... — აქ უკვე მანაც თავი ვეღარ შეიკავა და ქვეითინით მეორე ოთახში გავარდა.

დღე ილეოდა... ნადედა ადგილს ვერ პოულობდა, ოთახში აქეთ-იქით აწყდებოდა. მერე ფანჯარასთან გაჩერდა, გარეთ გაიხედა, შეერთა, გაფითრდა, ანგარიშმიუცემელმა შიშმა აიტანა, ნამდვილად ეს ასე იყო, თუ განწყობილების ზეგავლენით მოეჩვენა, მაგრამ რალაც უცნაურად გამოიყურებოდნენ ამ საღამო ეპოს ცა და თავად ქალაქიც. კილით კიდედღე ცა საშინლად მოლურშულიყო. კუბრივით შავი ღრუბლები სამგლოვიარო ძაძებს რომ მოაგონებდა ადამიანს, აქეთ, მის სახლისკენ მოექანებოდნენ, აი, ცოტაც და მას სუდარასავით გადაეფარებოდნენ. ჩამავალი მზის აღმაცერ ყვითელ სხივებისაგან გარემოს მკვდრის ფერი დასდებოდა.

— ღმერთო, ჩემო, ეს რა ხდება?! — სასოწარკვეთილებით ჩაიჩურჩულა

ნადედამ და ხელი აღმართა. <sup>განქვედული</sup> გადსაჟერად, მერე სწრაფად დაუშვა და, თითქოს იმისათვის, რომ ეს მისკენ წამოსულ უბედურების მომასწავებელი ღრუბლები შეეჩერებინა, მძიმე ფარდანიერვიული მოძრაობით ჩამოაფარა ფანჯარას. მერე სწრაფად შემოტრიალდა და იქვე ტახტზე ჩამოჯდა. მაგიდასთან მსხდომი ბავშვები შეშფოთებულნი დედას მისჩერებოდნენ. გოგონები მას გვერდით მიუსხდნენ, მოეფერნენ, მიუაღერეს, დაკოცნეს, მხოლოდ ბორისი, ღინჯად იჯდა. მაგიდასთან, ხელებში თავი ჩაერგო და რალაც მწარე ფიქრებს მისცემოდა.

ნადედამ არაჩვეულებრივი სიციხადით წარმოიდგინა და მთელი თავისი არსებით შეიგრძნო თავს დატეხილი განსაცდელის სიმძაფრე და მოეჩვენა, რომ თითქოს მათი სიმძიმით წელში მოიხარა, დაპატარავდა კიდევ.

— დავიღუბეთ, ჩენი საშველი აღარსაიდან ჩანს! — პატარა თამარის ცრემლნარევემა სიტყვებმა დედას გული დაუწვა. „არა ეს უკვე აღარ ვარცა, ნამდვილად ეგოიზმს, სულმოკლეობას ვიჩენ. ჩემი ვალოდია ამ სასოწარკვეთილების ტყვეობაში ყოფნას არაფრით არ მაპატიებს, მეც ხომ ჩემი მოვალეობა მაკისრია, თუნდაც უმამოდ დარჩენილი შვილების მიმართ“ — გაიფიქრა ნადედამ. ბავშვებს მიეფერა, ყველას ერთად, მოეხვია გულში ჩაიკრა და უკვე მტკიცე ხმით უთხრა: — არაფერია, შვილებო, ღმერთი მოწყალეა, არ გაგწვირავს...

ცხადი იყო, რომ შექმნილ ვითარებაში საგუბერნატოროს შენობაში დარჩენა მართალადაა სარისყო იყო. არავითარი გარანტია არ არსებობდა იმისა, რომ მუამბოხე გუბერნატორის ოჯახს ვინმე ბოროტმოქმედი შავრაზმელი ან თვით ხელისუფლების მიერ წაქეზებული ნაძირალა არ გაუსწორდებოდა. პოლიციის უფროსმა ხომ ყველაფერზე ხელი დაიბანა, თავიდან მოიხსნა პასუხისმგებლობა. აკი ასე თქვა: თქვენს უსაფრთხოებას ვერ უზრუნველვყოფო.

„უნდა დავტოვოთ აქაურობა, — მაგრამ სად გადავიდეთ? ვისთან? ამ არეულ დროს გაბედავს კი ვინმე შერისხული გუბერნატორის ოჯახის შეკედლებას? — კვლავ მწარე ფიჭვებზე გაიტაცეს ნადია, — უცნაურია, სხვა დროს მოსვენება არ იყო ტელეფონის ზარებისაგან, ახლა კი რა ღმერთი გაუწყრათ, ყველამ ასე რომ მიგვატოვა და მოგვიტოლა?!“ — ვაჟიშვილს სთხოვა, აბა, ერთი შეამოწმე, გამორთული ხომ არაა ტელეფონიო. ნამძინარევი ზორისი მიიმხედ წამოდგა, ტელეფონთან მივიდა და ყურმილი აიღო. ცენტრალურმა სადგურმა უპასუხა.

— მუშაობს, — გულისგარეთ თქვა ზორისმა და ისევ მაგიდას მოუჯდა.

კარებზე ვილაყამ მორიდებით დააკაკუნა, როგორც ეს ამ ბოლო ხანებში იყო, რაღაც უსამოვნების მოლოდინში, ყველა იძაბებოდა, ახლაც შეკრთნენ. ელენე ადგილიდან წამოხტა, მაგრამ დედამ გააჩერა და თვითონ გაალო კარი. შესასვლელში ძაძებში ჩაქმული, დამწუხრებული ქალი გამოჩნდა, შავი შალი ხაზს უსვამდა მის სიფერმკრთალეს, ხელში რაღაც ფუთა ეჭირა.

ნადედამ იცნო: ბეგლარის ქერივი და სახლში შეიპატიჟა. ქალმა ფუთა იჭვე, კარებთან დადო. ქალები დიდხანს უხმოდ იდგნენ პირისპირ. მერე ნადედა სტუმარს გადაეხვია, გულში ჩაიკრა, ორივეს ცრემლები წასვდა. ბავშვებიც ატირდნენ. დიასახლისმა დამწუხრებული სტუმარი სკამზე დასვა, შუქი აანთო. სტუმარმა ხილბანდის წვერით ცრემლები მოიწმინდა...

— ჩემი ბეგლარის ნეშტის გადასატანად ჩამოვედით, — ძლივს ამოიღულულა. მერე როგორც იქნა, სული მოითქვა და აკანკალებული ხმით განაგრძო:

— ქალბატონო ნადია. ჩემს ბეგლარს თავისიანებით უყვარდით, განსაკუთრებით ბავშვები. — იგი წამით შეჩერდა, ამოიხსრა და ისევ შეიმშრალა თვალები.

— ამ არეულობის დროს, ჩვენზე უმეტესად ჩვენს სოფელში უმეტესად უნებას. თანასოფლელებმა დამაბარეს გადმომეცა, რომ ისინი საიმედოდ შეგიფარებენ და არაფერს გაგიჭირვებენ.

— გმადლობთ, ჩემო კარგო, ძვირფასო აღამიანებო...

ამ დროს კარებში კვლავ მორიდებული კაკუნი გაისმა.

— მობრძანდით! — შეეხმაურა ნადია. ოთახში ფეხაკრეფით, შემოვიდა ახალი სტუმარი, ფორმის ქუდი მოიხადა, მორიდებულად მიესალმა.

— ნება მიბოძეთ გაგეცნოთ: — პლატონ ყიფიანი გახლავართ, ვლადიმერ ალექსანდროვიჩის თანამშრომელი, საგანგებო საქმეთა მოხელე...

ნადედამ სთხოვა, დაბრძანდითო. სტუმარმა დიასახლისს თავი დაბლა დაუყრა, მერე ხელზე ეამბორა და ჩამოჯდა. თვლი უნებურად მტირალი გლეხის ქალისკენ გაეპარა. ნადედამ ეს შეამჩნია:

— ჩვენი დაცვის უფროსის — ბეგლარის ქერივი გახლავთ.

პლატონი წამოდგა, მგლოვიარე ქალს ხელი ჩამოართვა:

— ეიზიარებ თქვენს მწუხარებას...

— ალბათ გაგიკვირდებათ, ქალბატონო, რატომ მოვედი თქვენთან, — მკირე ღუმლის შემდეგ მიმართა სტუმარმა ნადედას, — ვლადიმერ ალექსანდროვიჩის ღრმა პატივისცემამ და სიყვარულმა მომიყვანა. ჩემის ვარაუდით, თქვენი აქ დაჩვენა მიზანშეუწონელია... მოსალოდნელი ხიფათის თვალსაზრისითაც — მოვალეობად მიმაჩნია, ჩემთან გადმოზრძანება შემოვთავაზოთ. მართალია, ასეთი დარბაზები არ გამაჩნია, მაგრამ, როგორც იტყვიან, სიყვარული და პატივისცემა იყოს, თორემ სივიწროვე რა ბედენაა.

სტუმრის კეთილი, სანდომიანი სახე რაღაც შინაგან სითბოს ასხივებდა.

— კი... მაგრამ... — დიასახლისს ყელში რაღაც მოაწვა, სუნთქვა გაუძნელდა, სიტყვა გაუწყდა.

— მესმის, ქალბატონო, ვანა არ შე-

სმის. თქვენ თითქმის არ მიცნობთ. არადროს და არაფრით არ გამომიხატავს ჩემი თქვენდამი კეთილი განწყობილება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ მე სხვაზე ნაკლებ მიუყვარდა, პატივს ვცემდი და ვერთგულებდი მის აღმატებულებას.

— ხომ გესმით ის საშიშროება... რაც შეიძლება... რომ... თქვენ გყავთ ოჯახი... დაიწყო დაბნეულად ნაღვედამ.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო, განა ქროსტიანები არა ვართ? ნათქვამია, ერთი ხის ჩრდილში ბევრი მოიხვეწებოდა. რად ველირებოთ... ადამიანები, თუ შიშისა და სიმბაღის გამო მივიწვევთ? მხარს არ აუბამთ. ჩვენმა კერძო მეგობარმა გომარტელმა, რომელიც იძულებული იყო ქალაქი დაეტოვებინა, მითხრა, რომ მშვიდად იქნება, თუკი თქვენ ჩემთან გადმოხვალთ. სხვებმაც, მათ შორის ალექსანდრე ყიფშიძის ნათესაებმაც, თბილისიდან მიდევნეს, გთხოვენ უარს არ მითხრათ, არ გამაწბილოთ.

— რა ბრძანებდა, რაღა თქმა უნდა, მადლობელი ვარ... ძლივს ამოთქვა ნაღვედამ. მერე თვალცრემლიან ბეგლარის ქერვის მიუბრუნდა:

— გამადლობთ, ჩემო ღვირფასო. გადაეცით თქვენს თანატოლებს ჩემი უმდაბლესი სალამო. რე მიწყენთ, მე, ალბათ, ბატონ პლატონის წინადადებას მივიღებ. უახლოეს წანს შორი გზა მომელის და ქუთაისიდან გამგზავრება ჩემთვის უფრო მოსახერხებელი იქნება. — თითქოს თავს იმართლებსო, დაასვენა დიასახლისმა.

სტუმარს ეწყინა, მაგრამ არ შეიშინია. წამოდგა, თავი დაუკრა და კარებისკენ მიმედ გაემართა.

— დეიდა, ფულია დაგვიწყდათ, — შენიშნა თამარმა.

— არა, შეილო, ეს თქვენ მოგიტანეთ.

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ! — შესაბაზა ნაღვედამ. — ალბათ, თქვენ თვითონ გიჭირათ... და...

სტუმარმა საყვედურით სავსე შეგება ნაღვედას და მანაც კარისკენ წაიღობის გადახდა.

პლატონიც წამოდგა.

— აჲ, ამრიგად, მოვილაპარაკეთ, მოემზადეთ, ხვალ გამოვივლი, — თქვა მან და დაემშვიდობა.

\*\*\*

როგორც ახლობლები, ისე გულთბილად მიიღეს ყიფიანებმა სტაროსელსკები. დიასახლისი — ნატალია გავრილოვნა — ქუთაისის წმინდა ნინოს საწაველებლის აღზრდილი, ინტელიგენტი ქალი, სიყეთის განსაზიერება გახლდათ. ქერა თმებით დამშვენებული მისი ლამაზი, ნატიფი სახე სითბოსა და თანაგრძობას ასხივებდა...

მთელს საღამოს ოთახში შერებილი სტუმარ-მასპინძლები ბუბონენ ქალაქში დატრიალებულ უბედურებაზე, სისხლისმღვრელ ამბებზე, თავისთავად ცხადია, რომ მათ განსაკუთრებით ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს სვე-ბედი აწუხებდათ. რა ამბავია მის თავს და რა მოვლის მას უახლოეს ემას? ბევრნაირი ვარაუდი და ვარიანტი გამოითქვა.

ამ დროს სადარბაზოდან ზარის ხმა მოისმა. პლატონი გავიდა და მალე უკან შემობრუნდა. ქალბატონ ნაღვედას ვილაც გოგონა კითხულობსო.

— ნინო!... — გახარებული ნაღვედა შეეხებო ჩაცმულ ქალიშვილს გადახვია. — ჩემო ღვირფასო, ჩემო კარგო! ბავშვებიც ნინოს შემოეხვივნენ.

— შენ, ალბათ, ჩვენს თავზე დატრიალებული უბედურების შესახებ ყველაფერი იცი... — დაიწყო ნაღვედამ და თვალები ცრემლით აევსო.

— ვიცი, ქალბატონო ნადია, ამიტომაც ჩამოვედი... — შემდეგ დაირცხვინა და პატარა დაწულ კალათზე მიუთითა. — ეს დედამ გამოუგზავნა ბავშვებს...

— ღმერთო ჩემო, რისთვის შეწუხდით...

ნინო შეცბა, მერე ოდნავი წყენით უპასუხა:

— ჩვენ თქვენთვის უცხონი ხომ არ ვართ? ხომ ნათქვამია: კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირებისო...

ნინოს მოსვლასთან დაკავშირებით შეწყვეტილი საუბარი განახლდა. მალე მასში სტუმარიც ჩაერთო. ბათუმის ამბები მოუთხრო... შემდეგ აჩქარდა: წასვლა დააპირა, — ბათუმის მატარებელზე არ დამგვიანდესო, და სანამ გავიდოდა, ჩასჩურჩულა ნადეჟდას: თქვენთან სალაპარაკო მაქვსო. ნატალიამ გულით სთხოვა, ერთი-ორი დღე დარჩიო, ხომ ხედავთ, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულსა და ბავშვებს როგორ გაეხარდათ თქვენი ჩამოსვლაო.

— ჩვენ თავად სტუმრები ვართ და მასპინძლებს ვაწუხებთ, მაგრამ გავბედავ და გთხოვ დარჩე, — ჩაერთო ლაპარაკში ნადეჟდა. ბავშვებმაც დაუწყეს თხოვნა: დარჩიო. ნინო ბოლოს და ბოლოს დაეთანხმა. მერე ნადეჟდასთან განმარტოვდა და მთელი თავისი ბოლო თავგადასავალი მოუყვა. უამბო, რომ მამას გამოუტყდა თავისი არაღეგალური მუშაობის თაობაზე და მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, ასეთ პასუხი რომ მიიღო: «ვიცი, შვილო, ყველაფერი ვიცი».

თურმე მამაც კომიტეტის წევრი ყოფილა და ვლადიმერ ალექსანდრეს ძეც კარგა სცნობებია. — მან თქვენთან დიდი მოკითხვა დამაბარა და კომიტეტის სახელით გთხოვათ, ქუთაისში დარჩენა სახიფათოაო და ბათუმში ჩამობრძანდით, ამხანაგები საიმიდოდ შეგიფარავენო. ძალიან გთხოვთ, ქალბატონო ნადეჟდა, უარი არ გვითხრათ — შეეხვეწა ნინო.

— დიდი მადლობა, ჩემო ძვირფასო, მაგრამ მე უახლოეს ხანში პეტერბურგში გამგზავრება მომიწევს. ჩემს ვლადიმერს დიდი ხიფათი ემუქრება და იქ შეწყალება უნდა ვთხოვო... აქ ნადეჟდას სიტყვა გაუწყდა, აქვითინდა, ნინო ჩაებუტა და მასაც ცრემლით აევსო თვალი.

მეორე დღეს დიასახლისობა ნინომ ითავა. სურსათის საყიდლად აქვენი ვილა. ჭერ ფურნეში შეიარა. აქ ახალ-გამომცხვარი პურის სასიამოვნო სურნელი იდგა. რიგში მყოფთ ეტყობოდათ, რომ ყველა კარგად იცნობდა ერთმანეთს, პურის გამოცხობის მოლოდინში სჯა-ბაასი გაებათ. ყველა ახლად მოსული იქვე საუბარში ებმებოდა. ნინოს გამოჩენამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. შენიშნეს, რომ აქაური არ უნდა ყოფილიყო და დიდის ყურადღებით აათვალიერა-ჩაათვალიერეს. ნინო შეკრებილთ თავაზიანად მიესალმა, იკითხა, — პური მალე იქნებაო? ახლავეო — უპასუხეს. მერე ერთ-ერთი ყველაზე ცნობისმოყვარე ქალი შეეკითხა, შვილო, შვეებში რატომ ხარო. ნინო დაიბნა, წამოწითლდა, იმის თქმა, რომ შეყვარებული მომიკლესო, ვერ გაბედა.

— დიდი ხანი არ არის, რაც მშა გარდამეცვალა, — უთხრა. ყველამ თანაგრძნობით შეხედა. მერე დაინტერესდნენ, სადაური ხარო.

— ბათუმიდან ვახლავართ, ყიფიანებთან ვსტუმრობ, ავერ რომ ცხოვრობენ.

— მათ ამ დღეებში ჩვენი გუბერნატორის სტაროსელსკის ცოლშვილი შეინიხნეს...

— სწორედ მათ სანახავად ჩამოვედი. — მოუგო ნინომ.

ამ დროს ხაბაზი გამოვიდა და თბილი პურები გამოიტანა. ნინო რიგის ბოლოსკენ გაემართა, მაგრამ ხალხმა არ ქნა: რიგგარეშე აიღეთო, ხაბაზი ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა, რატომ მიაგეს ასეთი პატივი ამ ვილაც უცხო გოგონას.

— სტაროსელსკებისათვის პურს ყიდულობს.

— რას ამბობთ, ჩვენი ლადოს ოჯახისათვის?! — და სახე გაებადრა. — რამდენი გენბავს?

— თორმეტი გირვანქა.

— ქორწილია? — გაიხუმრა ხაბაზმა.



— აბა როგორ გინდა, ყოფიანებთან ერთად ათზე მეტნი იქნებიან.

ხაბაზმა პური აწონა, ნინოს გადასცა და თან დააყოლა:

— ფული საჭირო არ არის.

— როგორ თუ არ არის საჭირო?!

— შეიცხადა ნინომ.

— წაიღე პური და ყოველდღე მოდი. ასეთი აღმინებებისათვის პურს კი არა, სიცოცხლეს რავე დაიშურებს კაცი. „ხაზეიკას“ დიდი მოკითხვა გადაეცი. უთხარი, მეპურე სალამს ვითვლის-თქვა.

ნინო გაჭირვებულადა, ფული მაინც შეაძლოა, მაგრამ არაფერი გაუვიდა. ხაბაზი მტკიცე უარზე იდგა, მას სხვებმაც დაუჭირეს მხარი.

ნინომ ქუჩა გადასერა და სანოვანის საყიდლად ღუქანში შევიდა, ფასებს თვალიერება დაუწყო. მალე აქვე შემოვიდა ხნიერი ქალი, რომელიც გოგონას ფურნეში გამოელაპარაკა. მან მელტქნეს რაღაცა ჩასჩურჩულა. ის ნინოსკენ გამოემართა და ჰკითხა:

— რას გვიბრძანებთ?

— ხუთი გირვანქა ხორცი, სამი გირვანქა კარტოფილი, გირვანქა კომბოსტო, ნახევარი გირვანქა სტაფილო და სამი კაპიკის მწვანელი.

მელტქნემ ყველაფერი მარჯვედ აუწონა, კოხტად შეფუთა, კალათში ჩაუწყო.

ნინომ საფულე გახსნა, მაგრამ მელტქნემ ხელი სტაცა: არ გაბედო.

— ეს, ასე ვსთქვათ, ფეშქეში იყოს, მერე ნისიად, რაც უნდა და რამდენიც უნდათ წაიღონ. სტაროსელსკებს გადაეცი, აი ჩვენი ლადო, რომ დაბრუნდება, ანგარიში მერე გავასწოროთ-თქო.

ეს ყველაფერი ნინომ ნადედას რომ მოუყვა, იმან ჭერ უსაყვედურა, მაგრამ მერე თქვა:

— ღმერთმა ჭნას, ჩემი ვალოდია მშვიდობით დაბრუნდეს და განა ამ შესანიშნავ ხალხს ვალში დავრჩებით?!..

სალამოუამს ნადედამ ბავშვებთან ერთად გასეირნება გადაწყვიტა. ნატალიას სახე მოელუშა.

— არ გირჩევთ, გვიანაა...  
გასვლა. თქვენთვის მაინც, მამაკაცის გარეშე, სახიფათოა. მოითმინეთ, საცა პლატონი გამოჩნდება და გაგყვებით.

— შორს არ წავალთ. აქვე სადარბაზოსთან გავისეირნებთ. ბავშვები ძილის წინ ცოტა ჰაერს მაინც ჩაისუნთქავენ...

— არა უშავს რა, ქალბატონო ნატალია, მე ვაყვები!

— აი, ნამდვილი კავალერი! — მხიარულად შეეგებნენ ამ წინადადებას ბავშვები.

— დარწმუნებული იყავით, ერთ მხალ მამაკაცს მაინც დავაფრთხოვ,

— ხუმრობდა ნინო.

ბელიზელჩაიკებულნი ნადედა, ნინო და უფროსი ქალიშვილები (ბორისს და ადამს უკვე ეძინათ) დაცარიელებულ ქუჩაზე ნელა მისეირნობდნენ. წყნარი საღამო იდგა. ოდნავი, სასიამოვნო სუსტი იგრძნობოდა. ნამგალა მთვარეც ამოიწვია... ქუჩის ბოლოს რომ გასცდნენ და მოსახვევს მიუახლოვდნენ, ნინო უცებ დაიძაბა. კონსპირატორის ალლოთი იგრძნო, რომ ვიღაცა უთვალთვალებს. ნინო ოდნავ ჩამორჩა და სწრაფად მობრუნდა. ბინდ-ბუნდში ლანდი იქვე გაქრა. ნადედამ დაინახა თუ არა, რომ ნინო შეჩერდა, ბავშვებთან ერთად უკან დაბრუნდა.

— რა მოხდა, ნინო? — შეშფოთებით იკითხა მან.

— მგონია, გვითვალთვალებენ.

აქ მათ შენიშნეს ქუჩის მეორე მხარეს ვიღაცა ატუზულიყო. ჩანს, ვერ გადაეწყვიტა, მოახლოებულყო, თუ უკან გაბრუნებულყო.

ნინომ მკვებედ შესძახა:

— რა გნებავთ, ვაებატონო?!

ამ შეძახილმა უცნობს გადაწყვიტოლება მიალბინა:

— ნადედა კონსტანტინოვნა, — გაუბედავად დაიწყო მან, — მამატიეთ, მგონი, შეგაშინეთ.

— ბიბერთი! — სიხარულით წამოიძახეს ბავშვებმა.

— აქ რას აკეთებ? — გაუცვირდა ნადედას.

— მე... და ზოგიერთ სხვას... დაიწყო დაბნეულად ბიბერთმა, — დავალე-ბული გვაქვს... თვალი არ მოგაშორეთ.

— ვინ დაგავალათ?

ბიბერთმა პასუხი დააყოვნა, მერე კი სასხვათაშორისოდ წაიბურტყუნა:

— ამხანაგებმა!

ნადედას თვალზე ცრემლი მოადგა.

— რა ისმის, რასა იქმს ჩვენი ბატონი ლადო?

— ჭერჭერობით არაფერი ვიცით. ამბობენ მას და ყიფშიძეს გაასამართლებენ... მე კი ამ ცოტახანში პეტერბურგს მივემგზავრები...

— პეტერბურგს? რისთვის?

— სერიოზული საქმე მაქვს... —

აარიდა ზუსტ პასუხს თავი ნადედას: მალე ყველანი ყიფიანების სახლთან მივიდნენ.

— ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ! — დაემშვიდობა მათ ბიბერთი და გაუჩინარდა.

\*\*\*

რეაქციის შავი ძალები მთელის სისასტიკით მძევინვარებდნენ. ცნობილია, რომ ასეთ ვითარებაში ადამიანები დიდი ფსიქოლოგიური გამოცდის წინაშე აღმოჩნდებიან ზოლმე. მსგავსი რამ მოხდა საგუბერნიო სამმართველოს მოხელეთა შორისაც.

მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა იმ გარემოებამ, რომ ბევრმა მათგანმა მიიღო შეტყობინება — „გამარტებებისა და ჩვენებების“ მისაცემად ეანდარშერიისში გამოცხადდითო.

იმ დღეებში საგუბერნატოროს საქმიანობა მთლად პარალიზებული აღმოჩნდა. მოხელეები მხოლოდ ფორმალურად ცხადდებოდნენ სამსახურში. და მთელ დღეს ჩინებისა და წოდებების მიხედვით ჭგუფებად შეკრებილნი თავიანთ სვე-ბედზე მსჯელობას ანდომებდნენ. ისინი შიშმა აიტანა, ვაითუ დაეკარგათ არა მარტო სადღესობა, არამედ სახელით კეთილდღეობათ. ამას

ვინ ჩივის: განსაძლეულნი ვართ და ნილი თვით თავისუფლება და სიცოცხლეც კი, და აი. ამ დაუოკებელმა შიშმა მათში მთელმარე სხვადასხვა ინსტიტუტები გააღვია და გააცხოველა. ბევრ მათგანს ერთგვარად ჩამოაცალა ნილაბი, გამოაჩინა მათი ნამდვილი სახე, მერე კი თითქოს უხილავი სკალპელით გაკვეთა და ჩაიხედა მათს სულსა, გულში და აზროვნებაში. და ულმობლად დღის სინათლეზე გამოიჩინა მათი ჭეშმარიტი მეობა. საბოლოოდ გამოჩნდა, თუ ვინ რას წარმოადგენს და რად ღირს. ზოგი, ვისაც იცნობდნენ, როგორც რაინდსა და გაბედულს, აღმოჩნდა მხალღი, და უსინდისო. ზოგიც, წმინდანად რომ მიაჩნდათ, სულმდაბლად და გამყიდველად მოველინათ.

ერთ-ერთი კოლეგის კაბინეტში მოხელეებს მოეყარათ თავი და მჭიდრო წრე შეეკრათ. მათი საუბარი ყორანთა ჩხაილის მოავგონებდა ადამიანს. გეგონებოდა, ცოტაც და აი, ერთმანეთს დაერევიან, დაბდლენიან და თვალებს დაუკორტნიან.

თავმჯდომარის ადგილზე ერთ-ერთი მათგანი წამოსკუბებულიყო. სიტყვებს მაგარად მოკლული ტუჩებიდან ძლივს კრიდა; თანაც დაძაბულობისაგან თვალეები გადმოცვენაზე ჰქონდა. ამიტომაც რალაილთ გომბეშოს წააგავდა, მას ბატონ პოლტარანიად მიმართავდნენ.

— არა, ბატონებო, ისე არ არის საქმე, სერგეი პეტროვიჩს რომ ჰგონია, — ჩაიყვირა მან, — მისი მაღალკეთილშობილება გენერალ ალიხანოვ-ავარსკი „ასე უბრალოდ“ არ მოსპობდა საგუბერნატორო დაცვას. და „ასე უბრალოდ“ ბადრაგით არ მიიწვევდა თავისთან გუბერნატორსა და ვიცე-გუბერნატორს. წყალი არ გაუვა, ისინი დაპატიმრებულნი არიან და სახრჩობელა არ ასცდებათ!

— უეჭველია! — დაემოწმნენ შეკრებილნი.

— ჩამოხრჩობით ვერ ჩამოახრჩობენ, არ შეიძლება — მათი ჩინი და

თანამდებობის სტატუსი ამის უფლებას არ იძლევა. აი დახვრეტით კი დახვრეტენ! — თითქოს ვერდიქტი ამის თაობაზე უკვე ხელთ აქვსო, ავტორიტეტულად დაასკვნა ვილაყამ.

— რაზან მათ ასეთი სისასტიკით დასჯიან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთ ჩვენთაგანსაც „ასე უბრალოდ“ არ დაიბარებდნენ ჟანდარმთა სამმართველოში, — არ ცხრებოდა პოლტარანინი, ლაპარაკობდა ამას და თან ერთ დამნაშავეს, ხანგრძლივი ავადმყოფობისაგან ჩონჩხადქცეულ ჩინოვიცს თვალს არ აცილებდა, — რაღა თქმა უნდა, კარგი დღე ზოგიერთ ჩვენთაგანსაც არ დაადგება, განსაკუთრებით თქვენ, ანატოლი სერგევიჩი.

ამის თქმა და ჩინოვიცი გველნაკებენივით წამოვარდა.

— მთელი სიცოცხლე თქვენ, პოლტარანინო, შარს მდებდით, ახლა კი დრო იხელთეთ, რომ ანგარიში გამისწოროთ. საინტერესოა, რატომ პირველ რიგში მე უნდა ვაგო პასუხი და არა თქვენ, მიხაილ პეტროვიჩი? თქვენ ხომ ყველაფერზე კვირს უკრავდით უფროსებს!

— მე?! — შეიცხადა მან, — მე რა შუაში ვარ? — გომბეშოს კიდევ უფრო დაეღმანჭა ისედაც ასიმეტრიული სახე. ერთი წარბი ზეუთენე გაეჭვა, მეორე — ძირს დაეშვა.

— და ამას ამბობთ თქვენ, — განაგრძობდა „ჩონჩხი“, — ჩემი უახლოესი მეგობარი? ნუ გეშინიათ, პასუხს თუ მომთხოვენ, ნუ ღელავთ, მე არ ვიტყვი, რომ ჩვენ მეგობარები ვიყავით.

— „მეგობარები“, გაიგონეთ რა სისულელეს ჩმახეს, — იუარა გომბეშომ, — მე თქვენი მეგობარი არასდროს არ ვყოფილვარ და არც ვიქნები!...

— დარჩენილიყო ეგ დალოცვილი სოფლის აგრონომად. არა, ჩვენდაჭირად გადაწყვიტა, „ამა სოფლის ძლიერთა“ შორის გაძრომა. გუბერნატორის თანამდებობას წაეპოტინა. ერთი მითხარით, საინტერესოა, მე რაზე უნდა

ვაგო პასუხი, იმაზე, რომ ვერ ვხვდებით მის მეტიჩრობას? — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ჩინოვიცმა, თუთიყუშოვით ცხვირი და ნიკაპი რომ ჰქონდა.

— ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ, როგორ და რანაირად „ვერ იტანდით?“ — მიმართა მას ჰალარა, მოკლედ შეკრუქილმა მოხელემ, რომელსაც ვასილი ანდრეევიჩად იხსენიებდნენ.

— იქნებ ეს იმაში გამოხატება, რომ თუთიყუშოვით წარამარა იმეორებდით: „მისმა აღმატებულებამ ასე ბრძანა“, „მისმა აღმატებულებამ ასე მიგვითითა“, „ახ, ნამდვილი გენიოსია“, „ღმერთო ჩემო, რა ჰქუის კოლოფია!“

— მერე თქვენ თავად კი არ აქებდით მას? მის განკარგულებებს არ ასრულებდით? — გაკაპასდა ჩინოვიცი.

— სწორია. აუგად არასოდეს მომიხსენებია. ყველა მის დავალებას პირნათლად, კეთილსინდისიერად ვასრულებდი და ამას დღესაც არ ვმაღავ.

ლაპარაკში ერთი ტანმორჩილი მოხელე ჩაერია, თავი ბლიარდის ბურთივით გლუვი და მოპრიალბული ქონდა. ერთმანეთთან ახლო მიჯრილ, ღრმად ჩამჯდარ თვალებს არავის უსწორებდა.

— წელან, — დაიწყო მან თავისი ჭრილა ხმით, — „მადამ“ სტაროსელსკია შემომხვდა. ერთი გენახათ, რა თავაზიანად მომესალმა, მაგრამ ვერ მივართვი. გვერდზე ჩაუფარე, ვიცი, იმ არც კი ვიცნობ. ისე გაწითლდა, მეგონა, ცოტაც და სისხლი ჩაექცევა-მეთქი.

ხანშიშესულმა მოხელემ წარბი შეკრა. წვერზე ხელი გადაისვა და ირონიულად შენიშნა:

— სისხლი ჩაგექცევა, აბა რა მოგივა, როცა ასეთ უსინდისოებასა და უზომოდურობასთან გექნება საქმე. ნოვობლიანსკო, თქვენ ხომ ლამის შინაურად იყავით მათთან მიღებული. ლამემდე სტაროსელსკებისაგან ველარ გამოეტეოდით ხოლმე. ვახშამს მიიერთმევდით, მეორე დღეს კი ხოტბას ასხამდით: ოხ, რა ინტელიგენტი და განათლებული

ოჯახიანო, ნადეცდა კონსტანტინოენა ხომ ნულარ იტყვით, რა შესანიშნავი დიასახლისი და მანდილოსანია, რა სტუმართმოყვარე ქალბატონიაო, მარტო მის მიერ მოხარშული შინდის მურაბა რად ღირსო, ახლა კი ველარცა სცნობთ!

— აბა მაშინ მე რა ვიციოდი, ვიანესლავ გეორგიევიჩი, რომ მოლაღატეები ყოფილან!

— ღმერთო ჩემო, უყურე ერთი ამას! თქვენ არ იყავით, რომ გაიძახოდით, მე მათ იღებებს ვიზიარებო, ამტკიცებდით, ხალხმა ბოლოს და ბოლოს თავისუფლად ამოიხუნთქაო, როგორც იქნა ჩვენს საზოგადოებაში დემოკრატიული საწყისები მკვიდრდებო, ვლადიმერ ალექსანდროვიჩი სიკეთისა და წესიერების განსახიერებაო, ეჰ, რომელი ერთი ჩამოვთვალაო?

— მერე რა? ალბათ, მაშინ ასე იყო საჭირო ლაპარაკი...

— იცით, რა ჰქვია ამას?

— ჩემთვის სულერთია, რაც ჰქვია! — ნაძირალობა!

— ბატონებო, გესმით! შეურაცხყოფას მახყენებს! — შეპყვირა თავმოტელებილმა.

— თქვენ ისე ამბობთ უარს უფროსებზე, თითქოს ვინმე პასუხისგებაში გაძლევთ მათთან ურთიერთობისათვის.

— დინჯად, თითქმის ფლეგმატურად წამოიწყო ძველმა მოხელემ, რომელსაც ორად გაყოფილი წვერი, ფუმფულა ბაყენბარდები და უღუაშები ჰქონდა.

— რა იცით, სერგეი პეტროვიჩი, რომ არ მიგცემენ პასუხისგებაში? მაშინ რატომ გვიბარებენ ჟანდარმერაში?

— სულ ტყუილად დავობთ, ბატონებო! ერთი რამ ცხადზე უტყვადესია — დაიწყო ისევ ვიანესლავ გეორგიევიჩმა, — აქედან ყველას გვიფრენენ. მერე კი ვისაც რა ეკუთვნის, უკლებლივ იმას მიუზღავენ.

— ციხეში რომ მიკრან თავი, ჩემ. საბრალო, უმწეო კატიას რა ეშველება? ის ხომ დაიღუპება უბედური, — აკრუსუნდა ნოვიპოლიანსკი. ჭიბიდან ვე-

ერქვესული

ება ცხვირსახოცი ამოიფუჯა და დაიწყო ლიანებული შუბლი მოიწმინდა. მერე, თითქოს ახალა გამოერკვაო, ხმაილალა, ისტერიულად წამოიკივლა.

— რისთვის უნდა გამაკომბირონ? ციხეში რისთვის უნდა ამომაყოფინონ თავი? გუბერნატორი მეამბოხე რომ იყოს, მე რა შუაში ვარ, უფრო მეტიც, ხომ ყველამ იცით, რომ მას არ ვენდობოდი.

— ძალიან სჭირდებოდა თქვენი ნდობა!

— საყვედურიც კი გამომიცხადა, მისი დანაშაულდებრივი ხასიათის დავალება რომ არ შევასრულე...

— მან თქვენ დაგსაჯათ სიზარმაცისა და უნიჭობის გამო და კიდევ ენატანიობისათვის, — მიუგო წვეროსანმა, — და კიდევ მლიქვნელობისათვის. გუბერნატორმა კაპიტეტიდან გამოგადგოთ, როცა თქვენ გლეხებისაგან აღებული რაღაც ძღვენის გადაცემა სცადეთ. გიბრძანათ, ყველაფერი უკან წაველოთ... თორემ პასუხისგებაში მიგცემთო!

— ვიცი, თქვენ გინდათ, რომ მე ციხეში ჩამაგდოთ არა?... ნეტავი ვიცოდე, ამით რა შეგემატებოთ. ის მიიხი იფიქრეთ, რომ მის შეილებს მამამისისაგან დიდი ქონება დაჩრებათ, ჩემები კი შეიძლება შიმშილით ამოწყდნენ.

— აი, ინებეთ, შვიშარა და ეგოისტის ცხოვრების, ასე ვთქვათ, კრედო, ფორმულა. მუდამ მზადა აქვს საკუთარი სინდისის წინაშე მოსახერხებელი გამართლება მონახოს თუკი, რა თქმა უნდა, სინდისი გააჩნია. და კიდევ, იცით, რას გეტყვით, მოლით, და თავს ძალიანაც ნუ მოისაწყვლებთ, — საკმაო გულმოდგინეობით ყველგდით გლეხებს, ისე, რომ აუცილებლად პატარა კაპიტალი გექნებათ შეკოწიწებული.

— ბატონებო, ხომ გესმით, ისე შეურაცხყოფას მახყენებს. ხედავთ, რა დამცველი აღმოუჩნდა მეამბოხე გუბერნატორს? მის გულისთვის თავის კოლეგასაც კი არ ინდობს.

— ეჰ, რაც გინდათ ისა სთქვით, მაგრამ პასუხს ერთიანად ყველას გვაგე-



ბინებენ, — კიდევ ერთხელ გაიმეორა ვიარსლაე გეორგიევიჩმა, — მხოლოდ ერთი რამ მადარდებს — ციხეში არ ამოგვყოფინონ თავი.

— ნეტა ვიცოდე, რა განსხვავება იქნება ციხეში იჯდები, თუ გარეთ იქნები, როცა ეგრეთწოდებულ თავისუფლებას საპყრობილეს დამსგავსებენ. — ჩაერია საუბარში აქამდე ხმა რომ არ ამოულია, დარბაისელი, დინჯი კაცი.

მისმა შენიშვნამ ყველა გააოცა. არაფერი მსგავსი რამ არ უთქვამს, ახლა კი...

— ასეთი ლაპარაკი არ გეკადრებათ, სცდებით, პლატონ ივანოვიჩ, სცდებით. დღეს, როცა ჩვენი ხელმწიფე პატრონის მეცადინეობით სამართლიანობა ზემოშობს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის უწყების ჩინოვიკს არ შეჭყერის ასეთი სიტყვების ხმაარება. ეს ხომ იგივე წითელი კრამოლა! — თქვა ეს ძველმა მოხელემ და თავის ორად გაყოფილ წვერზე ხელი გადაისვა.

— მით უმეტეს, ასეთი რამის გაბეღვა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის უერთგულესი მსახურების თანდასწრებით, — კვლავ აყიყინდა პოლტარანიჩი. უცებ მან რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელი მაგიდას დაჰკრა და დაიყვირა:

— ჩვენ ამას არ მოვითმენთ!

— ეს ვინ „ჩვენ“? — ეს, თქვენ ვერ მოითმენთ? ცნობილი მექრთამე, ორპირი და მლიქვნელი! — გაცხარდა პლატონი.

— როგორ მიბედავთ?! მე თქვენი სიტყვების შესახებ ვაცნობებ იქ, სადაც ვერ არს!

— ნუ მაშინებთ, შეგიძლიათ შეატყობინოთ! უფრო მეტს გეტყვით: თქვენ გსმენიათ ოდენმე, რომ უფროსები შემექოს? — ჯიქურ იყითხა პლატონმა. ყველა დადუმდა. მერე ერთ-ერთმა მოხელემ ჩაიხურტყუნა:

— თქვენგან საერთოდ არაფერი გაგვიგია რა. ბაიუშვით იჯექით.

— დღეს კი საქვეყნოდ ვაცხადებ,

რომ ყოველთვის ქედს ვიხრბიდი და ახლაც ვეთაყვანები მის აღმკვეთს. ბას, ვლადიმერ ალექსანდრეს მე სტაროსელსკის, როგორც ბრწყინვალე აღმომანსა, დიდ შოლვაქესა და მოქალაქეს.

ამ მოულოდნელმა ტირილმა ზოგი გაახარა, ზოგი შეაერთო, ზოგიც შეაშინა და აღაშფოთა კიდევ. ბევრიც შოკში ჩააგდო.

— დიახ, დიახ, ვამაყობ, რომ მისი ხელმძღვანელობით ვმუშაობდი, — განაგრძობდა გაბრწყინებული სახით პლატონი.

— ვიცით, ვიცით, რა საიდუმლო კავშირიც გქონდათ მეამბოხე გუბერნატორთან — გესლიანად დაიწყა გომბეშომ, — აბა თუ ერთად არ მუშაობდით და ერთი საერთო „საქმე“ არ გაკეშირებდათ, მაშინ როგორ მოხდა, რომ მისი ოჯახი შეიხიზნეთ? იქნება იუაროთ, თავად გვესტუმრენო?

— არავითარ შემთხვევაში, მე თითონ მივედი და უმდაბლესად ვთხოვე ჩემთან საცხოვრებლად გადმოსულოყვნენ. რამდენადაც მათ სხვადასხვა ნაძირალები, ისეთები, როგორიც თქვენ, პოლტარანიჩო, და სხვა თქვენისთანები ბრძანდებით, მათ განადგურებით ემუქრებოდნენ.

— აი, ეს მესმის! მართალი გითხარათ, ასეთ თავდადებას თქვენგან არავინ მოელოდა. — ერთ-ერთის მიერ ამ წარმოთქმულ სიტყვებში დაუფარავი აღფრთოვანება იგრძნობოდა.

— მერედა, იცით, რა შეიძლება მოჰყვეს თქვენს ამ გადაწყვეტილებას, ამ ეგრეთწოდებულ „კეთილშობილ საქციელს“?! — დამრიგებლური ტონით უთხრა იმან, წვერი ორად რომ ჰქონდა გაყოფილი, — თქვენ ისე მოიქცით თითქოს საკუთარი ცოლ-შვილის ბედი არაფრად გიღირთ.

— გაგონილა, სხვისი შვილების გულისათვის საკუთარი ოჯახი საფრთხის წინაშე დააყენო, — ლოთის ჩაბრინწული ხმით წარმოთქვა ანემიური გარეგნობის კაცმა, რომელსაც საქმაოდ გაჰუჭყყინებული თეთრი პერანგი ეცვა



და პალსტუხიც გვერდზე მოჰქცეოდა. — ღმერთმა მაშოროს ასეთი «კეთილ-შობილებმა!»

— თქვენ მართალი ბრძანდებით, — დაიწყო სიბრაზისაგან აკანკალებული ხმით გომბეშომ, — უფლება რომ მქონდეს, სტაროსელსკების შთელს ბუნაგს ამოვწყვეტდი.

— მადლობა ღმერთს, რომ თქვენ, — სისხლმონყურებულ წურბელას — ამის უფლება არა გაქვთ. — დიწხად მოუტრა პლატონმა.

— ხომ ზედათ, ბატონებო, ჩვენ შორის, ჭეშმარიტ პატრიოტებს შორის, მეფისა და სამშობლოს შენიღბული მტერი აღმოჩნდა. — ხმამალა წამოიძახა თავმოტყვეპილმა და სკელი თითო პლატონს მიაშვარა.

— ანათემა მას!

— ანათემა... ანათემა...! — დასჩხავლეს დანარჩენებმაც.

— ვიცი, უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ბევრჯერ მიფიქრია, რა ლამაზი სიკვდილია, თუ გინდ საბრჩიბელაზე, თუ გინდ დახვრეტა! — თითქოს თავისთვის მეოცნების კილოთი შენიშნა ახალგაზრდა მოხელემ.

— მართლაცდა, ჩვენი ცხოვრება განა ცხოვრებაა? კანცელარიის ვირთებზე ტყუილად კი არ გვეძახიან. — გამოეხმაურა მას მეორე ახალგაზრდა, — აბა ერთი მითხარით, რა ფასი აქვს ჩვენი სიცოცხლეს? საქმე ის არის, ისე მოკვდე, რომ სიცოცხლე ნათელ, კეთილშობილურ მიზანს შესწირო. და შთამომავლობამ გმირად გალიაროს.

— მერედა, ვინ გიშლის, რატომ არ სწირავ მაგ შენ სიცოცხლეს? ამაზე ადვილი ახლა არაფერია. — სარკასტული ღმილით გამოეხმაურა ვიღაც მოხუცი.

— საქმე ისაა, რომ ხეირიანად არ ვიცი, როგორ უნდა გავაყეთო ეს. აღბათ, იდეურობა მაკლია, ისეთებმა, როგორიც არიან სტაროსელსკი, ყიფ-შიძე, და იმათ, ვისთანაც ისინი არიან დაკავშირებულნი — წითელრაზმელებმა და მათმა ხელმძღვანელებმა — კა-

რგად იციან, რისთვის იწოდებიან, რა მიზანი ამოძრავებთ. და არაფერს გახდა, რას უნდა შესწირონ თავი...

— მომეშვით, თქვენი ჭირიმე, ოლონდაც სიკვდილი არა! მე, საშინლად შეშინია სიკვდილის...

— თქვენ, ბატონო კირილე შოთავენი, მართალია, კაცებს მიეკუთვნებით, მაგრამ ვაეკაცობისა არაფერი გცხიათ რა, ისევე, როგორც ყატა ვეფხვის ოჯახიდანაა, მაგამ აბა ვეფხვთან რა შესადარია?...!

— ბატონებო შეხედეთ, ერთი ამ ლაწირაკს, ჭერ დედის რძე ტუჩებზე არ შემოიბია და რა შეურაცხყოფას მიუყენებს მაშის ტოლ კაცს...

კამათი ღამის იყო ისევე უნდა გამძაფრებულყო, რომ უეცრად კარებიდან ხმა გაისმა...

— ბატონებო, თუ შეიძლება წუთით უფრადლებმა!

ერთდროულად ყველამ კბით იბრუნა პირი. კარიბჭესთან იდგა ახალგაზრდა კაცი, რომელიც აი, ეკვე რამდენი ხანია ისე შემოსულიყო, რომ არავის შეუმჩნევია და უსმენდა კოლეგების დისკუსიას.

— ნეტავ ვიცილდე ამდენს რა გალაპარაკებთ და რა გაკამათებთ?! სულ ახლახანს, აქეთ რომ მოვდიოდი, მეგობარი შემეხვდა. მან მიაპბო, რომ გუშინ თბილისში პირადად უნახავს სასტუმრო „ორიანტში“ მისი აღმატებულება ვლადიმერ ალექსანდროვიჩი... უსაუბრია მასთან, თურმე იქ, ასატუმროში, ცხოვრობს, თავს დიდებულად გრძნობს და მშვენიერ ხასიათზეც ბრძანდება...

ყუმბარის აფეთქება, აღბათ, ისე ვერ დააფრთხობდა აქ დამსწრე საზოგადოების უმრავლესობას, როგორც ამ მოულოდნელმა ახალმა ცნობამ შეაყებუნა და შეაყრთო ისინი. ჩამოეკარდა სამარისებური სიჩუმე, თითქოს ყველა თავისმა საკუთარმა ფიქრებმა გაიტაცა, ბევრს სახე დაუგრძელდა და ყბები გვერდზე მოექცა. ახალგაზრდა კი განაგრძობდა:

— ვლადიმერ ალექსანდროვიჩი ყო-

ველდუ რესტორანში საზეიმო მიღებებსა და რაუტებს აწყობს...

უბად სირუმე ჩონჩხის ისტერიულმა შეყვლებამ დაარღვია:

— ეს შეუძლებელია მტკნარი ტყეილია...

— შეუძლებელია — წამოიყვირა გომბეშომ.

— შეუძლებელია... შეუძლებელია... გაისმა აქეთ-იქიდან...

— როგორაა შეუძლებელი, — მშვიდად, აულელებლად განაგრძობდა ახლად მოსული, — როცა მისმა აღმატებულებამ უამბო ჩემს მეგობარს, რომ გრავმა პირადად მოუბოდიშა: ის, რაც მოხდაო, ყველაფერი რაღაც გაუგებრობის შედეგიაო: საბოვო, წყენა გულში არ ჩაიდოო: მერე ურჩია, აქ, თბილისში, ცოტა დაისვენეთ, გაერთეთ, გული გადააუღლეთ და რაღაცენიმე დღის შემდეგ კვლავ გუბერნიის მართვას დაუბრუნდითო...

— ო, უოკლის შემდეგ უფალო ჩვენო, ყველაფერი შეტრიალდა — შექალადა ღმერთა თავმოკლევპილმა და გაფაციცებით პირყვრის წერა დაიწყო.

დამსწრეთ უფრო მოკრული ჰქონდათ, რომ მეფისნაცვალი გრაფი ვორონოვ-დაშკოვი სტაროსელსკის მფარველობსო (ამა ამდენს აქამდე როგორ უთმენდაო) და ამ ახალგაზრდის მონაყოლი ენიშნათ და დაიქვრეს; ამიტომ ყველა ერთად აყყანდა და ახმურდა. ერთმანეთს ლაპარაკს არ აკლიდნენ, ახლა უკვე ეცილებოდნენ სტაროსელსკის ხოტბას, თითქოს აი ამ წუთს არ თელავდნენ და არ ანადგურებდნენ, სასიკვდილოდაც კი იმტებდნენ.

ვილკამ გაუბედავად ტაშიც კი შემოკრა.

— თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ სანთელ-საქმეველი გზას არ დაკარგავს...

— რა მოხარული ვარ, რომ სამართლიანობამ ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვა...

— თითქოს უკუნეთი შვის სხივმა გაანათაო...

— ო, როგორ მიხარია!...

— ღმერთო ჩემო, გულოდან რა სიმძიმე მომეხსნა!

პოლტარანინმა პრესპაიე მაგიდას დაუკაქუნა, უფრადლება მოითხოვა და დაიწყო:

— ბატონებო! რა ბედნიერებას მოვესწარით, რა სიხარულს, ჩვენი უშესანიშნავეაი და უჭკვიანესი, გულთბილი და კეთილი უფროსი მისი აღმატებულება ვლადიმერ ალექსანდროვიჩი კვლავ ჩვენთან იქნება, ბატონებო, ვაშა! მას სხვებიც გამოეხმურნენ.

ბევრი, შეშინებული, პლატონ ყიფიანს უტრიალებდნენ, ელაქუცებოდნენ, გუბერნატორი ნამდვილად მას დააწინაურებდნენ, უფროსად დაგვიგამსო, შეიძლება, დავესმინოს მასთანო, მერე რა გვეშველებათო...

ექვა ვარშეა, რომ ზოგიერთ აქ დამსწრეთ მართლაც გაუხარდა, ახალი ამბავი, რასაკვირველია ეს ესამოვნა პლატონსაც, მაგრამ სადღაც არ სჭეროდა, გუმანიო ხედებოდა, რომ ცნობა სინამდვილეს არ შეეფერებოდა...

\*\*\*

პლატონმა განზრახ თავი შეიკავა და საგუბერნატორიოში ვლადიმერ ალექსანდროვიჩის თაობაზე გაგონილი ამბის შესახებ ნადედა კონსტანტინოვას არაფერი უთხრა. ვაითუ ტყუილი გამოადგეს, — ფიქრობდა პლატონი, — ეს კი ახალი სასტიკი ელდა იქნება მისი მეუღლისათვისო.

ნადედა პეტერბურგს გამგზავრების თადაროგს შეუდგა, გადაწყვიტა, რომ ბავშვებს დროებით ყიფიანებთან დატოვებდა. რა ელის მას დედაქალაქში, შეძლებს კი ქმრის ხედრის შემსუბუქებას?

ამ ფიქრებიდან ფრთხილად გაღებული კარის კრიალმა გამოარკვია.

— ქალბატონო ნადია, სტუმარია თქვენთან, — უთხრა ნინომ.

— ვინ არის? — შეშფოთდა ნადედა.

— ნუ გეშინიან, ჩვენი კაცი ჩანს.

ერეკნული

— მობრძანდეს.

ოთახში ნადედასათვის უცნობი, საშუალო ტანის კაცი შემოვიდა. თავაზიანად მიესალმა.

— ამხანაგების დავალებით ვარ მოსული. მთხოვეს, პირადად გადმომეცათ ეს პაკეტი.

ნადედამ სასწრაფოდ გახსნა იგი და ოთხად დაკეცილი ქალაქი ამოიღო. ბარათი მოკლე გამოდგა: „ვლადიმერ ალექსანდროვიჩს ვუბრუნებთ ვალს“. ხელმოწერა არ ჰქონდა. კონვერტში ფული იდო. გაცემულმა ნადედამ აიხედა, მაგრამ ოთახში უკვე აღარავინ იყო. კარს ეცა და ნინოს შეეფეთა.

— რა იქნა?

— წავიდა. რამ შეგაშფოთათ?

— დიდი თანხა დატოვა.

— რასა ბრძანებთ? — ეშმაკურად გაიღიმა გოგონამ. — მე კი გადმომცა, ქალბატონ ნადიას უსურვეთ კეთილი მგზავრობა და წარმატება პეტერბურგშიო.

— ეს რაღა? — იკითხა ნადედამ და კარებთან დადებულ ვეებერთელა კალათზე მიუთითა.

— ესეც მან დატოვა, მგზავრობაში დასჭირდებო.

კალათში იდო შემწვარი გოჭი, ქათმები, კვერცხები, ლორი, ჩურჩხელები, ფელაშუში, ჭადი...

ნადედამ ნინოს ხანგრძლივი, თბილი მზერა მიაპყრო: — ამ ხალხს რომ კარგად არ ვიცნობდე, შეიძლება მწყენოდა კიდეც, მაგრამ როცა იცი მათი გაუგონარი და გასაოცარი გულკეთილობა, მათი უანგარობა, კეთილშობილური ადამიანური სწრაფვა, აბა, მადლობის მეტი რა მეთქმის!.. ნადედა, ცრემლი რომ დაეშალა, ჭერ მიბრუნდა, მერე უეცრად შემოტრიალდა და ნინო მაგრად გულში ჩაიხუტა, ამით თითქმის მთელი „ეს ხალხი“ გულში ჩაიკრა.

\*\*\*

სტუმარ-მასპინძელმა ის-ის იყო ისაძლიეს, რომ მოულოდნელად ყიფიანებისას მათი ვლასოვი გამოცხადდა.

მისმა გამოჩენამ ყველამ გააოცა, შეაშფოთა. ის განსაკუთრებული თავაზიანობით მიესალმა ნადედას და ერთგვარი საზეიმო ტონით განაცხადა:

— დავალებული მაქვს, ქალბატონო ნადედა კონსტანტინოვნა (ამჭერად სახელი და მამის სახელი არ დავიწყებია) მოგახსენოთ, რომ თქვენი ქმარი, მისი აღმატებულება ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი გთხოვთ, ბავშვებითურთ ჩამობრძანდეთ მოსთან თბილისში, სასტუმრო „ორიანტიში“.

ნადედა მოულოდნელობისაგან გაშრა, გაშეშდა, ლაპარაკის უნარი დაეარგა, მერე გაჭირვებით ხელახლა იკითხა:

— თბილისში?.. სასტუმროში?..

— სწორედ ასე. დღესვე ინებებთ გამგზავრებას?

— მე?.. რაღა თქმა უნდა... ამწუთსვე... ძვირფასო ბავშვებო, სასწრაფოდ გამეზადეთ სამგზავროდ, მაშინკოსთან მივდივართ. — დაბნეულმა ჭერ ერთ ადგილზე იბორიალა, მერე ბავშვებს ეცა, კოცნა დაუწყო. ყველა საერთო სიხარულმა მოიცვა. თვით პატარა ადაც კი, რომელსაც ვერა გავგო რა, დახტოდა, ფეხებში ებლანდებოდა.

— ქალბატონო ნადედა კონსტანტინოვნა, იჩქარეთ, მატარებელი საათნახევარში გავა. თუ ნებას მოგვეცემთ, ბილეთებს ჩვენ შევიძინებთ, გაგაცილებთ კიდეც...

ცოტა ხნის შემდეგ სტაროსელსკები პოლიციელთა ეკიპაჟით, მათი თანხლებით, სადგურისკენ გაემშრნენ. მათ უკან ფაეტონით მოსდევდა ყიფიანების მთელი ოჯახი.

— იმ დღეს, ქალბატონო, ჩანს, ავსიეცემო სასტიკად შეგაშინათ. — გაუბედავად დაიწყო მათორმა, რომელიც აქამდე დუმდა.

ნადედა და ბავშვები უნებურად სმენად იქცნენ.

— რა თქმა უნდა, ის იმ ოთახში იმალებოდა, — განავრძობდა პოლიციელი, — მერე კი სათადარიგო შესასვლელიდან სცადა მიმალვა, მაგრამ ჩვენ

მინც შევიპყართ, მართალია, დაპრი-  
ლი...

— ახლა როგორ გრძნობს თავს? —  
მოულოდნელად აღმოხდა თამარს.

პოლიციელმა გოგონას გამომცდელად  
შეხედა.

— თბილისში გავაგზავნეთ, როგორც  
განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმე-  
დი. რა თქმა უნდა, მაშინ თქვენ ყვე-  
ლას სიკვდილით დაგემუქრათ, არა? —  
თითქოს სტაროსელსკების საქციელის  
გამართლებას ლამობსო, ჩაილაპარაკა  
მეიორმა, პასუხი რომ არ მიიღო განა-  
გრძო: მხოლოდ ჩვენმა ღრმა პატივის-

ცემამ თქვენდამი და მისივე აღმსარებელ-  
ებისადმი ვლადიმერ ალექსანდროვიჩს  
ჩისადმი გვაძულა არ მიგველო ვადა-  
მპრელი ზომები. ამის გამო საშიში სა-  
ხელმწიფო დამნაშავე კინალამ ხელი-  
დან დაგვისხლტა.

— აი, თურმე რაშია საქმე, კომპენ-  
საციის მიღება სურს. — რატომ იმაზე  
არ ლაპარაკობს, რომ საგუბერნატო-  
როს ბინიდან გამოგვაგდო, — თავის-  
თვის ფიქრობდა ნადეჟდა, მაგრამ არა-  
ფერი უპასუხია, მით უმეტეს, რომ  
ეკიპაჟი ამასობაში სადგურს შიდაღა.

თავი 28

საპარტიული? არა... სასტუმრო.  
წიფილი. თვითგასამართლების

„თხოვნის გარეშე“. გველის  
მცდელობა. დაშვებულება.

შუადღე კარგა გადასული იყო, რო-  
ცა მატარებელი, რომლითაც სტარო-  
სელსკი და ყიდშიძე გამოამგზავრეს,  
თბილისის სადგურის ბაქანთან ჩამოდ-  
გა. აქაც, როგორც ქუთაისში, პერონი  
წინასწარ სამოქალაქო პირებისაგან გა-  
ეთავისუფლებიათ. ვაგონთან მხოლოდ  
ქანდარბები, ჯარისკაცები და პოლიცი-  
ელები ტრიალებდნენ.

— ალბათ, პირდაპირ ციხეში გვიკ-  
რავენ თავს! — ნახევრად ხუმრობით,  
ნახევრად სერიოზულად თქვა ყიდში-  
ძემ.

— ილარიონ ივანოვიჩის წერილის  
მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არა მგო-  
ნია — გამოეხმაურა სტაროსელსკი, —  
ყოველ შემთხვევაში თქვენ მსგავსი  
რამ არ გემუქრებათ.

დამხვედრთა ამალით სადგურის მო-  
ედანზე გავიდნენ, სადაც მათ ფაეტონი  
ელოდა. დაცვის ოფიცერი მათ წინ და-  
უჭდა, ქანდარბი კოფოზე მოექცა, ცხე-  
ნონები ეკიპაჟს გარს შემოერთყნენ  
და კავალკადა გზას გაუდგა.

ფაეტონი სასტუმრო „ორიანტთან“

გაჩერდა. სტაროსელსკიმ და ყიდშიძემ  
ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გა-  
დახედეს. ეს უკვე სასიკეთო რაღაცას  
ნიშნავდა. ახლომახლო კაცის ჭკანება  
არ იყო, ჩანს, საამისოდ წინასწარ მიე-  
ლოთ ზომები. პოლიციის ერთ-ერთმა  
მოხელემ სასტუმროს ვესტიბიულშივე  
გამოართვა ყიდშიძეს თბილისური მი-  
სამართი და ხელწერილიც დაადებინა  
ქალაქიდან გაუსვლელობის თაობაზე.  
სტაროსელსკის სასტუმროში დარჩენა  
შესთავაზეს. მეგობრები გულთბილად  
დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

— არ ვიცი, ხვალ რა მომეღის, —  
დაიწყა ალელეგებულმა ყიდშიძემ, —  
ისიც არ ვიცი, რამდენი წლის სიცოც-  
ხლე მიწერია, მაგრამ, მერწმუნეთ, მიე-  
ლი ჩემი ცხოვრების მანძილზე გამყვე-  
ბა თქვენდამი უღრმესი პატივისცემა  
და სიყვარული, ძვირფასო ვლადიმერ  
ალექსანდროვიჩ. მთელს ჩემს მოდგმას  
უუანდერძებ, არ დაგვიწყონ და მუ-  
დამ მოგიგონონ თქვენ, როგორც რუსი  
ხალხის სახელოვანი შვილი, მისი ყვე-  
ლა საუკეთესო თვისების მატარებელი.

განა ოდესმე ქართველი ხალხი დაივიწყებს იმას, რომ თქვენ, უცხო ტომის წარმომადგენელმა, ასე უსაზღვროდ, მთელი სულითა და გულით შეიყვარეთ ჩვენი ხალხი, ასეთი თავგანწირვით უერთგულეთ მას...

ყიფშივე გადაეხვია სტაროსელსკის, აკოცა, მერე ხელი მაგრად ჩამოართვა და სწრაფად გასცილდა.

სტაროსელსკის სასტუმროში ყოფნა პატიმრობას ჰგავდა: მეზობელ ოთახში მას პოლიციის ოთხი გადაცმული აგენტი სდარაჯობდა, ორი უბნის ზედამხედველი და სამი გოროდოვოი მისი ნომრის წინ ვესტიბიულში და კიბის მოედანზე გამულდებით მორიგეობდნენ. ბაღრაგს პოლიცემისტერი მარტინოვი ხელმძღვანელობდა. ის სტაროსელსკის არწმუნებდა, რომ ეს ყველაფერი მისი უსაფრთხოებისათვის კეთდება, ვითომცდა შურისძიებით გახელბული „პატრიოტების“ თავდასხმის თავიდან ასაცილებლად.

მძიმე განსაცდელისა და დიდი უბედურების დღეებში ბოლოს და ბოლოს სიხარულით გასტივოსნებული ერთი დღე გათენდა, როცა ქუთაისიდან სტაროსელსკისთან მისი ოჯახი ჩამოვიდა. ისინი იქვე, სამოთახიან ნომერში მოათავსეს. ტრაგიკული და თან გულამაჩუყებელი იყო მათი შეხვედრა. გვიან ღამემდე ეპუქუეობდნენ, ეფერებოდნენ და ეალერსებოდნენ ერთმანეთს, უყვებოდნენ განცილს, იცოდნენ რა, წინ კიდევ მძიმე დღეები მოელოდათ, შეგნებულად მომავალზე ლაპარაკს ყოველი ღონით თავს არიდებდნენ.

დადგენილი რეჟიმის თანახმად, სტაროსელსკი, თუკი სასტუმროდან გასვლას დააპირებდა, მარტინოვის ნებართვა უნდა მიეღო, თან ბაღრაგს გააყოლებდნენ ხოლმე.

სასტუმროს ფულს თვითონ იხდიდნენ, ამიტომ, ეკონომიის მიზნით და რომ ბავშვების თაობაზე უფრო მშვიდად ყოფილიყვნენ, სტაროსელსკებმა ნებართვა ითხოვეს შვილები თავიანთ მეგობრებთან გოგოლ-იაკოვლელებთან

გადაეყვანათ. ამ ოჯახშიც [ქ] შინა — მძილი ხნის მეგობრობა და ახლანდელი მეგობრობა აკავშირებდათ. ამ თხოვნის დაკმაყოფილება სათანადო ორგანოებმა შესაძლებლად ჩათვალეს.

ვიღრე სტაროსელსკი აქ საშინაო პატიმრობაში იმყოფებოდა, იქ, ქუთაისში, სასწრაფო გამოძიებას აწარმოებდა მეფისნაცვლის საგანგებო კომისია, რომელსაც მეფისნაცვლისავე ახალი თანაშემწე სენატორი მიცკევიჩი ხელმძღვანელობდა. ერთდროულად მუშაობდა სამხედრო-საძიებო კომისიაც. და აი, ისინი ერთსულოვან წინასწარ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „სტაროსელსკიმ უღალატა მეფესა და იმპერიას, მიემხრო რევოლუციურ მოძრაობას, ხელი შეუწყო მის განვითარებასა და გაფართოებას“.

ამრიგად, თუკი სასამართლომდე მივიდოდა საქმე, სტაროსელსკისა და ყიფშიძეს სიკვდილით დასჯის განაჩენი არ ასცდებოდა.

\* \* \*

მეფისნაცვლის კაბინეტში სამნი იყვნენ: თავად გრაფი, მიცკევიჩი და გენერალი შირინკინი. ვორონცოვ-დაშკოვს წინ ედო კომისიების გამოძიების შედეგები — სქელტანიანი „საქმის“ ტომები. პოლიციის გამგე თავის აღფრთოვანებას ვერ ფარავდა, სახზე ღიმილი უკრთოდა, მთელი თავისი არსებით გამოხატავდა კმაყოფილებას: „ბოლოს და ბოლოს, მე ზომ მართალი აღმოჩნდიო“.

მაგრამ, ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება?! ილარიონ ივანეს ძემ მოულოდნელად, სრულიად აშკარად, უინტერესოდ და სწრაფად გადაფურცლა მრავალგვერდიანი, სქელტანიანი „საქმის“ ტომები, სასხვათაშორისოდ თვალი გადაავლო რამდენიმე გვერდს და მერე გაკრული ხელით რეზოლუცია მიაწერა: „საერთოდ ვეთანხმები მოხსენების დასკვნას და იმის გამო, რომ მას უკვე მოჰყვა ბ. ბ. სტაროსელსკისა და ყიფშიძის თანამდებობიდან დათხოვნა მა-

თი თხოვნის გარეშე, შესაძლებლად მი-  
მაჩნია ეს საქმე ძიებით შეწყდეს. გრა-  
ფი ვორონცოვ-დაშკოვი“.

შირინკინი თვალს ადევნებდა, თუ  
რას წერდა გრაფი და სახეზე გრძნო-  
ბათა მთელი გამა: გაკვირება და გაო-  
ცება, აღელვება და აღშფოთება გამო-  
ეხატა!

— მომიტევეთ, თქვენო ბრწყინვალე-  
ბავ!... — მხრების აჩეჩით დაიწყო  
გენერალმა, მაგრამ გრაფის მკაცრმა  
მზერამ მყისვე გააჩუმა, პროტესტის  
გამოთქმა ველარ გააბედინა.

მეფისნაცვალმა „საქმე“ მიცვევიჩის  
გადასცა და დააყოლა:

— არქივში!

— მომიტევეთ, თქვენო ბრწყინვალე-  
ბავ! მაგრამ ეს ხომ ჯერჯერობით მხო-  
ლოდ წინასწარი დასკვნაა, ძიება ჯერ  
არ დამთავრებულა! — სხაპასხუპით,  
კიდევ არ გამაჩეროსო, მიაყოლა შირი-  
ნკინმა.

თითქოს ეს სიტყვები არც კი გაუგო-  
ნიო, გრაფმა უფრო დაბეჯითებით გა-  
იმეორა:

— არქივში!

შირინკინი მიხვდა, რომ მისი პრო-  
ტესტი და აღშფოთება უფროსს არა-  
ფრად ეპიტნავა და ვაცლა ამჯობინა.  
სწრაფად წამოხტა, ქუსლი ქუსლს შე-  
მოჰკრა და გრაფს მიმართა:

— ნებას მომცემთ, წავიდე?

ილარიონ ივანეს ძემ, ისე, რომ ზე-  
დაც არ შეუხებდავს, თანხმობის ნიშნად  
თავი დაუქნია.

— თქვენო ბრწყინვალებავ! — რო-  
გორც კი შირინკინი გავიდა კაბინეტი-  
დან, დაიწყო მიცვევიჩმა, — ჩემ თავს  
ნებას მიცემ შეგახსენოთ მისი იმპე-  
რატორობითი უდიდებულესობის სას-  
ტიკო მითითება სტაროსელსკის თაობა-  
ზე...

— მოწყალეო ხელმწიფევ, თუკი  
სწორად მიგვიხედით, თქვენ მირჩევთ  
გავმართო დიდი სასამართლო პროცესი  
და გავასამართლო... საკუთარი თავი.  
განა მე არ დავიჩემე მისი გუბერნატო-  
რის პოსტზე დანიშვნა, თუმცა ზევით

ამის წინააღმდეგნი იყვენენ. ეს მე შევი-  
ცი მას ხელზე საბუთი ჩემი გუბერნატო-  
რით, რომ ყველა მის წინადადებას და  
პირობებს ვლტბულობდი. სად წაუხვალ  
ამას? მერედა, განა ჩემი ჩანაფიქრი  
დროს მოგების თაობაზე, იმაზე, რომ  
ძალას მოვიკრფედით და მერე საბო-  
ლოდ ლახვარს ჩავცემდით რევოლუ-  
ციას, არ გამართლდა?

— ყველაფერს მივხვდი, თქვენო  
ბრწყინვალებავ! აბსოლუტურად სწო-  
რი ბრძანდებით. ერთბაშად ვერ აღვი-  
ქვი თქვენი მოსაზრებების მთელი სი-  
ღრმე და სიბრძნე. მომიტევეთ. — წა-  
რმოთქვა ეს ტირილი მიცვევიჩმა და  
„საქმეს“ ხელი დაავლო.

— იზრუნეთ, რომ სტაროსელსკიმ  
უახლოეს ხანში დატოვოს ჩვენი სამე-  
ფისნაცვლის ფარგლები, თუ ეს არ  
მოხდება, ძნელი იქნება მისი უსაფრ-  
თხოების გარანტირება. მართალია, კი-  
დეც რომ მოკლან, ეს ჩვენი საზოგა-  
დობისათვის ვერაფერი დანაკლისი იქ-  
ნება, მაგრამ ამ აქტმა შეიძლება ზოგი-  
ერთ თავქარიანს, რომელიც საქმის ფა-  
ქტიურ ვითარებაში არ არის გარკვე-  
ული, გონება დაუბნოს და მეც, რო-  
გორც მის პროტევეს, ანგარიშის გას-  
წორება მომიხდომოს. ხომ იყო პრეცე-  
დენტი, როცა გოლიცინი ძლივს გადა-  
ურჩა ტერორისტებს... — თქვა ეს გრა-  
ფმა და რაღაც უცნაურად, ნერვიულად  
ჩემად ჩაიხიბხიბა.

\*\*\*

გაცოფებული და წინასწორობიდან  
გამოსული შირინკინი პოლიციის სამ-  
მართველოში დაბრუნდა. კაბინეტში  
ადგილს ვერ პოულობდა. ვერ გაეგო,  
რა მოხდა, რომელმა ზამბარამ ან კბი-  
ლანამ ასე კარგად გაწყობილ მექანიზ-  
მში სათანადოდ ვერ იმოქმედა სტარო-  
სელსკისა და ყიფშიძისადმი ანგარიშ-  
სწორებაში, და ასე ფუტყად ჩაუარა ამ-  
დენმა შრომამ და გარჯამ. „გამოდის,  
რომ მაჯობეს. ნუთუ ხელმწიფის ეს  
მოლაღატე ხელიდან ცოცხალი უნდა  
გავვისხლტეს? მერედა, რა მოვახსენო

ზემოთ, ჩემს უფროსებს, ევრაფერს გავხლი-მეთქი? მფარველები ჰყავს-მეთქი? ვინ? დაეასახელო? მერე? ვინ იცის, როგორ შეტრიალდება საქმე? არა, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა გავუსწოროდე. და ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ვითომც ჩვენ აქ არაფერ შუაში ვართ...”

მრავალი ვარიანტი გათვალა... და... გაახსენდა: „გრიანოვი! აი, კაცი, რომელიც თავდაიწყებამდე გაბოროტებულია თავისი მამის, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის გენერალ გრიანოვის მკვლელობით, რაც რევოლუციონერებმა განახორციელეს ამ დღეებში. აი, ვინ გამოდგება შურისმძიებლად. „თუ საქმე საქმეზე მივა, აქ ჩვენს უწყებას სრული ალიბი ექნება“.

იქვე ადიუტანტს უბრძანა, პოლკოვნიკი გრიანოვი მომიძებნე და სთხოვე, ჩემთან მოვიდესო. ისიც, ცხენზე ამხედრებული, ბრძანების შესასრულებლად გაეშურა. ერთი საათიც არ გასულა, რომ გრიანოვი პოლიციის სამმართველოში მოვარდა.

— ასე, ამგვარად, პოლკოვნიკო, — მიმართა მას შირინკინმა, — ჩვენი შესანიშნავი და დაუფიწყარი ადამიანი, პატრიოტი და მეფის ტახტის თავდადებული მსახური, თქვენი მამა, გენერალი ბანდიტების მსხვერპლი გახდა. ისინი განსაკუთრებით გახელდნენ მას შემდეგ, რაც იმპერატორმა პირადი აუდიენციის დროს ის შეაქო და სტაროსელსკი სასტიკად გაიციხა. და აი, პეტერბურგიდან დაბრუნებისთანავე მას ანგარიში გაუსწორეს... აქ პოლიციის გამგე დააკვირდა პოლკოვნიკს — რა შთაბეჭდილებას ახდენს ჩემი ნათქვამიო. შეამჩნია რა, რომ იგი გაფითრდა და ქვედა ყბა აუცახცახდა, კმაყოფილებით განაგრძო:

— ჩვენი არაოფიციალური ცნობების თანახმად, ყუმბარა, რომლითაც ბანდიტმა ჯორჯიაშვილმა თქვენს მამას სიცოცხლე მოუსწრაფა, სტაროსელ-

სკის საქარის ლაბორატორიაში წყვეტა და მზადებული...  
ბიგლინი

ამ ცნობამ დიდად აღაშფოთა გრიანოვი. პოლკოვნიკმა ძლივს ამოილულულა:

— იმედია, ჩვენი ხალხისა და ტახტის ბოროტი გენია სიკვდილით დასჯას ვერ ასცდება. ამაზე ხომ იპერატორის ნებაც არსებობს?

— საქმეც სწორედ ისაა, რომ სტაროსელსკის, როგორც იტყვიან, „ყველაფერი ჩამოაწერეს“.

პოლკოვნიკმა პოლიციის გამგეს გაკვირვებული მზერა მიაპყრო.

— დიახ, დიახ... გარეწარი ჯორჯიაშვილს სიკვდილით დასჯა არ ასცდება, ხოლო იგი, ვინც მას ბოიბი ჩაუდო ხელში, დაუსჯელი რჩება.

— ეს როგორა?!

— სრულიად უბრალოდ, ჩემთვის ცნობილია, რომ ქუთაისის ყოფილი გუბერნატორისა და ვიცე-გუბერნატორის დანაშაულებრივი ქმედების წინასწარი გამოძიების დასკვნა არქივს ჩაბარდა.

— კი, მაგრამ, მისი იმპერატორობით უდიდებულესობის აზრი ამ საკითხზე უგულვებელყოფილია? ეს ვინ გაბედა?

— გთხოვთ, ამ საქმეში მე ნუ ჩამრევთ, — ყასიდად შეშინდა გენერალი. მერე კი, თითქოს ხმამალა ფიქრობსო, განაგრძო:

— ასე და ამგვარად, ჩათვალეთ, რომ დღეს თუ არა ხვალ ეს მეფისა და ტახტის მოლაღატე და გამყიდველი თავისუფალი იქნება და, რაღა თქმა უნდა, სასწრაფოდ გაუჩინარდება... — სინანულით და თავის ქნევით დაასკვნა შირინკინმა.

— არა, ეს არ მოხდება! — სიბრახისაგან აკანკალებული ხმით წარმოთქვა გრიანოვმა და შირინკინს შეხედა. მის მზერაში ამ უკანასკნელმა მტკიცე გადაწყვეტილება ამოიკითხა. პოლკოვნიკს აღელვებისაგან სახეზე წითელი ლაქები დაასხდა. — თუკი კანონის ძალის გამოყენება ვილაცხას არ

სურს და მამაჩემის სიკვდილი არაფრად მიიჩნია, მე გავუსწორდები იმას, ვინც, თქვენი თქმისა არ იყოს, ზომბი ხელში ჩაუღო არამზადას. მე მას პირადად გავუსწორდები!

— რას ამბობთ, ახალგაზრდავ? რამე სისულელე არ ჩაიდინოთ, თავი არ დაიღუბოთ! — ფარისევლური შეწუხებით და ყალბი დატუქსევით დაიწყო შირინკინმა და იქვე განაგრძო: — მართალია, თქვენს მოქმედებას მრავალი ჰუმანიტარული პატრიოტი მოწონებითა და თანაგრძნობით შეხვდება, მაგრამ... მე... მე მაინც არ გირჩევდით...

ყველაფერი ეს კვლავ ისეთი ტონით წარმოთქვა პოლიციის გამგემ, რომ წაქეზებას უფრო ჰგავდა, ვიდრე დამოშვინებას.

მალე აღშფოთებულნი გრიაზნოვი პოლიციის სამმართველოდან გავიდა.

\*\*\*

იმ დღეს ვლადიმერმა და ნადეჟდამ თბილისელი მეგობრების ნახვა გადაწყვიტეს. სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ, ბაღრაგის თანხლებით ცოლქმარი სასტუმროდან გავიდა. ამ დროს „ორიანტის“ რესტორანში ოფიცრების დიდი ჯგუფი შევიდა. მათ მოღუშული და დაღვრემილი პოლკოვნიკი გრიაზნოვი მიუძღოდა.

სამხედროებმა ოფიციალტებს რამდენიმე მაგიდის გაერთიანება დაავალეს, დააწყობინეს სუფრა და სმა გაჩაღდა. სულ მალე იქაურობას შეზარხოშებულთა ყაყანი მოედო. მიუხედავად იმისა, რომ პოლკოვნიკი ყველაზე მეტს სვამდა, სიმთვრალე მაინცდამაინც არ ეტყობოდა.

— რაშია საქმე, თქვენო კეთილშობილებავ? — მიმართა მას აპრეხილულვაშებთანმა მაიორმა, — ღვინო არ გეკიდებათ, ვითომც წვეთიც არ დაგილევიათ.

— ეს ნერვიული დამაბულობის ბრალია, მეგობარო, — უპასუხა გრიაზნოვმა.

— ეს როგორ?

— განა არ იცით, რომ ზღაპრულად აღმოჩნდა ლინი საქმის ჩადენის წინ აღდამიანს ალკოჰოლი არ ეკიდება?

— საინტერესოა, რა „სისხლიანი საქმე“ უნდა ჩაიდინოს თქვენმა კეთილშობილებამ? — ირონიით იკითხა მეორე მოქვიფემ...

— წინადადება მაქვს შევცავთ გენერალ გრიაზნოვის შესანდობარო, მხედართმთავრისა, მეფის ტახტისა და სამშობლოს უერთგულესი შვილის, დიდი პატრიოტის, ჩვენი მეგობრის მამის, რომელიც ამ დღეებში ვერაგულად მოკლეს...

ყველანი ფეხზე წამოდგნენ და სულმოუთქმელად დაცალეს ჭიჭები.

— ვერაფერი გამიგია, როგორ მოხდა, რომ იმ ნაძირალა ჯორჯიაშვილს იქვე არ გაუსწორდნენ. სასამართლო იქნებაო. ამას რა სასამართლო სჭირდება, ნეტავი ვიცოდე.

— გასასამართლებელი და ჩამოსახროზი მართო ეგ არ არის...

— პოდა, ამიტომაც, ბატონო ოფიცრებო, — ხმამაღლა, მთელის სერიოზულობით მიმართა შეკრებილთა გრიაზნოვმა, — მე გადაწყვიტე დღეს განვახორციელო ჩაფიქრებული შურისძიება. დიახ, დიახ, სრულად უნდა მიეუზლო მამაჩემის მკვლელებს, და, რაღა თქმა უნდა, არამთუ არ დამძრახავთ, არამედ მხარსაც დამიჭერთ!

— რა თქმა უნდა, მაგრამ რანაირად, როგორ? — გაისმა ხმები, — ის ხომ ციხეში ჰყავთ გამოკეტილი...

— მასთან საქმე არა მაქვს, — დაიწყო გრიაზნოვმა, — უნდა გავუსწორდე იმას, ვინც მას ხელში ზომბი ჩაუღო, და ვითომც აქ არაფერ შუაშია, ვითომც ტახტისა და სამშობლოს წინაშე დანაშაული არ მიუძღოდეს, დღეს იგი ყოველგვარ პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლეს და ამ სასტუმროში ოჯახით განცხრომას მისცემია...

— თქვით, ბოლოს და ბოლოს, ვინაგყავთ მხედველობაში, რა იგაგებით გველაპარაკებით? — ახმაურდნენ ოფიცრები, — ხომ იცი, ჩვენი მეგობრის

მტერი — ჩვენი მტერიცაა. მეფისა და სამშობლოს მოღალატე კი ორგზის მტერია!

— მე ვხედები, ვისზეა ლაპარაკი, — თანაგრძნობით ჩაილაპარაკა მაიორმა, — რა თქმა უნდა, სტაროსელსკიზე, ამ მოღალატეზე და გველზე.

— აი, თურმე პოლკოვნიკს ვინ ჰყოლია მხედველობაში! ამ ვაებატონთან ყველა ჩვენგანს აქვს თავისი ანგარიში... და არა მარტო მაგასთან...

— ის თავის გველის წიწილებთან ერთად ამ საატუმროს აპარტამენტებშია გამოკეცილი...

— დიახ, ეს ასეა, ბატონებო. უფრო მეტიც, როცა მისი დანაშაულებრივი ქმედობის შესახებ ყველაფერი გაირკვა, ზოგიერთებმა მის მფარველობაზე ახლაც კი არ აიღო ხელი, საგასგებოდ იცავენ. კაითუ ვინმემ რამე დაუშავოს ან ღმერთმა დაიფაროს, არავინ მოიტაცოს! ხა-ხა-ხა!... გადაიხარხარა და უღვაშები აიგრიხა თავისივე ხუმრობით აღფრთოვანებულმა გაღწევილმა მაიორმა.

— ასეთ გარეწარს ტყვეობით კი არ უნდა გაუწიორდე, აი ამ ბოთლით უნდა დაუჩეჩტვო რევოლუციური თავი! — აღრიღლდა ტანმორჩილი კაპიტანი და შემპანურის სავეს ბოთლი ისეთი ძალით დანარცხა იატაკზე, რომ ვახეთქილი ბოთლის ხმა რესტორანში მყოფთ სროლად მოეჩვენათ და შეერთნენ.

— რაღას ველოდებით? გავუმასპინძლდეთ, როგორც ეკადრება... — წამოიძახა კაპიტანმა, წამოხტა და ბარბაცით რესტორნის კარებისკენ გაემართა.

— არა, მეგობრებო! ეს მე უნდა მოვეულო მაი ბოლო! — შეეკამათა მათ გრიაზნოვი და წინ გაიჭრა. მას სხვებიც მიჰყვნენ და სასტუმროს მეორე სართულს მიაშურეს.

მთვრალი ოფიცრების კამპანია რომ დაინახა, დაცვის უფროსს მარტინოვს ფერი ეცვალა, შეეშინდა.

— საით, ბატონებო? — მიმართა მან ოფიცრებს.

— გზა... — შეუღრინა გრიაზნოვმა,

— თქვენ რომ მეურვეობთ, იმასთან მაქვს ზოგი რამ გასარკვევი!

— შინ არ გახლავთ...

თითქოს ნათქვამი არც კი გაუგონიო, გრიაზნოვმა ისრო რევოლვერი ნომრის კარს ეცა და ტარით ჯახჯახი ატეხა. თან ღრიალებდა: გააღეთო! შემდეგ ოფიცერთა მთელი ზროვა კარს მიაწყდა, შენგრეეაც კი სცადეს, მაგრამ ამაოდ.

— აქი ვითხარით, რომ შინ არ არის მეთქი, აჰა, თვითვე დარწმუნდით. — მარტინოვმა კარი გააღო და მომხდურები ნომერში შეუშვა.

მათ გაჩხრიცეს იქაურობა, საწოლების ქვეშაც კი შეიხედეს, კარალები დაათვალიერეს. დარწმუნდნენ რა, რომ ოთახებში არავინ იყო, მარტინოვს ჩააცოდნენ, არ შეიძლება არ იცოდეს, სად წაივდა სტაროსელსკი, მისამართი გვითხარით.

— სტუმრად წავიდნენ.

— სად, ვისთან?.. მალე, მისამართი

მარტინოვი ჯერ დაიბნა, მერე კი პირველ რაიკ თავში მოუვიდა, ის მისამართი მოსცა. ოფიცრებმა გაასაფხულეს მიაშურეს. მარტინოვი კი ტელეფონს ეძებრა, მეფისნაცვლის სასახლის დაცვის მორიგე ოფიცერს დაუკავშირდა. შექმნილი მდგომარეობა დაწვრილებიდან აუწერა, სთხოვა, ვისაც ჯერ არს ზომების მიღება შეატყობინეო, ჩემი ძალებით ვერაფერს გავხდებო...

ცოტა ხანში ვერონიკოვ-დაშკოვს თანაგმომეშვენი მიეცვივნა, დაურეკა და მოახსენა „ორიანტში“ შექმნილი სიტუაციის შესახებ. ისიც მოუყვა, რომ მიღებული ცნობების თანახმად, რესტორანში ოფიცრები ვილაც მფარველზე ლაყობდნენ, — არ ვიცი, ვინ ჰყავდათ მხედველობაში, — მასაც გაუწიორდებითო... — დასძინა მან.

— ახლა რაღას იტყვით, — სწორე ვიყავი თუ არა ჩემ გადაწყვეტილებაში — ნიშნის მოგებით შენიშნა გრაფმა — ეს მე ვყავდი მაგათ მხედველობაში, მე. სალდაფონს იმდენი სახელ-



მწიფობრივი აზროვნება ვინ მისცა, რომ ღრმად ჩასწვდეს სიტუაციას.

— მართალა ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალეებო!

— არავითარ შემთხვევაში სტაროსელსკიზე თავდასხმა არ უნდა დაეუშვათ. გაიგონ, რომ ძალაუფლება ჩვენს ხელთაა და ეს პარტიზანობა არ გაუვათ...

მალე „ორიანტთან“ ეანდარმებისა და სამხედრო პატრულის ვაჟიერებულნი რაზმი მოვიდა.

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ უფრო გაბელებული ოფიცრების ხროვა კვლავ სასტუმროში შემოიჭრა.

— როგორ გაბედეთ ჩვენი მოტყუება! — გაჰყვიროდნენ ისინი და მარტინოვის ცხვირწინ რევოლვერებს ატრიალებდნენ. თუმცა ისეთი ენერგიულაობით აღარ მოქმედებდნენ, როცა დაინახეს სასახლიდან მოსული გაძლიერებული სამხედრო პატრული. ეტყობოდათ, ალკოჰოლიც გამოსვლოდათ თავიდან.

ამ დროს სტაროსელსკის ეკიპაჟი გამოჩნდა. ოფიცრები ეცნენ მას, მაგრამ დაცვამ ისინი ახლოს არ მიუშვა. სტაროსელსკებმა ძლივს მოასწრეს თავიანთ ნომერში შესვლა და კარების ჩაკეტვა, რომ გრიანოვმა და მისმა რამოდენიმე მეგობარმა მოაბერხეს დასხლტომოდნენ დაცვას, კვლავ მათი ნომრის კარებს ეკვეთნენ, და როცა ვერაფერს ვახდნენ, რევოლვერის ტყვიით დაცხრილეს იგი. გამბეებული ოფიცრები დაცვამ და სამხედრო პატრულმა რის ვაივავლახით გაიყვანეს სასტუმროდან...

— თუ ღმერთი გწამთ, აღარ გაბედოთ ნომრიდან გამოსვლა, ჩვენ ვერ უზრუნველყოფთ თქვენს უსაფრთხოებას. — არწმუნებდა მერე სტაროსელსკებს მარტინოვი...

იმ ღამესვე სასახლიდან გამოგზავნილმა სპეციალურმა ფელდგერმა მარტინოვს სასწრაფო პაკეტი მოუტანა. მას აცალბდნენ უზრუნველყო, რომ სტაროსელსკის 24 საათის განმავლო-

ბაში სამეფისნაცვლოს ფაქტებს და ეტროებიანა. რალა თქმა უნდა, ამ განკარგულებამ უსაზღვროდ გაახარა დაცვის უფროსი და ეს მითითება დაუყოვნებლივ შეატყობინა კლადიმერ ალექსანდრეს იეს.

ცოლ-ქმარი გვიან ღამემდე ბუობდაროგორ მოქცეულიყვნენ, ბოლოს გადაწყვიტეს, რომ კლადიმერ ალექსანდრეს იე მარტო გამგზავრებულყო, ნადედა კი დროებით მეგობრებთან შეაფარებდა თავს; სადაც მათი ბავშვები იყვნენ.

მეორე დილით დაცვის გაძლიერების მიზნით, დამატებითი ძალები გამოგზავნეს, სტაროსელსკი და მისი მეუღლე ფაქტონით ბადრაგის თანხლებით სადგურისაკენ გაეშურნენ. თბილის-მოსკოვის მატარებლის გასვლამდე სულ ცოტა დრო იყო დარჩენილი, როცა ისინი ვაგონთან მიიყვანეს. ეანდარმებმა კი შეკრებილი ცნობისმოყვარეები გაუანტეს. და აი, დადგა ცოლ-ქმრის განშორების ეამი „ვინ იცის, იქნებ სამუდამოდ ვემშვიდობებით“. — გაუელვა მათ აზრმა. მარტინოვმა ვაგონში შესვლა შესთავაზა. კუპეში ორი ეანდარმი იჭდა. სტაროსელსკის დანახვაზე, ფეხზე წამოხტნენ და სამხედრო სალაში მისცეს. მარტინოვმა მათ გარეთ გასვლა უბრძანა და თვითონაც გამოჰყვა.

მეუღლესთან პირისპირ დარჩენილმა კლადიმერმა აღელვება ვეღარ დაფარა. — ნახვამდის, ჩემო ძვირფასო! — ეს უფრო ამოთხერას გავდა, ვიდრე სიტყვები...

— რა თქმა უნდა, ნახვამდის, და არა მშვიდობით, — რაც შეიძლება მხნედ უბასუხა ნადედა.

— შვილებს გაუფრთხილდი... — დარდი ნურაფრის გექნება, მთავარია შენ გვევდე კარგად...

ორივე დადუმდა. თითქოს ადრე რამდენი რამ ჰქონდათ სათქმელი, მაგრამ ყველა საჭირო სიტყვა სადღაც გაჰქრა. კლადიმერმა ცოლის ხელი ფრთხილად მიიზიდა და თითები დაუყოცნა. ნადე-


 გერციხისუღი

ქდამ მეორე ხელი სახეზე მოუთათუნა, მერე შეერღზე მიეყრდნო და გაყუჩდნენ. ორივეს ისე მოეჩვენათ, თითქოს მთელი სამყარო ამ პატარა კუბეთი შემოიფარგლაო... უცერად სადგურის ზარის რეკვამ გამოარკვია ისინი და მწარე სინამდვილე შეაგრძნობინა. მისი თვითეული ბგერა ბედისწერის მძიმე დარტყმასავით აღიქვეს. კიდევ წამიღდა ვლადიმერს მატარებელი გააქანებს.

ნადეჟდას ცრემლები მოერიდა და სწრაფად გავიდა კუბედან.

\*\*\*

იმ დღეს ძლიერი ქარიშხალი მძვინვარებდა. ისეთი გააფთრებით ვძგვრებოდა ყველაფერს, თითქოს იქაურობის მოსპობა, ხეების ამოძირკვა და შენობების დანგრევა სურდა. ქარი აწყდებოდა სიმონ თოლორდაევს ქოხს, გადამწვარი ოდის ნაფოქვარზე რომ იდგა. ის ამ შემოტევას მხოლოდ იმიტომ უძლებდა, რომ რამდენჯერაც ეკვეთებოდა ზუზუნით ქარი, კედლების განიერ ხვრელებშიც ადვილად გაინავარდებდა ხოლმე. აქ, ქოხში, უფრო ციოდა, ვიდრე გარეთ. კუთხეში იჯდა ორად მოკუნტული, ძონძებში გახვეული თებრო. ხანდახან ისეთი ხველა უტყდებოდა, რომ ლამის ახრჩობდა, მთელი ტანით თრთოდა; იქვე გვერდით, ტახტზე, ძველ ფარაქაფარებული ვილაც კაცი იწვა. ქოხში თინა ტრიალებდა. გოგონას ძველი, გაცრეცილი კაბა სიცივისგან ვერ იცავდა. იგი შუაცეცხლის დანთების თადარიგში იყო. შემას აწყობდა, ნაფოტსა და ხმელ ფოთლებსაც იხმარებდა. აი, აბედი აილო, კვესი გაპკრა, ციციანათელასავით აინთო ნაპერწკალი. მერე ხელის აქეთ-იქით ქნევით გააჩალა. ცოტაც და ცეცხლი აგიზგიზდა, ალმა შეშაზე მზიარული როკვა იწყო. ზედადგარზე ლობიოთი საცხე ქვაბი შედგა, მერე იქვე სამფეხა სკამზე ჩამოჯდა, ცეცხლის ალს მიაშტერდა და მოგონებებისა და ოცნებების მორევში ჩაიძირა. მის ლამაზ სახეს ხან

რალაც ჩრდილი გადაეფარებოდა. წინა ნაც სინათლით ვაცისკროვნებოდა.

...გახსენდა, იმ დღეს თავის სახლთან ყავარჯნებზე დაყრდნობილ პეტკოს მოულოდნელად რომ შეეფეთა. მართალია, ძალიან გამოცვლილიყო, მაგრამ თინამ მაშინვე იცნო. ახლა მის წინ იდგა მალალი, ძალზე გამზდარი მამაკაცი. ეტყობოდა, მძიმე ავადმყოფობა გადაეცინა. ეს გაყვითლებული, ცალფეხა კაცი მხოლოდ შორეულადლა მოგაგონებდათ იმ მძლავრ, ჯან-ლონით საცხე ვაჟკაცს. „ღმერთო ჩემო, რა დამართვია ამ გოლიათს!“ — გაიფიქრა გოგონამ. თვალნათლივ წარმოუდგა მონასტერში მომხდარი ამბავი, მისი კეთილშობილური საქციელი, — ქალიშვილი სირცხვილსა და გაუბედურებას რომ გადაარჩინა. რამდენჯერ უფიქრია თინას იმ დღეზე, რამდენი კეთილი გრძნობა აღძვრია მას ამ კაცის მიმართ, ის კი არა, მის გახსენებაზე გული გამალეებით ბეგრჯერ ასძგერებია. ვერ გაეგო, ეს უბრალო მადლიერების გრძნობა იყო, თუ უფრო მეტი რამ... და აი, ის კაცი, ახლა დაუძღურებული და ხეიბარი, მის წინაა. თითქოს განვლილმა თვეებმა დავიწყებას მისცა ყველაფერი, მაგრამ თურმე ეს ასე არ ყოფილა. თინას ამ შეხვედრამ სული აუფორიაქა, გაწითლდა, გული აუჩქარდა.

— თინა, ეს შენა ხარ? — შეეხმინა პეტკო.

— ჰო, მე ვარ!

— გამარჯობა...

— გავიმარჯოთ... — ექოსავით გამოეპასუხა გოგონა.

— ეს რამდენიმე დღეა, რაც ქუთაისის ჰოსპიტლიდან გამოვეწერე. ძლივს ჩამოვალწიე აქამდე. სიმონმა მითხრა, ჭრჭერობით ჩემს სახლში შეგიკედლებო... — თქვა პეტკომ და შეცბა, სიტყვა გაუწყდა. თინა მიუხვდა, სევდიანი მზერა მიაპყრო ქოხს. მართლაც, სადღაა სახლი? სადღაა კედლები?

— ესღა დარჩა ჩვენი ოდისგან. — თითქოს თავი იმართლა ქალიშვილმა.

მერე უცებ გამოერკვა, დაფატურდა:

— მობრძანდით, მობრძანდით, გეთყუა...

პეტკო შეყოყმანდა.

— გამოგიტყდებით, ამ მხარეში ახლობელი არავინ მყავს. მშობლიურ სტანიცაში ჩასასვლელად კი ჭერჭერობით ძალა არ შემწევს...

— შემობრძანდით, შემობრძანდით! — უფრო დაბეჭითებით შეიპატიეთ თინამ.

უცებ პეტკო გაფითრდა, შეტორტმანდა. თინა შეეშველა.

— მადლობთ, — ჩუმად თქვა მან და ძლივსძლივობით წელში გაიმართა. რომ არ წაქცეულიყო, თინამ ერთი ხელი წელზე მოხვია, მეორე კი მაჯაში ჩაავლო და აქ... თავისი ნაკბილარი იცნო.

...მერე... მერე პეტკოს ფეხზე ჭრილობა გაეხსნა, სიცხემ აუწია. გოგონას მოვლა-პატრონობამ და თებროს სამკურნალო ბალახებისაგან დამზადებულმა მალამომ თავისი გააკეთა და, როგორც იქნა, პეტკო სიკვდილს გადაარჩინეს...

— რამ ჩაგაფიქრა, შვილო? — მიეაღერა დედა და მხარზე ხელი დაადო.

თინა გამოერკვა, არაფერი უპასუხა, მხოლოდ ლოყა მიადო დედის თბილ დანაოქებულ ხელს. და კვლავ გაირინდა, უცებ კენესა მოესმა. წამოხტა, ავადმყოფთან მივიდა. შუბლიდან ტილო მოაკალა, ძმარწყალში გაავლო და ხელახლა შუბლზე დაადო.

— არაფერია, პეტკო, მალე ადგები. ჭრილობა შეხორცდა. ბევრი სისხლი დაკარგე და ამან დაგასუსტა.

— მადლობთ, ჩემო ძვირფასო, მადლობთ. ხელზე მოეფერა პეტკო და მერე იკითხა:

— ჯაბუ არ მოსულა?

— არა, ზომ იცი, მასზე პოლიცია ნადირობს. ამის შიშით დღისით ვერსად გამოჩენილა.

ამ დროს ბავშვის გაკაპანებული ტირილი მოისმა. თინა აკვანთან მივიდა, დაარწია, წყალი დაალევინა, მაგრამ ბალღი არ ცხრებოდა.

— მშვიერია, საბრალო ეტყვი, — მიეაღერა ჩანს, — სინანულს უყვარს და ნამ.

კარზე ვილაყამ დააკაუნა და ზღურბლზე ნაბადმობურული, ყაბალახმობგვეული ჯაბუ გამოჩნდა. მალე ტასიკოც მოვიდა.

— აქა მშვიდობა, — თქვა ჯაბუმ, ნაბადი იქვე მიადო, ყაბალახი მოიხსნა და აკვანთან მივიდა.

— აბა, ლტუ, შვილიკო, ერთი შეხედე მამას. რა გატირებს, ყაბახო? ეპ, უბედური დედაშენი, ისიც არ დასცალდა, ერთხელ მაინც რომ მოგფერებოდა.

— შენ გენაცვალე, შენა, ჩემო პაწიავ, ისეთი ბიჭი გიზრდები, ავ თვალს არ დაენახებდი! — მიეფერა ჩვილს ტასიკო და აკვანთან დაიხარა.

ბავშვმა იმწამსვე იყუჩა. მალე ძუძუს დაწაფებული ტუჩების გემრიელი წკლაპუნი გაისმა.

— როგორაა საქმე, ძამიკო? ჩანს, შენს გამოჩანმრთელებას და ჭორწილს ერთად გადავიხდით, — ესა თქვა ჯაბუმ და თინას ეშმაკურად გადახედა.

თინა გაწითლდა და თავი მორცხვად ჩაქინდა.

— ეპ, ჩემო ჯაბუ, კარგია, თუ თინამ მომიხსნა, აბა, რისთვის მომბარუნა საიქიოდან ეს ხეიბარი კაცი... — ნღვლიანად ჩაილაპარაკა პეტკომ, პასუხის მოლოდინში თინას ცერად გახედა.

ის დუმდა.

— რა დაგემართა, შე ქალო, დამუნჯდი? — შეუტია ძამამ.

— რა უნდა ვთქვა, შენც და პეტკომაც კარგად იცით ყველაფერი...

— აბა, მალე ჭორწილი გვიჰამია და ეგ არის, — გაიღიმა ჯაბუმ და დანაყრებული შვილის აკვანთან მივიდა.

ამ დროს კარზე კაკუნნი გაისმა და ოთახში მალაღი, ხმელ-ხმელი ვაჟი შემოვიდა.

— ზაურს გაუმარჯოს! — მხიარულად შეეგებნენ შინაურები. ხელში პარკი ეჭირა, მხარზე კი ომბოხი ჰქონდა გადებული.

— ეს რა ზარბაზანი მოგიტანია? — გაეხუმრა პეტკო.

— მოიზომე! — და ზაურმა ომბოხი ავადმყოფის ტახტს მიაყუდა.

— ყოჩაღ, ბიჭო! — აღფრთოვანდა პეტკო და ხელი საგულდაგულოდ გათლილ და გაშალაშინებულ ხის ფეხს გაუსვა.

— დიდი მადლობა, ძმაო...

— რაც მართალია, მართალია, კეთილი ბიჭი ხარ! ღმერთმა მოგვეცა ბედნიერება და სიხარული, — არ დაიშურეს ქალებმა მადლობის სიტყვები. ზაურმა დაირცხვინა, და ეს რომ დაეფარა, გაიმეორა, — მოიზომე, მოიზომე!

პეტკო ლოგინიდან წამოიწია, სცადა ტაკვი ხის გამოფულრულ ნაწილში მოერგო. ზაური და თინა ეხმარებოდნენ. მას სიმწერის ოფლმა დაასხა. ოსტატმა თავისი ნახელავი შეათვალიერა, რაღაცა მოზომა.

— მოიხსენი!

პარკიდან პატარა ნაჯახი და სატეხი ამოიღო. მუშაობაში ეტყობოდა, რომ დურგლობაში გვარიანად იყო გააწვდილი, ფულურთა ცოტა გააფართოვა, გააღრმავა, მერე ტილოც ჩააფინა, ნაიარევი რომ არ სტყენოდა, ხელახლა სთხოვა პეტკოს, მოიზომეო.

— არა უჭირს რა, მიეჩვევი და ივლი კი არა, ირბენ კიდეც, — დაამხედა ზაურმა ავადმყოფი.

თინამ შეატყო, რომ ყოველივე ამან პეტკო დაღალა და სიფითრემ გადაჰკრა სახეზე.

— დაისვენე, პეტკო... გენაცვალე, — მზრუნველად უთხრა თინამ.

ისიც წამოწვა, ხელი გაოფლიანებულ შუბლზე მოისვა და თვალები მილულა.

კარი ისევ გაიღო და ახლა ორი შეიარაღებული ჯარისკაცი შემოვიდა.

— „ექზეკუტორები“ მოვიდნენ, — თვალები გაახილა და ღიმილი შეაგება პეტკომ.

— ღმერთმა ყველას მოუვლინოს

ასეთი „ექზეკუტორები“ ჩველასა-  
რაცა თებრომ.

— ტარასი, ტრიფონ, ძვირფასებო, ცეცხლთან ჩამოყეპით, გაითოშებოდით ამ ქარბუქში.

მათაც თოფები კარებთან მიაყუდეს და ხელები ცეცხლს მიაფიცეს. ოთახის კუთხიდან ჯაბუ გამოვიდა.

— გამარჯობათ, ბიჭებო!

— შენა ხარ, ჯაბუ? გავიმარჯოს! — როგორც ძველ ნაცნობს, ისე მიესალმნენ ჯარისკაცები. ფარაჯის ჯიბეებიდან ქონისა და შვიი პურის ნაჭრები ამოიღეს.

— ე ბიჭო, რისთვის შეწუხდით, ჭადი გვაქვს, აგერ ლობიოც იხარშება. — თქვა თებრომ.

— არა უშავს, დედი, ვალში არ დავრჩები. აი, წამოვდგები ფეხზე... — პეტკომ წამით დახედა თავის ცალ ფეხს, მერე კი განაგრძო:

— მადლობთ, ბიჭებო, რაც მართალია, მართალია, საჭმლის საქმე მთლად კარგად არა გვაქვს, თანაც ამ ჭადს ჭერ-ჭერობით რატომღაც ვერ შევეწყვე, ეტყობა, გემო ვერ გავუგამ. — გაიღიმა პეტკომ.

— მიირთვი, მიირთვი...

— რა ბედნიერებაა, რომ თქვენ ასეთი კარგი და კეთილი ბიჭები შეგვხვდით, — თქვა ჯაბუმ, — ზოგს ადამიანები კი არა ნამდვილი მხეცები შეხვდნენ. გლახების უკანასკნელ სარჩოს ართმევენ, აბუხად იგდებენ...

— მართალი ხარ, — სიტყვა გააწყვეტინა პეტკომ, — ისე ექცევიან, თითქოს მათსავით გაჭირვებული მუშები-სა და გლახების შვილები არ იყვნენ. ჯარისკაცებს ისინი მტრები ჰგონიან. ჩვენ კი, ბოლშევიკებმა, ვერ შევქელით, სალდათთა ძირითადი მასებისათვის კარგად აგვეხსნა, რომ ჩვენ ერთი საერთო მტერი გვყავს — ცარიზმი!

— მართალი ხარ, პეტკო, — დაეთანხმნენ ტარასი და ტრიფონი, — ჩვენ, ჯარისკაცებმა თოფები ოფიცრებსა და მდიდრებს რომ მოვუღეროთ, მაშინ მე-

ფეს დიდი ხანია იმ პირგამომპალი ტა-  
ხტიდან ვაღმოვაგებდით.

— ალიხანოვის წარისკაცებმა კი ჩვე-  
ნი სოფლები გადაბუგეს, — ჩაერთო  
საუბარში ჯაბუ, — ხოცავენ და ქლე-  
ტენ უდანაშაულო ხალხს.

— ეპ, ნეტა როგორ არის ჩვენი  
მფარველი და მეგობარი, ძვირფასი  
ლადო, — ამოიხრა ზაურმა, — ყო-  
ფილიყო ის აქ, უჩვენებდა მავთელ სე-  
რის.

— ღმერთმა ჯანი და ბედნიერება მი-  
სცეს. რამდენი წიკეთე გეახსოვს მის-  
გან. ჯერ იყო და ვაზი გადაგვირჩინა  
და შიმშილი აგვაცდინა, ახლა რამდენი  
დარბევისაგან და სისხლის ღვრისა-  
გან იხსნა ხალხი, იმას ვილა მოთვლის,  
— გამოეხმაურა ზაურს ჯაბუ.

— ამბობენ, იმ საცოდავს ჩვენი გუ-  
ლისათვის ჩამოხრჩობა ელისო.

— სისხლისმსმელი ალიხანოვ-ავარ-  
სკისაგან ყველაფერი უბედურებაა მო-  
სალოდნელი, — ჩაურთო თებრომ.

— ვერ გაბედავენ!

— ამბობ, ვერ გაბედავენო? ახლა  
რალა დაუშლით, ვერა ხედავ, ჩვენ უკ-  
ვე ძალა აღარა ვართ, გავგანადგურეს.  
— შენიშნა ჯაბუმ.

— რეეოლუციონერებს წუწუნი არ  
შეჰფერით, დამარცხებამ ბევრი რამ  
გვასწავლა, — დაიწყო პეტკომ, — და-  
მიჭერეთ, მოვა დრო და ჩვენ სათქმელს  
კიდევ ვიტყვი. სტაროსელსკებს, მა-  
დლობა ღმერთს, მგონია, არაფერი  
უჭირთ. აი, გუშინ ზაგორუციკომ გაზეთ  
„ვოლიას“ ორი სხვადასხვა ნომერი მო-  
იტანა ვლადიმერ ალექსანდროვიჩისა  
და ნადეჟდა კონსტანტინოვნას სტატი-  
ებით.

პეტკომ თინას ანიშნა და იმანაც კა-  
რადის ქვევიდან დაეუჭული ფურცლე-  
ბი ამოიღო.

— პირდაპირ გასაოცარია, თავად  
სიკვდილის საფრთხე ემუქრებათ, ჩვენ  
კი მაინც არ გვივიწყებენ, რუსეთის  
ყველა პატიოსან ადამიანს მოუწოდებ-  
ენ, რომ ჩვენს დასაცავად აღსდგნენ.—  
თქვა თინამ, ხელისგულით გაზეთის  
გვერდი გაასწორა და პეტკოს გადას-

ცა, — წაიკითხო. მან ხამამდე დაიწყო  
ყო კითხვა:

„თქვენ გესმით, რუსეთის მოქალა-  
ქენო, — წერდა ვლადიმერი, — მსხვე-  
რპლთა კენესა, მათი ქმრების, მამების,  
ძმების მოთქმა. მერე-და იცით, ასე ვე-  
ლურად რისთვის ისჯებიან ისინი? იმი-  
სათვის, რომ ქართველები შეგნებუ-  
ლად, შეუპოვრად და თავდაუზოგავად  
მიდიოდნენ თავისუფლების მოპოვების  
გზით. ყოველგვარი სეპარატიზმისგან  
შორს მდგომნი, ისინი მოითხოვდნენ  
თავისუფლებას მთელი რუსეთისათ-  
ვის“.

— შესანიშნავი სიტყვებია! — გა-  
ისმა კარებიდან ვილაცის ხმა. ეს სიმო-  
ნი იყო, ორ ამხანაგთან ერთად შეუმჩ-  
ნევლად რომ შემოსულიყო. გაოცებუ-  
ლებმა, ყველამ მათკენ იბრუნა პირი.  
— ეს სწორია! — თქვა სიმონმა. —  
ჩვენ ხომ მარტო საეუთარი თავისუფ-  
ლებისათვის არ ვღვრივთ ამდენ  
სისხლს...

პეტკომ კითხვა განაგრძო:

„გამოეხმაურეთ, რუსეთის მოქალა-  
ქენო, თქვენი ძმები — ქართველები,  
სრული უფლებით ელოდებიან თქვენს  
თანაგრძობას: ნუ განაცდევინებთ ახალ  
ტანჯვას — ძმური გრძობების გაცრუ-  
ებას, რის შემდეგ ისინი ზურგს შეგა-  
ქევენ. დუმილი ამ დროს საშინელი  
რამ არის.“

ველური ანგარიშსწორება საქართ-  
ველოში აუცილებლობით არ იყო გა-  
მოწვეული. რისთვის მოხდა ეს ბარბა-  
როსული ანგარიშსწორება, რისთვის?

გამოეხმაურეთ, რუსეთის მოქალაქე-  
ნო, თქვით თქვენი სიტყვა, შეაჩვენეთ,  
დაგმეთ დამნაშავეები და პასუხისმგე-  
ბელნი. გაერთიანდით სიმართლის მო-  
თხოვნაში“...

პეტკო დადუმდა... სიჩუმე ჩამოვარ-  
და, მერე ყველა აღაპარაკდა. ეტყო-  
ბოდათ, წერილის სიტყვები გულში  
ჩასწვდათ.

— აი, კეშმარიტად ღვთისნიერი  
ადამიანი. ღმერთმა დიდხანს აცოცხ-  
ლოს და ბედნიერება მისცეს. — ლო-

ცვასავით წარმოთქვა თებრომ და პირველი გადიწერა.

— ახლა პეტკო, სტაროსელსკის ცოლის წერილიც წაიკითხე. პირდაპირ გულში ჩამწვდომია.

— წაიკითხე, პეტკო, წაიკითხე! — გაიხმა ხმები.

იმანაც მეორე გაზეთი გადაშალა და დაიწყო:

„ჩვენ მოგვიწოდებენ ჩვენი დების დასაცავად. ნუთუ თქვენ, რუსო ქალებო, გულგრილნი დარჩებით? ნუთუ არ გამოექომაგებით დებს, ნუთუ გულგრილად წაიკითხავთ გაუთავებელ ამბებს იმის თაობაზე, თუ როგორ აწამებენ მცირეწლოვნებს? გამოეხმაურეთ, აღიმადღეთ თავისუფალი და თამამი ხმა, დაე, თქვენი პროტესტი ქუბილის ექოსავით მოედოს საქართველოს ველებსა და ხეობებს“.

— ნუთუ მოიძებნება ამ სტრიქონების წამკითხველი თუნდაც ერთი ქალი, რომელსაც გული ტკივილისაგან, შეურაცხყოფელი გრძობისგან არ აუთრთოლდება, არ აუტოკდება?!

— ყოჩაღ, ქალბატონო ნადია! — აღელვებით წარმოთქვა ტასიკომ.

„...ქალებო! ვინც არ უნდა იყოთ, — რუსები, ქართველები, სომხები, მუსულმანები, — განაგრძობდა პეტკო, — თქვენსკენაა მომართული ჩემი გულის ტკივილი და ძახილი. ყველა უნდა გავერთიანდეთ! ჩვენ უნდა მოვითხოვოთ: შეწყდეს ძალადობა! ჩვენ უნდა მოვითხოვოთ დამნაშავეების დასჯა, იმათი, ვინც შეურაცხო უდანაშაულო ქალების ღირსება, ვინც პატივი აწყარა მათ.“

მე მტკიცედ მწამს, რომ ჩვენი ხმა არ დარჩება ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა, რომ ის გამოხმაურებას სპოვებს ყველას გულში, ვისაც ჰყავს დედა, და, ან ქალიშვილი. მე მჭერა — ქვეყნად ქეშპარიტების არსებობისა და რომ საბოლოოდ იზვიემებს იგი“.

შეკრებილნი დიდის ყურადღებით და მღელვარებით უსმენდნენ პეტკოს. ქალები ვიწვიებდნენ და თავებს აქნევდნენ, ხილაბანდის ბოლოთი ცრემლებს

იმენდდნენ. კაცები მოყვებულნი შეიკუმხნენ.

სტაროსელსკების წერილებმა ყველა იქ მყოფი დამუხტა და შთაუნერგა რწმენა, რომ მოძალადეებს საკადრისი სასჯელი არ ასცდებათ, რომ არავითარ რეპრესიებს არ ძალუძთ ხალხის აბოზოქრებული ტალღის ჩახშობა, ადრე თუ გვიან, ცარიზმი აღიგვება პირისაგან მიწისა!

— პო, შვილო, — ზეაწეული ტონით დაიწყო თებრომ. — იცოდე, მარტო იმის ფიქრით, რომ შენ, ჩემს შვილს, რაიმე ხიფათი შეიძლება შეგემთხვეს, დედის გული იმდღერება და იდაგება, მაგრამ დედის ვალი მაიძულებს გითხრა: — იძიე, შვილო, შური! იძიე შური ამდენი უდანაშაულო მსხვერპლისა და შელახული პატივისათვის. ღმერთმა ხელი მოგიმართოს და ჭირი გაშოროს, დამილოცნიხარ!

სიმონი დედასთან მივიდა, ჯერ თავი მკერდზე დაადო, მერე დაიჩოქა მის წინ. თებრომ ხელით თავზე წრე შემოხაზა, პირველი გადასწერა...

\* \* \*

რევოლუციური მოძრაობის არნახული გაქანებით შეშინებულმა თვითმპყრობელობამ შენიშნა, რომ მასები გადამწყვეტი დარტყმისათვის მოუშაადებული აღმოჩნდნენ, მათ მოქმედებაში აშკარად იგრძნობოდა შეუთანხმებლობა. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლეს რეაქციის ბნელმა ძალებმა და კონტრშეტევაზე გადასვლა გადაწყვიტეს. მალე სისტლიანი რეპრესიები თავს დაატეხა ხალხს. განსაკუთრებით კი ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ ქვეყნებოდა ერთიმეორეზე უფრო სასტიკი „ბრძანებულებები“, „რესკრიპტები“, „უქვეშევრდომილესი მოხსენებები“, „განკარგულებები“... „იფეთქებს თუ არა აჯანყება...—ბრძანებდა უაგვუსტოვის მთავარსარდალი ნიკოლოზ მეორე, — თავი უნდა მოუყაროთ რეზერვებს და იმოქმედოთ, ვიდრე მთელი წინააღმდეგობა და ყველა მოწინააღმდეგე არ იქნება აღგვილი პირისაგან მიწისა.“

ჩანასახშივე დაუნდობლად უნდა ჩახშობილ იქნას ნებისმიერი აჯანყების ცდაც კი, თანაც ეს ისეთი სისასტიკით უნდა გაკეთდეს, რომ დაკარგონ მისი ხელახალი მოწყობის ყოველგვარი სურვილი“.

რევოლუციის ჩახშობის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თემქლომარე გრაფი ვიტე, ამტკიცებდა, რომ, რაკი ამბოხება დაიწყო, საჭიროა ვიმოქმედოთ... „ყოველგვარი სანტიმენტალობის გარეშე“... „როცა წარმოებს ხოცვა-ჟლეტა ბარეკადებთან, სამხედროები უნდა დარჩნენ, პირველ ყოვლისა, სამხედროებდა და ჯარი ჯარად. სხვაფრივ ეს უკვე ჯარი აღარ იქნება. მათ უშუალო მეთაურებს ჩვენ ვერ მოვთხოვთ ბისმარკისეულ დიპლომატიურ ნიჭს“. ვიტეს მთავრობამ საიდუმლო ცირკულარების მთელი სერია გამოსცა, რომლებიც სასამართლოსა და ძიების გარეშე აქანონებდნენ დახვრეტას, დაპატიმრებებს, აღმინისტრაციულ გასახლებებს. 1905 წლის 15 დეკემბერს სამხედრო მინისტრის სახელზე გამოცემული ცირკულარით ჯარებს ევალებოდათ „ყოველგვარი მერყეობის გარეშე უწყსრიგობის დაუყოვნებლივ აღსაკვეთად იარაღი გამოეყენებიათ“.

რეპრესიების სისტემის სრულყოფაში, მის გამკაცრებაში „ნიჭისა“ და შესაძლებლობისადგეარად თავიანთი წვლილი შექმნა და ყველას, ვინც კი ძალაუფლების საქესთან იდგა. შინაგან საქმეთა მინისტრი დურნოვო ადგილობრივ ხელისუფალთ ურჩევდა დაუყოვნებლივ „...იარაღის ძალით მოესპოთ მეამბოხეები, ხოლო წინააღმდეგობის გაწყვეის შემთხვევაში — გადაებუგათ მათი სახლები“. „...ამჟამად აუცილებელია, — ბრძანებდა იგი, — ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას თვითნებობა, ესე იგი, ახლა დაპატიმრებებით მიზანს ვერ მივალწევთ. შეუძლებელია ასობით და ათასობით ადამიანის გასამართლება...“

რეპრესიების გამძაფრებულმა თავისი წვლილი შეიტანა მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმაც. მან მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელზე „უმდაბლესი“ წინადადება წამოაყენა: „...ჯარების მოქმედებას უწყსრიგობის დროს ჰქონდეს არა გამაფრთხილებელი, არამედ დამორგუნველი ხასიათი“. ეს წინადადება თვითმპყრობელს იმდენად მოეწონა, რომ არაჩვეულებრივად ლაკონიური და მეტად „მეტყველი“ რეზოლუცია დაადო: „დიხა!“ დიდის აღფრთოვანებით მიიღო მან გრაფის ის წინადადებაც, რომელიც ითვალისწინებდა ჰაერში უტყვიო ვაზნებით სროლის აკრძალვას, რათა „...შეიარაღებული ჯარების მოქმედებას სამხედრო ძალის ნამდვილი გამოყენების ხასიათი ჰქონოდა და არა დაშინებისა“.

დღეები დღეებს მისდევდა... ღვარად მიედინებოდა ადამიანთა სისხლისა და ცრემლის ნაკადი, დამსჯელი მანქანა მთელის დატვირთვით მუშაობდა. ადამიანებს განუყოფად ხვრეტდნენ. მეფის ნება-სურვილის თანახმად სამხედრო სარდლობას ეკისრებოდა სასიკვდილო განაჩენების სასწრაფოდ სისარულეში მოყვანა, რათა ვერ მოესწროთ თვითმპყრობელის ისეთი „წერილობანებით“ შეწყუბება, როგორც შეწყულების თხოვნებით დროის წართმევა გახლდათ.

— იზრუნეთ იმაზე, — ნათქვამი იყო საგანგებო მითითებაში, — რომ ასეთ საქმეებზე ხელმწიფე-იმპერატორის სახელზე არ იგზავნებოდეს დეპეშები.

ალბათ, ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა კრონშტადტის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი ივანოვი, როცა ჩიოდა — სესტორეცეთან პოლიტიკური დამნაშავეების ჩამოხრჩობისას წარამარა გვიხდება სახრჩობელების გამართვა და დაშლაო, ამაზე კი ბევრი დრო იკარგებოდა...

ასე, ამგვარად, რევოლუციამ, მართალია, დიდი და მძიმე დარტყმა აგვამა თვითმპყრობელობას, საფუძვლიანად შეარყია მეფის ტახტი, მაგრამ თვი-

თონაც დამარცხდა, თუმცა შექმნა მტკიცე საფუძველი მომავალი გადაწყვეტი შეტაკებისათვის. პროლეტარიატმა და მისმა ავანგარდმა — ბოლშევიკურმა პარტიამ დიდი პოლიტიკური გამოცდილება მიიღეს. როგორც შემდგომში დიდმა ლენინმა ზუსტად, ღრმად და ხატოვნად აღნიშნა, რუსეთის პირველი რევოლუცია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გენერალური რეპეტიცია იყო.

რეპეტიციის აღვირახსნილი თარეშის პირობებში პარტიის მთავარი ამოცანა იყო განადგურებისაგან გადაერჩინა კადრები, მებრძოლი რაზმები. მრავალი რევოლუციონერი ღრმა იატაკქვეშეთში გადავიდა. ზოგი საზღვარგარეთ, კერძოდ, საფრანგეთში, პარიზში, ემიგრაციაში აღმოჩნდა; ეს ქალაქი განსაკუთრებით იმით იზიდავდათ, რომ იქ ამ დროს ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მოღვაწეობდა.

პოლიტიკური ემიგრაციის გაძლიერება, განსაკუთრებით კი პარიზში, სადაც მისი ცენტრი იყო, მეფის საზღვარგარეთულ აგენტურას მოსვენებას არ აძლევდა. ფარულმა მეთვალყურეობამ და ჯაშუშობამ აქ ჰემმარტად გლობალური ხასიათი მიიღო. საქმე კუროიზებამდეც კი მიდიოდა. მაშინდელი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვიტე იგონებდა, რომ როცა პარიზში სამსახურებრივ საქმეზე ჩავედი, ვინმე მანუილოვმა წინასწარ ბოდიში მომიხადა, „არ გავვირისხნდეთ, თუ შეატყობთ, რომ ფარული აგენტები გითვალთვალებენო“.

ეკროპაში რუს რევოლუციონერებზე ოხრანკის ნადირობას შეუერთდა კაიზერის პოლიციაც, რომელსაც ფონ შილანი შეფიქვდა. ის მეფის ოხრანკის საზღვარგარეთული აგენტურის შეფს, პარიზში რადავეს სისტემატურად გადასცემდა ცნობებს გერმანიაში რუსული რევოლუციური ემიგრაციის საქმიანობის შესახებ. თავის დროზე ბერლინელმა ჯაშუშებმა დააპატიმრეს და მე-

ფის ხელისუფალთ გადასცეს ბოლშევიკი კამო.

\*\*\*

სტაროსელსკი გასამართლებას რომ გადაურჩა, მას შეეძლო რევოლუციურ მოძრაობას ჩამოშორებოდა და „ახალი ცხოვრება“ დაეწყო, მაგრამ ეს მან არ ისურვა, რადგან ეწინააღმდეგებოდა მის ბუნებას, მისი ცხოვრების კრედოს...

თბილისი რომ დატოვა, ვლადიმერ სტაროსელსკი ერთხანს პეტერბურგში დაფუნდა. აქ ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით გურიის აჯანყების შესახებ, იბეჭდებოდა პრესაში.

1906 წლის 20 თებერვალს პეტერბურგის გაზეთმა „ბირჟევე ვედომოსტიმ“ გამოაქვეყნა საუბარი სტაროსელსკისთან. ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ მკითხველებს დაწვრილებით მოუთხრო ქუთაისის გუბერნიაში აჯანყების სოციალურ-ეკონომიკური ფესვების შესახებ. კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რას წარმოადგენს კავკასიის ახალი დამპყრობელი ალიხანოვ-ავარსკი, სტაროსელსკიმ მთელი გულწრფელობით უპასუხა: „ჩემი აზრით, ეს არის ხიშტის, როგორც დამამშვიდებელი ღონისძიების, შეუდრეკელი მომხრე. ასეთი შეხედულებების ადამიანები კავკასიაში ცოტა როდია. ეს თავგამოდებული პოლიციელია, რომელიც თვლის, რომ ძალა წესრიგის აღდგენის საუკეთესო საშუალებაა“.

აქვე დავძენთ, რომ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით ალიხანოვ-ავარსკი და გეგამოვი სიცოცხლეს გამოასალმეს.

1907 წელს სტაროსელსკიმ ეურნალ „ბილოვ“-ში გამოაქვეყნა ორი ვრცელი ნარკვევი „გლუხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში“ და „თავისუფლების დღეები ქუთაისის გუბერნიაში“. ამ მასალების დასტამბვა იმის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ, რომ ხელისუფლებამ ეს ეურნალი დახურა.

სტაროსელსკი მალე პეტერბურგიდან ეკატერინოდარში გაემგზავრა. აქ

1907 წელს ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდა. ის კოოპტირებულ იქნა რსდმპ ყუბანის საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში და საოლქო კომიტეტის მდივნადაც აირჩიეს, შემდეგ კი რსდმპ ჩრდილო კავკასიის კავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ. იმავე წელს ჩრდილო კავკასიის ორგანიზაციიდან ის არჩეულ იქნა რსდმპ მეოთხე („მესამე საერთო რუსეთის“) კონფერენციის დელეგატად, რომელიც 1907 წლის 18 ნოემბერს ჰელსინგფორსში გაიხსნა...

ეკატერინოდარში ყოფნისას ის კვლავ ოხრანკის მეთვალყურეობის სფეროში მოექცა. აი, რა მოახსენა შინაგან საქმეთა მინისტრმა სტოლიპინმა ნიკოლოზ მეორეს: „7 თებერვალს ქალაქ ეკატერინოდარში წააწყდნენ ჩრდილო კავკასიის სოციალ-დემოკრატიული კავშირის 17 წარმომადგენლის შეკრებას. მათ შორის აღმოჩნდა ქუთაისის ყოფილი გუბერნატორი სტაროსელსკი, რომელიც, აგენტურული მონაცემებით, აღნიშნულ კავშირს სათავეში უდგას“.

შონარქი, ამ შეტყობინებამ წონასწორობიდან გამოიყვანა: „ერთი შეხედვით, ეს შეამბოხე, რომელმაც ამდენი დავიდარაბა და უსიამოვნება მოგვაცენა, კიდევ ბოგინობს და თავის შავბნელ საქმეზე ხელი არ აუღია“.

გაუსევა რა მორთმეულ სიაში ლურჯი ფანჭრით ხაზი სტაროსელსკის გვარს, მიაწერა: „იმედია, ის დაპატიმრებულია“.

...მართალია, სხვებთან ერთად სტაროსელსკიც დააპატიმრეს, მაგრამ მისი ბინის გაჩხრეკისას პოლიციელებს ფვარილაში გადაცემული ვრონცოვ-დაშკოვის წერილი ჩაუვარდათ ხელში, რომელშიც გრაფი ფრიალ მეგობრულად მიმართავდა სტაროსელსკის; ამან „კანონის დამკველები“ დააბნია. სიფრთხილეს თავი არა სტკივო, და ყოველ შემთხვევისათვის სტაროსელსკი პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს. ხოლო როცა „ზევიდან“ მის დაპატიმრებაზე კატეგორიული განკა-

რტულება მოვიდა, გვიანლა იყო, სტაროსელსკიმ, რომელიც მონაწილეობდა საფრთხის თაობაზე მისმა შეგობრებმა ბიბლიეიშვილმა და ტიმონინმა გააფრთხილეს, ეკატერინოდარიდან პეტერბურგს მიაშურა, საიდანაც ფარულად მარსელს გაემგზავრა, იქიდან კი პარიზში ჩავიდა. აქ ის ბოლშევიკური პარტიის ემიგრანტულ ცენტრს დაუკავშირდა, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა და პარტიულ მუშაობაში თავდავიწყებით ჩაება...

**ბოლომთხმის ვაბიერ**

დადგა 1916 წელი... კვლავ მომწიფდა გრანდიოზული, გადამწყვეტი რევოლუციური შეტაკებების პერიოდი. იგრძნო რა ეს, თვითმპყრობელობამ გაამკაცრა რებრესიები, განსაკუთრებით კი რევოლუციური მასების ავანგარდის — ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ.

...იმ დღეს ნიკოლოზი, ეცნობოდა რა ოხრანკის საზღვარგარეთული აგენტურის პოლიციის საგანგებო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ მოხსენებას და თანდართულ სიას რსდმპ გამოჩენილი მოღვაწეებისას, რომლებიც ემიგრაციაში იმყოფებოდნენ, სულ უფრო და უფრო იღუშებოდა. ბოლოს ქალაქი მაგიდაზე დააგდო და კაპინეტში ლამის სირბილი დაიწყო. თვალები სიბრაზით აენთო. შინაგან საქმეთა მინისტრი მოკლე, აჩქარებული ნაბიჯებით გვერდით მისდევდა.

— ეს პოლიციისა და ჟანდარმერიის, პირადად თქვენი, განსაკუთრებით კი თქვენი წინამორბედების უნიჭობისა და დოყლაპიობის პირდაპირი შედეგია, — რომ ამბოხების ამდენი გამოჩენილი მეთაური, ტახტისა და სახელმწიფოს მოღალატე დაუსჯელნი დაგვიჩვენ და ხელიდან გაგვისხლტნენ. უცხოური პოლიტიკური ემიგრაცია სულ უფრო და უფრო იზრდება! — ცხარობდა ნიკოლოზი.

ნიკოლოზი კვლავ მაგიდას მოიქცა და ისევ „მოხსენებას“ წააელო ხელი.

— ვერაფრით ვერ ამიხსნია, როგორ მოხდა, რომ ჩვენი მართლმსაჯულების ბასრ მახვილს გაეჭყენენ ლენინი და მისი-მეუღლე! დახეთ ერთი ამას! ეს მერამდენჯერ მხვდება მოლაღატე სტაროსელსკის გვარი, ორმოცდამეშვიდე ნომრად რომ შეუტანიათ სიაში. ვერ გამოვიდა, რანაირად ხდება, რომ მიუხედავად ჩემი არა ერთი ბრძანებისა, იგი ახერხებს თავის დაძვრენას, ჯერ კიდევ ცოცხალია და ამდენ ზიანს გვაყენებს.

— როგორც ამასწინათ მომახსენეს, პარიზში გამოდის თურმე ლემკიებით თავისი ქუთაისის გუბერნატორობის შესახებ... — ჩაურთო მინისტრმა.

— ვიცი... ვიცი... — გააწყვეტინა ნიკოლოზმა — ლაყბობს რაღაც პრეზიდენტობაზე „საქართველოს რესპუბლიკაში“, და კიდევ, ღმერთო ჩემო, ეს რა მკრეხელობაა... როგორ ბედავს ამას, რომ ამბობს, თითქოს საქართველოს თავისუფლებისმოყვარე ხალხი გმინავდეს ჩემს უღელქავეში...

— აბა, რა მეთქმის... თქვენ სიმართლეს ბრძანებთ და სამართლიანად გვსაყვედურობთ, რომ ეს ჩვენი დიდი დანაშაულია, როცა ასეთ სახელმწიფო თანამდებობაზე მყოფი მოლაღატე გამოდგა და დაუსჯელი გაგვისხლტა ხელიდან. მართალია, დამნაშავეები სასტიკად დაისაჯნენ...

— დაისაჯნენ?... — მოუთმენლად წამოიძახა ნიკოლოზმა. — მაგრამ ის ხომ ცოცხალი და უვნებელია! ეგ ქამელეონი ეგა, ტახტის ერთგულად რომ მოჰქონდა თავი, სინამდვილეში კი გვალატობდა და რევოლუციონერებს მიჰყიდა სული! პირდაპირ გაუგონარი ამბავია.

— დიახ, დიახ, ეს ყველაზე საწყენი და გულსატეხია...

— უფრო მეტიც... ღმერთო ჩემო! როგორ მოხდა, რომ თურმე კაცი, რომელიც დედაჩემის სიცოცხლეზე ხელის აღმართვას ლამობდა, ჯერ ისევ ცოცხალია! მე კი დედოფალს ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ვუთხა-

რი, რომ მან თავი მოიკლავს, ~~რამდენიმე~~ აღარ არის-მეთქი... — თეიმურაზი ~~მე~~ აქ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მინისტრს და დასძინა — კმარა, გვეყო, მოვრჩეთ...

ნიკოლოზს ამით რისი თქმაც სურდა, მინისტრმა კარგად გაიგო...

\* \* \*

პარიზში გარიბალდის ქუჩას მთელ სიგრძეზე ორ თანაბარ ნაწილად მწვანე გაზონი ჰყოფს. მასზე ერთრიგად გამწკრივებულან ჭადრები. ქუჩა ძირითადად ოთხ-ხუთ სართულიანი სახლებითაა განაშენიანებული. ამიტომაც იგი ამ დიდ ქალაქში თავისი განსაკუთრებული სიმყუდროვით გამოირჩევა. ერთ-ერთ სახლში ქვედა სართულის ერთ-ერთი ბინის კარებზე ამბრა „სტაროსელსკის მხატვრული ფოტოგრაფია“. კარებზე მიმაგრებული ზანზალაკის წყარუნი აუწყებს, რომ კლიენტი მოვიდა, რომელიც აპარატურით გავსებულ ფოტო-აპელიეში ხვდება. აქვეა სტაროსელსკის ოროთახიანი ბინა. პირველი ერთდროულად საწოლი ოთახი-ცაა და სამუშაო კაბინეტიც. არ შეიძლება კაცმა ყურადღება არ მიექციოს მის უბრალო მოწყობილობას: ერთი კედლის გასწვრივ დგას რკინის საწოლი, იქვე მარჯვნივ პორტრეტი ჰკიდია. ტახტი, რამდენიმე ხის სკამი, წიგნებით სავსე კარადა და პატარა მაგიდა, რომელიც სამუშაოდ და სასადილოდ გამოიყენება, ეს არის და ეს. მეორე, პატარა უფანჯრო ოთახში, უფრო საკანს რომ ჰგავს, ვიდრე ბინას, ცხოვრობენ რუსეთიდან ჩამოსული ვლადიმერ ალექსანდრეს ძის ქალიშვილი ელენე და მეფის ობრანკის მიერ დევნილი, საქართველოდან გადმოხვეწილი ნინო.

საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სახალხო განათლების პირველი კომისარი ანატოლი ვასილის ძე ლუნაჩარსკი თავის დროზე იგონებდა, რომ სტაროსელსკი პარიზში სარგებლობდა სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკების განსაკუთრებული ავტორიტეტი-

თა და პატივისცემით. ყველა შემთხვევაში, როცა საჭირო იყო განსაკუთრებული მორალური თვისებების მქონე ადამიანის ავტორიტეტის მოშველიება, ვთქვათ, სამედიკატორო სასამართლოს დროს, სტაროსელსკის ირჩევდნენ, „შემიძლია უწყუყმანოდ დავდასტურო, — წერდა ლუნჩარსკი, — რომ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი აგრეთვე დიდი პატივისცემით ეკიდებოდა ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს და დიდად აფასებდა მას...“

...იმ დღეს, სტაროსელსკი მედიკატორულ სასამართლოს თავმჯდომარეობდა, თავის ტყვილი დაეწყო და შინისაკენ მიიჩქაროდა.

სახლში მისვლისთანავე ტახტზე წამოწვა, თვალები დახუჭა და თითებით საფეთქლების სრესა დაიწყო.

— რა დაგეშართა, მამიკო? — შეშფოთებით ჰკითხა ელენემ.

— გეთყვა, ფარდას გადასწიე, შუქი თვალეში მცემს და მაიღიანებს. ერთი აბიკ მომიტანე, იქნება თავის ტყვილი გამიჩეროს.

ელენე მეორე ოთახში გავიდა და როცა უკან აბითა და წყლით საესე ჰიჭით ხელში შემობრუნდა, ნახა, რომ ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს თვალეები დაეხუჭა, ეტყობოდა სთვლემდა. ელენემ ყველაფერი ეს იქვე პატარა მაგიდაზე დადო, მერე კვლავ მეორე ოთახში საბნის გამოსატანად გავიდა, იქ დიდხანს არ დაყოვნებულა და ამიტომ ძალიან გაუკვირდა. როცა ოთახში ვიღაც უცნობი შენიშნა, ქოლგითა და შლაპით ხელში, რომელიც უკვე გასვლას აპირებდა.

— მომიტევეთ, მადმუაზელ, — დაიწყო მან ჩურჩულით თავის მართლებას, — ასეთი უცერემონიო შემოჭრისათვის... ატელიეში შემოსვლისას ზანზალაქმა დაიწყოარუნა, მაგრამ არავინ გამოემხმებოდა. ვიფიქრე, ვერ გაიგეს მეთქი და გადავწყვიტე შემოვსულიყავი... მაესტრო კი თურმე ისვენებს, მომიტევეთ. სტუმარმა ელენეს მადამ-

ლად დაუტრა თავი, და წაშტულა დროებითა.

ელენემ გაიფიქრა, რომ ეს მამის ერთ-ერთი კლიენტი იქნებოდა და ჩუმიდ ჰკითხა:

— რა გნებავდათ. მე გადაეცემ... მამა ცოტა უჭკიფოდ გახლავთ!

ამ დროს ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ თვალი გაახილა.

— ვინ არის?! — იკითხა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ — ჩაბნელებულ ოთახში უცნობი რომ შეამჩნია.

— მე ფირმა „ილუსტრაციენ პარიზის“ წარმომადგენელი გახლავართ — გამოეხმაურა იგი, მოვედი, რომ თქვენთან წინასწარ მომელაპარაკა პარიზის ხედების დიდ დაკვეთაზე. ვწუხვარ, რომ შეუძლოდ ბრძანდებით.

— ამ ბოლო დროს რაღაც უცნაური თავის ტყვილი და სახსრების კრუნხვა მოსვენებას არ მაძლევს... — თქვა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ, — წამოჯდა, მაგიდიდან აბი და ჰიჭა აიღო. — მომიტევეთ, მაგრამ საქმეზე ლაპარაკი ახლა არაფრით არ შემიძლია.

სტუმარმა ბოდიში მოიხადა, სხვა დროს გამოვივლიო, თქვა და სწრაფად გავიდა.

— არადა ეს დაკვეთა პირდაპირ მისწრება იქნებოდა, — შენიშნა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ, — აბი პირში ჩაიღო და წყალი მოსვა. — ერთი რამ კი გასაოცარია, — ნუთუ ასეთი განთქმული ფირმა, რომელიც ასე კარგად მიცნობს, ხედების გადაღებას სთავაზობს, რომლებსაც მე არასოდეს არ ვაკეთებ... ნახატების რეპროდუქციები სხვა საქმეა...

ელენე მამის გვერდით, ტახტზე ჩამოჯდა და ხელზე მიეფერა. მალე მან ჩათვლიმა, მშვიდად სუნთქავდა. ელენე ფეხაკრფით გავიდა ოთახიდან.

ნახევარი საათიკ არ იყო გასული, როცა მამამ დაუძახა:

— თუ ღმერთი გწამს, ცივი წყალი მომიტანე. მთელი გულმუცელი მეწვის... თავიკ მისკდება.

ელენემ ჰიჭას ხელი დაავლო, სამზა-

რეულოში გავარდა და მყისვე შემობრუნდა. ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ წყალი ხარბად დალია.

— მამიკო! ძალიან გაფითრებული შეჩვენები...

— თითქოს ცეცხლი მიკიდა, შეგნეულობა მეწვის, გულიც მერვეა...

კარებში ნინო გამოჩნდა. სტაროსელსკი ასეთ მდგომარეობაში რომ დაინახა, შეშფოთდა:

— რა მოხდა?...

— არ ვიცი — დაბნეული გამოეხმაურა ელენე.

ავადმყოფს პირის ლებინება დაეწყო.

— ნეტავი მალე მოვიდეს იური რომანოვიჩი. შეგვიპირდა, დღეს შემოვივლიო...

— აი, ისიც! — სიხარულით შესძახა ორივემ, როცა კარებში ოჯახის მეგობარი, ექიმი კერვილი დაინახეს, რომელსაც, ხელში როგორც ყოველთვის, ნესესერი ეჭირა. სწრაფად მივიდა ავადმყოფთან, მაჯა გაუსინჯა, ყელში ჩახვდა... მერე ჰკითხა, დღეს რა ქამე, ხომ არაფერმა გაწყინაო?

— დილით რომ ვისაუხმე, მის შერე პირში არაფერი ჩამიდვია...

ექიმმა ნემსი გაუკეთა. ბევრი წყალი ასეა. მალე ლებინება შეწყდა და ავადმყოფსაც ჩასთვლიდა. ყველანი მერე ოთახში გავიდნენ.

— საოცარია, — თქვა იური რომანოვიჩმა, — მოწამვლის აშკარა ნიშნებია. მითხარი, ლენოჩკა, მამის ფორთოჩეაქტივებში შედიან ციანიტები?

— მე მგონი, რომ არა, — მთლად მტკიცედ ვერ უბასუხა ელენემ, — მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას?

ამ დროს ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ ისევ მოიხშო ელენე. კვლავ ლებინება აუტყდა, სიცხემაც აუწია, ქოშინი დაეწყო, ენა აეწვა, თავი ისევ საშინლად ასტკივდა, რვალის გუგები უჩვეულოდ გაუფართოვდნენ. ექიმმა კუჭი ამოურეცხა, კვლავ გაუკეთა ნემსი... ავადმყოფის საწოლს მთელი დამე ელენე და ნინო არ მთაცლებიან. მხო-

ლოდ გათენებისას ოდნავ უკარგავდა და მიიძინა.

შუადღე იყო, როცა სტაროსელსკიმ გაიღვიძა. ძალიან ცუდად გამოიყურებოდა ლოყები ჩავარდნოდა და მთელს სახეზე ისევ სიყვითლე გადაკარავდა... მალე იური რომანოვიჩი მოვიდა.

— არ დაგიმალავთ, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, — დაიწყო მან, — მაგრამ აშკარად მოწამვლის ნიშნები გაქვთ. ერთი მითხარით, ჩემთვის ეს ფრიად მნიშვნელოვანია, შედის თუ არა თქვენს ქიმიკატებში ციანიკალიუმი?

— რატომ შეკითხებით ამას, მე მხოლოდ პირამიდონი დავლიე, თავის ტკივილი რომ გამეყუჩებია.

— ხომ შეიძლება, შეცდომით...

— რა შეცდომა?! აი, ეს აბები, — და ელენემ მერე ოთახიდან ქალაღის პაკეტი გამოიტანა.

ექიმმა ყურადღებით შეამოწმა წამალი. მერე მაგიდიდან ჰიქა აიღო, უსუნა, სინათლეზე ვახვდა...

— მეგობრებო, სიმართლეს გეტყვით: მართალია, ცხოვრებამ ბევრ რამეში მიმუხტოლა, — აბა მარტო ჩემი ერთადერთი ბიჭის, ბორისის თვითმკვლელობა რად მიღირდა, დაიწყო ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ, — მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მე იმ მხდალებსა და პესნიმისტებს არ ვეკუთვნი, რომ თავის მოწამვლა მეცადა...

— ასე რატომ აკვირდებით ამ ჰიქას? — იწყინა ელენემ, — როცა ნახა, რომ ექიმმა ისევ ჰიქა აიღო ხელში — მე ის გულდაგულ გამოვრეცხე, ვიდრე მამას წყალს მივაწოდებდი. მამამ სულ ცოტა მოსება, აბს დააყოლა, როცა ის ფირმის აგენტი წავიდა.

— რომელი აგენტი? — იკითხა ნინომ.

— მამასთან მოსალაპარაკებლად შემოიარა. ნახა, რომ შეუძლოდ იყო და სწრაფად წავიდა.

— შენ იცნობ მას? — ღიანტიერეს და ნინო.

— არა... პირველად ენახე... — ფო-

რმა „ილუსტრაციის“ წარმომადგენელი ვარო.

დაღლილმა და დასუსტებულმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ კვლავ მილულა თვალები...

— შენგან არ მიკვირს, ლენოჩკა, როგორ დატოვე ეს უცნობი კაცი მარტოდ მამაშენთან, — უსაყვედურა ნინომ.

— რა უნდა დაეშავებინა მას მამაჩემისათვის?!.. მერედა, მე ხომ არ დამიპატივია, შემთხვევით აღმოჩნდა ოთახში...

— ხომ გაგვაფრთხილეს, ფხიზლად იყავითო. აქ, პარიზში, ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის წინააღმდეგ ათასნაირი ჭურის პოლიციის აგენტები მოქმედებენ. ისინი ყველაფერს მოიმოქმედებენ... განსაკუთრებით ახლა, როცა რუსეთში ასე დაიძაბა მდგომარეობა...

— მაგრამ ეს ხომ ფირმის აგენტი იყო...—უკვე იშვებულად თქვა ელენემ.

— რითი დაასკვნი, თუ არ იცნობდი. მე, მაგალითად, ეჭვი მეპარება ამაში...

— რა გაკამათებთ? — ჩაერია ლაპარაკში იური რომანის ძე, — სულ ადვილია ამის დადგენა. გულახდილად გითხრათ, მეც არ მომწონს ამ სიტუაციაში მაგ ფირმის აგენტის ასეთი მოულოდნელი გამოჩენა...

რამდენსაც მეტს მსჯელობდნენ, ეჭვი სულ უფრო მეტად უღვივდებოდათ. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ დაუყოვნებლივ გაეღოს იური რომანოვიჩი ფირმაში და ყველაფერს დააზუსტებ; მართლა გამოგაზავნეს თუ არა მათ თავიანთი აგენტი. ორ საათსაც არ გაუვლია, ეჭმი დაბრუნდა და შეცბუნებულმა თქვა, რომ არავენ გამოუგზავნიათ...

— მაშასადამე... ეს კაცი იყო... — ნინომ წინადადება არ დაამთავრა...

...უკვე რამდენიმე თვეა, რაც ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ავადმყოფობს და მთელი პოლიტიკური ემიგრაცია მწვავედ განიცდის ამას. მართალია,

ყურადღება და მზრუნველობა არაა, პარიზის საუკეთესო ექიმებიც იბრძვიან მის გადასარჩენად, მაგრამ ნელ-ნელა მიიხსიციცილის შუქი ჭრება...

ექიმი კერავალი უკვე დარწმუნებულ იყო, ვლადიმერ ალექსანდროვიჩის მოწამვლის მცდელობააო, მაგრამ იმის გამო, რომ მან ჭიჭიდან მხოლოდ ოდნავ მოსვა, საწამლავმა მხოლოდ დააჩქარა დაუძლურებულ ორგანიზმში მიმდინარე დამლუხველი პროცესები...

ამბობენ, ადამიანი მარტო კვდება, თავის თავს უკვდებაო. ისეთებს, კი, როგორიც ვლადიმერ ალექსანდრეს ძეა, გარდაცვალებისას თან მიაქვთ სიცოცხლის ნაწილი მათი, ვისაც ესოდენ უყვარდათ ის და ასეთი პატივისცემა ჰქონდათ მისი...

...შემოსასვლელი კარის ზანზალაქის წყარუნი გაისმა. ქალიშვილები შეერთნენ. ელენე კარებისკენ გაეშურა. ზღურბლზე ორმოციოდე წლის მალალი, ბრგე მამაკაცი იდგა. ჩანდა, პარიზელი არ უნდა ყოფილიყო.

— გამარჯობათ. თუ არ ვცდები, თქვენ სტაროსელსკის ქალიშვილი ბრძანდებით! — იკითხა მან რუსულად, ელენესათვის ბავშვობიდანვე ასე ნაცნობი ქართული აქცენტით, — მე კოტე გახლავართ.

— გამარჯობათ, მამაკაცო, მაგრამ ვერ გიცანით.

— ეს არც არის გასაკვირი. სამაგიეროდ, თქვენს ოჯახს მთელი საქართველო იცნობს, პატივსაცემს და ეთაყვანება. მე ახლახანს ჩამოვედი პარიზს და აუცილებლად მინდა მოვიჩინებო ჩვენი მეგობარი ვლადიმერ ალექსანდროვიჩი.

— მობრძანდით...—მაგრამ ის ძალზე მძიმე მდგომარეობაშია, სიკვდილის პირასაა... და ქალიშვილი აქვითინდა.

— რა მითხარით ეს — შეწუხდა სტუმარი და თბილად ჩამოართვა ელენეს ხელი.

— შეიძლება ვნახო?!  
— გთხოვთ.

ვიდრე ოთახში შევიდოდნენ, სტუმარი წამით შეყოვნდა:

— ქალბატონო ელენე, გთხოვთ მიიღოთ ეს ნობათი, — თქვა მან, — და პატარა შეკრულა გაუწოდა. მისში საქართველოდან, პეტერბურგიდან და მოსკოვიდან ვლადიმერ ალექსანდროვიჩისადმი კეთილი სურვილები, მოკითხვები და პატარა ფულადი თანხაც არის, აქ ბევრი მეგობრის წერილებია, მათ შორის მაქსიმ გორკისაგანაც.

— რას ბრძანებთ, რატომ შეწუხდით? — წერილებისათვის დიდი მადლობა, მაგრამ... ფული...

— მე მხოლოდ დავალემა შეეასრულე, — თქვა სტუმარმა და ხელი ფაქიზად დაუჭირა ელენეს, რითაც არ მისცა უფლება შეკრულა უკან დაებრუნებია.

ამ საუბარმა ნინოს ყურამდეც მიაღწია, ერთბაშად ნაცნობმა ხმამ შეაცხრა. ის ატელიეში შემოვიდა...

— კოტე! შენა ხარ?... — მერე გაასწორა, — თქვენ ბრძანდებით?

— ჰო... — დაიბნა სტუმარი. — მე... ნინო? ნუთუ შენა ხარ, ნინო? — და გაკვირვებულმა და გაოცებულმა ხელები გაშალა.

ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ჩემო ძვირფასო, „ყაჩაღანა“, თითქმის სულ არ შეცვლილხარ!

— არ დაგავიწყდათ ჩემი კონსპირაციული სახელი? — გაეღიმა ნინოს. — დიხრითო ჩემო, როგორ გაჰადარავებულხარ!

— რას იზამ, ხუმრობა ხომ არ არის ათი წელი კატორღა... — შენ რატომ ხარ შევებში?

ნინომ თავი დაბარა.

— სულ თავის ვასო პეტროვს გლოვობს, — თქვა ელენემ.

სტუმარმა აჩაფერი უპასუხა, მხოლოდ დაკვირვებული მზერა მიაპყრო ნინოს.

— აქ რას გავჩერებულვართ, შემობრძანდით, ამხანაგო კოტე, შემობრძანდით, — შეიპატივია დიასახლისმა. —

მერე ავადმყოფს მიმართული სტუმარი გეწვია საქართველოდან!

ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს უცებ სახე გაუნათდა, ღიმილი აუთამაშდა.

— გამარჯობათ, ამხანაგო ლადო!

— გამარჯობათ, — ხმადბლა ქართულადვე მიუგო სტაროსელსკიმ, ხელის ჩამორთმევა სცადა, მაგრამ დამძიმებული მარჯვენა არ დაემორჩილა... სტუმარი დაიხარა და ხელზე ემთხვია...

ელენეს ცრემლი მოერია.

— ამხანაგო ლადო! მთელი საქართველო სიყვარულსა და მოკითხვას გითვლით.

— გმადლობთ, გმადლობთ. როგორ არის ჩემი წამებული, ჯვარცმული საქართველო... თუმცა სასიამოვნო ცნობებიც მივიღე...

— შემიძლია გაგახაროთ, ვლადიმერ ალექსანდროვიჩი, ახლა საქართველოში მთელს რუსეთთან ერთად ახალი, მძლავრი რევოლუციური ძალები აზობოქრდნენ. 1905 წლის მძიმე გაკვეთილს ამოდ არ ჩაუვლია, და პირდაპირ გეტყვით, ახლოვდება გამარჯვების ქამი...

— ეჰ, სამწუხაროდ, ვერ მოვესწრები... — სევდიანად ჩაილაპარაკა სტაროსელსკიმ.

— რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ, ამხანაგო ლადო! აქეთ რომ მოვდიოდი, პეტერბურგში გავიარე, ამხანაგები მოვინახულე. მათ მითხრეს, რომ როცა რევოლუცია გაიმარჯვებს, სტაროსელსკი მიწათმოქმედებთ კომისარი იქნებაო.

ამაზე ავადმყოფმა, არაფერი უპასუხა, მხოლოდ სევდიანად გაიღიმა.

— სამშობლოში რომ დაბრუნდებით, გთხოვთ მდებლად დაუტყრათ თავი და ჩემი მზურვალე მოკითხვა და სიყვარული გადასცეთ ყოველ თქვენს თანამემამულეს... ვაზს მოეფერეთ, თითოეულ ხეს... ფოთოლსა და ბალახსაც კი, ყველაფერი მიყვარს საქართველოსი: ხალხი, მიწა, თითოეულ კენჭსაც კი... კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგ-



რამ ეტყობა ძალა აღარ ეყო, მისუსტებული მიყუჩდა.

— ამხანაგო ლადო, ამას თქვენ თვითონ ეტყვიან საქართველოს, როცა ჩამობრძანდებით.

გულჩაუყუებულმა ვლადიმერმა მისუსტებული ხმით თქვა:

— ეპ, ნეტავ კი მელირსოს დაბრუნება... აქ მცირე პაუზა გააკეთა, — თუნდაც მიცვალეხს. მინდა დავიმარხო საქართველოში იმ ოთხი ალვის ხის ძირში, რომლებიც მე დავარგე ჩემი სანერგის წინ... ვინ იცის, ტანი როგორ აიყარეს?..

1916 წლის 26 აგვისტოს შეწყდა ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკის გულის ფეთქვა...

სულ ცოტა ხნით აღრე გამოესალმა სიცოცხლეს, ვიდრე მოწამე გახდებოდა მთელი მისი სიცოცხლის მიზნის, ოცნების განხორციელების, რევოლუციის გამარჯვებისა!

მადლიერმა საბჭოთა საქართველომ არ ღივიწყა მისი ნათელი სახელი...

საუ რის ყოფილი სანერგის სამმართველო ა ორსართულიანი სახლის შესასვლელს დიდი ასოებით აწერია: „ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკის სახელობის საქართველოს სსრ მებაღეობის, მევენახეობისა და მელენეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქარის საცდელი სადგური“.

შენობის წინ, ოთხი ალვის ხის შუა, მაღალ პოსტამენტზე შემდგარია გრანიტისა და ბრინჯაოში სამუდამოდ დაბრუნებული ვლადიმერ ალექსანდრეს ძე. გარშემო კი წითელი მიხაკების „ხანძარია“.

### აპოლონისაგან

ამრიგად თხრობა დასრულდა, წერტილი დასმულია. სინანულითა და გულისტკივლით ეგმშვიდობები ვლადიმერ სტაროსელსკის, რომელიც ასე ძლიერად შევიყვარე და რომელიც ჩემთვის ესოდენ ახლობელი და მშობლიური გახდა. სათქმელად ადვილია, ისე კი თხუთმეტ წელიწადზე მეტია,

რაც გამუდმებით ჩემთანაა, თავისი სიხარულით, სევდით, ჰირ-ვატელებს დღიდან, როცა დაეწერე და გახეთ „პრაოდის“ ორ ნომერში გამოქვეყნებული ლექსები მოთხრობა მასზე: „წითელი გუბერნატორი“.

შემდგომში მუდამ მაინტერესებდა ეს ქეშმარიტად შესანიშნავი ადამიანი, მისი არაჩვეულებრივი ბედი; განვაგრძობდი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მასალებისა და დოკუმენტების მოძიებას, მათ საფუძვლიან შესწავლას. მრავალწლიანი მუშაობის შედეგად იშვა რომანი „ამხანაგი გუბერნატორი“.

მიზნად არ დამისახავს და არც იმის პრეტენზია მაქვს, რომ ამომწურავად გადმომეცა მოვლენებით მდიდარი მთელი მისი, როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი ცხოვრება. შემოვიფარგლე ვ. ა. სტაროსელსკის ბიოგრაფიის იმ პერიოდით, რომელიც საქართველოსთან უშუალო კავშირშია, — მისი მოღვაწეობით, როგორც მეცნიერ-აგრონომისა, ხოლო შემდეგ 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილისა, როცა მას ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორის პოსტი ეკავა და, იყო რა დაკავშირებული ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან, მთელი ძალებით ხელს უწყობდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას.

თავის დროზე, კონსპირაციული მოსაზრებებით, ყველას როდი შეეძლო სცოდნოდა სიმართლე მისი ორნაირი მდგომარეობის შესახებ, როგორც მეფის გუბერნატორისა და... რევოლუციონერის. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მისი როლი და დამსახურება დიდი ხნის განმავლობაში არ იყო საკმარისად ცნობილი და სათანადოდ შეფასებული. მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ზოგიერთი მეცნიერ-მკვლევარის მეცადინეობით აღმოჩენილი და გამოქვეყნებული იქნა საარქივო დოკუმენტები სტაროსელსკის მოღვაწეობის შესახებ, ბევრი რამ მისი პიროვნების ირ-



გელივ ნათელი გახდა და, თავისთავად ცხადია, ინტერესი მისი კოლორიტული ფიგურის მიმართ გაიზარდა. ჩვენი აზრით, დიდი როლი ამ საქმეში შეასრულა ჟურნალ „ნოვი მირის“ პუბლიკაციებმა (1966-1967 წწ.), ი. ბრაინინისა და ფ. ლიშანოვის მიერ მიკვლეულმა დოკუმენტებმა მათივე კომენტარებით. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ს. მაღლაკელიძის კოლოსალური შრომა, მან მისხალ-მისხალ შეაგროვა ყველაფერი, რაც ვ. ა. სტაროსელსკის შეეხებოდა და საქართველოს სსრ კენტრალურ სახელმწიფო არქივში შექმნა ამ მოღვაწის უმდიდრესი ფონდი. აქვე იხაზება ვ. ა. სტაროსელსკის პირადი არქივის მასალები, რომლებიც სახელმწიფო არქივს გადასცეს მისმა ქალიშვილებმა ადამ და თამარმა. უდავოდ საინტერესოა გამოცემლობა „მერანის“ მიერ 1981 წელს გამოშვებული ვ. ა. სტაროსელსკის ამისშვილის — ვ. დემუროვა-სტაროსელსკიას წიგნი „გუბერნატორი-რევოლუციონერი“ და სხვა ავტორების ზოგიერთი ნაშრომი.

ჩემთვის ვ. ა. სტაროსელსკის ცხოვრების, აზროვნებისა და ქმედების შესახებ ინფორმაციის დაუშრეტელი წყარო გახლდათ ქართული პერიოდული პრესა, მისი თანამებრძოლებისა და თანამედროვეების, ძველი ბოლშევიკების, აგრეთვე მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების, მგალითად, დ. კლდიაშვილია, ივ. გომართელის, ნ. კეცხოველის, დ. ანთაძისა და სხვათა მოგონებანი.

რალა თქმა უნდა, ფართოდ ვსარგებლობდი დოკუმენტებითა და გამოცემებით, რაც 1905-1907 წლების პერიოდს ეხება. პარიზში ორგზის სამსახურ-

ებრივი მივლინების დროს დავინტერესდი ამ ქალაქში მისიეტიკურ-პოლიტიკური ემიგრანტიმსწრაფეშინ ვინახულე სახლები ალფონს დოდესა და გარიბალდის ქუჩებზე, სადაც ის სხვადასხვა დროს ცხოვრობდა. ვიყავი ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმში მარი-როზის ქუჩაზე. მუზეუმის გამგესთან ანდრე ლეჟანდრთან საუბარში გამოიჩინა, რომ ელაღიმერ ალექსანდრეს ძე აქ ხვდებოდა ლენინს. ამას ადასტურებს ა. ვ. ლენჩარსკიცი. „ელაღიმერ ილიას ძე დიდ პატივს სცემდა და ძალიან აფასებდა მას“, — წერდა ლენჩარსკი მოგვიანებით, როცა ლენინის პარიზის ემიგრაციის პერიოდს ეხებოდა. ელაღიმერ სტაროსელსკის ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვ. მენჟინსკისთან, ვ. კარპინსკისთან და სხვა გამოჩენილ ბოლშევიკ მოღვაწეებთან.

თავისთავად ცხადია, მე, როგორც მხატვრული ნაწარმოების ავტორმა, უფლება მივეცი ჩემს თავს ზოგიერთი ქრონოლოგიური დარღვევა დამეშვა, ისეთი პასაჟები და მოქმედი პირები შემეტანა რომანში, რომლებიც კიდევ უფრო სავსედ და რელიეფურად წარმოაჩენდნენ რევოლუციურ სულსა და ბრძოლის სიმბაფრეს, რითაც ხასიათდებოდა 1905 წლის სახალხო მასების მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში, კერძოდ, გურიისი, ეგზომ ფართო რეზონანსი რომ ჰქონდა. ამ უმნიშვნელოვანეს სოციალური ძვრებისა და მოვლენების ფონზე მე შევეცადე შემექმნა რუსი ხალხის შესანიშნავი შვილის, რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტის სტაროსელსკის სახე, სახე იმ ადამიანისა, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა საქართველო. ქართველი ხალხი. შევძელი მუ არა ამის გაკეთება, დავ მკითხველმა განსაჯოს.

## მეზარ კვიტიანი

### პეპელა ჩურლიონისის ქაბლთას

ბაბბის ფოჩებს ჩამოიშლის  
მზე უღონო — თეთრი ქარვა,  
გამოხედავს ობობას ქსელს,  
ამბობს: ვარ და კიდევ არ ვარ...

დაფეთქილმა ყვავილებმა  
დაგახვიეს ოქროს მტვერი,  
შეგიტყუეს, გათამაშეს,  
გაგაბრუეს, დაითვერი.

ვინ მოგწყვიტა მინდორს მწვანეს,  
ვინლა დაგიბრუნებს ხალისს,  
შენ გაზმორებს, რად ვარ მოწმე  
სასიკვდილო ამ ფართხალის.

თავზე ქინძისთავისტოლა  
იწვის წყვილი მარგალიტი;  
გადიწვერა, გადაქანდა  
ფრთები, რითაც ცაში ვლიდი.

რბილ ხავერდზე, ყავისფერზე,  
წერტილები — შავი, ბორღო...  
თუ იცოდი, ზურგი შენი  
ასე ვისმა ხელმა მორთო.

ფრთების ბოლოს ლურჯწინწკლება  
შემოავლო თეთრი ქობა...  
თქმა არ უნდა, დალოცვილმა,  
იცის ხატვა და შემეგობა.

წესი მოგდგამს, ჩაბნელებულ  
ფულუროში ტოვებ ნაგრამს;  
სულ ოდნავი კმარა სუსხი,  
მიწას სოველს რომ გაგაქრას.

დღეს დაფრენდი, შენ დაგაზრო  
ცივმა ქარმა ბალტიისამ,  
ვერ აიღებ წელს მრწყვეტილს,  
ვერ იქროლებ, ვერას იზამ.

შენ ვერაფერს გაიხსენებ,  
მოსახედად იცლი ველარ,  
ცხადი მოსდევს სიზმრებს ჩვენსას,  
შენ მუდმივი ძილის ტყვე ხარ.

სულს ლევ აქვე, ღია ცისქვეშ,  
და თვალებიც გრჩება ღია...  
ვერც სიკვდილის იგრძენ მოსვლა,  
არც გაჩენა გაგიგია.

### ქველი სასაფლაო

(ლიტვა)

ნემანს გაღმა გძინავს,  
პანა იადვიგა...  
თუ გაკითხავს ვინმე,  
წაგიქციოს ჭიჭა.

უფლის კართან მისულს,  
საქორწინოდ მოსილს,  
თავზე მოწყენილი  
გაღვას ანგელოსი.

ცხელ ლოყაზე ცრემლის  
ველარა გრძობ ცოცვას...  
ვისი ხელი ფურცლავს  
შენს დაკრეცილ ლოცვანს.

მოგიქარგა ხავსმა  
მიწა ორი ადლი;

ცივა, არცრა ესმის  
მარმარილოს გათლილს.

მზე გადევლო არყებს,  
პირი დაიბანა,  
გულზე რომელ ყვავილს  
დაიბნევედი, პანა...

### არ პარპივარ...

რას მიქვია ნეტარება,  
ავიცდენდი, რომ იყოს;  
რა ვქნა, ეჭვი მეპარება,  
ვინმემ ლექსში მომიგოს.

ვერც უეკლო ვარდს შეხვდებით,  
ვერც გაზაფხულს უმარტოს.

ვინც იმღეროს უკეთესად,  
ხელიც მას მოუშართოს.

ხევეა მიჭირს. არ ვარგივარ —  
მხენელად, არც ტყის მკაფარად...  
არც ის ვიცი — ყველაფერში  
ეჭვი რამ შემაპარა.

### მერნეხეთ...

სახელის მონა, მაძიებელი,  
მერწმუნეთ — ყველა არის დებილი,  
ატალახებულ მათ კვალს მივიღო,  
სულაც არა ვარ მე ვალდებული.

თან არ იკლებენ სმასა და ჭამას,  
სულ გამოჩენა, სულ წინა პლანი...  
ყველა ფალაენობს, შეძლებდა ამას  
რა ყარამანი ან რა ყაფლანი.

ამოდ ხარჯეს ამდენი ქება,  
დასდებ, წყლად მიდის მათი კრებული,

დახედავ — საპნის ბუშტივით ქრება  
სიბრიყვე, მათგან გაფიქრებული.

დაქენენ ფოთლები, თითქო დაცხათო,  
დნება სიცოცხლე — ჭაჭვი ნაქლიბი...  
მეც შემძლია ეთქვა, განვაცხადო —  
არ ვარ დებილი მათზე ნაკლები.

წყალწაღებული, შეუსმინარი,  
მეც დავებალაზობ იმთ ნახირში,  
და, საერთოდაც, არავინ არი  
ჩემი სალანძლი და საძრახისი.

\*\*\*

თუმცაღა პირის კი ვიცი გემო,  
მაძებარი ვარ სიიაფესი,  
ვისაც სმა-ჭამა შეშურდეს ჩემი,  
ნუ მოაკლდება ჩემი ტრაპეზი.

თავის და ფულის არ მიყვარს ზოგვა,  
ღმერთმა იცოდეს, არ ვარ ქვაწვია,

თუ მაინც შურით შემხედოს ზოგმა,  
იმან ჩაიცვას, მე რაც მაცვია.

ვერ გავიმეტებ, გველსაც, ბოლომდის,  
მე რომ ვცლი, იმ შხამს ვერავინ შესვამს,  
არ შემძლია ვიყო ბოროტი,  
ტანჯვას ვერავის ვუსურვებ ჩემსას.



## რისთვის

ყურს უგდებ ჩვილის უაზრო ტიტინს,  
იცი ამ საქმის თავი და ბოლო...  
არ დაიჭირო — პეპელას ჩიტი  
თავშესაქცევად დასდევდეს მხოლოდ.

არ დაიჭირო — შეგარბევს კვლავაც  
ჭუთუთოებზე მომსკდარი დილა;  
დაიშრიალებს, ადგება, წაევა,  
შენთან დარჩენას რამდენი ცდილა.

უცხო სათქმელად და შესადარად,  
რომ ვერ იხსომებ, განძი რა და რა,  
თუ არსად, არსად არ უნდა დარჩეს,  
უფალმა რისთვის ჩამოატარა.

ვაპ, თუ სურვილიც ამოქრეს ჩემში  
და აღარ მექნეს ნიჭი მოგნების...  
ვერ ამატირებს და ველარც შემშლის  
ეს სილამაზე გამოგნები.

## კამათი ერთი ქვლის გამო

ურცხვად მარწმუნებთ: დიდი ძეგლია...  
მე გეუბნებით: სისაძაგლეა...  
ვერ მაღავთ ღიმილს და გაოცებას:  
სიმაღლე, ზომა თუ რა აკლია?..

არ მომდის თვალში, რაც უნდა აქოთ,  
რაგინდ იძახოთ: ფორმა, პლასტიკა...  
რა საჭიროა აღიაქოთი,  
ჩვენ ორში ერთი ცდება სასტიკად.

ამაობის არ ვიქცეთ მდევრად,  
სად დამალავენ, თუ რამეს ქმნიდი...  
ბევრი მინახავს ამაზე ბევრად  
პატარა, მაგრამ ნაღდი და დიდი.

შესაფერ ამინდს უცდის ყოველი,  
ნერგი კეთილი ხარობს ან ხმება,  
ზუსტად ასეა სიტყვა, ყვაველი...  
არ გვიწერია ჩვენ შეთანხმება.

\*\*\*

ოცი წელი დიდი დროა,  
ოცდაათი მეტია,  
კიდევ ბევრი მოვა დარდი,  
გულში თუ დამეტია.

ოციც გავა, რაც გახდები,  
ისე გყავდეს მტერია...  
ოცდაათზე უკაცრავად,  
შავი ჭკარი გწერია.

გინდ დავაკვდე, არ გამომდის  
მე ცხოვრება გონითი,

ვახვავებდი მაღლს და ცოდვას,  
არასოდეს ვწონიდი.

არც ამაზე, არც იმაზე  
თავი არ დამიღია,  
ბოლოს დაგემს, უღალატო  
ცხოვრება ამითია.

ოცი წელი დიდი დროა,  
ოცდაათი მეტია,  
მე გაექრები, შენ სულ ასე  
იშრიალებ, მეღვია.

## გარინდვა

(ზანტაზია)

წყალში არეკლილ რკინის სვეტებზე ტოკავს ნავსაბაძი.  
 ბროლი გამდნარი — გადახსნილია წიაღი მწვანე.  
 ჭავლები გადავლაზე იკლავება სილის ნაოჭები.  
 უნდა ვუცადოთ მოწმენდილ ამინდს, ღიას, უქაროს,  
 დაგვიბრდეს დანთქმას ზურმუხტი მშვიდი და მოსარკული —  
 ყველა სულიერი, კენჭი ყოველი, ბალახის ენა,  
 მწვანედ გასროლილი, ასავსავებული, გარკვევით ჩანდეს,  
 რომ გზა გავიგნოთ, ვიცოდეთ ზუსტად — საით მივდივართ.  
 ვიდრე გავიყინეთ, ვიდრე ქვამარილად ქცეულა მუხლები,  
 დავეშვათ თავქვე ოკეანის შრილა ფსკერზე, პირბნელ უბეში.  
 გაგსრიალდებით, თავად ჩრდილებს ჩრდილი აღარ გაგვედევნება,  
 დახვეულს, ქაფით აშიშინებულს ვერ ვნახავთ ტალღებს  
 და არც ნაპირი, შეფარებული ფიჭვნარს ნაპირი გავვიფენს ბილიკს.  
 არ დაგვანათებს ჩამოწეული და გაყინული ცრემლები ქარვის.  
 არც ერთ მახეში ჩვენ არ მოვეყვებით და ვერც დაგვწვდება  
 ტყვიებასმული და დაბრეცილი რომებზედ ბადე.  
 ჩავვიხვევს გულში ტყე დაწვეული ლამინარიის,  
 ვრილი, სრიალა, სიზმარშიც რომ არ უნახავს გვალვა.  
 დაიიალეო? დანისნულ თვალებს მომანათებდი,  
 შემიდგებოდა, გადარეცხილი წყლით, ღიპი ზურგი,  
 ყურს მიუვადებდი რქოვანი დრუნჩის ნებიერ სუნთქვას.  
 ჩვენი ტრიალი, ერთად ყოფნა, გააოცებთ დანარჩენ თევზებს.  
 გარიდებულებს მიგვიხვდებიან, რომ არა ვართ მათი ჭილაგის.  
 თუ რამ ვინდომე, თავს მოვებრუნებ, განიშნებ თვალით,  
 მიმიხვდე უნდა, ჩვენ სიტყვის თქმა არ დაგვირდება,  
 თევზისთვის თვალი მეტია, ვიდრე კაცთათვის ენა.  
 ღვთის დადგენილი თუმც დარღვეული გვექნება წესი —  
 მიწაზე დარჩეს მიწის ნაშობი და წყლისა — წყალში, —  
 დაყვინთულებმა, არა მგონია, ვინანოთ რაზე.  
 იქაც იქნება ხან სიხარული, ხან საწყენი მცირეოდენი.  
 ასე მეზობლობს ტანჯვა და ღზინი, ალბი და ყინული,  
 ხორცი და ძვალი, ცხადთან — ზმანება გულდასაწყვეტი.  
 სურვილი იქნეს და კლდეც იქნება ჩვენი სამყოფი,  
 მინდორიც, თეთრად აყირავებული, კიდევებშემოცილი.  
 წყალს ნულარ იკითხავ, დაგვიტანს, ვერსაით წაუვალთ,  
 ლაყუნების ბერვა ვერ აუთავდება, გაგეტანჯავს —  
 ყბებში გაღვილი-გარჩენილი, ახრქიალებული სილა.  
 მზე პირცეცხლიანი, სიზმრად გვექნება ჩაყოლილი,  
 ნიჭარის ღრუშიღა გაიყრიალებს მისი მჭრალი ჭიატი,  
 თანდათან მიგვაიწყდება, მზულით რომ გარბოდა ცაზე.

ჩვენც თანდათან მივავიწყდებით ნაპირზე დარჩენილებს,  
 ამბავი, თქმულებაც არ დარჩება ჩვენი კაცთა მოდგმას.  
 ასე სჯობს, ფრინველად ქცევა არ არის იმდენად სანდო —  
 სადმე უთუოდ შეგავლებენ ადამიანები თვალს.  
 იქნები ცივი, ვიქნები ცივი, მოუხელთებელი,  
 ვერავენი გაიგებს ასავალ-დასავალს, საშყოფელი ჩვენსას.  
 ხახადალებული ნაპრალეებიდან შემოგვანათებს  
 სიმდიდრე მუნჯი, ხელდაუჯარები, დაუჯერებელი.  
 ძარღვებით დაქსელილ, დაცხავებულ ფილტვს გაგვასხენებს  
 მარჯნის უფოთლო, დატიტვლებული ტოტები...  
 ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ თაობას, ფენას ამოიცოხნის  
 წყლის შლამიანი, ხავსდაფენილი, უძლომელი ფაშვი,  
 რამდენი ტანჩაკირული სხეული შეწყვეტს ფშვინვას და რბევას.  
 ცახცახა, ცისარტყელსავით გადახსნილი აქტინია,  
 რა გრაფაშიაც არ უნდა ჩასვან იქ, მალლა, სხვებმა,  
 ჩვენთვის ყვავილი იქნება უცხო, შექთამთოველი.  
 რასაც ვიხილავთ, ვერ ვავიხსენებთ უმრავლესობას,  
 ნაცნობთაც ბლომად გადაეყვებით. გაილანდება —  
 ზღვის ცხენი შავი, ხორკლებდაყრილდი ვარსკვლავი ზღვისცე,  
 საფერფლესავით დაკრული ფსკერზე და გაფარჩხული,  
 სულს რომ უბერავ, ნაკვერჩხალს ასე გადასდის ფერი.  
 გაწელავს კისერს და გამოგვხედავს კუ ნალვლიანი,  
 შეტორცებული დაღარულ ბაჟანს, უჭერი სკაფანდრი  
 და ტანში წურავს, თითქოსდა სხვისი აწევსო ტვირთი.  
 თავზე გადაგვივლის მედუნას გაფლამული ჭალი,  
 თანთალა შიგნულზე იისფერი ძაფები აყრია...  
 გვიშველის უსაშველიად გამძლე უნარი — შეგუება.  
 დღისა და ღამის გარჩევასაც იოლად ვისწავლით;  
 ფერდებდასალტული, შავბოლოდაშვებული ლაგუსტი  
 საბუღარიდან რომ გამოხობხდება საშოვარზე  
 და დაკუთხულ, ბროწეულის მარცვლებად ჩალაგებულ  
 თვალებს დააცეცებს, გვეცოდინება — ღამეა უკვე.  
 კიბორჩხალების ლეგიონს თავზე შეუძმართავს  
 ალესილი, დაკბილული მარწუხი; მიჯრით იკეცება —  
 ჭურღმულებში საბლოტილოდ გამოსხმული ბუსუსა კლანჭები.  
 ისიც შეგვიძლია გავიგოთ — წელიწადის რა დროა.  
 შლამში მოფუთფუთე, გაპოხილი ჭიების სხმარტალს  
 როცა შევესწრებით, უეჭველია, მალე აიჭრებიან,  
 გავსებულ მთვარეს ამცნობენ დაღუპვას, გაცოფებას...  
 მაშინ გაიხსენოთ შექანგულ ფოთლებში გატარუნული,  
 დატენილ ჭიქნებად ჩამოგრძელებული ყურძნის მტევნები.  
 იმ ერთის ნება წარმართავს ყოველს, არ ილღება,  
 აღარც ბეზრდება — თვალუწვდენელი შავი გობელენი —  
 გაშლილი, მოძრავი, ხატოს და შალოს, ხატოს და შალოს...  
 დაძირულ კუნძულს ფოსფორის ღველფი აბრდღვიალებს;  
 შეკრთები, რამდენი დატკეპნილა დაბრულ-ჩაბოცილი.  
 გაფხენი ხელში, ჩონჩხი იმათი მყიფე ცარცია,  
 აპრილებულ, ბრმა დაფას რომ კენკავს, დაფარავს

და ასევე იოლად იშლება; მუჭში მოჭეპვილ ჩვარს  
 გასდის შემღვრეული კირის ნაწერი, რძის შხეფები...  
 ფსკერზე ვართ კვლავ. ადგილზე გვაქვავებს, მოგვებჭინება  
 ჩახლართული, შავ-შავი ფოლაქებით დალაქავებული  
 რვაფეხას ერთადერთი თვალი, მოტიკტიკე საათივით  
 დატანებული მრგვალ, ნალმივით გატიკნილ მუცელში.  
 შიშით დავაქქვარდებით ორგვერდიანი ბრტყელი ხამანჭის  
 ცალფა მუზარადს, ზედ სილის ნამცეცები ყრია;  
 ვინ გააპო შუაზე, ვისი ვახშამი იყო საბრალო...  
 ლეჭვა და გავლა, გავლა და ცვენა ნაწყვეტ-ნაწყვეტი,  
 შთანთქმა, მონელება, მილი უწყვეტელი, მთლიანი.  
 ქვას მიჰკვრია, შესწებებია კრიჭაშეკრული ჭროლა ნიქარა,  
 მარილით, ცრემლით შემოგარსული უმწიფს მარგალიტი.  
 აგუბებს გუგუნს მოლუსკის კოშკი, ყრუ, გამობუგული,  
 ყელში ჩაჰფენია ვარდისფერი ატლასი — სადაფის მწუხრი,  
 ზურგი მისი, წახნაგებიანი, წრეებად დაგორგლილი,  
 გაოცებს, ისე ჰგავს აჭრიალებული ხომალდის საჭეს, —  
 ბზინავს, რაღა უშლის — დატრიალდეს წალმა და უკუღმა...  
 იქ თუ ჩავალწიეთ, მერე ზღაპარია მოძებნა ჩვენი.  
 მშვილდის ლარივით უნდა გადაგვიკილდეს გრადუსი ყველა.  
 წრეა ოკეანე, ტრიალებს ქამი, წრეში ჩაწურული,  
 ოლონდ შეიძლება გაირღვეს წრე და დრომ ნელა გაეონოს.  
 თუ დაშლა გიწევს, სულერთია, სადაც დაიშლები,  
 დაჩიხულ გულს ელვა დაგიჩხავს თუ ჭვილთი სამკაპა.  
 რადგანაც გისწრებ... ოცდაათი წლით... მოხდება მოსახდენი —  
 შენ უნდა იხილო სოველი მტვერი — ბოლქვი ავარდნილი  
 დამრეცი ბორცვიდან როგორ იღექება, ლაგდება თანდათან.  
 მე ვიშვი პირველად — პირველი მე უნდა გადავეშვა.  
 მომყვი... წყალს დაგვრათ დაწმენდილს წითელი ფარფლები.

## ხეობი

### I

ღმერთო, როგორი წუთიერი არის ცხოვრება,  
შეყვარებულნი  
სიყვარულსაც ვერ მოასწრებენ.

მაგრამ როგორი ხანგრძლივია  
იგი ჩვენი ტკივილებისთვის.

როგორ არ ჰყოფნის დიდ საქმეებს  
ერთი ცხოვრება,  
მაგრამ როგორი ხანგრძლივია  
იგი ჩვენი წვრილმანებისთვის.

რაც კი ვიცხოვრე,  
იმდენ ხანს რომ მგლებში მეცხოვრა,  
ხომ ძმად ჩამთვლიდნენ,  
ხომ აღარასდროს მიმტყუნებდნენ,  
არ გამწირავენ.

მე მგელს კაცს როგორ შევადარებ,  
მაგრამ განა მხოლოდ იმიტომ,  
რომ ორივესი მეშინია და ვეკრძალები,  
უფრო იმიტომ,  
რომ ამ არსებებს  
მეტი ასხვავებს,  
ვიდრე არის შედარების მათის მიზეზი.  
მგელი თავის ზნეს არასოდეს არ გამოიცივლის  
და ის — ზნეს თვისას ვინც ერთგულებს,  
ხომ მართალია,

და მართალი ხომ მშვენიერიც არის და სანდოც...  
 დამნაშავეა,  
 თავის ზნეს ვინც მალიმალ იცვლის,  
 და დამნაშავე  
 მართალს აბა ვით შევადარო!

ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

რაც ხალხში ვიცხოვრე,  
 იმდენ ხანს რომ ტყეში მეცხოვრა,  
 ზეებს ხომ მაინც გავარჩევდი ერთმანეთისგან...  
 ვიწროილებდი მეც იმათთან,  
 დღეს გაცნობილი  
 ახალ თვისებით ზვალე აღარ გამაკვირვებდა.

რაც ხალხში ვიცხოვრე,  
 იმდენ ხანს რომ ცაში მეცხოვრა,  
 ვიკიაფებდი მეც ვარსკვლავად,  
 მაგრამ საბრალოს  
 მაინც მიწისკენ მექნებოდა მზირალი თვალი,  
 ვით მგლის ყმუილი  
 და მარტოხის ხვეწნა-შრიალი...

რადგან:  
 ესაა მიწა,  
 მე აქ მცივა და აქა მცხელა,  
 ესაა ხალხი,  
 ჩემი მტრები და ჩემი ძმები  
 და რად ვებძოლო,  
 ან სულმოკლედ რატომ მიყვარდეს,  
 განა მათ არ შემქმნეს პოეტად,  
 თავიანთი უბეში ზელით?!

რადგან:  
 მე ვწერ ადამიანებზე,  
 საამისოდ მე აღმძრავს  
 ჩემი ახირებული თვისება,  
 რომ მათ ვეკუთვნოდე.  
 მე ვწერ ადამიანებზე,  
 საამისოდ მე აღმძრავს  
 მათი ახირებული თვისება —  
 განიცადონ, ეწამონ...  
 და ვილაყებში აღმოაცენონ უნარი,  
 რომ მათი ვნებები  
 თანაგრძნობით აღიწეროს.

რადგან:  
 მე ვწერ ჩვენს ბალზე,  
 ჩვენი ეზოს ზეებზე ვმდერი...

როს მეზობლები  
მიჯნის ლობეს შეაკეთებენ  
და მუხის ბოძებს ხვნიშა-ხვნიშით ამოძირკვავენ,  
ყორეს დადგამენ,  
ანდა რკინის მარგილებზე  
ბადეს ჭიმავენ,  
თუკი ძველ მიჯნას ზუსტად გაპყვენენ,  
თუ არ შესცოდეს  
და თუკი ერთმაც  
გოჯისხელა მეზობლისკენ არ გადასწია,  
ტყებთან მაშინ მეზობლები  
და ლაპარაკს მოუმატებენ,  
ტყებთან ძვლებიც წინაპრების  
და შეიძლება  
სალამოხანზე  
ღვინოც გაჩნდეს იმათ ტაბლაზე...

მე ვწერ ჩვენს ბაღზე,  
ჩვენი ეზოს ხეებზე ვმღერი...

ორი პანტა და სამი კიდევ ვაშლის ხე გვედგა.  
ესენი იყვნენ ჩვენი ეზოს პატრიარქები.  
განსაკუთრებით ერთი:  
დიდი მსხალტკბილი პანტა,  
ეზოს შორეულ კუთხეში რომ იდგა დარაჯად  
და მეზობლების ხეების ჩრდილს რომ არ უშვებდა.  
ყველაზე მძლავრი და მაღალი  
მთელს ჩვენს უბანში,  
რომლის უდაბურ ილიებში  
ხის ბაყაყი დალაჯუნობდა  
და რომლის ძირშიც  
სისხლფიცხელი ჭინჭრის ტევრი იდგა დარაჯად.

მე არასოდეს მიმიდგია იმისთვის კიბე,  
მხოლოდ ქვემოდან შევეყურებდი,  
ვით საოცრებას,  
პაპის ნატრული  
იმ პანტაში ვხედავდი პაპას,  
მაამაყებდა,  
კოდალები რომ ეხვეოდნენ  
და რაკარუკით  
უფრო მეტად იღუმალს ხდიდნენ.  
ოღონდ ეგ იყო,  
რომ იმ პაპას  
ეგრერიგად ვერ შეჰხედავდი,  
ხოლო, თუ ნატერა ერთხელ მაინც აგხდებოდა,

იგრძნობდნენ მხოლოდ ნესტიანი ლაქები შენი,  
 რომ უყვარხარ და  
 თანახმაა მისაყრდნობელად.  
 უფრო პატარას  
 გაგიბედია წვერზე ხელის მოთათუნება,  
 ძალღივთ შემერთალი  
 მის მუხლებსაც შემოჰხვევიხარ,  
 იმას კი შენთვის თავზე ხელი ჩამოუშხია,  
 თითქოს მიწაზე გამაგრებდა და გამკვიდრებდა.  
 და შენც  
 იმ ხელის სითბოთი და სიმძიმით გრძნობდი,  
 რომ უპატრონო არ იყავი და მაიმუნი.

მეორე პანტა დემოკრატი პაპა იყო —  
 ლმობიერი, ალერსიანი...  
 იმის ტოტებზე  
 ბევრი შარვლის უბე გავცვივით,  
 ჩიტის ბუდეშიც ჩაცვავე ჩემი დამწყები ცხვირი  
 და ჩემებილებიც  
 უამრავჯერ ავიპატივე.

ეს პაპა იყო კალატოზი,  
 ყიდულა ერქვა,  
 ნაბდის ქუდიდან  
 უცვეთელი ქალარა უჩნდა...  
 თორმეტი წლისა დამაყენეს ქვის მიმწოდებლად  
 და მეც ვაწვდიდი,  
 მოწიწებით, ორივე ხელით,  
 ვით ოქროს გვირგვინს,  
 ანდა ვით წყალს ზიარებშისას...  
 როგორ მიყვარდა,  
 როგორ მინდოდა, რომ იმისთვის შეამებინა!

## III

რა მნიშვნელობა აქვს,  
 თუ რა წარმოდგენს ოჯახის და გვარის სიმბოლოს  
 თუ რა არის  
 იმის გერბზე ამოკვეთილი.  
 რაც გინდა იყოს,  
 სამსახური უნდა ერთგულად,  
 კამარაშეკრულ ვეფხვსაც ისე,  
 როგორც ვაშლის ხეს.

ჩვენი ოჯახის გერბი იმ დროს  
 საზაფხულო ვაშლის ხე იყო,  
 უსუსური, მგრძნობიარე, თავდაუცუკი...  
 ყველანი იმის მოსაპარად მოდიოდნენ

ახლომაზლოდან,  
ან სად წავიდოდნენ, მთელ სოფელში ერთადერთი  
როდესაც იყო!

სად წავიდოდნენ აბა ლამის მეხრეები,  
ანდა ლამით მოთევზავენი,  
ლამით საქმეგამოლეულნი?  
ჩვენ ვიცავდით გააფთრებით, თავგანწირულად,  
შუალამისას ლოგინიდან წამოვხტებოდით  
და მომხედურებს მგლებივით თავს დავაცხრებოდით.  
ხან ჩვენ ვჯობნიდით, ხან ისინი,  
ვიდრე ზაფხული  
არ დააცხრობდა ვნებებს ჩვენსას  
და ვიდრე ქარი  
ბოლო ვაშლს დაბლა მიწაზე არ დაანარცხებდა,  
დავიღალეთ იმის დაცვით და იმის მოვლით,  
იმის უღვთოდ დაღუწილი ტოტების კრეფით  
და გაქერქილი ტანისათვის  
მაღაშოს დებით.

პაპაჩემის პირველი ცოლის დარგული იყო.  
იმ საცოდავს მოეტანა თავის სოფლიდან.

დედისერთა ყოფილიყო,  
მომკვდარიყო უცხო ჩიტივით...  
იმის ნამზითვარ ხალიჩაზე  
თითი ბევრჯერ მიტარებია,  
ხან ძილის წინ,  
ვიდრე უცებ შექს ჩამიჭრობდნენ  
და ხან კიდევ წამდაუწუმ ავადობისას.

რადგან:

ის რა ზაფხული იქნებოდა,  
თვალში რამე არ ჩამეარდნოდა.  
დახუტვას ვერ ვასწრებდი ხოლმე?  
ბოლო წამამდე  
მსურდა ხოლმე განსაცდლის ჭერეტა?  
გაიკითხავდნენ,  
წამიყვანდნენ მაწოვარ ქალთან,  
ოღონდ გოგოს დედა უნდა ყოფილიყო  
აუცილებლად,  
რადგან ეგონათ, რომ ვაჟის დედას  
ცხარე რძე ჰქონდა.

დავწევბოდი.

ჩავუდებდი ქალს თავს კალთაში  
და ვუცდიდი

პირველ წვეთის გამოცხადებას.  
ჩემი მზერა და იმ რძის წვეთი  
სადღაც გზაში ხედებოდნენ ერთურთს,  
სახეზეც ბევრი დამკეშია გზასაცდენილი.  
ვინამებოდი, ვირიდებდი.

ვიდრემდის გუგა  
 წებოიანი თეთრი რძით არ ამევსებოდა...  
 მაგრამ მაშინ?  
 მაშინ რა იყო?  
 ექსკურსიაზე რომ წაგვასხეს  
 ბედნიერი გოგო-ბიჭები...  
 როცა ვერავენ ვერ მიმასწრო  
 ავტობუსის ღია სარკმელთან  
 დაჯდომა და გაამაყება,  
 როცა სარკმილიდან ბოლომდე თავგადაყოფილმა  
 ტყიან ვიწროში  
 რალაც ტოტი მოვიხვედრე გახელილ თვალში  
 და ჩაეშხამე  
 მთელი გზაც და ექსკურსიობაც.

ის რა ზაფხული იქნებოდა,  
 ფეხი რომ არ გამეჭრა ხოლმე:  
 ჭიბეში ხურდა მეყარა და  
 მივდიოდი სოფლის ცენტრისკენ  
 (ალბათ რალაც საოცნებო რამის საყიდლად),  
 მხიარული, ბედნიერი, ოცნებიანი...  
 რომ უცებ,  
 ჩვენი ჩრდილიანი ორღობის ბოლოს,  
 ვიდრე მთავარ ქუჩისაკენ გადავუხვევდი,  
 ზედ ღობის პირას  
 (იქ რა მინდოდა,  
 იქ სავალი გზა ხომ არ იყო),  
 მწვანე ბალახებს შეხამებულ  
 ბოთლის ნამტვრევს შევახიე შიშველი ფეხი...  
 მაგრად გამეჭრა,  
 მწვანე ფოთლებზე დარჩა ჩემი წითელი სისხლი...  
 მივყავდით,  
 მე კი  
 თვალი ისევ მისკენ მეჭირა —  
 ობლად ვტოვებდი ჩემს სისხლს იქ და  
 ჩემს მტერს კიდევ შურის უხდელად...  
 მას შემდეგ რიდი და შიში მაქვს სიხარულისა,  
 რიდი და შიში...  
 კიდევ რისა?  
 — დანაშაულის!


თავს დამნაშავედ სულ პირველად  
 დედაჩემის წინაშე ვგრძნობდი,  
 რომელიც იმდენად ჭეშმარიტებისმოყვარე იყო,  
 რომ ცდილობდა გავერკვიე,  
 თუ როგორი ძნელი იყო მისთვის ცხოვრება.  
 იმდენად არაპრაქტიკული,  
 რომ საზოგადოებრივ საქმეებში იყო ჩაფლული,

გულუბრყვილო:  
 რადგანაც მუდამ  
 ღია ჰქონდა საბლის კარი მათხოვრებისთვის,  
 რომელნიც იმ დროს  
 უამრავნი დიოდნენ ყველგან  
 და რომლებსაც  
 ამაყად მე მოვუძღვებოდი...  
 და თან ისე ვიზრდებოდი,  
 დანაშაულის შეგრძნება რომ  
 მქონოდა მუდამ:  
 „ძია ზაქროს დღეს უსალმოდ რად ჩაუარე?!“

IV

— უარესი უნდა მექნა, თქვენი დედა კი...  
 შემოულრინა ხალხს,  
 როგორც კი საპატივროს კარში შეუშვეს.  
 როგორც კი იგრძნო,  
 რომ უკვე ველარ მისწვდებოდა  
 ველარც ფურთხი, ველარც მუშტი,  
 ველარც გინება.  
 ყაჩაღი იყო... კოლის მკვლელი,  
 სწორედ ახლახან დაიპირეს და დაბაში ჩამოიყვანეს.  
 — „იმის შინელი მირჩვენია  
 შენს კაცობასო“, —  
 ეთქვა ცოლს ამისთვის,  
 ამ უბედურს  
 საყვარელთან როცა მიესწრო.  
 ამასაც ხანჭლით დაეკუწა — ამ უბედურსა.  
 და გაყაჩაღდა...  
 ხოლო თავქვეზე  
 ძნელი არის თავის დაჭერა.

— უარესი უნდა მექნა. თქვენი დედა კი...  
 შემოულრინა ხალხს,  
 რადგანაც ამათ წინაშე  
 თავს არავეითარ დანაშაულს არ აყვედრიდა.  
 რას ერჩოდნენ,  
 რად ლანძღვდნენ, რად აგინებდნენ?  
 რად ესროდნენ, რაც კი ხელში მოხვდებოდათ,  
 რატომ იწვევდნენ?  
 ველარ გაიგო,  
 ყველაფერი ერთმანეთთან ვერ მოარიგა.  
 ველარ გაიგო,  
 რომ ხალხი მუდამ ხალხი არის  
 და ორმაგად ხალხად იქცევა,  
 როდესაც თვალწინ



უმწეოს და გათელილს ხედავს.  
„უარესი უნდა მექნა, თქვენი დედა კი...“

## V

შეხედეთ, ერთი,  
რა თვისება აღმოაჩნდათ პატარა საგნებს:  
თითის წვერებზე იწვეიან იმათ ზურგს უკან,  
ვისკენაცა გვაქვს გულსისყური,  
ვისაც თვალით ვაბედნიერებთ.  
-- ეი, ვიროო! — ამას როდღი იძახიან  
თავაზიანნი,  
პეი, ბატონო, ბატონო,  
ვითომ ჩვენსკეც მოიხედეთო,  
შეგვაშჩნიეთო...  
მაგრამ რაიმე წაგვადგმევიანებს იმათკენ ნაბიჯს?

ის ქლიავები  
ქუჩის მხარეს, კუთხეში გვედგა,  
იქვე გვქონდა  
ძროხებისთვის შემოლობილი.  
ლამით,  
როდესაც სხვა ხეები  
უშველებელ სვავებივით  
ფრთებს დაკეცავდნენ,  
ეზოს ეს კუთხე  
უძინარი ბავშვივით იყო,  
საქონლის ფშვენა და ფრუტუნი,  
ადგომ-დაწოლა  
და ქლიავების ჩამოცვენა  
დიდ სამყაროს ესიტყვებოდა...  
ძროხის მონებვას  
ხმელ მიწაზე ქლიავის ხმა ენაცვლებოდა...  
სულიერები იყვნენ თითქოს ეს ქლიავებიც,  
ისე იწვედნენ  
თავისუფალ ცის ნაჭრისთვის  
ლობებს იქით.  
ლობებს იქით ჩემთვის სულ სხვა ქვეყანა იყო,  
სულ სხვა ჰაერი და ხეებიც სულ სხვანაირი...  
შენი ქლიავი,  
დავარდნილი მეზობლის მხარეს,  
უკვე შენი აღარაა...  
შენ ეძახი, შენსკენ უხმობ,  
როცა დილით საარაყედ აგროვებ ხოლმე,  
მაგრამ მეზობელიც ახმაურებს  
იქ თავის ჭურჭელს  
და თქვენ,  
როგორც მტრული ქვეყნის მესაზღვრეები,

დუმბილით ცდილობთ  
 საქმეში თავჩაფლულად ჩანდეთ.  
 ასე მიდის  
 სხვის საარაყეში შენი ქლიავი  
 და სხვისი კიდევ შენი მუხის კასრში ჩაღნება  
 (ქლიავებისთვის ტოტების დაჭრა წესი არ იყო).

გაზაფხულზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი  
 რა უნდა მოხდეს ქვეყანაზე,  
 რა სასწაული!

გაიშლებოდნენ, აქაფდებოდნენ,  
 ადულდებოდნენ, ამლერდებოდნენ,  
 პერი და დრო თავ-თავისი კუთვნილი ჰქონდათ —  
 დაბლა ტყემლებს და ქლიავებს,  
 ცოტა მაღლა იმ ვაშლის ხეებს,  
 სულ ზემოთ კი  
 პანტებს ჰქონდათ ფრთები გაშლილი.  
 გამარჯვებული იერი აქვს აყვავებულ ხეს,  
 მთელი ეზო ზუზუნებდა,  
 მთელი მიწა ხეების იყო...  
 რა მორიდებით,  
 როგორ კრძალვით დავდიოდით იმ ყვავილებს ქვეშ,  
 მიწას ვბარავდით,  
 თუ ნაზამთრალ ფოთლებსა ვწვავდით,  
 როგორც პატარძალს  
 ან როგორც ქალს — შვიდი თვის ორსულს,  
 თვალით ვლოცავდით, ვეკრძალვოდით, ვერიდებოდით  
 თან გულუბრყვილოდ იმ ყვავილთაშლას თავს  
 ვატოლებდით.  
 — აბა, სადა ხარ, შარშანდღეო ბარო და ფოცხო,  
 აბა სადა ხართ, ლობეებო, შესაკეთები...  
 გაზაფხული თუ მოვიდა,  
 ზაფხულსა და შემოდგომას რაღა დაიჭერს.  
 ო, ეს ქალები,  
 ჩაჭიდებულნი  
 ოჯახის ფსკერს  
 ხის ფესვებივით...  
 დაფუსფუსებენ აყვავებულ ბაღა-ბაღებში  
 და სახეებზე აღბეჭდვით პირველი მზე გაზაფხულისა.  
 ნიორსა რგავენ, მწვანის თესენ,  
 ჩანავლებულ კოცონს ფოცხით აკალოვებენ  
 და მშის სხივებს და ბაღის სურნელს უბუდებენ  
 თავის უბეში,  
 რათა ღამით სახლის კედლებს მიმოაფრქვიონ...  
 ო, ეს ქალები,  
 მოქსოვილნი მოთმინებისგან,  
 თეთრი ბოლივით ამოდინ თავიანთი ქვედატანებიდან,

ტოვებენ ნაცარს...  
ბოლო არა აქვს ამ ამოსვლებს,  
ისე, როგორც მათ მოთმინებას.

## VI

შურისძიება დაერქმევა  
ნეტავ იმ განცდას,  
რა განცლითაც ის პანტები გავაჭრევენეთ?  
ჯერ ის მოვჭერით,  
ხის ბაყაყი რომ ჰყავდა მდგმურად  
(იმისი ხმა შერე არსად გამიგონია),  
ვაშლები კი თავისით გახმნენ...  
თითქოს კიდევეც ვამუნეთ,  
რადგან არ გვინდოდა მათი დაკარგვა,  
მაგრამ არა და არ გაიზარეს.

იმ პანტების ნამყოფ ჰაერში  
ათასობით ვარსკვლავი დაჩნდა,  
თითქოს უთვალავწვივება ჩიტებს,  
ტოტებს რომ იყვნენ მთელი გრძნობით ჩაჭიდებულნი,  
მოულოდნელად ფეხებქვეშ ხე გამოაცალეს...

არა, შურისძიებით არ მოგვიტრია ჩვენ ის ხეები,  
მაგრამ რაღაც მინამგვანი, ალბათ, ერია...  
ჩვენ იმ ხეების სისხლით გავწმინდეთ  
გზა მომავლისა.

„თვითონ ველარ ისხამენ და  
ახალ ნერგებს კი გვიჩაგრავენ.  
იმ დიდ პანტას  
გამხმარი ტოტი რომ ჩამოსკდა,  
ორი კარგი ნერგი მოტეხა,  
ჰოდა მოვჭერით...“  
„ეხ, ისეთ პანტას სადღა ნახავ,  
იწვიათი ჭიში იყო, ტკბილი, ტკბილი,  
ბადაგსაც კი ვაღუღებდით ხოლმე, თუ გახსოვს“.  
„თქვენი ვაშლი მეც მომიპარავს,  
ერთხელ, მახსოვს, თევზზე ვიყავით...“  
„რა ჭიში იყო, კაცო, თითქოს სხვაც მიჭამია,  
მაგრამ ის მაინც სულ სხვა იყო,  
ტკბილიც იყო, შეავეც ერია...“  
„ის ვაშლის ხე აღარ გიდგათ?  
სამნაირი ვაშლი რომ ესხა  
და ერთ სახელს რომ ეძახოდით?“  
ერთხელ, მახსოვს, იმ პანტაზე ავედი და  
ჩამოსვლით კი ველარ ჩამოველ,  
დავიძახე,



ილია ჩურუა

## გაქვეშებული ლექსის დაბრუნება

მოთხრობა

მთელი კვირა მივცურავთ ოკეანეში. რაიმე სიახლისა თუ გართობის ძებნაში ტურისტები აქეთ-იქით დაწრიალებენ. საბოლოოდ მაინც ყველა გზა მუსიკალური სალონისაკენ მიდის. წითლად მოხასხასე ღრმა საეარძლებში მოკალათებულნი, წყნარ, ინტიმურ საუბარში ლუდსა და კოკტეილს შეექცევიან ან ჰადრაკსა და პრეფერანსს თამაშობენ.

აქვე, გვერდზე, რეპეტიციას გადის ქართული ახალგაზრდული საეხტრადო ანსამბლი „ოროველა“. რეპეტიცია ჰქვია, თორემ იგივე კონცერტია; მე თუ მკითხავთ, უფრო საინტერესო, რადგან ბიჭები შიგადაშიგ თავიანთი სიმოწხეებისათვის მღერაიან. ახლა, ამ წუთშიც, საეარძლებში, ნახევრად წამოწოლილი, უკვე მონატრებულ ჰანგებს იხსენებენ; იმ ძალდაუტანებელი სიმსუბუქით, რასაც მხოლოდ მუსიკის ნიჭმომადლებლნი ახერხებენ ზოლმე. ქალაქურ-სუფრული სიმღერების საამო პოპული აიკინძა.

ამ სიმღერებს გერმანელი ტურისტები პირველად ისმენენ, სულ უფრო მეტი ინტერესით უგდებენ ყურს. ზოგიერთმა თამაშსაც მიანება თავი, წინა საეარძლებში გადმოინაცვლა.

უცხოელებმა, ცხადია, არ იციან, რომ ანსამბლის სახელი ძველი გუთონისდედურიდან მოდის; რომ ეს სიმღერა

სალონებში არ სრულდება. მას გაშლილი სივრცე და საკუთარ თავთან განმარტობა სჭირდება, ბრჭყვიალა საესტრადო ინსტრუმენტებთან მეზობლობაც ეხამუშება. და მაინც ეს მოხდენილი, თავაზიანი ბიჭები რამდენიმე თვეა ზღვებისა და ოკეანეების უკიდვგანო სივრცეებში აპნევენ მშობლიური მიწის ჰანგებს. და შორეულ მხარეებს, უცხო ადამიანებს ესმით, რომ სადღაც არის ქვეყანა და ხალხი, რომელმაც იცის ეშხიანი სიმღერის გემო და ფასი.

სამი გალალეზული ხმა — ერთი ქალისა და ორიც ვაჟის — რბილი, მჭრქალი სინათლით სავეს სალონში სიმღერას სიმღერაზე ქარგავს. ყველა სულგანაბელი უსმენს.

ვეუსმენ მეც, თითქმის ერთიანი მინის სამზერ კედელთან მჯდომი. აქედან განსაკუთრებით კარგად ჩანს წყლის უსაზღვრო, ლურჯი სივრცე და მისი ნაორთქლის ნისლოვანებით ოდნავ შემღვრეული ცა. მუხლებზე მიზის პატარა გერმანელი ბიჭი, რომელსაც ძალიან რუსული სახელი — ბორია ჰქვია; როგორც ამიხსენს, მამამისის მოსკოველი მეგობრის პატივსაცემად.

სამგზავრო ლაინერზე, სადაც თავი მოუყარია ათას ორასამდე ადამიანს, ბორია ერთადერთი ბავშვია. ამიტომ

ხელიდან ხელში გადადის, ყველა მას ეალერსება და ესიყვარულება. ბიჭი კინოფილმიდან გადმოსულ პატარა პრინცესა ჰგავს: აბრეშუმით რბილი და მბზინავი თავთუხისფერი თმა მხრებზე დაჰყარია. ოდნავ ოვალურად ამობურცულ შალალ შუბლს ქვემოდას შემოგვტყერით ონავრული ნაპერწკლებით სავსე თვალები, რის გამო მათი ფერის დადგენა არც ისე ადვილია. მოქნილი, ბიჭურად თელი ტუჩების მოხაზულობა წარამარა ეცვლება, რადგან ბორიას არსება ერთიანად სავსეა ცნობისმოყვარეობით, სურვილითა და ნდომით. ამ წუთებში კი, გულსტკივილით უნდა მოგახსენოთ, არცთუ ისე სახალისო საქმით არის დაკავებული. აგერ, რამდენი ხანია უგემურად ღეჭავს ლორის ბუტერბროდს, დედამისმა ხელში რომ ძალით ჩაუღო ჩემთან გამოგზავნამდე. რამდენჯერაც არ სცადა ბუტერბროდის თავიდან მოცილება, იმდენჯერ დედის ფხიზელ მზერას წააწყდა. ერთხელ მამამისმაც დაუქნია თითი. ბორიამ ამოიხრა და, ბედს შერჩებულმა, მთელი დარჩენილი ულუფა ძალით ჩაიტენა პირში. ეს დემონსტრაციულად გააკეთა: საგარძელზე შეხტა და თითქოს დაღლისაგან გაჩერებულ ყბას ხელები მიაშველა, ვითომ ძალისძალად ამოძრავა. მთელი საღონი გულიანად იცინის. ჩვენი შეხვედრა და დამეგობრება ერთი იქნა. იმ საღამოს, ჩვეულებისამებრ, დასასვენებელ გემბანზე ვიჭექი. ვახტიდან თავისუფალი ულიანოვსკელი მატროსი ტოლია მშობლიური კოლეჯის სანახების სილამაზეზე მიყვებოდა გატაცებით. ამ დროს საიდანღაც ამოგვიძვრა ხუთი-ექვსი წლის ბიჭი, რომელსაც ილიაში ამოეჩარა შუაზე გაკეცილი, ფერადნახატებიანი მუყაო და მოგრძო კოლოფი. გამოველაპარაკეთ, მაგრამ მან ჩვენი ვერ გაიგო, ჩვენ კიდევ მისი. მდგომარეობიდან ისევ სათამაშომ გამოგვიყვანა. შეზღონგები ერთმანეთისაკენ მივწიეთ და მათი წინა ხიდურებისაგან შეკრულ პატარა მოედანზე მუყაო გავშალეთ. იგი მაყუ-

რებით გაქედული იპოდრომში აღმოჩნდა. მის სარბიელს სამი ფეხი უნდა ჰქონოდა და ყოფილი წრე უვლიდა გარშემო. ყუთშიც სამი ფერის არაბული ჯიშის ცხენი აღმოჩნდა დამწყვედულო, კისერზე გართხმული ნორჩი ეოკეებით. ჩვენც მაშინვე ცხენოსნებად ვიქცეთ. ბიჭმა წითელი ბედაური აირჩია, ტოლიამ — შავი, მე კი, როგორც მიხვდით, თეთრი შემხვდა. და აჰა, გავორდა პლასტმასის მსხვილი კამათელი. პირველი სროლის უფლება, რა თქმა უნდა, ბორიამ მიიღო. მაშინვე ექვსიანზე დასვა, რაც მასზე ნაკლებ არც ჩვენ გავგხარებია.

— აინ, ცვი, დრაი... — ხითხით-ხითხითით გადათვალა ბიჭმა ექვსი უჯრა თავის წრეზე.

ტოლია პირველ სროლაზე სამიანს დასჭერდა, მე კიდევ—ორიანს. ამანაც სიხარული მოგვგვარა ყველას. ასე რომ, ბიჭის ცხენი თავიდანვე დაწინაურდა. სინამდვილის წინაშე შეეცოდავთ, თუ იმასაც არ ვიტყვით, რომ ჩვენი მოწინააღმდეგის წინ გაქრას ტოლიაც უწყობდა ხელს. თავის გამჭრიახ მზერას გაგორებულ კამათელს გააყოლებდა და თუ შეატყობდა, ბიჭისა მცირეზე ჯდებოდა, ჩვენი კი დიდზე, კამათელი აუცილებლად ძირს გადაგორდებოდა, ხელის მოუხელთებელი მოძრაობით. ამაზე კრინტსაც არ დავძრავდით, რომ კამათლის ძებნაში რამდენჯერმე გემბანზე არ დამჭირებოდა ხოხვა. ბორიასათვის არც ის გვიგრძნობინებია, რომ თამაშის ერთი, არსებითი წესი თავიდანვე იყო დარღვეული. საქმე ის არის, რომ ერთ-ერთი დამარცხებული ეოკეი თითქმის ხუთ ფუთს იწონის, მეორე კი ას კილოგრამზე მეტს. ბორია კი... ერთი სიტყვით, წავხდით ოდითგან ცხენოსნობით განთქმულ ხალხთა წარმომადგენლები: ფინიში პირველმა პატარა ეოკემ გადაჭრა.

ბორიას გამარჯვება ფეხზე წამოდგომითა და მხურვალე ხელის ჩამორთმევით აღენიშნეთ იმდენ ხალხში. ცერ-

მონიალი უფრო საზეიმი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით. თანამედროვე მუსიკა, რომელიც ჩვეულებრივ მთელი დღე ისმის რეპროდუქტორებიდან, ამ მომენტში ფრიად რიტმულად და ენერგიულად ეღერდა.

ეს იყო და ბორიას გარეშე, შემდეგ, დღე არ ყოფილა. დამინახავდა თუ არა, გამოიქცეოდა, ფეხებში მომედებოდა ან მკერდზე შემომახტებოდა. ნავსადგურებში შესვლისას ერთიანად გაქედნილ გემბანზეც ვუპოვნივარ არაერთხელ. ლაცბორტზე შევაყენებდი და, არცთუ შიშის გარეშე, ხელს მაგრად მოვხვევდი. ერთხელ, ბომბების ნავსადგურში, გაგრძელებული შეხვედრის სანახაობით დაღლილს, ჩემს მკლავებში ჩაეძინა.

კაიუტაშიც ვისტუმრე. საგულდაგულოდ ვადამალული ერთადერთი ჩურჩხელა მივართვი, რამაც ბორიას უსაზღვრო ცნობისმოყვარეობა გამოიწვია. მიმიკის ენით კარგა ხანს ვუხსნიდი, თუ ვისთვის შექმნა იგი ქართულმა ბებია. ბიჭმაც, იცოცხლეთ, იმ გამზმარ ჩურჩხელას დღე აყარა თავისი აღმასა კბილებით. ვუსახსოვრე მცირე ზომის ქედური ნამუშევარიც — ვეხვს შეჭიდებული მოყმე... ჩემს ქალ-ვაჟსაც გაეცნო. კარგა ხანს, დაუფარავი ინტერესით შეჰყურებდა მათს ფოტოს საწოლის თავზე. ეტყობა, რომელიღაც თანატოლად მიიჩნია, რადგან მეორე დღით საჩუქრით მომადგა კარზე. ეს გახლდათ ასი (არც მეტი, არც ნაკლები!) პაწაწკინტელა მუყაოს ნაჭერზე გადატანილი რეპროდუქცია ჰოლანდიური სკოლის ფერწერული სურათისა. მასზე გამოხატულია ზღვის აბობოქრებულ სტიქიონს შებმული ძველებური აფრებიანი ზომალდი...

ახლა კი ჩემს მუხლებზე მოკალათებული ბორია სულგანაბული უსმენს უცხო სიმღერებს. წინ გაწვდილი კისრის ძარღვები დაპბერვია, ტუჩებს ისე აკმაკუნებს, თითქოს სურს მომღერლებს აჰყვესო.

— ტურფავ, ტურფავ, რაქმეფდურე, მოაქურე ჩემსკენ ნაფეხკლნიყენკენ  
მესიამოვნა ამ უბრალო და კეთილ-  
ხმოვანი სიმღერის გაგონება. ალბათ, გერმანელებსაც მოეწონათ, რაკი ტაში მოსწყვიტა.

ამ წუთმა გამახსენა ერთი თითქმის მივიწყებული ამბავი. აღარ მაგონდება, ვინ მიაშბო, სად და როდის. ის კი ვიცი, ომის ცეცხლიდან არის გამოტანული. ერთ დროს მოთხრობის დაწერასაც ვაპირებდი, მაგრამ ვერ გავბედე, რადგან დაუჭერებელს ჰგავდა და თანაც მე თავად არ ვანმეცადა. ახლა კი, ოკეანის შუაგულში, გერმანელი ტურისტებით გაქედნილ გემზე, როცა მუხლზე ახალი გერმანიის შვილი მიზის, ამბავმა თითქოს სუნთქვა დაიწყო.

\*\*\*

ეფრეიტორი გერპარტ კრაუზე, ჩვეულებისამებრ, მარტო გამოვიდა სასერიროდ. პროფესიით მუსიკოსს, — მართალია, ხელმოცარულს, მაგრამ მაინც მუსიკოსს, — უყვარდა საღამო ხანის მყუდროება, როცა მანამდე სივრცეში არეულად მორიღე ხმები თანდათან იწმინდებდა და ბინდის დადგომით შეძრული ჩიტების ერთიან ქვივლად ან ზღვის ტალღების საამო, შრიალად იქცევა.

ასეთ დროს გერპარტს ეუფლებოდა სულის ნახად ამფორიკაქებელი გრძნობა, რომელიც ბუნდოვნად აახლოებდა რაღაც სამუდამოდ დაკარგულთან, მაგრამ მაინც ძნელად დასათმობთან. ძველი კაპელმაისტერი ხვდებოდა, რომ ეს იყო რაიმე მნიშვნელოვანის შექმნის წადილი, რომელსაც მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე ფრთები არ ჰყოფნიდა და რომელიც წლებთან ერთად თანდათან ნელდებოდა. ყველაფერი საბოლოოდ დამთავრებულად მაშინ მიიჩნია, როცა ორმოცდაათს კარგა გვარიანად გადაცილებულ კაპელმაისტერს რაიხის უკანასკნელი რეზერვისტის ფორმა გადააცვეს და აჟ, ჩრდილოეთის ზღვის ერთ პატარა ტუნძულზე ამოაყო-

ფინეს თავი, ტყვეთა ბანაკის მცველად-  
ეფრეიტორის ტანსაცმელს აქამდე ვერ  
შეჭგუებოდა. იმის წარმოდგენაც უჭი-  
რდა, მართლა საჭიროების შემთხვევაში  
როგორ უნდა ამოეღო ბუდიდან რევო-  
ლვერი ცოცხალი ადამიანის გასამეტე-  
ბლად. საბედნიეროდ, საჭმე ჭერჭერო-  
ბით აქამდე არ მისულა. კუნძულზე  
საომარი ვითარებისათვის უცხო სიწყ-  
ნარე სუფევდა. არც ტყვეებს ეჭირათ  
თავი გამომწვევად. და ესოდენ მოუ-  
ლოდნელ სიმშვიდეში ჩაძირული კა-  
პელმაისტერის! გულში ისევ გაიფანუ-  
ნა მიძინებულმა იმედმა. ასეთი გასეი-  
რნების ემს თითქოს უბრუნდებოდა  
ახალგაზრდობის განწყობილება, რაღა-  
ცით შთაგონებას რომ ჰგავდა.

„ვინ იცის.. ვინ იცის!“ — მწველი  
იმედით გაეხმაურებოდა ყურში უნე-  
ბურად დარჩეულ ჰანგს, მაგრამ სასწა-  
ული მიანიც არ ჩანდა...

გერპარტმა ფეხს აუჩქარა, რადგან  
ჰორიზონტს მიბჯენილი უზარმაზარი  
მზე ზღვის ზედაპირზე აპარპალდა უკა-  
ნასკენელი, გამოსათოვარი შუქით.  
გაახსენდა, რომ სადღაც ახლოს არიან  
მისადმი შეურიგებელი მტრობით სავ-  
სე ადამიანები. დღის სინათლეშემოძა-  
რცული კუნძულის საწაპირო ზოლს აბ-  
ლა მხოლოდ დაფიონი აჩენდა მერთა-  
ლად. კაპელმაისტერიმა თვალი დაადგა  
პლაჟიდან შეთხელებული ნაძენარისა-  
კენ გამბულ ვიწრო გზას, სადღაც რომ  
უჩინარდებოდა. არა, გერპარტმა იყო-  
და, რომ ეს გზა ზედ ტყვეთა ბანაკს  
ადგებოდა. უნებურად უკან მოიხედა,  
მაგრამ გამოვლილი გზითვე დაბრუნება  
უფრო გრძლად და სახიფათო ეჩვენა.  
გაახსენდა, რომ ბანაკის მახლობლად  
ყოველთვის დაბოროილებდნენ სამორი-  
გოდ გამწესებული მცველები. ფეხის  
თრევა-თრევეთ დაადგა ბილიკს.

ნაძენარში რომ შევიდა, დღის მიბ-  
ნედილიმა შუქმა კიდევ ერთხელ იფე-  
თქა წამით. გერპარტის გაქვეყნულ  
მზერას შერჩა რამდენიმე ნაძვისა და  
მათ შორის ვაწოლილი ულაზათო ბა-  
რაკის შავი სილუეტები. როგორც კი

მცირე აღმართი აათავა, ბარაკის სიღ-  
რეში ერთადერთი ლურჯი მწველი  
აქიატდა ცივად. გულს ბაგა-ბუგი გაა-  
ქონდა. გამახვილებული სმენა მხოლოდ  
ერთ რამეს მიჰყურადებოდა — სხვის  
ფეხის ხმას. ხელი უნებურად რევოლ-  
ვერისაკენ წაიღო... მაგრამ სწორედ ამ  
დროს გაიგონა სიმღერა. ყურს არ და-  
უჭერა. შედგა და, წინ გადახრილი,  
სმენად იქცა. არა, ეს ნაღდად არ იყო  
გერმანული სიმღერა. არც ჰოლანდი-  
ურს ჰგავდა. რაღაც სხვა იყო: უცხო,  
სიმშვიდის მომგვრელი და თან ნაღვ-  
ლიანი.

„ალბათ მათებურია“, — რატომღაც  
შეგებით ამოისუნთქა კაპელმაისტერმა  
და თითქოს ერთბაშად მხრები დაუმსუ-  
ბუტდა. უფრო თამამად განავრძო გზა  
და მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა  
ტყვეები დალანდა. მკრთალ ლურჯ  
შუქს ოდნავ მოესირობა მათი გარინდუ-  
ლი ფიგურები. ეტყობოდა, გადაჭრილ  
ხეზე ისხდნენ, ზურგით. ალბათ, თავა-  
ლებულნი მღეროდნენ, რადგან უცხო  
სიტყვები და ჰანგი სადღაც ზემოთ  
გადადიოდა, ნაძენარის თავზე.

კაპელმაისტერი უკვე სიამოვნებით  
უსმენდა. ერთადერთი, რაც აშინებდა,  
ის იყო რომ სიმღერის დამთავრებამდე  
არ შეემჩნიათ... უცებ ლურჯ შუქს რა-  
ღაც გადაეფარა წამით და გერპარტმა  
კარგად გაარჩია ერთბაშად ადგილზე  
წამომართული ტყვე. იგი თითქოს შე-  
მობრუნდა კიდევ და კაპელმაისტერმა  
სული გაკმია.

— ეფრეიტორი! — გარკვევით გაი-  
გონა მან.

ეს ხმა ტყვიასავით მოხედა გულზე  
გერპარტს და უნებურად ხელი რევო-  
ლვერს იტაცა, მაგრამ, მისდა გასაოც-  
რად, ტყვეები არ განძრეთულან. მხო-  
ლოდ ერთხელ ოდნავ შექანდა სიმღე-  
რა, რომელიც ახლა უფრო ხმაბლდა  
ისმოდა. კაპელმაისტერი ისევ დამშვი-  
დდა. ალბათ — ის ტყვე ჭარისკაციც,  
რადგან კვლავ ძველ ადგილზე ჩაქდა.

ასე მოულოდნელად მოვლენილმა  
უშფოთველობამ მოხუც კაპელმაისტ-

ტერს გუნება გამოუცვალა. უნდოდა სიმღერა კიდევ ერთხანს გაგრძელებულიყო, მაგრამ ტყვეები მორჩნენ. არც ახლა განძრეულან. მხოლოდ ის ერთი წამოდგა ისევ და უკვე სხვა, აშკარად გამოცვლილი ხმით წარმოთქვა:

— ბიჭებო, ძია გერპარტი!

თავისი სახელის გაგონება ესამოვნა. კეთილგანწყობილების დადასტურება იგრძნო ამით. გაუქვირდა და გაუხარდა კიდევ. მაგრამ ეჭვმა მაინც გაჰკრა — ძნელად დასაჭერებელი ეჩვენა, მით უმეტეს, რომ სხვა ორი სიტყვის მნიშვნელობა არ ესმოდა.

ბოლოს ტყვე ჭარისკაცები ერთად წამოიშალნენ ფეხზე და გერმანელისაკენ შემობრუნდნენ. თმაჭალარა კაპელმაისტერი შეატოკა მათმა უხილავმა, მაგრამ გამჭოლმა მზერამ. უნებურად თითქოს თავადაც დაუწყო შეთვლიერება საკუთარ თავს და უცებ, სრულიად მოულოდნელად, რაღაცის შერცხვა. არა, მან აშკარად დაინახა საქციელწამხდარი საკუთარი სახე, რომელსაც აქამდე აფარებული ჰქონია ბრმა, ბრიყველი მტრობის, ბატონაკობის ნიღბი. რამდენად სასაცილო უნდა ყოფილიყო ამ ამაყი, შავგრემანი ბიჭების თვალში. ამიტომ თუ გაღაურბენდა ხოლმე მათს სახეებს დამცინავი ღიმილი, როცა გერპარტი, მოვალეობის გულისათვის, რაღაცაზე ახირებული, არაბუნებრივი ხმით აყვირდებოდა. საბედნიეროდ, ძველი კაპელმაისტერი ამას წონასწორობიდან არ გამოჰყავდა. პირიქით, რატომღაც ერთბაშად ცხრებოდა. მაინც მუსიკოსის სული იცავდა ცოფისაგან...

და ახლა გერპარტი გრძნობდა, რომ ბევრი რამ ამიერიდან იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცეოდა აშუუთას. მაგრამ გონება არაფერს ჰკარანახობდა. უცებ, თითქოს ვიღაცამ უბიძგაო, ადგილზე შექანდა. მხედრულ ყაიდაზე გასაჭიმავად ასხლეტილი ფეხი მაშინვე მოადუნა და ტყვეებისაკენ წავიდა მშვიდი, რბილი ნაბიჯით. შიშის უკანასკნელი ნაახი

მისიანებთან იყო დაკავშირებული ხომ არავინ გვითვალთვალებს?

უკან წელში ვაიწოდა, გამაყდა და ფახი დაიდო ბატალიონის საველე საშარეულოს მეუღემ — ხანში შესულმა აზრბაიჯანელმა ჯარისკაცმა, რომელსაც თურმე საოცრად დახვეწილი პირისგემო და გერმანული ზედი ჰქონია. და აი, პოლონეთ-გერმანიის საზღვარიც გადავლახეთ.

რა ბედნიერები, რა ამბლებულები ვიყავით იმ წუთებში, როცა იმ, უკან ზუთი წლის წინათ წამოიღ ხაზს გადავბოქეთ!

იმ დღეს საღამოდან დილაამდე მოგვიწია განცხრობა საზღვრის მახლობლად მდებარე რომელიღაც დაბაში.

იმ დაბაში, როგორც სხვა დასახლებებში, აღამიანის ჭებანება არ იყო. გერმანელები დედაბუდიანად გაქცეულიყვნენ, მთელი თავიანთი ავლადიდება, პირადი ნივთების გარდა, მიეტოვებინათ და გაქცეულიყვნენ. არ ვიცებ, ეგებ უნადაზრულ გერმანელობა ქარებს ისინი ძაღლებანებითაც მოჰყავდათ თან. თურმე ოდერამდე ასე იქნება — სოფლებსა და ქალაქებში სულიერის, ჭებანებს ვერ ვხვამებ და მხოლოდ ერთ ოკანს შევხვდებით რომელიღაც დიდ დასახლებაში.

პოლონეთ-გერმანიის საზღვრის გადალახვის დღეს საზღვრის მახლობლადვე დაბინავდა ჩვენი სანაღმტყორცნი ახეული.

კარლი ოთახებში ყინვა დაუფარაობდა, საწოლ ოთახებში ლოგინები აშლილი იყო. იატაკზე კარადებოდან გადმოყრილი ტანსაცმელი ეყარა. ალბათ, რაც წასაღებად ზედმეტად ცნეს, სიჩქარეში დაბლა დუყარეს.

ახეულის ოფიცრები ერთ ოთახში დავბინავდით. ღუმელი ავანთით, სამართებლებით სარკეებს მივუქვით, გაულამზადით, ზელ-პირი დავბინავთ. ამასობაში ჩვენი შარეულის მოერ გამაჯებულმა წვინამაყ და მერე თავსაც მოგვიწერო და მრგვალ მაგიაღას შემოვუხსედით ირგვლივ.

— კი მარამ ის დღე, გერმანიამ შეგვლის პირველი დღე ხომ განსაკუთრებულად უნდა აღენიშნოს! — მომობოვენლად წარმოთქვა პი-

რველი ოცეულის მეთაურმა სერგეი შაკაროვმა.

— ურიგო არ იქნებოდა! — შენიშნა ასეულის მეთაურმა სმირნოვმა.

— კი მარა წყალს ხომ არ დავეღვეთ? — იკითხა მეორე ოცეულის მეთაურმა გიორგი ჩაჩხუნაშვილმა.

და სწორედ ამ დროს ოთახში შემოვიდა ჩემი ოცეულის ამშეთაური სერჟანტი მამაევი.

— მაგისტვის, ამხანაგო ლეიტენანტებო, ჩვენ ვიზრუნეთ, — ამჟამად თქვა და მაგიდაზე ორი ლიტრაიანი ბოთლი შემოიღვა. — ამ ბოთლებს სარდაფში წავადეკით. სპირტი!

— ამხანაგო სერჟანტო, — უთხრა ლეონიდა სმირნოვმა, — რაჲი ასეა, ამ სახლში უველაზე

დიდი ოთახი მონახე და მთელი [ჩვენივე] ჩემ მოიყვანე. უველამ ერთად აღვნიშნეთ! [ჩვენივე] [ჩვენივე]

— არის, ამხანაგო ლეიტენანტო, მაშინ ჩვენთვის გადადებულ სამ ბოთლ სპირტსაც აქ მოვიტან.

დარბაზივით დიდ ოთახში გაიშალა სუფრა. სპირტი წულით გაეაჩრეთ და კარადიდან გამოღებულ ბრალის სახმისებში დავასხით.

თითო ჭიქა ფორნებთან და ნაღმსატყორცნებთან დატოვებულ გუშაგებსაც მივაწოდეთ.

იმ დღეს პირველად და უკანასკნელად გაეტებე თბილისში ჩემს ძმასთან დადებული ფიცა, ბრძოლაში უოფნის დროს სახმელს არასოდეს მივეჭაღებინეთქი.

□დასასრული შემდეგ ნომერში□

## სსოპნის დღე მემოზრის სოფლავითან

მომწყვედეულია ძაძაში სასო,  
კრემლის წვეთები ვარდებს შესკვნია...  
აქეთ ვზრი  
ჩიტი გადახრილ სასწორს,  
ერთი უღონო ჩიტი მესკია.  
სურვილი მომდევს მემოზრის ნახვის  
და სულიც მტკივა...  
ოღონდ ეს კია...  
უსინათლოა სამარის თალი,  
და ვერას ვშველი ჩიტი მესკია.  
გაწყვეტაზეა მოთმენის ძაფი,  
თანდათან კრემლი უშრება წუხილს...  
გაფრენაზეა შეკრული წარბი,  
დაისის შექვით შემოდის მწუხრი.  
ცოტაოდენი ღვინო და მწნილი,

ცოტა მწვანილი,  
პური და ყველი —  
მომიტანია აქ მისი წილი,  
ეგების, მართლა, უშრება ყელი.  
სულს ჩაჰფრენია  
თრთოლვა თუ კდება,  
ქარი და... მაინც სიჩუმე სრული...  
ვინ იცის,  
როცა პოეტი კვდება,  
ანთებულ სანთელს ამოჰყავს სული.  
...ჭიქაში დგება დაისის შექვი,  
ჭიქაში დნება ჩამწვარი სევედა...  
მემოზრის ხსოვნას  
ყვავილებს ვჩუქნი,  
თუ ჭრის იმედი საფლავეთა ზედა.

## გაზრიელ ჯაბუშანურს

ჯაბუშანურო,  
ჩემო გაზრიელ,  
ვერ იგალობებს სხვა შენს მაგიერ.  
მახსოვს დღეები ოქროცურვილი,  
როცა სულ ახლოს ვიყავ მიზანთან...  
და ისევ,  
შენთან ყოფნის სურვილი,  
ფიქრში კვირტივით ამოიზარდა.  
ადექ,  
მოგიველ კოლბი სტუმარი  
და შენს ხატებას სულში ვიხატავ...  
არც ძილი მინდა,

არც სასთუმალი,  
სოჭვი,  
ჩემი ნახვა რომ გაგიხარდა.  
აქვე დამიწყვე ეს აღმასები,  
შემომავებე ტაში რითმების...  
სოჭვი,  
მემოზრობით როგორ მავსებდი,  
და მოლხენილი მაშინ ვიქნები.  
მახსოვს ლხინი და წყაროსუბანი,  
იტყოდი,  
ესე რა ღალანია?...  
რა წვევა გვქონდა,

ერკონულში  
გინგლინიძეებსა

რა საუბარი,  
ვაი, ის დღენი აღარ არიან.  
იქნებ კვლავ შევძლოთ  
ლამის გათევა,  
ვიცი,  
მეგობრად კიდევე გპირდები...  
ჩვენსკენ მოვიხმოთ ციციანათელა  
და ვაჭიკჭიკოთ ჭრელი ჩიტები.  
მსურდა, მენახა შენი არხოტი,  
და ვერ მეტყვოდი:  
ვინ ხარ, ვინ გინდა...  
რა გულსაკლავად დაგიახლოვდი,  
სევდა ცეცხლივით ამოგიგინდა.  
ჯაბუშანურო,  
ჰეი, გაბრიელ,  
ე, მაგ აღმასთა ფერში გამრიე.  
მოდი, დავანთოთ ლექსის ბუხარი,  
ისევ გავაბათ მიეთ-მოეთი...

მერე, ამვლელს და  
ჩამვლელს უთხარი,  
თუ როგორ უყვარს პოეტს პოეტი.  
გულამომჯდარმა მინდა ვიტარო,  
სხვა ტყვიელბიცი ჩნდება ჭერ კიდევე...  
მინდა შევძახო:  
ფრთხილად, სიკვდილო!  
პოეტებს მტრად ნუ გადაეკიდე.  
ჯაბუშანურო,  
ჰეი, გაბრიელ,  
ვერვინ იგლოვებს სხვა ჩვენს მაგიერ.  
...ადექ,  
მოგიველ კოლხი სტუმარი  
და შენს ხატებას სულში ვიხატავ...  
არც ლბინი მინდა,  
არც სასთუმალი,  
სთქვი, ჩემი ნახვა რომ გაგიხარდა.

### ჩემი მდინარეა...

ჩემი მდინარეა ზანა,  
მოიმღვრევა მისი ჩქერი...  
როგორც კონსტანტინემ ბრძანა,  
— სიყრმის განცხრომაა ჩემი.  
სიჭაბუკე!  
ამოზავთდი,  
მომაშორე ყრმობის შიში...  
მომაგონე  
ერთი ზამთრის,  
წყალდიდობის ვაი-ვიში.  
გამახსენდა,  
გამაეჩოლა,  
შევაჭერე მთა და ბარი...  
ზანას რამაც გამაშორა,  
ვაი, იმა წლების ბრალი.  
მესმის: იქეთ მიდექიო,  
ჩქერში ვილაც თევზებს იჭერს...  
შენ გეძახი:  
ბიჭო, გიო,  
ერთიც შეუძახე ბიჭებს.  
ბიჭო ჯემალ,  
ბიჭო ლევან,

ჩემო ნოდარ,  
ჩემო კოკი...  
ზანის წყალი დაილევა,  
ზანის წყალი მასვი კოკით.  
ზანის მხრიდან მონაქროლი,  
ზანის სიო იგრძნო ქორმა...  
მიქრის სიყმაწვილის ქორი,  
ნეტამც ისევ გამაქროლა.  
ჩემო ოთარ,  
ჩემო შოთა,  
სად გეძებოთ მე ამ ქარში?...  
სული წუხს და სული შფოთავს,  
რომ აღარ ხართ ჩემს ამქარში.  
ვლადიმერ და ბიჭო გივი,  
ვაი, საით მიქრის ყვავი...  
მოვალ,  
კიდევე გამოგივლით,  
გავიხსენოთ, რა ვიყავით.  
...უნდა დამხედეს ჩემი წილი,  
ალვის ჩრდილი ზარნიშვიით...  
თორემ დარდით შელენწილი,  
დაიმსხვრევა ზანის შვილი.

სიკვდილო, რაზე გემასლაათო...

ოტო პაჭკორიას ხსოვნას

საით მიგყავარ, დღევ და საათო,  
 ეს ზარიც,  
 ალბათ, წასვლის ზარია...  
 სიკვდილო!  
 რაზე გემასლაათო,  
 შენი ხმა ჩემი თანამგზავრია.  
 ვარდები წყლულებს ვერ იშუშებენ  
 და ულიმლამო სხივს აგზავნიან...  
 სიკვდილო!  
 მცოცხა და ვიშმუშნები,  
 შენი ხმა ჩემი თანამგზავრია.  
 გადამიჭირეს წლებმა შოლტები,  
 გავრბივარ იქეთ, სადაც ზვარეა...  
 სიკვდილო!  
 ქვეყნის ნათელს ვშორდები,  
 შენი ხმა ჩემი თანამგზავრია.  
 ქარიშხლით სავსე მიდევს ფიალა,  
 ირგვლივ ტყივილი და ხანძარია...  
 სიკვდილო!  
 მაკრთობს შენი ტრფიალი,  
 შენი ხმა ჩემი თანამგზავრია.  
 აყვავებულან ნუშის რტოები,  
 თავს მაწონებენ რაღაც ძალიან...

სიკვდილო!  
 წადი განმარტოებით,  
 შენი ხმა ჩემი თანამგზავრია.  
 ჩემამდე აღწევს ქვითინ-ლაღადი,  
 ხომ ყველაფერში რაღაც ზღვარია...  
 სიკვდილო!  
 სადმე ქვესკნელს დაღამდი,  
 შენი ხმა ჩემი თანამგზავრია.  
 სული დაფატრეს შენმა ეშვებმა,  
 აღარც ზორცია...  
 აღარც ძვალია...  
 სანამ რაიმე არ შეგეშლება,  
 შენი ხმა ჩემი თანამგზავრია.  
 გული მტკიოდა, გული, წუხელი,  
 გულის არეში, ალბათ, ბზარია...  
 სიკვდილო ჩემო!  
 რატომ წუხდები,  
 შენი ხმა ჩემი თანამგზავრია.  
 ჩუმად იწვიან ხსოვნის სანთლები,  
 სული დაღლილი და დამზრალია...  
 სიკვდილო ჩემო!  
 როგორ ბრძანდები,  
 შენი ხმა ჩემი თანამგზავრია.



## ამირან კალაძე

• • •

რამდენი სათქმელი გროვდება!  
რამდენი რამეა მოსაგონარი!  
და ისევ პაწაწინა ლექსი  
დალოცოს ღმერთმა, თორემ

რომელ რომანში  
გინდა დაატიო  
ცისკენ მზირალი ადამიანის  
სულის შემძვრელი ამონაკნესი!

• • •

რა დავხატო,  
ფიქრობს შეგირდი...  
როგორ დავხატო,  
თავს იმტვრევს ოსტატი...

ხოლო ის, რაიც  
შემოქმედმა უნდა დალანდოს,  
მარად და ყველგან  
არის თავისთვის.

• • •

აგვისტო.  
ჩემი შვილები  
ყოველდღე სათევზაოდ დადიან...  
თევზს თუ ვერ დაიჭერენ,  
სამაგიეროდ

ლოდინსა და მოთმინებას  
მიიწევიან...  
ნეტავ მთელი ბავშვობა  
მეც თევზაობაში გამეტარებინა!

• • •

დიდ ქალაქებში ისეთი გუგუნია,  
ისეთი გუგუნია,  
ისეთი გუგუნია,  
საათის წიკწიკს კი არადა,

ბულბულის სტვენას კი არადა —  
შეყვარებულთა გულისცემას  
ვერ გაიგონებ კაცი.

## ორი მოთხრობა

### ნიჰნი გროტისკულ ადამიანებზე

ვერა და ვერ მოკალათებულიყო თავის საწოლში თეთრულვამა მოხუცი მწერალი. ფანჯრები მალაღზე იყო მის სახლში; მას კი, დილით ახლადგალვიძებულს, ხეების ცქერით სურდა დამტკბარიყო. ჰოდა, საწოლი ფანჯრის სიმაღლეზე რომ დაეყენებინა, ღურგალი იხმო.

ატყდა ერთი ფუსფუსი და წრიალი! სამოქალაქო ომში<sup>1</sup> ჯარისკაცად წამყოფი ღურგალი მწერალთან ოთახში შევიდა და ცოტა ხნით ჩამოკდა, რომ მასთან შეეთანხმებინა, თუ როგორ გაეკეთებინა ფიცარნაგი საწოლის ასამაღლებლად. იქვე, მწერლის სახლოვეს, სიგარები ელაგა; ღურგალმაც დრო იხელთა და გააბოლა.

ამ ორ კაცს ერთხანს მართლაც იმაზე ჰქონდა სჯა-ბასი, თუ როგორ აეწიათ მალა საწოლი, მაგრამ მალე სულ სხვა ამბებზე გადაინაცვლეს. ომის წლები მოიგონა ნაჯარისკაცალმა, ან, უფრო სწორად, მწერალმა მოაგონა. ტყვედ წამყოფი ღურგალი ანდერსონელის ციხეში<sup>2</sup> მჯდარა თავის დროზე; ძმა მოჰკედომია, — შიმშილით ამოხ-

დომია სული. ამის გახსენებაზე ღურგალს, როგორც წესი, ზღუქუნე აუტყდებოდა ხოლმე. მასაც მწერალივით გასთეთრებოდა უღვაშები, ზე-ქვე რომ აუღ-ჩამოუდიოდა ავიშვიშებულსა და ტირილისაგან ტუჩებდამანჭულს. ერთ ნახვად კი ღირდა პირში სიგარაგაჩრილი აქვითქვითებული ბერკაცია!.. ამა-სობაში ბებრებს სულ ამოუვარდათ თავიდან ის აზრი, მწერალს რომ მოათქვარდა საწოლის მალა ასაწევად; ჰოდა, ღურგალიც ადგა და ყველაფერი თავის ჰკუთაზე გააკეთა. ამის გამო სამოც წელს გადაბიჯებულ მწერალს სკამი უნდა მოეშველებინა, ღამით საწოლზე რომ ამძვრალიყო.

სასთუმალს მინდობილი მწერალი გვერდზე გადაბრუნდებოდა ხოლმე და გაიტრუნებოდა. წლიდან წლამდე სულ ერთთავად ყურს უგდებდა საკუთარ გულის ცემას. თავდადაკლებული მწეველი იყო და, აი, გულის ფრიალი დასჩემდა! ერთხელ და სამუდამოდ აკვირებოდა ის აზრი, რომ სიკვდილი მოულოდნელად უნდა წამოსდგომოდა თავს და, ჩაწევებოდა თუ არა ლოგინში, იმ წუთიდან სულ ეს ფიქრი უტრიალებდა; ოღონდ შიშს კი არა, რაღაც უჩვეულო განცდას შეეპყრო, — ამას ასე იოლად ვერვინ ჩასწვდება. აი, აქ, სასთუმალს მისვენებული, ცხოვილ-

1 1861-65 წწ-ის სამოქალაქო ომი აშშ-ში (აქ და ქვემოთაჲ შენიშვნები მთარგმნელისაა).

2 იგულისხმება ბანაჲი ჩრდილოელ ტყვეთათვის ანდერსონელიში (ქორჯიას შტატი).

მყოფელი ძალის ჯერ არნახულ მოზღვავებასა გრძნობდა. გაყურსული იწვა, მაგრამ მის ბებერ და უკვე არაფრის მაქნის სხეულს მიღმა სულდგმულობდა რალაც, ნიშანწყალიც რომ არ აჩნდა ხნოვანებისა. მუცელქმნილ ქალს მოგაგონებდათ იგი, ოღონდ ჩვილის ნაცვლად სხეულს შიგნით სიჭაბუკე ჩასახლებოდა; არა, სიჭაბუკე კი არა, — რაინდვიით აბჯარასხმული ყმაწვილი ქალი! თუმცა, ხომ გეჰმით, სულ ტყუილი გარჯაა, — ვერაიენ იტყვის, ვინ, ანუ რა ჩაბუდებულიყო სულში მხტოვანი მწერლისა, ამადლებულ საწოლზე რომ იწვა და თავის გულის ფრიალს აყურადებდა. უმჯობესია, იმას ჩაეწვდეთ, თუ რაზე ფიქრობდა მწერალი, ანუ ის ნორჩი ქმნილება, მის არსებაში რომ დავეანებინა.

დრომოყრილ მწერალს — ისევე, როგორც ყველას ამქვეყნიად — ათასნაირი აზრი გასჩენოდა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. არც შნო და ლაზათი ჰკლებია ერთ დროს და გულშიაც არა ერთ და ორ ქალს ჩავარდნია. ცნობით ხომ აუარება ხალხი სცნობია, — თან ისე ღრმად და ძირისძირობით, მე და თქვენ რომ არც მოგველანდება; ყოველ შემთხვევაში, ასე სწამდა მწერალს და ეს რწმენა ნეტარებასა ჰგვრიდა. ეგრე რატომ ფიქრობო, — ამაზე ხომ ვერ შეატყდები ბერიკაცს?!

ერთხელაც ისეთი რამ ეშმანა სასთუმალს თავმიდებულ მოხუცს, კიდევ რომ იყო და თან არც იყო ზმანება. ძილმა წაიღო თითქოს, მაგრამ იმავე დროს საღ-ნათელიც ჰქონდა გონება, როდესაც სახეები და ხატები წარმოჩნდნენ მის თვალწინ. სწორედ ის ნორჩი, ამოუცნობი სულდგმული წარმოესახა, მის არსებაში რომ მიყუყუელიყო, — იგი წინ მიუძღოდა მოხუცის თვალწინ გამკრთალ სახე-ხატების მოზრდილ ამოლას.

მწერლის ხილვაში გაელვებული ეს სახე-ხატებია სწორედ ღირსსაცნობი უცნაურობის დალი აჩნდა თითოეულ

ერეკნულში

მათგანს. ყველა, ვინცმაკლმწერალს ოდესმე სცნობია — კაცი იქნებოდა ეს თუ ქალი, გროტესკულ არსებად ქცეულიყო.

ამ აბრებულ არსებათაგან ყოველი როდი შეგადრწუნებდათ. ზოგიერთი გაგახალისებდათ კიდევ, ზოგიც ლამის მშვენიერებად წარმოგესახებოდათ, ერთმა მათგანმა კი — სრულიად სახედაკარგულმა დიაცმა — გული ატკინა ბერიკაცს თავისი უსახურობით. მისმა ხატებამ რომ ჩაიქროლა, ძალღივით წკმუტუნე აღმოხდა მოხუცს. იმწუთას მის ოთახში რომ შესულიყავით, იფიქრებდით, — ცუდი სიზმარი ნახა, ან არადა მუცლის გვრემა ატკენიაო.

მთელი საათის განმავლობაში მიილანდებოდა მოხუცის თვალწინ აბრებულ ქმნილებათა ეს ასაბე; და შემდეგ, თუმც კი მეტრისმეტად ენელებოდა, საწოლიდან ჩამოცოცდა და წერას შეუდგა. ზოგიერთს ამ საოცარ არსებათაგან ღრმა კვალი დაეჩნია მის წარმოსახვაზე და იმასაც მათი დასურათ-ხატების სურვილი მოეძალა.

მთელი საათი იჭდა მწერალი საწერ მაგიდასთან. და ბოლოს, დაწერა წიგნი, რომელსაც ასე უწოდა: — „წიგნი გროტესკულ ადამიანებზე“. არც არასდროს დაბეჭდილა იგი, მაგრამ მე როგორაც ერთხელ მოვახერხე თვალის გადავლება. ჩემზე მან წარუბოცელი შთაბეჭდილება მოახდინა. ძალზე თავისებური გახლდათ დედაზრი ამ წიგნისა და საშუდამოდ ჩამებეჭდა გულსა და გონებაში. სულ მახსოვდა იგი, და ბევრი ისეთი კაცის სულშიც ჩამახედა და ბევრიც ისეთი მოვლენის არსი შემაცნობინა, უწინ შეუცნობლად რომ მესახებოდა. დიდი ჩახლართული დედაზრი კი ჰქონდა ამ წიგნს, მაგრამ მარტივად, აი, ასე შეიძლებოდა გადმოგვეცა:

ზღიოთგანვე, ქვეყნიერების დასაბამიდან, არსებობდა აუარება აზრი, მაგრამ არხად იყო ის, ჰეშმარიტებად რომა სახელდებული. ადამიანი თავად ქმნიდა ჰეშმარიტებებს და თითოეული

ამ ჭეშმარიტებათაგანი ბუნდოვან აზრთა სიმრავლიდან ინასკეობდა. ყველაფერი ჭეშმარიტება იყო ამქვეყნიად და მშვენიერი იყო ყოველი მათგანი.

მოხუცი მოჰყვა და ასობით ჭეშმარიტება ასახა ამ თავის წიგნში, მაგრამ მე თითოეულის ჩამოთვლა როდი ვამიზრახავს. აქ დაებუდებიანთ ჭეშმარიტებათ უბიწობისა თუ ვნებათაღელვისა, ფუფუნებისა თუ სიღუბნისა, მომჭირნეობისა თუ უყარათობისა, თავალაობისა თუ თავჯარიანობისა. ათობით, ასობით მოიძებნებოდა ამგვარი ჭეშმარიტებანი და მშვენიერი იყო ყოველი მათგანი.

მერე კი გამოჩნდნენ აღამიანები. ყოველი კაცი მოსვლისთანავე ერთ რომელიმე ჭეშმარიტებას ჩაებლაუქებოდა, ხოლო თუ ვინმეს სხვაზე მეტად ერჩოდა ძალ-ღონე, ის ხომ ერთაშად მთელ ათეულს უნდა დაჰპატრონებოდა.

აი, ამ ჭეშმარიტებებმა აქციეს აღამიანები გროტესკებად. მოხუცი მისხის მისხამდე ჩასწვდომოდა ამეებს და საფუძვლიანად ჩამოყალიბებული აზრი შექქნოდა. მისი ღრმა რწმენით, ჩაეჭიდებოდა თუ არა კაცი ერთ რომელიმე

ჭეშმარიტებას, მისად დაიჭიდებოდა თავის ყოფას მიუსადაგებდა, — მყის გროტესკულ არსებად გარდაისახებოდა; მის მიერ შესისხლობრებული სიმართლე კი უქვეყნიად სიყალბედ იქცეოდა.

აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი ასეული გვერდი შეეძლო აეჭრელებინა ამის თაობაზე მოხუცს, რომელმაც მთელი ცხოვრება წერასა და მწარლობას შეაღია და აუარება სიტყვით გამოიტენა თავი. ცოტაც და, ეს აზრი ისეთი ძალით მოიცავდა მის გონებას, რომ თავად მას დაემუქრებოდა საფრთხე გროტესკულ არსებად გარდასახვისა. მაგრამ ეს არ მომხდარა და, მე მგონია, არ მომხდარა იმავ მიზეზით, რამაც არ გამოაქვეყნებინა ის წიგნი მწერალს, — მის არსებაში ჩასახლებულმა ნორჩმა სულდგმულმა იხსნა მოხუცი!

ის ბებერი ღურჯალი კი, ბერიკაცს საწოლი რომ აუმაღლა, აი, რატომ ვახსენე: მასში — სხვა ათასი უბირი, უსახო კაცისა არ იყოს — ყველაზე ცხადად წარმოჩნდება მწერლის წიგნის ფურცლებზე გაოცებულ გროტესკულ გმირთათვის ჩვეული სისადავე და მომხიბვლელობა.

### უცნაური შემთხვევა

ოცდაშვიდი წლის ელის ჰაინდმენს მთელი თავისი დღე და მოსწრება უაინსბურგში გაეტარებინა. იგი უინის ფართლელის საეპროში მუშაობდა და დედასთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც მეორედ იყო გათხოვილი.

ელისის მამინაცვალი ეტლების მღებარი იყო ლოთიფოთი და ბევრი უცნაური რამის მომსწრე და მნახველი. ერთხელაც იქნება, კი უნდა მოჰყვეს კაცი მისი ცხოვრების ამბავს!

ოცდაშვიდი წლის ასაკში ელისი საშუალოზე სუსტი აღნაგობის, მაღალი ტანის ქალი იყო, თუმცა ტანზე მეტად მისი მომსხო თავი გეცემოდათ თვალში. მხრებში ოღნავ მოხრილს წაბლისფერი თმა ჰქონდა და თაფლისფერი თვალები. ზედმიწევნით თავდაპირილი

გაბლდათ, მაგრამ მისი მშვიდი იერის მიღმა გამუდმებული ვნებათა ღელვით დაღლასმული სული ბობოქრობდა.

თექვსმეტი წლისას ერთ ყმაწვილთან სასიყვარულო ამბავი გადახდენოდა — ჭერ კიდევ მანამ, ვიდრე სავაქროში მუშაობას დაიწყებდა. ყმაწვილი კაცი, სახელად ნედ კარი, ელისზე უფროსი გაბლდათ. იგი გაზეთ „უაინსბურგ იგლის“ რედაქციაში მუშაობდა და კარგა ხანს თითქმის ყოველ საღამოს აკითხავდა ელისს. ისინი ქალაქის ქუჩებში დასეირნობდნენ ხეებქვეშ და თავიანთ მომავალ ცხოვრებაზე ნაფიქრალს უზიარებდნენ ერთმანეთს. მართლაც მშვენიერი გოგონა იყო მაშინ ელისი. ჰოდა, ნედ კარი მკლავებში მოიწყვედა და ჰკოცნიდა; ვნება-

მორეულს ისეთი რამ დასცდებოდა ხოლმე, სულ რომ არა ჰქონდა გუნებაში... და ელისიცი, დღენიდავ იმას რომ ნატრობდა, რაიმე ნათელი გამომკრთალიყო მის მეტისმეტად უღიმღამო ყოფაში, ცდუნებას აჰყვებოდა და აფორიაქდებოდა ხოლმე. ენა მოეცემოდა მასაც. მისი ყოფიერების გარსი — თანდაყოლილი კრძალულობა და გულჩახვეულობა — ერთიანად იფლითებოდა და იგი მთელი არსებით ეძლეოდა ვნებათა ლელვას. მოგვიანებით კი, იმავე წლის შემოდგომის მიწურულს, ნედ კარიმ კლიველენდს გამგზავრება რომ განიზრახა იმ იმედით, — იქნება სამსახური ვიშოვო საქალაქო გაზეთის რედაქციაში და ცხოვრებაში ცოტა ფეხი მოვიკიდოო, ქალიშვილმა გადაწყვიტა თავადაც გაჰყოლოდა. ათრთოლებული ხმით გაანდო ვაჟს თავისი გულისნადები.

— მეც ვიმუშავებ და შენც იმუშავებ, — უთხრა. — სულაც არ მინდა რომ რითიმე შეგზულდო და ხელი შეგიშალო წინსვლაში. ჭერ ნუ შემირთავ. უამისოდაც იოლად გავალთ. ერთ ჰერჰეშეც რომ ვიცხოვრებთ, ვინ რას იტყვის. ქალაქში არავის ეცნობებით და არც არაეინ მოგვაქცევს ყურადღებას.

ნედ კარი შეაცბუნა გულის სწორის სითამამემ და შეუპოვრობამ და თან სულის სიღრმემდე შეძრა. აქამდე სულ ის უტრიალებდა თავში, — იქნება ელისის საყვარლობასაც კი გამოეკრა ხელიო, ახლა კი გადაიფიქრა — შემეწედა ჭომაგად მოუნდა გახდომოდა.

— თვითონაც არ იცი, რას ამბობ, — მოუჭრა მან. — მაგის ნებას არ მოგცემ, ეს იცოდე! რიგიანად მოვეწყობი თუ არა, მაშინათვე დაებრუნდები. მანამდე კი აქ უნდა იყო; ჭერჭერობით უკეთეს გამოსავალს ვერ ვხედავ.

უაინსბურგიდან ქალაქს გამგზავრების წინა საღამოს ახალი ცხოვრების გზაზე დამდგარი ნედ კარი ელისს ესტუმრა. მთელი საათი ინეტიალეს ქუჩებში, შემდეგ კი უელსი მოიერის მე-

ეტლეთა ფუნდუკიდან ეტლს გამოიყვანეს და გასასეირნებლად ქალაქგარეთ აიღეს გეზი. მთვარემ რომ გამოანათა, ხმა ველარ გაილო-ვერც ერთმა. ყმაწვილ კაცს სევდა მოეძალა და სულ აღარ გახსენებია, რა ალთქმა დადო — როგორ უნდა მოჰყრობოდა ქალიშვილს.

უაინ-კრიკის ნაპირისაკენ ტრიალი მინდორი რომ ეშვებოდა, აი იქ, მსუბუქი ორადგილიანი ეტლიდან გადმოვიდნენ და... მთვარის მცხრალ შუქზე საყვარლებად ექმნენ ერთმანეთს. შუალამისას ქალაქში მობრუნებულებს გული ნეტარებით აღესებოდათ. ასე ეგონათ, აწი რაც არ უნდა მოხდეს, ველარაფერი წაშლის ახლადგანცდილის სიღამაზეს და თავბრუდამხვევ მშვენიერებასო.

— ამას იქით სულ მჭარში უნდა ვედგეთ ერთმანეთს; რაც გინდა მოხდეს, სულ ერთად უნდა ვიყოთ, — ასე უთხრა ნედ კარიმ ქალიშვილს განშორებისას, მამისეული სახლის კარებთან.

კლიველენდში ხელი მოეცარა ახალგაზრდა ეურნალისტს — სამსახური ვერ იშოვა და დასავლეთისაკენ აიღო გეზი, ჩიკაგოში გაემგზავრა. ერთხანს უჭირდა — ენელებოდა მარტობა და ელისსაც თითქმის ყოველდღე სწერდა წერილებს. მერე კი დიდი ქალაქის ორომტრიალმა ჩაითრია, ნაცნობ-მეგობრები შეიძინა და ცხოვრებაში ახალი გატაცებები გაუჩნდა. ჩიკაგოში, იმ სახლში, ჭირით რომ იდგა და პურსა ჭამდა, რამდენიმე ქალი ცხოვრობდა. ერთ-ერთ მათგანს დაადგა თვალი; ჰოდა, უაინსბურგელი ელისი ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა. წლის ბოლოს წერილების წერასაც თავი ანება და მხოლოდ დროდადრო თუ აედევნებოდა ელისზე ფიქრი, ისიც — მარტობა რომ მოეძალებოდა ან ქალაქის რომელიმე პარკისაკენ გაემართებოდა და ბალახზე აციმციმებული მთვარის შუქი თვალს მოსტაცებდა, — როგორც მამინ, იმ ღამეს, ტრიალ მინდორში უაინკრიბთან.

უაინსბურგელი ქალიშვილი კი, სიყ-



ვარულს რომ ზიარებოდა ოდესღაც, გაზრდილიყო და ქალობაში შეედგა ფეხი. ოცდაორი წლისას უეცრად გარდაეცვალა მამა — სასარაჯო სახელოსნოს მუშატრონე. სარაჯო ძველი ჯარისკაცი გახლდათ და მის მიუღწეველს რამდენიმე თვის შემდეგ ქვრივობის პენსია დაენიშნა. პირველი პენსიით საქსოვი დაზგა შეიძინა და ფეიქრობას მიჰყო ხელი — ხალიჩების ქსოვას შეუდგა; ელისი კი უინის სავაჭროში მოეწყო სამუშაოდ. გადიოდა წლები, მას კი ამქვეყნად ვერა ძალა ვერ დაარწმუნებდა იმაში, რომ ნედ კარი აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

უხაროდა, მუშაობა რომ დაიწყო, რადგან სავაჭროში ყოველდღიური შრომის სიმძიმე შედარებით ასატანს ზნოდა მოლოდინის ხანგრძლივობასა და გულგადასალევე ერთფეროვნებას. ფულის გადანახვა დაიწყო იმ იმედით, — ორას-სამას დოლარს მოეუყრი თავს და ქალაქში ჩავაკითხავო ჩემს სიყვარულს. უნდოდა ეცადა, — თავისი გამოჩენით იქნება ისევე დაეპყრო საყვარლის გული.

ელისი ნედ კარის როდი სდებდა ბრალს იმაში, რაც მაშინ მდებლოზე მოხდა მთავარიან ღამით, მაგრამ გრძნობდა, რომ ვედარასოდეს შეძლებდა სხვა კაცის ცოლობას. იმის გაფიქრებაც კი, რომ სხვისთვის მიემადლებინა ის, რაც კვლავ მარტო ნედისად ეგულეობდა, თავზარსა სცემდა; და, აბა, როგორღა უთანაგრძნობდა სხვა ყმაწვილკაცებს, მისი გულის მონადირეობას რომ ცდილობდნენ?! „მე მისი ცოლი ვარ და დაბრუნდება თუ არ დაბრუნდება, ბოლომდე გავუწევ ცოლობას“, — ასე ჩურჩულებდა სხვისგან მალულად და თუმც სულ იმას ესწრაფოდა, როგორმე თვითონ გაეტანა თავი, ვერა და ვერ შეპატივებოდა იმ აზრს, რომელიც დღითიდღე ყველგან იკიდებდა ფეხს, — გინდა თუ არა, ქალი თავად უნდა იყოს საკუთარი თავის ბატონ-პატრონიცა და ბედ-იღბლის განმგებელიცო.

ფართლეთულის სავაჭროში ექვსი წელიწადი დილის რვიდან საღამოს ექვს საათამდე უწევდა ელისს; ამას გარდა, კვირაში სამჯერ, საღამო ხანს, კვლავ სავაჭროში უნდა მიბრუნებულიყო და იქ დაეყო შვიდიდან ცხრა საათამდე. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო გულჩათხრობილი ხდებოდა და ბოლოს, ყველა მარტოკაცი რომ დასდგომია, იმ გზას დაადგა. ღამიანობით თავის ოთახში სალოცკავად მუხბლს მოიყრიდა ხოლმე იატაკზე და ლოცვისას იმას წარმოთქვამდა ჩურჩულით, რაც საყვარლისათვის სურდა გაენდო. მკვდარ ნივთებს მიეჯავვა და იმ ოთახში ავეჯი რაჯი თავის საკუთრებად დაიგულა, სიახლოვეს აღარ აკარებდა არავის. ფულის გადანახვის ჩვევა, თავიდან სავანგებოდ რომ გამოიმუშავა, მას მერეც ვერ მოიშალა, რაც ნედ კარის საქმებრად ქალაქს გამგზავრების განზრახვაზე ხელი აიღო. ზნედ ქვეული, ძვალ-რბილში გასჯდომოდა და ახალი ტანისამოსი რომ დასჭირდებოდა, სულაც არ იჩქაროდა მის შეძენას. ზოგჯერ, წვიმიან ამინდში, შუადღით, სავაჭროში სალაროს წიგნაკს ამოიღებდა, გადაშლილს წინ დაიდებდა და საათობით ეძლეოდა ფუტე ოცნებებს, — თუ როგორ დააგროვებდა იმდენ თანხას, მიღებული პროცენტებით თვითონაც რომ გაეტანა თავი და მომავალი მეუღლეც ერჩინა.

„ნედი ხომ სულ მოგზაურობაზე ოცნებობდა, — ფეიქრობდა იგი. — ჰოდა, მეც ისე ვიზამ, რომ ამაზე ხელი მიუწვდებოდეს. როდისმე, როცა დაქორწინდებით და შევიძლებ როგორც ჩემი, ისე მისი ფულის გადანახვას, წელში გავიმართებთ; აი, მაშინ კი შემოვივლით მთელ მსოფლიოს“.

ფართლეთულის სავაჭროში გადიოდა დღეები; კვირები თვეებად მიიქცეოდა, თვეები — წლებად, ელისს კი კვლავ საყვარლის მოლოდინში აწყდებოდა თვალები. დამიბრუნდებო, — ისევე და ისევე ამ ოცნებას ელოლიავებოდა. სავაჭროს მუშატრონე — თმაშევერც-

ბლილი ბერიკაცი, ხელოვნური კბილები რომ მოუჩანდა და ჭალარა ულვაშები გადმოჰკიდებოდა, — დიდი სიტყვაძვირი ვინმე გახლდათ და ზოგჯერ, წვიმიან დღეებსა თუ ზამთარში, როცა მინ-სტრიტიზე ქარიშხალი ამძვინვარდებოდა, სავაჭროს კარს საათობით ერთი მყიდველი არ შემოაღებდა წამლად. ასეთ დროს ელისი საქონლის გადალაგვადმოლაგებდას და დახარისხებდას უნდებოდა. დადგებოდა წინა ფანჯარასთან, საიდანაც შეეძლო მიყურებული ქუჩისათვის ჩაეყოლებინა მხერა და იმ საღამოებს იგონებდა, ნედ კარისთან ერთად რომ დასერილობდა; მის ნათქვამს იხსენებდა, — ამას იქით სულ მხარში უნდა ვედგეთო ერთმანეთს. ეს სიტყვები ისევ და ისევ ხშიანობდნენ ქალობაში ფეხმედგმული ელისის სულში. თვალზე ცრემლი აღგებოდა. ზოგჯერ, უფროსს გარეთ რომ გაიგულებდა და სავაჭროში კაციშვილი აღარა ჭაჭანებდა, თავს დაბლზე მიასვენებდა ხოლმე და ტირილი წასკდებოდა. „ოო, ნედ, მე გელო“, — გაბმით ჩურჩულებდა იგი და რაც დრო გადიოდა, მის სულში სულ უფრო ღრმად იდგამდა ფესვს შემპარავი შიში, — ვაითუ, არ დამიბრუნდესო აღარასოდეს.

გაზაფხულზე, წვიმები რომ გადივლის — ზაფხულის გრძელი, ცხელი დღეების დადგომამდე, — თავისი მშვენიებით გატყვევებს უაინსბურგის მისადევარი. ქალაქი გაშლილი მინდვრების შუაგულში გართხმულა, მინდვრებს გადაღმა კი პატარ-პატარა ტყეებია — ისეთი, თვალსა და გულს რომ აამებს. ამ კორომებში ბლომადაა პაწია, მყუდრო და განმარტოებული ადგილები — კუთხე-კუნძულები, წყვილები რომ შეიყუყუებინან ხოლმე კვირაობით, ნაშუადღევს. ხეებს შეხიზნულნი, მინდვრებს გამოსცქერიან და ბელლებთან მოფუსფუსე ფერმერებსა და გზებზე ამვლელ-ჩამომვლელ მგზავრებს უთვალთვალებენ. ქალაქში ზარებსა რეკენ და ეამიყამ პატარებელი

ჩაიჭროლებს, სათამაშოს ეჩქრევიან მტყუეს შორიდან.

ნედ კარის გამგზავრების მერე ელისი კარგა ხანს აღარ გაჰკარებია ტყეს. კვირაობით არ შერევია შეგჯუფულ გოგო-ბიჭობას. მაგრამ ერთხელ, მისი წასვლიდან ორი-სამი წლის შემდეგ, მარტობას ველარ გაუძლო, თავისი ყველაზე ლამაზი კაბა ჩაიცვა და გზას გაუღდა. მყუდრო ალაგს მიაკვლია და ჩამოჭდა, — აქედან ქალაქსაც დაინახავდა და კარგა დიდ მანძილზე გადაქიმულ მინდორსაც; მაგრამ უცებ სიბერისა და ცუდ-უბრალოდ გადაგების შიში აეკვიტა. ველარ გაუძლო ასე გულხელდაკრეფით ჯდომას და წამოდგა. ფეხზე მდგომი თვალს რომ ავლებდა არე-მიდამოს, რალაცამ — იქნებ ანაზღუფლმა შეცნობამ ეამთა სვლაში გაცხადებული სიცოცხლის მარადიულობისა — გარდასულ წლებზე შეაჩერა მისი გონება. გაქრა ჩემი სინორჩის პეწი და ლაზათიო, — მყის გაუელვა თავში და ძრწოლამ აიტანა. პირველად იგრძნო თავი მოტყუებულად. ნედ კარის განსჯა არც უფიქრია, მაგრამ ველარც ის გაეგო, სად იყო თავი ცოდო-ბრალისა. ჯავრი მიძიმე ლოდად დააწვა გულზე. მუხლებზე დაეცა, ლოცვა დააპირა, მაგრამ ლოცვის ნაცვლად გულისწყრომით საესე სიტყვები მოადგა ენაზე.

— არა, არ მიწერია, არ მეღირსება ბედნიერება. თავს რატომ ვიტყუებ?! — აღმოხდა და უცნაური შვება იგრძნო. ეს იყო მისი პირველი მცდელობა, თამამად გაეწორობინა თვალი განსაცდელისათვის, მისი არსებობის განუყოფელი ნაწილი რომ გამხდარიყო.

იმ წელიწადს, ელისი ჰაინდმენი ოცდახუთის როცა შესრულდა, ორჯერ დაირღვა მისი უსიზარულო დღეების ერთფეროვნება: ერთხელ მაშინ, დედა-მისი უაინსბურგულ მღებარს — ბუშ მილტონს რომ გაჰყვა ცოლად. მეორედ კი — თვითონ მეთოდისტური ეკ-

ლესიის<sup>1</sup> მრევლის წევრი რომ გახდა. ეკლესიაში ამქვეყნად მართოდ დარჩენის შიშმა მიიყვანა. დედამისის მეორედ გაათხოვების შემდეგ კიდევ უფრო საჩინარი შეიქნა მისი კარჩევტილობა, „წლები მემატება და ახირებული ვხდები. ნელი კიდევ რომ დაბრუნდეს, აღარ მინდომებს. იმ ქალაქში, სადაც ის ცხოვრობს, კაციშვილს სიბერე არ ეკარება. იქ იმდენი რამ ხდება, რომ სიბერისათვის ვიღას სცალია“. — მწარედ ჩაელიმა მას და... გულდაგულ შეუდგა ნაცნობ-მოყვრების შეძენას. ყოველ ხუთშაბათ საღამოს, სავაჭრო რომ დაიკეტებოდა, ეკლესიის სარდაფში გამართულ მლოცველთ თავყრილობას მიაშურებდა ხოლმე, კვირა საღამოობით კი „ეპუორთის ლიგის“<sup>2</sup> სახელწოდებით ცნობილი ორგანიზაციის შეკრებას ესწრებოდა.

და როცა უილ პარლიმ — შუახნის კაცმა, რომელიც სააფთიაქო სავაჭროში მსახურობდა და იმავე სამწყსოს ეკუთვნოდა — სახლამდე მიცილება შესთავაზა, ელისს უარი აღარ უთქვამს. „ემის ნებას, რა თქმა უნდა, არ მივსცემ, ხშირად იაროს ჩემთან, მაგრამ ათასში ერთხელ თუ შემომივლის, ამით არაფერი დაშავდება“, — გადაწყვიტა თავისთვის, თუმცა გულში მაინც იმასა ფიქრობდა, არა და არ შელეოდა ნელ კარისადმი ერთგულებას.

ელისი თავიდან ძალზე უსუსური, მაგრამ თანდათან სულ უფრო მტკიცე გადაწყვეტილებით სრულიად ანგარიშმიუტეველად შეეცადა ახლებურად შესუიღებოდა ცხოვრებას. იგი უხმოდ მისდევდა მეაფთიაქეს. მიმიმე-მიმიმე მიაბიჯებდნენ ისინი, მაგრამ შიგდააშიგ

ბნელში ელისი ხელს გაიწვდიდა ქალიშვილს და კაცს პალტოს კალთაში შეიჭყეტა ბოდა ფრთხილად. დედამისის სახლის ჭიშკარს რომ მიაღწენ, კაცმა თავისი გზით გასწია, ქალიშვილმა კი დააგვიანა შინ შესვლა, — კარებში შედგა წამით. უნდოდა დაეძაბა მეაფთიაქისათვის, ეთხოვა ბნელში მასთან ერთად ჩამოქდარიყო სახლის წინ, კიბეზე, მაგრამ შეშინდა, — ვაითუ, ვერ მიმიხვდესო. „განა მაგ კაცისაყენ მიმიწევს გული, — თქვა მან თავისთვის, — ამ უსაშველო მართობას მინდა გავეპყე! თუ რამე არ ვილონე, სულ გადავჩვევი ადამიანებს“.

\*\*\*

ერთხელაც, აღრიან შემოდგომაზე, ეინიანმა ალტყინებამ შეიპყრო ელისი, რომელსაც საცა იყო ოცდაშვიდი წელი მიუკაცუნებდა. მეაფთიაქესთან ვერა და ვერ გამოენახა საერთო ენა და ერთ მშვენიერ დღეს, საღამო ხანს, სტუმრად მოსულმა კაცმა გასეირნება რომ შესთავაზა, ელისმა უარით გაისტუმრა. სულ ერთთავად გრძობა-გონებააშლილი, სავაჭროს დახლოან საათობით დგომისაგან ილაჯაწყვეტილი შინისაკენ რომ წალასლანდებოდა და ლოგინში შებობლდებოდა, თვალს რული არა და არ ეკარებოდა. წყვედიადს ამტერდებოდა ფართოდ გახელილი თვლებით. მისი წარმოსახვა, ძილით გულმოჭვრებული ბავშვისა არ იყოს, ხან რას მიელაციცებოდა ოთახში და ხან — რას. მაგრამ იქ, მისი ცნობიერების ფსკერზე, დაზღუდებულიყო რალაც, რასაც ვერანაირი საცთური ვერ გადააციდენდა ჭეშმარიტების გზიდან და რაც ნაღდ პასუხს მოითხოვდა ამა სოფლისგან.

ელისი მკლავებში ბალიშს მოიმწყედევდა ხოლმე და გამწარებული მკერდზე იხუტებდა. საწოლიდან წამოდგებოდა და ისე დააფენდა საბანს, რომ ლოგინში მწოლიარე ადამიანის სხეულად აღიქმებოდა ბნელში, მერე კი საწოლთან მუხლმორთხმული უფერებდა

1 მეთოდისტები — ინგლისურ-ამერიკული რელიგიური სექტა, რომელიც მოითხოვს ანგლიკანური ეკლესიის წესების ზუსტ (ამეთოდურ) შესრულებას.

2 ეპუორთის ლიგა — 1889 წ. ჩამოყალიბებული ახალგაზრდული ორგანიზაციების გაერთიანება, რომელიც მანამდე მეთოდისტურ ეკლესიასთან არსებობდა.

და მისამღერავით კიდევ და კიდევ იმეორებდა ჩურჩულით: „რატომ არაფერი არ ხდება? რატომა ვარ აქ მიგდებული და განწირული მარტოობისთვის!“ და თუმცა ზოგჯერ ისევ ნედ კარიზე ფიქრობდა, მის ტყვეობაში როდი იყო უწინდებურად. სურვილებს მისას ბუნდოვანება შემოჰპარვოდა. აღარც ნედ კარი უნდოდა და არც სხვა ვინმე ეგულებოდა ისეთი, გული რომ შევარდნოდა. სიყვარულს ნატრობდა და თანალმობა სწყუროდა, სულს რომ დაუყუჩებდა — აკვლებულ, აღაღადებულ სულს.

და ერთხელაც, წვიმიან ღამით, ელისს უცნაური რამ შეემთხვა. ამ ამბავმა დააფრთხო და შეაცუხნა. სავაჭროდან შინ რომ დაბრუნდა, ცხრა საათი იყო უკვე. ცარიელი დაუხვდა სახლი. ბუშ მილტონი ქალაქში წასულიყო, დედამისი კი მეზობელთან გადასულიყო. ელისი თავის ოთახში ავიდა და სიბნელეში ტანთ გაიხადა. წუთით ფანჯარასთან შეყოვნდა. მინაზე წვიმის შხაბუნი სწვდებოდა მის ყურს. და უცებ... ახირებულმა ეინმა წამოუარა. არც აცია, არც აცხელა და გულისთქმას აყოლილმა, დაბლა ჩაირბინა, ჩაბნელებულ სახლში გაიქროლა და გარეთ გაიჭრა, წვიმას მიანდო თავი. სახლის წინ ციქქნა მდელიზე შედგა და სხეულზე წვიმის ცივი წვეთების შეხება რომ იგრძნო, გიჟურმა სურვილმა შეიპყრო, ასე შიშველ-ტიტველი გავარდნილიყო და შემოერბინა ქუჩები.

იმას ფიქრობდა, — წვიმა სასწაულს იქმს და ცხოველმყოფელ ძალას მოჰმადლისო ჩემს სხეულს. რამდენი წელია, ასეთი ახალგაზრდული გზნებით არ ანთებულა, ასე ლალიდ აღარ უგრძენია თავი. სირბილი, ბტომა და ყვირილი მოუნდა; სურდა, ვინმე მარტოსულს შეპყროდა და გადახვეოდა. უცებ

ვილაც კაცს ჰკიდა თვალე <sup>მინაზე</sup> წინ აგურის ქვაფენილზე <sup>მინაზე</sup> მოხანცალე-ბდა. ველურ ეინს აყოლილი ელისი მისკენ გაქანდა განწირულის სულისკვეთებით. „განა სულერთი არაა, ვინ არის?! მთავარი ისაა, რომ მარტოა; ჰოდა, მეც აედგები და მასთან წავალ“, — გაუელვა თავში. და მერე არც კი დაფიქრებულა იმაზე, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა ამგვარ განუსჯელობას...

— შეიცადეთ, — ნაზად დაიძახა მან, — ნუ წახვალთ! სულერთია, ვინც არ უნდა იყოთ, ოღონდაც შეჩერდით!

ქვაფენილზე მიმავალი კაცი შედგა და მიაყურადა. ბებერი იყო და ყურს აკლდა. ხელი პირთან მიიტანა და „რა თქვეით“, — გამოსძახა.

ელისი ჩაიკეცა და მიწას გაეკრა ათახთახებული. შიშნაქამი — ეს რა ჩავიღინეო, მას მერეც კარგა ხანს ვერ ბედავდა ფეხზე წამოდგომას, ბერიკაცი კვლავ თავის გზას რომ გაუყვა; და ასე მიხობდა სახლამდე. თავის ოთახამდე რომ მილასლასდა, კარი გადარაზა, ტუალეტის მავიდა მიაჩოჩა და კარებს მიადგა. მთელი ტანი უთრთოდა ციებიანივით. ხელები ისე უცახცახებდა, რომ ღამის პერანგში ძლივს გაუყარა. ლოგინში ჩაეგდო თუ არა, თავი ბალიშში ჩარგო და, გულდათუთქული, მწარედ აქვითინდა. „რა მემართება? — გაუელვა ანაზად. — ჰქუას თუ არ მოვეგე, რალაც უბედურებას დავატრიალებ!“ პირი კედლისკენა ქნა და თავი აიძულა ეაჯაცურად გაეწორობინა თვალი იმ უცილობელი ჰეშმართებისათვის, რომ — უინსბურგი რო უინსბურგია, იქაც კი — არა ერთმა და ორმა მოკვდავმა ასე ეულად უნდა გალიოს წუთისოფელი და, აი ასე, მარტოობაში აღესრულოს...

ინგლისურიდან თარგმნა რუსულად მახათაძემ

## ლექსი — მეფყარი

ტიციან ტაბიძე ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია ჩვენს საუკუნის დასაწყისში აღმოცენებულ იმ ბელოვანთა თაობებისა, რომლებმაც დასაბამი მისცეს და განვითარების გზებზე დაუსახეს თანამედროვე ქართულ ხელოვნებას. ტიციან ტაბიძის პიროვნებაში ინდივიდუალურად და სპეციფიკურად გამოვლენილია ქართული ეროვნული შემოქმედებითი ერთეული: დღეისათვის იგი წარმოგვიდგება არა მხოლოდ ქართული ლექსის ნოვატორად, რომელსაც, აგრეთვე, დიდი წვლილი მიუძღვის რუსული და ევროპული პოეზიის შთარტყმელობაში. არა მარტოდენ შეხანიწნავი პაროდიული ნიმუშების, ისტორიულად პრინციპული მნიშვნელობის თეორიული და პუბლიცისტური წერილების ავტორად, არამედ ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთ ფუძემდებლად, ქართული თეატრისა და მხატვრობის განახლების ბედ-იღბალზე მზრუნველ მოამბედ და იმ ქვეშაირტად სახალხო მოღვაწედ, რომელიც თავის წილ ბევრად აღიარებდა ბელოვანთა კულტურულ-შემოქმედებითი ატმოსფეროს სიწმინდესა და ცხოველყოფილობას.

ბელოვანების განახლებისა და წინსვლისათვის ბრძოლა, ამ საქმეში თანამოწმარტა ძიება და მათთან ერთობლივი მოღვაწეობის სურვილი, საერთო საზოგადოებრივ-შემოქმედებითი მიზნების დასახვა და თანამზრახველთა დარაზვა ამ მიზნათა აღსარტულბლად — უველა ეს თვისება ტიციან ტაბიძის პიროვნების არსებით მოთხოვნილებათა გამოვლენებას წარმოადგენდა ისევე როგორც თავისთავში ჩაღრმავებული პარტფისონალი მწერლის ინდივიდუალური შემოქმედებითი ბუნობა. ამ თვისებებმა თავი

ინინეს ქერ კიდეც 1915-1916 წლებში, როდესაც საქართველოში იქმნებოდა „ცხოფრუანწელთა ორდენი“, რომლის ერთ-ერთი მოთავე და სულისწამდმელო ტიციან ტაბიძე იყო. საქართველოს განახლების წლებიდან ტიციან ტაბიძის შემოქმედებით-ორგანიზაციული, საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამოსავლენად კიდეც უფრო მეტად ბელისწმწყობი, მასშტაბური პირობები შეიქმნა. სწორედ ამ დროიდან დასტურდება იგი ქვეშაირტად სახალხო მოღვაწედ, რომლის მგზნებარტ სიტუვა და ლექსი საქვეშაო მასშტაბით გაისმოდა...

ზოგადად რომ გაეაზროთ, ასეთთა ტიციან ტაბიძის შემოქმედებით-პიროვნული სახება, ზოლო მის კონკრეტულ დახასიათებას თუ მოვინდომებთ და ამისთვის პოეტური და ბიოგრაფიული მასალის შესწავლის საფუძველზე განვეტრტოთ მისი ცხოვრების გზას, აღმოვაჩნთ პოეტის შემოქმედებითი პიროვნების მთლიანი ტრტუტურის შემადგენელ იმ ასექტებს, ანუ სახე-სისტემებს, რომლებიც კონკრეტულად აღნიშნავენ სტეროტებს და მარტოთულბებს მისი შემოქმედებითი ძიებებისა, მის ფსიქოლოგიურ წყობას და მომარტვას შემოქმედებითი ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე.

### ტაბიძის-მეფყარტული

ტიციან ტაბიძის მებრტოლბა სულისკვეთებათ თავი იჩინა ქერ კიდეც ქუთაისის ვიწნაწიში, სადაც ერთგულ-გამოთავისუფლებული რევოლუციური ეტყბლი რეპკიის უწწვავეს ხანაშიც არ ჩამქრალა და არა მარტო ვიწნაწილი, თეატრი, ქუტაც და უწწარტაც — უველაფერტი

რევოლუციური ბრძოლის წაუქრობელ კერას წარმოადგენდა, სწორედ ასეთ ვითარებაში უაღბლოდებოდა პოეტის მებრძოლი ხასიათი. მოგვიანებით, უკვე მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტია, იგი იმ ქართველ სტუდენტთა შორის იყო, რომლებიც სახალხო დემონსტრაციებში მონაწილეობდნენ და უშიშრად ზედბოდნენ მეფის ეანდარშთა ატრიუმებს.

და, აი, 1920 წელს, როდესაც თურქები შემოსვნივან ბათუმს, პოეტი მოხალისედ ეწვევა ქართულ ჯარში. თურქების შემოჭრას საქართველოს მიწაზე და მესაზღვრე ქართული რაზმების პირველ დამარტყმას იგი მწვავედ განიცდის:

ბათოში მისცეს და ოპირაზე მოდის თათარი,  
 ატმის ყველით სისხლიანი სტორის აპრილი,  
 ვკითხვო სატურნის უბედობით აიღა გამბლადარი,  
 პოეტის სულიც საქართველოს კუნად  
 დახრილა.  
 („ორი აპრილი“).

ნამდვილი პოეტი და ნამდვილი ჯარისკაცი — ორივე რაინდია, ოღონდ სხვადასხვა სასიპარტუო შიკოვანა ზედშია. ამიტომაც არის, ერთმანეთის ხვედრის რომ შექანატრან ზოდზე და, არცთუ იშვიათად, შეპირილა პოეტი ბრძოლის ველზე, მებრძოლი კი — პოეზიაში. ბარათაშვილი თუ ვეფხე-ფშაველი, ილია ქავჭავაძე თუ აკაკი წერეთელი — ყოველი მათგანის პოეზიაში მმლაქრად ქუხს მებრძოლის დაუდგრომელი სული, თითოეულის შემოქმედება არსებულ ცხოვრების უცოდნარობასთან შერკინებაცაა. ზოგადად ასეთია ქართველი პოეტის ბუნება და შემოქმედებითი მიწრაფება. ასეთი იყო ბუნება და ხასიათი ტიციან ტაბიძისაც.

ტიციან ტაბიძის ლექსებში ასახულ რაინდულ სულისკვეთებას ასაზრდოებენ და უფრო მკვეთრად წარმოაჩენენ ზოდზე საქართველოს წარსულის სურათები, დიდებული ღანდები ისტორიული გმირებისა.

მე მესიზმრება ამაღამაც მღვრიე ლიხვი  
 და მუზარადი გაქუნებულ ათაბაგების,  
 მტკვარი ასინამში გაღაჩებულ თათრებს  
 მიაბევეს,  
 მტკვარი თათრების ჭილოებით აღარ  
 დადგება.

არ მინდა ვიყო გათანგული, მორცხვი  
 ოსტატი, მორცხვი  
 რომელიც ხატავს ვარძიაში დედოფლის  
 ფრესკას.  
 ყველა ბატის-ფრთა ძველ ოსტატებს მინდა  
 მოსტაცაო,  
 სირცხვილი არის იქ ბატის-ფრთა,  
 თუ ხმალი რეკავს.  
 („გაგვიანდრებული მადრიგალი“)

ტიციან ტაბიძის თვალთვინი მებრძოლების უველაზე მაღალი თვისებაა — მებრძოლის, საბრძოლო შემართება. თვით პოეზიაშიც იგი უმნიშვნელოვანესად თვლის გმირულ საწყისს და ზოგიერთ ლექსში კი, „პოეტის სახელთან“ შედარებით გმირთ-მებრძოლის ფერადმენს ანიჭებს უპირატესობას:

რა შეედრება პოეტის სახელს?  
 გმირის სახელი უფრო შეტია.  
 აშვავარი მრწამსით ატანილა, იგი შესთხოვს  
 განგებას:  
 შეე გამაყოლეთ კრწანისის გმირებს,  
 მარაბდის ვეყაც გლაღიატრებს!  
 („პოემა — ჩალატარ“)

წარსულის სურათები, ლეგენდებად ქცეული სახელები და სახეები ჩვენი გმირებისა, ისტორიული პიროვნებებისა, თითქმის ყოველი ჰემარატი ქართველი პოეტის შემოქმედების უმთავრეს მასაზრდოებულ წყაროს — დაუმრეტელ თემებს წარმოადგენენ. სახეებიც და სახელებიც უამრავია, უბრალოდ, ვინ რომელს იწამებს, რომელი პოეტის სულიერ მდგომარეობას რომელი სახე ან ისტორიული მოვლენა ამრავს შემოქმედებითად. და კიდევ, საქმე ისაა, პოეტმა მთელი არსით, სისხლმორცხულად განიცადოს ესა თუ ის სახე და მოვლენა; პოეტის პიროვნებისეული საწყისი, მისი გარდასახვის უნარით განპირობებული თვისებები, განცდები და ფიქრები უნდა აცოცხლებდნენ ამა თუ იმ ისტორიული გმირს სახეს თუ მოვლენას. ამ მოთხოვნას საკსებით აკმაყოფილებს ტიციან ტაბიძის წარსულის მოვლენებზე აგებული თითქმის ყველა ლექსი, თუნდაც „თაშუნია წერეთელს“:

და მოვონება მოსაკდება გულს  
 და გრივალეით სულზე გაღიარს,  
 ეხედავ მებრძოლი სისხლით გათანგულს  
 და შეყვარებულ ცოტნე დაღიანს.  
 მე არ მაქვია მინგოლის თათლი,  
 და ზედგაქრული არ ეზვარ მზეზე,  
 მაგრამ ბუნებო, რომ ვერ დაითვლო,  
 კბენენ ჩემს სხეულს სულ უმიზეზოდ...

წარსულის მოვლენათა და სახეთა შენივთება პოეტის ემოციურ მიმართულებებთან, მის სულიერ მდგომარეობასთან თავს იჩენს აგრეთვე ლექსში „სარგის ჭაუელი“, რომელშიც ზელახლა გაიფიქრებს ხსენება ცოტნე დღიანისა. აღბათ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ცოტნე დაღიანის სახება თანამედროვე ქართულ პოეზიაში ტიციან ტაბიძემ შემოიტანა და გააცოცხლა. და არა მარტო ცოტნე დაღიანისა, არამედ სარგის ჭაუელისა და სხვა ისტორიულ გმირთა სახეები მან პირველმა გამოძერწა თანამედროვე პოეზიაში ახლებური მნიშვნელობითა და ახლებური მხატვრული



ფორმებით. ამით მან პირველმა დასახა თანამედროვე ქართულ პოეზიაში ისტორიულ სახეთა და მოვლენათა მხატვრული ხორცშესხმის გზები.

ტიციან ტაბიძის მიერ ისტორიულ მოვლენებზე დაწერილ ლექსებს ერთი საერთო ნიშანი ახასიათებთ: გარდა იმისა, რომ პოეტი თავისი მსოფლგანცდით, საკუთარი მისწრაფებებითა და მიზნებით იჭრება წარსულის მოვლენათა ატმოსფეროში, იგი პარაფრაზულად ისტორიული გმირების არაღივლიან ვერძობთ დგება და წარსულის ტრაგიკულ სიტუაციებს ხან უპირისპირებს, ხანაც უთანხმებს საკუთარ განცდათა სიმწვავეს. ლექსის ამგვარად აგება რთულია და, უნდა ითქვას, რომ ტიციან ტაბიძის ასეთ ლექსებში, ზოგჯერ შეინიშნება კანონზომიერების ერთგვარი დარღვევა, უფრო ზუსტად, ლექსის შინაარსობრივ განვითარებაში შეიმჩნევა ერთგვარი „ნაპრალები“, ერთგვარი „უპირიელი ადგილები“, ერთგვარი „გაწყვეტილი კავშირები“. მაგრამ ეს „ნაპრალები“ პოეტის მიერ შემოქმედებითი ამოსუნთქვათ, უშუალო განცდათა „შეაფრიალებლობით“ არის გადღაბული. ამგვარ ლექსებში წარსული და აწმურ უფრო ემოციური მუხტით არის დაკავშირებული, ვიდრე შინაარსობრივად მხატვრულ სიტუაციებს შორის არააზღვანად ლოგოკურ-რაციონალური კავშირებია, რამდენადაც გარწმობთა და, შინაარსობრივი ასპექტის წვეტილად განვითარების მიუხედავად, ლექსი მანაც დაუნაწევრებელი მთელის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მაგნი ტიციან ტაბიძე არ უნდა მივიჩნიოთ ამ პოეტად, რომელიც მხოლოდ წარსულის სურათებით იყო გატაცებული, პოეტად, თავის რომ ზუგუეს მის გარშემო არსებულ სინამდვილზე და მხოლოდ წარსულის გმირთა არაღივლიან ქვრეტას ეწეოდა. მისი რაინდული სულიკვეთება ძლიერად იჩენს თავს არა მარტო წარსულის, არამედ მის თანადროულ მოვლენათა მხატვრულ ასახვის პროცესშიც. ტიციან ტაბიძე „რაინდული კოდექსის“ ერთგული რჩება ცივილიზებულ სამყაროშიც; და იქაც კი, სადაც „საჩინოდ ველი სრულიად აღარ ჩანს“ და სადაც ხმალი აღარ ჰრბობს, იგი „სახედისწერო ბრძოლისკენ“ მოვშობს სიტყვას, თავის კალამს. თვით ყარაჩხბეღური ჰეოფის ეამს, ტოვზე, ბახუსის ტუვეობაში შუოფსაჲ არ ასვენებს მებრძოლის განწუხობილება, არ ქრება პოეტის გულის სიღრმეში მებრძოლების ტინი:

ტივზე რომაა სუფრა გაშლილი,  
ღენიით გაღვლილ ვეღვეი კონტოს,  
მე მირჩენია გორჯაშვილი,  
რომ გრიანზოვი კიდეც დაფლითოს.  
(„თბილისის ლამე“)

სწორედ მებრძოლი-რაინდული სულიკვეთილება განაპირობებდა პოეტში ამ მხატვრულ მზობრპარო გრძნობებისა და ფიქრების აღმოცენებას, რომლებიც მან გამოიქვა პატრიოტიზმის, მეგობრობისა თუ სიყვარულის თემებზე დაწერილ ისეთ ლექსებში, როგორცაა „ქართლის ცხოვრება“, „მუხრანის ველზე საქმელი ლექსი“, „მეწუერი მეწურის“, „თამუნია წერეთელს“, „ანანურთან“, „სერგეი ესენინს“, „ჩაქრეთ გულში სიონის ზარი“, „და გარბაღდის წითელი ქული“ და „რია-რია“ ლექსებში, რომლებიც პოეტის ოსტატობისა და, საერთოდ, თანამედროვე ქართული ლირიკის საუკეთესო ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს.

### მსომტინ-ღენდრი

ესთეტში, ამ ცნების საუკეთესო გაგებით, უველა პოეტს ახასიათებს მებრძალებად, რადგან იგი თავის მნიშვნელობაში გულისხმობს გემოვნებასა და არტიკულულის წაწყნას, სიღამაზისა და დახვეწილობის თაყვანისცემას. მაგრამ აქ უფროაღებებს გაუამახვილებს ისეთ ვითარებაზე, როდესაც პოეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ესთეტობა, როგორც პოეტის ხასიათის ერთ-ერთი თვისება, თვითმყოფ ღირებულებას იძენს და გადაიქცევა მისი ქვეყნის განმანაზღვრელ ფორმად, ანუ როდესაც ესთეტობა დენდროზმისათვის ნიშანდობლივ მიდრეკილებას გარგნულის აქცენტირებით გამოავლენს.

დენდრო-ესთეტის სახება ტიციან ტაბიძის პარაფრაზებში მძლავრობს მისი ცხოვრების „მოსკოვური პერიოდიდან“ დაწვეებული თითქმის მთელი ათი წლის მანძილზე. ეს ის დროა, როდესაც იგი მთელი არსებით იძირება ფარგ სიმბოლისტთა ხელაღვრების ფერადოვან, შომბიხველელ, ოცნების მიმტაც სივრცეებში და სუნთქავს იმ საზოგადოებრივი ატმოსფეროთი, სადაც უკვე თავისთავადაც გაბატონებულია ესთეტოზმისა და დენდროზმის სული. ახალგაზრდა პოეტის გონება იბანგება ექსტრავაგანტული ლიტერატურული ინფორმაციებით. იგი ეცებს უჩვეულოში კიდევ უფრო უჩვეულოს, სურს თავის შესაძლებლობებში აღმოჩინოს ის, რაც კიდევ უფრო ექსტრაორდინარული აღმოჩნდება ერთსა და იმავე დროს გამოგონალითა და რეალურით, ყაბობითა და ნამდვილით შეფერავებული ისედაც უცნაური ცხოვრების სურათისათვის.

ასეთი მისწრაფებები და შთაბეჭდილებები მას საქართველოშიც მოჰყვება. პოეტის ცდილობს თვითონაც მიემსგავსოს იმ დიდებსა და ესთეტებს, თავიანთი დახვეწილობით, ხელათა სისავსითა და სიტყვის ჭადკრობით აგრე რივად რომ იტაცებენ და ხიბლავენ მას: უაილდი, რემპო, მაღარმე, ვერდენი, პო, ბა-

ღმონტი, ბრიუსოვი... და, აი, იწერება ლექსი, რომელიც მთელი სისრულით არცაღვას ტიციან ტაბაძის პაროვნებაში ჩანახულ-გამწე-ღაერებულ დენდო-ესთეტიკის სახეხას:

უაღლდის პრადელი... ცისფერი თვალები,  
სარკვეი იმალება თმათეთრი ინფანტა,  
(„აეტიკობორტრეტე“)

შეუფლებელიც იქნებოდა, ახალგაზრდა პოეტის სულიერ სიახლოვეს ამ უნატოვს მწერ-ლებთან გავლენა არ მოუტანია მის პაროვნულ მომართვაზე და არ გამოეწვია მასში ესთეტი-კური გატაცება, სავარაუდოა ისიც, რომ ტი-ციან ტაბაძე მაშინ ვერც კი ხედავდა მათ შე-მოქმედებაში მართლაც დიადსა და მშვენიერს, რისთვისაც ისინი უკვდავად არიან აღიარებულ-ნი ლიტერატურის ისტორიაში. გამოუცდელი ახალგაზრდა პოეტის თვალს მაშინ იტაცებდა უპირატესად გარეგნულად გამოვლენილი უჩ-ვეულობა ფერებისა და ფიგურებისა, მის სურთასმენას აქადობდა ჭკარავგონილი ნა-ხევარტონები პოეტური ფრაზის ელერადობი-სა, ხოლო ის მთავარი, რაც გარეგნული შტრი-ხების სიღრმეში სუფევდა და საფუძვლად ედო მათი ნაწარმოებების გამომსახველობითი ფო-რმების ეფექტურობას, მან უფრო მოგვიანე-ბით ამოკითხა „მთვრალი ზომადლის“ ფო-ტოგენსა თუ „ბორტების უკავილთა“ ფო-ტოგენსა. ჭერჭერობით კი იგი თავის თავს წა-ჩრისხავდა ოსკარ უაილდსა და გარშემო მის-თვის უკვლავური მგავდა მასკარადს, სადაც ერთმანეთს სცვლიდნენ ფერადი ღიანჭები.

თვალი ბნულდება, გარეშემოს კი ნათლად  
სწევს,  
მეწამულ კაბათ ხაერდის სუნს დარბაზი  
სუნთქავს...  
იყო... წაიდა... მოგონებაც არ მავიდდება,  
შეუცნობელი კი ფართხალებს გულში  
ზმანება.  
რომ მკითხონ ახლა, მე რა მინდა,  
რის ლოღინი მკლავს?  
თვითონ არ ვიცი, რა დავარქვა  
ამ ტკბილს, უხილავს...  
(„ამასკარადში“)

პოეტი რტდასხმულივითაა სიწმარეული მანებებით, მან თვითონ არ იცის, რა დარქ-ვას ამ ტკბილს, ამ უხილავს, ვნებით ატანილს რქვევებს რომ ასმენიანებს და ამ ლექსს დაა-წერინებს. თვით ლექსიც, გაოგნებულის ჩურ-ჩულივით, ერთი სუნთქვით არის წარმოთქმუ-ლი, ოღნავ მოუწესრიგებლადაც, ოღნავ აბნე-ულადაც ძნელად თუ მიუხვდებოთ მთავარს, ძირითადს, მავრამ რომ ჩავუყირადეთ, აუცი-ლებლად შევეინწნათ ზმანებათა ორომტრიალ-შიც ალაღად გაუღვებული ბუნებრივი გრძნო-ბის ნაქერწყალს.

1918 წლიდან ტიციან ტაბაძის შემოქმედება გობარი და მრაველი ზღუდა რემი და გურმონის „ნიღბების წიგნი“. რემი და გურმონმა დიდი გავლენა მოახდინა ტიციან ტაბაძის ეს-თეტიკაზე. ახალგაზრდა მწერლის შემოქმედე-ბით მიზანსწარავა უოველთვის მიმართულია უჩვეულობასაც, ჭერ არხილულობასაც, ჭერ არ-თქმულისკენ და, აი, რემი და გურმონი შეა-გონებს ტიციან ტაბაძეს, რომ პოეტის არხე-ბობას, მის მოღვაწეობას უპირატესად აღაზე-ვებს ის, რომ იგი უნდა იყოს ორიგინალური და განუზოვრებელი, უნდა გვაცნობდეს ისეთ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც მანამდე არ უხსენებიათ, და გვაცნობდეს მათ ისეთი ფორმებით, რომლებიც მანამდე არ უოფლდა გამოუყენებელი ლიტერატურაში. და ტიციან ტაბაძეც ცდილობს მის შეგონებათა ერთგუ-ლების პრაქტიკულად დამტკიცებას:

ჩემთან მოვიდა ნოემბრის ქინკა,  
ზელში მას ლენით ეკირა ჭიქა...  
იზომრებოდა და მოყლე ყებები  
მეკითხებოდნენ: ხომ წამომავებები?

ქალარა სჩანდნენ ველები, მთები,  
დალლი ღმერთის მომტედარი ფრთები,  
ცა მიწასა თუ მიწა ცას გლოვდა,  
მხოლოდ ნაღველი შეგ თოკლად თოვდა,  
ბუს ხმას აძლევდა მოთქმით ღამურა  
და საწნახელზე შემტდარი ტურა,  
მიწას გავერთა ენტატურთა ჭოგი,  
აქ მეფედ იყო პრინცი მაგოგი.  
(„პრინცი მაგოგი“)

ამ ლექსში, ისევე როგორც ათიანი წლების სხვა ლექსებში, ახალულ საგნებს უაღრესად სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ. მხატვრული ეფექტის მოსახდენად ტიციან ტაბაძე აქ მიმა-რთავს, პარობითად რომ ვთქვათ, გაბუნდოვა-ნების ხერხს, უჩვეულო მხატვრული სიტუა-ციებისა და სახეების შექმნას. ამგვარ ლექსე-ბში თითოეული საგანი, თითოეული სახე სიმ-ბოლოა: „...იი, ნოემბრის ქინკა, ჭიქისა პინკა, რომელზეც ახე ხშირად საუბ-რობენ ჩვენს სოფლებში მოხუცი ქალები და მეზღაპრებები, და იქვე აღმორნდება „პრინ-ცი მაგოგის“ სამფლობელო, — პრინცი მაგო-გი, შემზარავი ბიზილურა გმირი, ოღნავ ფრა-ნგულ უაღაზე წარმოსახული. იქვე მოჭრის ენტატურთა ჭოგი: ენტატური, სიმბოლისტიკის მიერ აგრიტივად გაღმერთებული ნახევარ-ადამიანი და ნახევარ-ცხენი; შავი თოვლი — სიმბოლო ამოუწრეტი ნადვლისა; სულიც — დამფრთხალი კვიცი... უკვლავური ეს ფრ-თიერთ შევიდებუღია, აძრულია, და ლექსში

უველაფერს ამფიოტებს კინკა, თავისი მოკლე უბებებს ხმაურით.

ქართული პოეზიის სინამდვილეში, მართლაც არც აშგვარ საგნებზე და არც აშგვარი ფორმის (ვერლისშობა უპირატესად შეტაფორისტიკას) მანამდე ლექსი არ უქცეოთ პოეტებს. ტიციან ტაბიძის იმ პერიოდის ლექსებზე მართლაც დიდი სახელე იყო ჩვენს ლიტერატურაში. მაგრამ სახელე და ორიგინალობა როდღი ნიშნავს ჭეშმარიტებას ზელოვნებისა და აშგვარ ლექსთა ღირსებას უპირატესად ის იყო, რომ ისინი აღნიშნავენ ახლებური სიმეტაველოპოეტური ფორმების ძიებათა დასაწყისს და კმნიდნენ იმ პერიოდის ლიტერატურულ ცხოვრების ატმოსფეროს.

ტიციან ტაბიძის ამ პერიოდის ლექსებს, მკითრე გამოწყლისის ვარდა, უფოლდ ანთა მწიგნობრულუბის დიდი, ბევრი მათგანი, უბრალოდ, კომილაფიური ხასიათისა. მაგრამ, ვარკველია კუთხით თუ შევერახებთ ტიციან ტაბიძისა და მის თანამოკალმე ცინფერანსწელთა ამ პერიოდის ლექსებს, ესთეტრუშითა და ფორმალისშით გატაცება შეგნებულად ჩატარებულ და ინტორიული განვიითარების თვალსაზრისით სრულიად კანონიზიერ აქტად წარმოგვიადგება. კერძოდ, ტიციან ტაბიძემ შეგნებულად რომ აიღო გეზი ქართული პოეზიისათვის დასავლეთ ევროპის პოეზიის მიღწევათა შენიღებისყენ, ამას იგი დაუფარავად აცხადებს კადეც ამათ წლებში: „ბესიკის ზღში ვრგავ ბოდღურის ბორბტ უვაილუბის“...

ჩაოდნე ეპიგონურად არ უნდა იყოს იმ პერიოდში შექმნილი მისი ლექსები, ჩაოდნე ფორმალისტურ ხასიათს არ ატარებდნენ, ისინი მაინც ტიციან ტაბიძისეული ლექსებია. ამ ლექსებშიც ამოცნობა პოეტის ზეღწერა, ხასიათი, მისეული სიმამრე ემოციისა ვაქოდა ხანი და მის პოეზიაში სწორედ ალად გრძნობათა სიმამრემ, გულწრფელობის სისადავემ იმტარკა დენდი-ესთეტის სახემა თანდათან გაფერმკრთალდა. მინდლდა ზელოვნურ ფორმათა ძიების ახლავარდული ენი და ესთეტისში — არტიტულის საწყისი განმტყვდა არა აქთიმონსად, არამედ ტიციან ტაბიძის შემოკვეთებითი ხასიათის ერთ-ერთ ძირითად თვისებად.

პიერო

პიერო იტალიური ზღბური ნიღბების სამყაროს წილიდან ამორდლიდისხება. მან მრავალ წელს ტექანა იტალიის დიდი თუ პატარა ქალაქების საყარავალოდ მორაოული ქუჩები და მოედნები, მრავალ განსადედულ ვაუძლო, ბევრი სიხარული მოგვარა ზღბის და, ბოლოს, როგორც იქნა, თეატრისყენაც გააქადა

გზა. იგი აიტაცეს სვენაზე, როგორც ქართული თი უველაზე გამწლე, მომზიბვლტრუტ სწუქრქუქქუქ ლი ნიღამი. და, აი, სულ მალე, თავის განუტრელ ნიღბებთან — კოლომბინასთან, არღულკინთან, პანტალონენსთან, მოსამართლესა და კამიტანთან ერთად პიერომ შექმნა საქვეწოდ ცნობილი „კომედია დელ არტი“. იგი გდაიქცა ერთ-ერთ უმთავრეს სვენურ პერსონაჟად. მაგრამ, თუ თავდაპირველად პიერო და მისი პარტნიორები სვენაზე იმპროვიზაციას ახდენდნენ და მათი სვენური ცხოვრებაც სტიქიურად ვითარდებოდა, შემდგომ, კარლო გოციამ და გლოდონიმ ეს ნიღბები მანანდასახულად ათამაშეს, შეუქმნეს მთავარი შემოქმედებითი სიტუაციები, მხატვრული სისუსტიტ გამოძარწეს მათი სახეები და ხასიათები. მომდევნო თაობების მწერლებმა ეს სახენიღბები მამშნარეულად, „შოთამოშელობით“ მოიღეს და კიდევ უფორო გაამდიდრეს, გაფართოეს მათი სამოქმედო ასპარეზი.

ეს სახენიღბები ახალს ელფერი გაყოცხლდნენ XIX-XX საუყუნების ლიტერატურაში. ამ პერიოდში პიერომ, არღულიწა და კოლომბინამ სვენიდან პოეზიაში გადმოინაცვლეს. საყუთრევე ქართულ პოეზიაში ამ სახენიღბების აღმოყენება და დამკვარება უდავოდ ტიციან ტაბიძეს უნდა მიეწეროს.

ენი არის პიერო ლირიყული გზირი — გულბრყვილოდ და ვიფურად შეყვარბული კოლომბინაზე, გულით მიმწდობი და მგრძნობიარე თავისი მამიტიკობის გამო იგი ზშირად აღმონდება ზოღმე კომიყური სიტუაციაში. სიტუაცია კი კომიყურია, მაგრამ სულიერი მდგომარეობა გზირისა — უაღრესად მწვავე, ტრაგიყული. მდგომარეობის ტრაგიყულობას ამწვავეს არღუენის ვერაგობა, ოპობრობა, ვამუადველობა... კომიყურის ასექტი რომ ჩამოყაცილოთ — ეს არის ჩვეულებრივი მამიტიკ კაცო, თავდავიწყებით შეყვარბული, რომლის მოტუტება და გამასხარავება ძალიან ადვილია.

და ეს სახეც უფოლდ იყო აღბეჭდილი ტიციან ტაბიძის შემოქმედებით ბუნებაში. ლექსის კითხვის დროს შეუბრყავი ენერგიის გამო მამამყარავბული მოძრაობით, მგზნებარე იერითა და თვალების ელვასებურ ნათებით, მხატვრულ სიტუაციაში გამოვლენილი შეუპოვრობითა და ცეცხლოვანებით თუ იგი ზოგჯერ მართლაც ახყარახხუულ რაინდსა ჰგავდა, ზოგჯერაც—თავისი პერიოდული შელანქოლოებით, ხანის მგრძნობიარე ნყუთებით, არტიტული საუბრებით ზელოვნებაზე (ზეღში რომ გრძეული კოღდა ეჭირა და პიყაცის დღე-კიღღში მიხაკი მქოღდა ჩაბნეული) მართლაც თუ დენდი-ესთეტის ემსგავსებოდა, ვარკვეული დროის მანძილზე არანყლები მსგავსებით ირყეღბოდა ამ გულით მიმწდობ და ემოციურ, სიყვარ-

არღლითა და მიამიტური უშუალოებით აღსავსე პაროცენებაში პიეროს სახეობა.

პიეროს სახეობა ტიციან ტაბიძის შემოქმედებით სულში აღმოცენდება დენდი-ესთეტის სახესთან ერთად და უკლებლად მის პარალელურად, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დენდი-ესთეტის სახესთან შედარებით, გაცილებით უფრო მეტი მხატვრული შთაბეჭდილობა, მეტი სიცხველე აღმოაჩნდა და მხატვრულად უფრო მდიდარი კვალი დატოვა პოეტის შემოქმედებაში.

თვდაპირველად (მოსკოვურ პერიოდში) პიეროს სახე პოეტისთვის ზედამიროდელ მსახურს, კომედია დელ' არტელან ნახსენებ ნიღაბს წარმოადგენდა. პოეტს მაშინ უფრო აინტერესებდა და იტაცებდა ამ ნიღაბთან დაკავშირებული გარეგანი სიტუაციები, ფერები და ეფექტური შტრიხები, რასაც აშკარად მოწმობს იმ პერიოდში დაწერილი მრავალი ლექსი და, მათ შორის, „პიერო“:

აყვავებულა ვახუბხელი ზახუბლად ბაღში,  
ვარდი თუ უფრო წითელია — თორემ არ  
მკრთალობს,

და ათრობს ისევე გამოცდილი ძველი  
ტოლბაში,  
ძველი ამიჯი სიყვარულზე სილტო-  
მორტალობს.

იყო ბესიკო, სთიონოვა, თეიმურაზო...  
ეს უყანასკნელნი, ტიციან ტაბიძის მხატვრული შეფასებით, ეროვნული პოეზიის წიაღიდან ამოწარდილი პიეროები არიან:  
ამაყ პატრონებს მოელიან მცველნი  
კარბეში.

დამწვიდელი სულო, საშუღამოდ გადაირაზე,  
საწყალ პიეროს გზა დაებნა უცხო  
მზარეში...

„პიერო“ წმინდა წყლის სამოლოისტორიო ლექსია, რომელშიც გადმოცემულია უაღრესად ბუნდოვანი და მისტიკური ხასიათის წუხილი არსებულის არარსებულობაზე, რეალურის მოჩვენებულობაზე. ლექსის შინაარსობრივი სტრუქტურა ისევე ადრეული, ისევე ჩამოუყალიბებელია, როგორც თვით ლირიკული გმირის სახე და გაცდები. აქ ხელშესახებად მოცემულ სტრატეგის წინაპართა არადილი და მათი ადგილსამოცემელი ენაცვლებიან ხოლმე, სიწმარა და სიცხადე გაერთმინებულად ნაგებულია, მოშლილია ზღვარი წარსულსა და აწმყოს შორის და მთელ ამ თავებრუდამსველ ფანტასმაგორიაში სამყაროს მარადი აშუი — პიერო უწინდებურად „საღატაორტალობს“ და მისტრის თავის კოლომბინას: „სტიტის პიერო: კოლომბინა, აბ, კოლომბინა“

ამ ლექსში, ისევე როგორც მოსკოვური პერიოდის სხვა ლექსებში, პიეროს ნიღაბს უაღ-

რესად აბსტრაქტული მნიშვნელობა ენიჭება. სი ნაყთები ვერ არის გამოცხადებული, მაკ გაურკვეველია. ეს არის შშრალი, შინაარსის მოკლებული სიმბოლო, რომელიც ლექსში სახე-სიმბოლოსთვის შესაბამის ფუნქციას ვერ ასრულებს. ეს ნიღაბი ტიციან ტაბიძის პოეზიაში ცოცხლდება ოდნავ მოგვიანებით, იმ წლებში, როდესაც პიერო თამაზად იდგამს ფეხს თბილისის სცენაზე. აქ იგი უკვე ხორცს იხამს, ფესება მხატვრი რეალური განცდებითა და ფიქრებით და წარმოგვიდგება პოეტის შემოქმედებითი სამყაროს ერთ-ერთი უშთაგონი მიმართულების გამომსახველ ლირიკულ გმირად, გმირად იმ „სხვა თეატრისა“, რასაც პოეტის შემოქმედებითი თვალთახედვაში საქართველო წარმოადგენდა:

ჩემი სამშობლო, საქართველო, სხვა  
თეატრია,

ბევრი მიწახავს ზეტილში მე თეატრები.  
გახუნებელი მისი სული ბევრმა ათრია,  
მეგრამ ელვარე შვე სხივებით არ ეხატრები.  
ეხებაც, მოდიან ზღვა ლანდებით ბრძენი  
მაგვნი,


მიმო, ეონგლერი და დროგები აქტიორებით.  
არ მეშინია ძვირფას ძმებთან სულის წაგები  
და ძველ პიესას მე ეთამაშობ განმეორებით.  
იყო თამარი და ძვირფასი მისი სამება,  
ამაზე იტყვის საქართველო მტიანებით.  
მხოლოდ შენს ტანჯვას, კოლომბინა,

და შენ წამებებს  
პიეროს მეტი ვერ იტირებს სხვა დანანებით.  
ვერ ნახვ რაინდს, ჩემზე უფრო რომ  
უერთგულოს

შენს წამებულ სულს, კოლომბინა,  
შენს ტუბერკულოზს\*.  
(„ქალდვას ბალაგანია“)

აქ საყურადღებოა ლექსის უყანასკნელი ფრაზა, რომელშიც გამოხატება პიეროს გაქიშება რაინდთან სიყვარულის სიმლიტრესა და სატრფოსადმი ერთგულებამდე. პიეროს ცვალები შეშავალ ლექსებში გამოხატული აშკვარი ნიუანსები ადასტურებენ, რომ პიეროს სახეობა სრულადაც არ იყო გამოშრიცხველი ტიციან ტაბიძის პოეზიისთვის ზოგადდ დამახასიათებელი რაინდული სულისკვებებისა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ პიეროს სახე ცხოველმყოფელი, მხატვრულად შთაბეჭდვით და მომნიშველელი ზეგება თბილისის სცენაზე კიდევ იმპროვიც, რომ პოეტის პაროცენებაში, მის შემოქმედ სულში ჩნდება ამ სახის შესაბამისი ინტიმური განცდები: ტიციან ტაბიძის შემოქმედებითი ცხოვრების ასპარეზზე შემოიპრება კოლომბინა; კოლომბინა — ნინა მყაშვილი (შედეგად მეუღლე ტიციან ტაბიძისა), იმ დროის არისტოკრატიული და არტისტულ-



საზოგადოებების შეჯგუფში მყოფი, მომზიბე-  
ლელი ახალგაზრდა ქალი.

აქ კიდე „ქიმიკონის“ კედელზე ისინი აღ-  
ბეჭდილნი იყვნენ სწორედ აწვარად: ნინა მა-  
ყაშვილი — კოლომინა, ტიციან ტაბიძე —  
პიერო.

1917-1922 წლები. ტიციან ტაბიძე თბილი-  
სში: პოეტი და „ციხფერყანწლების“ ერთ-  
ერთი თავიკაცი, ესთეტი, და იმე დროს, „მა-  
ლაგანის მეფე“; ქალაქის ერთ-ერთი უველაზე  
პოულარული პირიყენება, რომელსაც თავყანს  
სცემენ; პიჭყის დიდი-კოლოში კი დამუბარე-  
ბია მიხაყი, მაგრამ ეს მიხაყი ზან სხვისი თაი-  
გულიდანაა ამოღებული, ხანაც — სხვის ბალ-  
შია მოწყვეტილი. თბილისის მშყენებას და  
ქეწს ჩიბეში ზამ გროშიყ არ უჩიბრბალებს.  
სწორედ ამ სხვის თაიგულიდან ამოღებულ მი-  
ხაყს მიართმევს იგი კოლომინას ერთ-ერთ  
კადეში და თან ცყეხლოყან ლექსისაც სტოარ-  
ცნის... სულით პოეზიის უმშყენიერებს სასხე-  
ლენში მცხოვრებს, სინამდვილენში საყუთარი  
სახელ-კარი და საყუთარი საწოლოც კი არ გა-  
ანია, მაგრამ ეს მდგომარეობა ვერას აყლებს  
სიყვარულს, ვერ ანელებს ოცნებას...

წლიდან წლამდე, თბილისის სცენაზე მო-  
სული პიერო უცხოურ იერსა და სამოსს იყო-  
ლებს, თავისი ფიქრებითა და განცდებით ქარ-  
თული ბუნებისა ხდება. მისი სწრაფვა, მისი  
ტყველები ეროვნულ საყიყებს უყავირდება  
— მისი სამოქმედო ასპარეზი, შემოქმე-  
დებითი სიტყუაციებში საქართველოს აწმყო  
და წარსულია. იგი უყვე გახულდგმულებული  
მხატვრული პერსონაჟია და, ამასთანავე, ერთ-  
ერთი ორენულია პოეტისა, ხანდახან ოდნავ  
მოღლილი და იმდყოფილი ცხოვრების სიღუ-  
ჭკირითა და ადამიანთა ორგულობით, ხანდახან,  
ეგებ, თავყაბერებულიც ლულანდარა მათუ-  
რებლის წინაშე მოუწერსიგებულ სექტაყლე-  
ბში თამაში, მაგრამ მაინც, უპირატესად,  
აღლად შეყვარებული, სულით ზორცამდე  
არტისტული, ბრძოლისა და ბედთან შემიდე-  
ბის სურვილით ატანილი, როყა საქირთა, იგი  
გარბაბლდის ქულსაც დაიბურავს და რანდუ-  
ლად აინთება:

საბედისწერა წუთს ელოდი; წუთი მოხველი,  
პიერო წუთით წითელ ქელში გავარბაბლდდი!  
(„ორი აბრილი“)

ქართულ სცენაზე პიეროს უყვე არა მარტო  
აწმყო, წარსულიცა აქვს. მას ახსენდება წარ-  
სული და თავისი არსებობა ჭველად, ქალღეაბ  
მიწაზე, ქალღეა — ეს მისი პირველხამოშო-  
ბია:

ქველი სიტყუები დაციყების  
დაციყებული,  
ქველი ქალაყი, დღეს ნიყარი,  
უწინ ქებული,

ქველი ქალღეა სწყავს ოცნე-  
და ებახის სულს,  
ოქროს ლექსებში მე ევმღერებ  
დიდებულ წარსულს...  
(„ქილღას მზე“)

აწმყოში კი იგი სხვადასხვა მტანწყელი წი-  
ნათგრძნობით არის შეყურობილი და სურს  
გაეყეცს ყუველდღიური ცხოვრების უღიბლა-  
მობას, აღრეულობას, სიყვეს. პიერო ზომ რომ  
მანტიყობია. იგი მშყვედ განიცდის გარემოში  
მისი არსებობის უადვილობას, შეუთყინებლო-  
ბას არსებულისადაც. არა, აყ არ არის მისი  
ადგილი; ახლა დადგა არღეყინება — მისი-  
რა და მზაყარი, თუმცა დაოსტატებული გამ-  
ზაზების დრო და ამიტოყა:

მინდა გავეყეე საქართველოს მზეს,  
დღეს იყ ჩამბაზის სიმი გააბეს!  
(„ოცდასამი აბრილი“)

ჩამბაზის თოყე მოსიარულე — არღეყინა  
და არა პიერო. პიერო სხვა კაცი: მას სულ  
სხვა წინაპრები ჰყავდა, მას სულ სხვა გული  
აქვს, მას სულ სხვა სწრაფვა ამოძრავებს; და  
თუ იგი იმ წინაპრებს აღარა ჰგავს, უბრალოდ,  
იმიტომ, რომ დრო შეიცყადა და პიეროც და-  
იღადა დროის ნაწილთ. მაგრამ პიერო მაინც  
ვერ არის პრაქტაყონი და სექტაყონი, იგი  
მაინც არ იყიწყებს წარსულს, არ თმობს მო-  
მავალზე ოცნებას, უწინდებურად სურს თავი  
დააღწიოს იმ ბალაგანს, სადაც იყნებ მეფობ-  
დეს კიდეც, მაგრამ ასტ მეფობას განა შეზა-  
რის:

და ეყიო მე საიდან მოვედი,  
რომელი ქეყენის ცხელი მზე მყეყედა,  
მე დიდი მყავდა წინამორბედი,  
წინამორბედი მაცხოყარს ჰგეყედა.

ეარსცვლავთ ეონგლერის, პოეტის მაყის,  
ეიგონებ ქებას ბალსს, შორეულს,  
და რესტორანში გამოღოყებულს  
მეჭაყი მიბნეცს ვაღამბარ ნირგის.

და ბალაგანის მოყვედები მეფედ,  
რალაც მეფერი იყო ჩემს სულში.  
დაყუიანებულ ხმად შემიერთეთ  
თქვენ, ვინც მღეროლით მზეზე  
წარსულში.  
(„ბალაგანის მეფე“)

ბალაგანის მეფედ ქეყულ პიეროს არ და-  
ეიწყებია წარსული, წინაპართა მზისებრის სიბ-  
ღერები; მას სურს თავისი ხმაც იმათ შეყუა-  
ვშიროს, შეუთანხმოს, იმათებრი სხიყოსნო-  
ბითა და სიმძლავრით აყდეროს ლექსი. მაგ-  
რამ გარშემო ყუველფერი შეცვლილია, და  
სულ უფრო და უფრო შორდება მზისებრს,



საქართველოს მწიგნობართა კავშირი

სხივსაანს; სცენის გარშემო აუჯანმეურნეულ ხალხში პიეროს საყუარია ხმაყ კი აღარ ესმის... ქალღეას ნაცვლად მის წინაშე უზარმაზარ ბალაგანი დგას, რომელშიც ვეღვა და ვეღვა ფერა თვრება, არუვეა და იმსხვრება. ამ ბალაგანში დღეშეგებელი რაიმე ამადღებელი ზოლო რომანტიკული — სასიყვარლო და ან ასეთ პირობებში პიეროს კომიზში ფარისი თვისებებს იძენს, ხოლო ტრაგედული საწეისი — მელოდრამატული ხმებით აბრუნდება პიეროს უნებურად ვეფლება სიყვარულ და მოჩვენებობობა, მისთვის დამახასიათებელი ფერები მკრთალდება, აყარგება, მისი ნიღბის ხაზები — მჩრდდება, მამიწყდება... ჰომიფინარციონს ფარისი ამ ლირიკულ, რომანტიკულ ზღაღზე, რომელიც გავრანებულ სცენაზე მას და უნებურად მონაწილეობს ახსურდში. ხანამდე შეიძლება გასტანოს ზღაღმა და სიცოცხლით ადვასოს ნიღბი? პიეროს სუნთქვა გრვრება, თავბრუ ეხმის. იგი საყუარია ზღაღებით მოიგდებს სახე-ნიღბს და, მკურებლის ხარხარით შეტრუნებული, გარბის სცენიდან.

მეგობარო, როგორც სატყეო, გრძელდება და ნაბი, როგორც ექვსობა, ტრიალებს ჩემში რაღაც სათქმელი და გლადიოზული მიმოება ვროსტი. (საქცილის პოსტო)

საქმელი მეწერეობით გადმოგზა პოეტის არსებიდან და თითქოს ისიც თან გაიტანა. მეწერისებრ გულიდან გადმოტრეკვა პოეტური სიტყვისა. მისი შემოქმედების სწორედ ამ პერიოდისათვის არის დამახასიათებელი. ახლა უკვე აღარც დრო და აღარც საშუალება იყო „ბესიკის ბაღში“ პოდღერის თუ სხვა ევროპული პოეტთა ევალოების გადმოტრეკვისა. ავით ტაციან ტაბიძის შემოქმედებაც აღარ საჭიროებდა ამას. რაც შესათვისებელი იყო ევროპული პოეზიიდან — უკვე ჰქონდა შეთვისებული. უკვე ჰგლობდა თანამედროვე ლექსწერების კულტურას. უკვე აღიკვეთებდა წინასწარობა უკვე იყო შექმნილი იმისთვის, რომ გრძნობათა და ზილეთა „მეწერეები“, ვაკევეული მიმართულებით, თავისთავად გადმოხეტოილუყენნ მწეობრ პოეტურ ფორმებში. პოეტი თავად აღტყებულთა საყუარ სულში მეწერეთა კვრტებით; ამა, ის რა პოეტია, თუ არ ქალღეს შემოქმედებითი ფხიზეული თვლით შეფასოს უცრად აღტრული ვანცდა, ვერ დანახოს საოქმელი, უნებურად რომ მიმოიბოგს მხატვრულ სიტყვაში ხორცშესხმას. და აი, ლექსის მეწერეობით მოყარდნა, მეწერეობით მოყარდნილ გრძნობათა და ზილეთა ლექსის ეალიბში მოკცევა ზდება ტაციან ტაბიძის პოეზიის კრდოთ.

სიცოცხლის მომღვაწელი

საქართველოში საბჭოთა ზელისუფლების დამყარებისთანავე ზელოვანთა და, კერძოდ ტაციან ტაბიძის წინაშეც, მწვავედ დაისვა მოთხოვნა შემოქმედებითი ცხოვრების ძირფესვიანად გადახალსებისა. თუ რამდენად მტკივნეული, ძნელად აღსასრულებელი აღმოჩნდებოდა ტაციან ტაბიძის და მისი ლიტერატურული მშენისათვის „ციხფერი უანწების“ ზელიდან გაგდება, ეს აშკარად ჩანს მათი ნაწერებშიდან. დენდი-ესთეტიკისა და პიეროს ნიღბათა მსხვრევამ, ინტიმური თუ სემიგადოვრები ხასიათის პროცესებმა მის შემოქმედებით ცხოვრებაში გამოიწვია მწვავე კრჩინის, რამაც განაპირობა პოეტის დროებითი დაღუფიაც. დუმილის ეს პერიოდი — იყო პერიოდი იგივე აბაქაციისა, პოეტის ფსიქოლოგურ წყობის შეთვისება-შეგუებისა ახალ ეთარებებთან. ტაციან ტაბიძის პირველებისათვის დამახასიათებელი თვისებების, მისი ხასიათისა და ტემპერამენტის აბაქაცია, ფსიქოლოგურ მემართულებათა შინაარსის შეცვლა მადე განხორციელდა: ტაციან ტაბიძის პირველებისთვის არსებითად დამახასიათებელია რომანტიკულობამ, სიცოცხლის სიყვარული და, რაც მთავარია, მისმა ძლიერმა შემოქმედობითა ენერგიამ თავისი ვაიტანა და, დუმილიც დაარღვა... დუმილი დაარღვია ახალი ლექსების უცვარმა ამოფეთქებამ, გულში დაგუბებული სათქმელის — მთელი არსებით განცდილი ტყვილების ძალამ, რომელმაც დაასწრო სულიერი კრილობების მოშუშებას:

შე არ პერ ლექსებს, ლექსითიონ მწერს.  
ჩემს სიცოცხლეს ამ ლექსს თან ახლავს.  
ლექსს შე ვეწოდებ მოყარდნილ მეწერას,  
რომ ვაიტანს და ცოცხლად დამგარბავს.  
(„ლექსი მეწერა“)

სამყაროს მშენიერებითა და საშობლოდ მხატვრების გრძნობით აღტაცება როგორცდც თავისთავად აწერინებს ტაციან ტაბიძეს ლექსებს, რომლებიც მართლაც მეწერეობით ქუხან და მომბოხებული ფერადოვნებით იღვრებიან ჩვენს წინაშე. ისინი ნამდვილი ნაშუშებია პოეზიისა, ეროვნული პოეტური სულიდან ამოხეტოილი ნამდვილად ქართული ლექსები, რომლებშიც არ შეინიშნება არაფერი ზელოვნური, არაფერია „გადმოტრეკული“ და ნასესხები. „რაქტური სულში სიონის ზარია“, „რიაარია“, „მუხრანის ველზე საოქმელი ლექსი“, „ხანდურთან“, „მე უჩაღებმა მოქმდეს არავზე“ და ამ პერიოდის სხვა ლექსები ვაჰყინონენ ტაციან ტაბიძის შემოქმედებითი სულის კუმბაროც აღმდგრებას, სიმღერებს, ვანმეორებლობას. ამ ლექსებში საოცრად მოქნილი და დახვეწილი გაბდა პოეტური ფარმა, რითმა და

რიტმი, და თუმცა ტიცთან ტაბოქ ამავე პერიოდში შეხვევის ალი არხენიშვილს, მის ერთერთ „ლიტერატურულ ძმას“ და თანამებრძოლს:

და ვეითბები ამ დაბურულ სკვითების ღამეს,  
რა იქნა ჩვენი კაბუტობა და გატაცება?  
ეინ ვადაფისა ასე გული შშრალი ბაღღამით  
და არ გვატალა შთაგონების დაუაყვაცება...

(„ილაიალი“)

მავრამ მისი ეს ჩივილი, ძირითადად, საფუძველს მოკლებულა, რადგან, ზემოხსენებულ ლექსების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტიცთან ტაბიძის პოეტური შთაგონება, მისი პოეტური გრანოზობიაცა და ფიქრებიც მთელი სისრულით ავლენენ „დავდაკვებას“, სავსებით მომწიფებული ხელგონის ოსტატობას.

მართალია, ამ პერიოდში საქმე გვაქვს პოეტის მხატვრული სიტყვის ახლებურ აფერებასთან, ახალი სათქმელის მომწიფებასთან, მის შინაგან შემოქმედებით გადახალისებასა და თითქმის სრულ გათავისუფლებასთან ფორმალისტური გადაზრებისაგან, მაგრამ უკვე წარსულ შემოქმედებით ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში თუ შევფასებთ ამ პერიოდში (1922-1928 წლებში) დაწერილ ლექსებს, ისინი წარმოგვსახებიან ტიცთან ტაბიძის ცინფერყანწილობის გვილის სიმღერადაც, იმ უპასასქელ ამოსუთქვად, რომელსაც მოსუვა ახალი შემოქმედებითი ძალით ავლენს და ახლებური გამოვლინება პოეტური ენერჯისა. ამ ლექსებში ტიცთან ტაბიქმ, თითქოს ერთბაშად, „დასაყვავ ხოს ხმით დაიბდალა“ წარსულთან გამოთხოვების წუხილი და, თან, იმედოვნება მომავალში გადაჩენისა, თავისი რწმენაცა და უნუგუშობაც, სიყვარულიც და სიძულველიც. საბედნიეროდ, სიყვარულმა იმედოვნებამ იმდარცა და პოეტმა ამ წლებში უფაქიზესი, საოცრად ალალი და საკუთარი სიტყვით გამოთქმული სიყვარული უმღერა თავის მიწა-წყალს, თავის ხალხს, ადამიანს და, საერთოდ სიცოცხლეს ქვეყანაზე.

1928 წელს ტიცთან ტაბიქმ თავის თანამოკალმებთან „ახალ ცხოვრების დავერდს გადავიდა“. „მიწასთან დაბრუნების“ პრობლემა, რომელიც „ცინფერყანწილებმა“ ჭერ კიდეც 1922 წელს დააუენეს საკუთარი შემოქმედებითი ცხოვრების წინაშე, არცთუ იოლად გადასაწყვეტი ამოჩნდა. მის განხორციელებას თითქმის ათი წელიწადი მოაწოდებს. „მიწასთან დაბრუნების“ იმ ხანგრძლივ გზაზე გადაწყვეტი ნაბიჯის გადადგმა აღინიშნა ტიცთან ტაბიძის ლექსში „მამ, გამარჯვება“, რომელ-

შიც მთელი სისრულით გამოიხატა სიყვარული, სიცოცხლის ვერადუღებლობა, ხალხთა ბლოსადმი პასუხისმგებლობის გრძნობები.

„...ქრიზისი ხანა ოცდაათიანი წლებისთვის უკვე სრულდებოდა როგორც ზელოვანთა ინდივიდუალური სულიერი ცხოვრების, ასევე ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ასპექტებში. საბჭოთა საქართველო თანდათან ძლიერდებოდა. დაწყო გრანდიოზული მშენებლობები, მტკიცდებოდა სოფლის მეურნეობა, ფართოდებოდა ქვეყნის ელექტრიფიკაცია... ეს ის ფაქტები იყო, რომელთა დაუნახავობა და უგულებელყოფა ტიცთან ტაბიქს და, საერთოდ, ქართულ მწერლობას არ შეეძლო ტიცთან ტაბიქმ მთელი გულით ხარობდა ქვეყნის წინსვლით.

და, აი, ტიცთან ტაბიქმ ხელს ჰკიდებს სოციალისტური მშენებლობის დღის წესრიგში მდგარი საკითხების, ახალი პოეტური თემების დამუშავებას. იწერება სამი პოემა: „თვრამეტი წელი“, „რიონი-პორტი“ და „როსად ამუღდენ“. იწერება მთელი ციკლი ლექსებისა „გულდაგულ“ და სხვა მრავალი ლექსი, რომლებშიც აისახა განახლებული ცხოვრება ქალაქად თუ სოფლად, რომლებშიც გამოიქრწა ახალი ადამიანის, ახალი ცხოვრების მშენებლის სახე, რომლებშიც გამოითქვა რწმენა მომავალი გამარჯვებისა. 1934 წელს, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზე მან ასე მიმართა დამწერეთ: „გამოვლინის ახალი სოციალისტური მშენებლობისა და განთავისუფლებული შრომის ცხოვრების თრთოლვა, აი ახალი ადამიანის სიმამისი საქმე, ოპტიმისტური პოეზიის საფუძველი; ახა ჩვენ ვალდებულნი ვართ ვაოცოთ მისი გამოსავლიანებელი საშუალება“.

ასეთი „გამოსავლიანებელი საშუალებები“ ტიცთან ტაბიქმ კიდევ გამოჩნა და კიდევ გამოიენა თავის ლექსებსა, პოემებსა და ნარკვევებში გადახლებული ცხოვრების ასახავად. ოცდაათიან წლებში ტიცთან ტაბიქმ, სოციალისტური ლიტერატურის მოთხოვნათა შესაბამისად, მხატვრულად დაამუშავა სრულიად ახალი თემები, ამ თემებზე დაწერილი ლექსების პარალელურად, ამავე ოცდაათიან წლებში, პოეტმა შექმნა თანამედროვე ქართული პოეზიის მართლაც ბრწყინვალე ნიმუშები: „იხე უბრალოდ, როგორც მუხრანზე“, „ლექსის დაბადება“, „ლაგობობა“, „ვინა ფშველას გადასვენება შიამწინდაზე“, „აღუქსანადრე პუშკინს“. ამ ლექსებში მკითხველს ხიბლავს, უპირველეს ყოვლისა, პოეტის ფიქრებისა და გრძნობების გადმოცემის სისადავო, პოეტურ სახეთა და ფერების სინატივის დიდი უბრალოება, რომლითაც ზელოვნის სიმწიფის პერიოდი და ამ დროს შექმნილი მისი ნაწარმოებები ასე საოცრად მომხიბვლე-

ლი და შთამბეჭდავია. ეს ის პერიოდი ტიციან ტაბიძის შემოქმედებით ცხოვრებაში, როდესაც მას უკვე სიუვარულით შეფრთხივია კი არა, სიუვარულის წვდომა და სიცოცხლის მშვენიერებასთან მრავალფეროვან ერთობლიობაში მისი განცდა ახასიათებს.

ხერხეი ცსენინისადმი მიძღვნილ ლექსში იგი ასე მიმართავდა თავის შეგობარსა და თანამოკალმეს:

გდიოდა ლექსი შენ როგორც სისხლი,  
მოურჩენელი გულის იარა...

ამ სიტყვებით ტიციან ტაბიძე საქუთარი პოეზიის ბუნებასაც ახასიათებდა. მისი პოეზია, მართლაც, მოურჩენელი გულის იარახვით მტკივნეულია. იგი შეგვიძლია შევადაროთ შეუზორცხულ კრილოზას, რომლის სიმცხუნვარე და ფეთქვა უნებურად შეგვჭრავს, მოგვწუნებს და გაგვაოგნებს. და ეს კრილობა — სიცოცხლის სიუვარულითა და სიცოცხლის სიუვარულისათვის ნაიარებო გულის კრილობაა. იმ სიუვარულისა, რომლის ცეცხლშიაც იყო გამოჭედილი მისი საუცეთესო ლექსები:

არც ერთი სიტყვა არ დამცვენივ  
მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ შექმნა,  
როცა პწიარები პწიარებს სღვენიან,  
საუთარ გულის მამინებს ფეთქვა.  
მაინც თუ ვერ ვთქვო, რასაც ვესწრადი,  
შე ამ ცოდვაში ბრალი არ მიღვეს,  
ვარ იღვმალი მხოლოდ მიზრადი  
და გული იყღვეს ლექსის ამინდებს.

ლექსი ლექსია, მაგრამ იმატებს,  
თუ სიუვარულს ბოღმა გამურა,  
თვითონ ვერ იცნობ შენ მაიათებს,  
დაუტაცია ხალხს საღამურად.  
და შეჩვენება, რომ ლექსის ძაფი  
უძილო ღამეს ხელში ვაყა:  
მოსკდება წეიმა თქვეით და ქაფით  
და მოვარდება ლექსი წელყავად...

(„ლექსის დიანდება“)

„ლექსის მოვარდნა წელყავად“, „ლექსის მოვარდნა მეწვერად“ — ასეთი იყო ტიციან ტაბიძის შემოქმედებითი პრინციპიცა და მისი პოეზიის კრედიტ.

## გვარლის ზნეობრივი იმპერატივი

გულწრფელობა, გურამ ფანჯიკიძის მხატვრულ სამუაროს რომ ახასიათებს, ისეთი სტიქიური, იმპულსური ბუნებისაა, რომ იგი მწერალს, ალბათ, გაცნობიერებულად კი არ უნდა ჰქონდეს. გაცნობიერებულიც არ უნდა ჰქონდეს იმისდამიჯნუდევად, რომ ეს თვისება მის შეშქმელებასში ისევე ცხადია და მხურვალე, როგორც კოცონი ბნელ ღამეში.

გურამ ფანჯიკიძე არ ერთდბა თანამედროვე ადამიანის რთულ, მრავალწახნაგოვან, წინააღმდეგობრივ სულიერ სამუაროში კარგის, კეთილის გვერდით ცუდის დანახვას და დანახულის ცხოვრებისეული სიმძაფრით გამოაშქარავებას. ამიტომ არის, რომ მისი რომანების ფურცლებზე იდებები, მანქანები კი არ დააბიჯებენ, არამედ ცოცხალი ადამიანები, მათთვის ჩვეული ნაყოფანებებითა და დადებითი თვისებებით.

თვისებურია, თვითშეფასება გურამ ფანჯიკიძის წიგნების მხატვრულობა, მისი ზელოვნება; ავტორის მხატვრული ფორმა ორგანულია მისი სათქმელის, აზრის, იდეის, ემოციების, განწყობილებებისათვის. აქ ვხვდებით ლაკონიურობას, მოულოდნელ გადახვევას, მოქმედების განვითარების შესაშურ დინამიზმს; ერთი მომავდინებები სიტუა, ერთი მომავდინებები ფრაზა. შემდეგ კი სიჩუმე. სიჩუმე... ზოგჯერ უფრო მჭერმტყველო, ვიდრე სიტუაციები.

მისი „მეშვიდე ცის“ მთავარი გმირის, ლევან ზიდაშელის, სულიერ სამუაროში კონტრასტული თვისებები შეხამებულია: ერთი მხრივ, იგი ძლიერი, პატრიარხი, ენერჯიული, მიხანდასახული პიროვნებაა, შერაცხ მხრივ, კი აშკარად აკლია ისეთი ადამიანური ღირსებები, როგორცაა შემწუნარებლობა, თავგანწირვა, მშენებლობა. პატრიარქობის წყურვილი თითქოსდა სწამლავს მთელ მის არსებას და აღა-

რაფერია რჩება გარდა ექვია, განმარტებისა და გაბორტებისა.

როგორც წესი, მკითხველი მწერლისაგან იმაზე მეტს ელის, რაც საკუთარი ლიტერატურული გამოცდილებიდან იცის. გურამ ფანჯიკიძემ ისე გამოძერწა ლევან ზიდაშელის სახე, რომ ჩვენ უმაღ ვალიარტე მისი ღრმა, ნიჟან. სირბული ფსიქოლოგიში, ცხოვრებისეული დამაჩერებლობა. მთავარი გმირის სულიერი სამუაროს მართლაც რომ უჩვეულო სირთულემ და იმ ოსტატობამ, რომლითაც ეს სამუარო აღიბეჭდა რომანში, ცხოველი ინტერესი გამოიწვია. უურადღებს აქრობს, ამ მხრივ, რომანისადმი მიძღვნილი ზოგი რეცენზიის ხათურაი: „ვინ არის ლევან ზიდაშელი?“, „მართლაცდა ვინ არის ლევან ზიდაშელი?“ და სხვ. გაწვიადება არ იქნება, ალბათ, თუ ვიტყვი, რომ „მეშვიდე ცის“ მთავარი მოქმედი პირი, მიუხედავად ზოგიერთი აშკარად უარყოფითი სულიერი თვისებისა — სხვა პიროვნების ხასიათისა და ბუნების სისუსტეების შეუწყნარებლობა, ინდიფერენტში სხვისი ტანჯვისა და ტყვილისადმი, თუნდაც ეს სხვა მოსკოვში საეაქროდ მყოფი პატარა ადამიანი იყოს, ერთგვარი ქედმაღლობა თანამედრობით, ნიჭითა და ფიზიკური ძალით ნაყლები ადამიანისადმი — მოქმედების განვითარების გარკვეულ ფაზა. დე, მკითხველში მაინც სიმპათიის ცრწნობას ბადებს, ვინაიდან ის (მკითხველი) ეტლობს გამართლება მოუძებნოს გმირის ეთიკურ გადახვევებს საქმისადმი იმ დაუოცებელი სუვაარული გამო, რომელიც შესანიშნავად არის წარმოდგენილი ავტორის მიერ ფოლადის წარმოების სცენებში. სწორედ აქ, ფოლადთან კიდელში გამოოკვეთება რელიეფურად ლევან ზიდაშელის საუკეთესო თვისებები. ეს ის ადა. მინაა, რომელიც არც საკუთარ ბოზოქარ ცერგიაბა და ძალას ზოგავს მიწის მისახევედა, არც თავისი ზედქვეითებისას.

ლევან ხიდაშელი არა მარტო ჩვენთვის არის ბოლომდე ამოუხსნელი ადამიანი, ვისგანაც რაღაცას ელოდები, ელოდები ისეთ მოქმედებას, ახრას. ვადაწყვეტილება, რომელიმე შეიძლება ჰირფესიანად შევიცვალოს წარმოდგენა მასზე, არამედ ამოუცნობია იმითვისაც, ვისთანაც მეტაფორიკის შრომა აკავშირებს. და მართლაც, დრამატისმის უმაღლეს წერტილში, რომელსაც ადამიანი გონებას ვერც ემორჩილება და ინსტიქტით მოქმედებს, შეიშვლება მისი სული და ჩვენც ვხედავთ მის უკვლევარი სამოსელისა და სამკაულის ვარეშე.

სწორედ იმ დღეს, როცა ლევანს გმირობაზე წარადგენენ, მისი ატლასი მუშას, ლექსო არჩემასევედს ფოლადი გადაეხსნება ფეხზე.

„დაიღუპა, უველაფერი დაიღუპა, — ეს იყო პირველი, რამაც ლევანს გაუღვია თავი. იგი მიხვდა, რომ ახლა მისი გმირობის ამბავი ცაში იყო გამოიდებული“. აქედან იწყება გმირის მითის დაიბა, მისი ხილვა ახალ, უჩვეულო ასპექტში. უკანა პლანზე გადადის სულის სიმტკიცე, შრომისუნარიანობა, ფიზიკური ძალა და შემოქმედებელი პროპორციებით წარმოგვიდგება თვალწინ განუსაზღვრელი სიყვარული საყვარელი ამე...-სი.

ძლიერი პირების ეგოიზმი... გურამ ფანჯიკიძის ლევან, ხიდაშელი ლიტერატურულ ტიპს განასახიერებს. იგი ასახავს ცხოვრებას მის ცალკეულ განსაკუთრებულ ინდივიდუალურ მდგენელში და სწორედ ამ მხატვრული განმეორებლობის წყალობით წარმოგვიდგენს ზოგადს, ტიპურს, იმ თვისებებს, რომლებიც ასახაობებს ადამიანების გარკვეულ ქვეყნს, საერთოდ, ხიდაშელის თვითკაცობა და შედარებითი თავმოკვანობა. შედარებითი თავმოკვანობის მონაცემიდან გამომდინარეობს მიჯრდილება, მისწრაფება, ღიკოღვა ერთადერთი მშინსაკენ არავის მისცე შესაძლებლობა მიადწიოს უპირატესობას შენს მიმართ. მაგრამ ამ მიღრცილებიდან წარმოიშობა აშკარად უსამართლო, უმართებულო სურვილი — შენ თვითონ მიადწიო აქეთ უპირატესობას.

„შეშოდე ცაში“ მკაფიო, ცოცხალი, შიამბეჭვლაზ ზატებით, მოუღონათა ვანითარებინ დაიმფურობითა და დამაპროზით, პრობლემატის აქტუალობითა და ზოგადფილოსოფიურა ქვეტექსტით გურამ ფანჯიკიძე შეძლო ეჩვენებინა, თუ რაგვარ ურთიერთმოქმედებს ადამიანს რთულსა და წინააღმდეგობრივ სულიერ სამუაროში ეგოცენტრისმი, თვითამკვიდრების უნი და ზუნარობა.

და შეიკვარე მოკვანის შენე, ვითარცა თავი თვისი... სიყვით, სიყვითის თვალწინდებელი იმერისა — ვარსკვლავებზე უფრო მაღალი, უფრო ღმა, ვიდრე სიკვდილის საუფლო. მხოლოდ იგია დიდი, უკლადერი სხვა უმნიშვნელი...

...უველაფერი სხვა უმნიშვნელი... ტივად გახუვება „შეშოდე ცაში“ ლერი იგია გურამ ფანჯიკიძის გახმარებულ რომანს „თვალი პატიოსანი“. მომნიშვნელი გულწრფელობა, გმირული შემართება, ახრის სიღრმე რაღაც მნიშვნელადილორობას — არქიტექტურული ბარმონის მსგავს — ანიკებს ამ ნაწარმოებს. რომანის ამბავი, სიუჟეტი შეიძლება შეტყაველი სიღრმისა და მნიშვნელობის ტრაგედიების სერიადა, ტრაგედიების ჭკვადა აღვიკვათ. თამაზ იაშვილის ინსტიტუტიდან ვაძენების უაქტი ამ ტრაგედიული ჭკვის ერთ-ერთი გრალია. მაგრამ ეს ტრაგედიია თვისობრივად განსხვავდება ადამიანის ფიზიკური განადგურების ან ჭკვაზე შეშლის უაქტიანგან, რომელიც რომანში ცალკე პარა. ლელად არის გამოყვეთილი. ამ პარადელშია ხორცშესხმული შივრალი საქმოსნების შივრელიდარ ალექსიძის გატანა და ამ ტრაგედიის ქარაგმული ანალიგი ჩართულ მინიატურაში, ალექსანდრე კობიძის ჭკვაზე შეშლის ამბავი და პირთვების სიგვის სათავის ასხა ასევე ჩართულ მინიატურაში, რომანის გერეული შივრავარი შივრის, ოთარ ნიფარაძის შეფურნებელი სენით დაავადება, ოთარის შივრ ბიძის ოში დღღუვის ვახსენება, ვუა ლადიძის დღღუვა, თამაზ იაშვილის შივრ თავის ჩამორჩინების ცდა. თითოეული ტრაგედიული ეპიზოდის პლასტიკური სურათი, შეტყაველი გამკვირვალობით, დეკორატიულია სიკვდილ-სიკოცხლის ფილოსოფიურ განზოგადებასთან. ეს ფილოსოფიური განზოგადება, ეს იგია არ არის მხოლოდ პლასტიკური სურათებით ნაგვლისხმევი. რომანში ვხვდებით მის არსში წველობის ცდებს — ოთარ ნიფარაძისა და ნაწილობრივ თამაზ იაშვილის რეფლექსიებში.

ადამიანის ფიზიკური ავადმყოფობა და სიკვდილი შევიდებულია მის შირალურ, წნეობრივ ავადმყოფობასა და სიკვდილთან. ადამიანის ფიზიკური ავადმყოფობა კანონზომიერი მოვლენაა, ფატალური გარდევალობა და მის საზოგადოების ავადმყოფობასთან არაფერი აქვს საერთო. მორალური ავადმყოფობა ადამიანისა კი ის საშინელი სენია, არავითარ ფატალისმს რომ არ ექვემდებარება, მაგრამ სიკვდილზე სრულად გვერევა.

გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“ მწარე წიგნია. მის ფურცლებზე უარყოფის სული რუკავს. შეშოქმედის მწერა თითქოსდა მიჭკვეულია ყალბზე, სასტყვე, პათოლოგიურზე, პენისიტურზე, შეუწყნარებელზე, ეგოისტურზე. დანაშაულებრივზე; უარყოფითი პირებისა და მოკვდილების ამ ვრცელ გაღრევაში სულ რამდენიმე ნათელი სახეა. ზომ არ არის ასეთი ხედვა სინამდვილისა ერთგვარად მოუღებელი ცხოვრების სიყვარულს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა, „სამშობლოს სიყვარული მხოლოდ კარგისაგან აღტაცებაში არ გა-

მოხატება, — ამბობდა ბელინსკი, — არამედ ცუდს ავადმყოფურ სიძულვილითაც, რამეთუ გარდაუვალია იგი უველა ქვეყნისთვის და, შეხებასადაც, უველს საშრობლონი არსებობს“.

ყოველ დროს რეალობის, ცხოვრების აღქმის თავისებური მანერა შეესატყვისება: ამაღლებული ან სარკასტული, თავისუფალი, ღაღი და მოქურუბებული, სულდამიმეხებული — შეესატყვისება რაღაც გარკვეული მსოფლქვრება, რომელიც განსაკუთრებული სიცხადით მხატვრულ ლიტერატურაში პოეზებს განსხვავებას, ვინაიდან მხოლოდ ენას, და განსაკუთრებით კი პოეტურ ენას, შეუძლია გამოხატოს ადამიანის სული მშლიანობაში. „იმ განუყოფლობის პერიოდში, როცა კორნაგინი ახალი თაობის დიდი ნაწილისათვის დიმილიზმომგვრელ გვირავ იქცა, ხოლო მისაბამი ტიპი გახდა საქმოსანი, რომელსაც კიბეში განუწოვებია ძალა-უფლება ჰქონდა ფულის ხაზით“, ცხოვრების ცალკეული ეპიზოდის ფოტოგრაფიული სიწესტით ასახვა კანონზომიერი იყო. გურამ ფანჯიყიძის მერ აღწერილი ზოგიერთი მოვლენა ნატურდთან გადმოღებულ ფერწერულ ტილოს გვაგონებს. საინტერესოა, ამ მხრივ, გადმოცემული საქმოსნების ღრეობის სცენა თეთრ დუქანში. აი, ნატურალიზმის, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, რამდენიმე ნიმუში: „ორმოცდაათი წევრია ჩასიხსლიანებული თვალი ამღვრეული იქცირებოდა. ორმოცდაათი მუცელი ზორციით იყო ამოკორილი, ორმოცდაათი ღვინო აღწნებული, კონტროლდკარგული ადამიანი ხმამაღლა უყარებდა, მეროვდა, უვიროდა, ყოვლად ხანაღური და გულიანმარევი ცრუპატრიოტობით, ცრუციტილშობილებით აღსავსე სადღერძბოლებს ამბობდა. უზარმაზარი ეროვნული ენერჯია ასე ფუჭად იფუნგებოდა შავიღებთან...“

ვერავინ მოცვეშდა პირობას, რომ თავზე ვიღაც ბოთლს არ დაგაფშვნიდა. გვერდით სუფრაზე ვიღაცეები ბლაოდნენ. მერე რესტორანის ეზოში დაბორილოზდნენ და შარვლებს გზაში იკრავდნენ“.

მხატვრის თვალს არ გამოეპარა ამგვარი ვითარებისათვის, ამგვარი ადამიანებისათვის უარესად დაშახახათებელი წიშან-თივისებანი. აი, „დაბალი რანგის“ საქმოსნის ორიოდ შტრახით მოხაზული სილუეტია: „...სრულიად ახალგაზრდა კაცს მუცელი უკვე გამოვარდნაზე ჰქონდა და, ეტუობოდა, ბუხილიც აწუხებოდა. ჰქია სწრაფად დავალია, მერე საწერო-მანო ფარბის დირექტორს მოუბრუნდა — ეს რა მიქნით იმარ ბატონო, სუფრას გამოეშვივოდა და ისევ თავის შავიღას დაუბრუნდა. არ დაიწუნა, რამოდენიმე ნაბიჯი უკან გადაედგა და მხოლოდ მერე შეტრუნებულყოფი“.

თუ რომანის უარყოფით ხასიათებს ისევ ფილოსოფიური განწყობის სიმძლიდან შევხედავთ, მაშინ შესაძლებელი იქნება იმის და-

ვებაც, რომ ამ ადამიანებში ცხოვრების მძიმე ნაცემი უფრო მოჭრებულა, უფრო მძიმეა ნური. მათი თავმოყვარეობა შექანიერის თავმოყვარეობა, რომელსთვისაც გონი არც ისე აუცილებელია. შექანიერის თავმოყვარეობიდან სხვადასხვა ჭურის მანკი იღებს სათავეს: ისინი შეიძლება ბუნებრივი უტეშობის სახელით აღინიშნონ, რომლებიც თავის უშაღებს შეუსაბამობაში ბუნების მიზნებთან ცხოველურ მანიერებებს განახიერებენ. ასეთებია ვაუმაძრობა, გარყვნილობა, და ველური უსამართლობა (სხვა ადამიანების მიმართ). ეს უნდა იყოს ის ზოგადი, რომელსაც უკვე უფრო გულწრფელია და გაბედულობით გვიჩვენებს კერძო, კონკრეტული, ინდივიდუალიზირებული — მწერლის ფანტაზიით შექმნილი ტიპი, მხატვრული სახე.

თითოეულ ცხოვრებისეულ სიტუაციას, თითოეულ პერსონაჟს, სახეს, მოვლენას ჰემეზარტ ბედოვნებაში ორგანული კავშირი აქვს რაღაც თემისთან, პრობლემასთან, იდეასთან. ამის დასაბუთებას წარმოადგენს მეორეხარისხოვანი ხასიათების ის მხატვრული რეალიზაცია, რომლის მოწმინცი ვხვებით თამაზ იაშვილის კათედრაზე გაჩაღების სცენაში.

გ. ფანჯიყიძე უსაბულო ადამიანების დაუვიწყარ სასულიერ პიეზებს გვთავაზობს, ამისათვის ის მხატვრის მტკიცე ზღოთ მოხაზული სულ ერთი-ორი შტრახი ბუფინის. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ დოცენტები უფრო და უსახო პერსონაჟები არიან და ისინიც რომოტებივით მოქმედებენ და ფიქრობენ. თავიშვილისა და იაშვილის საუბრის რვაგვერდიან სცენაში ავტორი რამდენჯერმე ამბავილებს უტრადლებას მათ რეაქციებზე პროფესორის ახლადახდა შეგონების მიმართ: „დოცენტები თავს აკანტურებდნენ, მართალი ბრძანდებოდათ და თან თითქოს თამაზ იაშვილსაც თანაუგარბობდნენ“. „...ო, უმარვილო, უმარვილო, თქვენ ძალიან უცნაური ხართ, იღახ, ძალიან უცნაური, თქვენ რაზე ჭერ კიდევ არაფერს არ ნიშნავს. თქვენ ჭერ კაცი ვინდათ, რომელიც ფეხზე დაგაყენებთ. თქვენ კი ეს არ გეხმობ. ძალიან უცნაური კაცი ბრძანდებით, ძალიან...“

თავიშვილი ამას გულწრფელად ამბობდა. დოცენტებიც ძველებურად დუმიდნენ, ოღონდ ისე დაიქნევდნენ ხოლმე თავებს, რომ თქონს თავიშვილსაც ეთანხმებოდნენ და იაშვილსაც თანაუგარბობდნენ“. თამაზ იაშვილისა და პროფესორ თავიშვილის დიალოგში „მუნჯი“ ადა. მინების გარემოში ფაქტობა გვაქვს საქმე. ამ ადამიანებს უღვალო აქვთ პატრიონებია და ერთგვარი რიდიც კი ახალგაზრდა მეცნიერის გულუბრყვილო პატრიონებისა და საოცარი ნიქისა, შავრამ, ერთდროულად, კათედრის გა-

შეის ძალაუფლებას კიდევ უფრო დიდი რიდი და „პატრიისტემა“ მართებთ.

„თავისუფლება დაფას შეხედა, გონებაში რა-ღაცას ანგარიშობდა. მალე დარწმუნდა, რომ იაშვილი სწორად იყო. სათვალე შიშხნა, შუბლზე მომსკდარი ოლღი ისევ ცხვირსახოცით მხოწმინდა და ჩაიღამარაჲა.

— დიამ, ძალიან თავისებური ყმაწვილია.

დოცენტებმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკნიეს, თან მოკრძალებით გაიცანეს“.

დოცენტებმა, ალბათ, პროფესორს დასცი-ნენ. არ არის გამორიცხული, რომ სულხან ხი-ღარშეში ისინი პატროსანი და ნიჭიერი ახალ-გაზრდის მხარეზე იყვნენ, მაგრამ მოკრძალებ-ზელი სიცოცხლე და ორპარტოვანი თავის კანტუ-რი ამგვარ ვითარებაში ერის დაღატა, მისი ინტელიტუალური არტერიის გადაჭრას ნიშ-ნავს. როდესაც უსაქმური და უნიჟო კათედ-რანზე მოხუცეს, ზოლო თავის საქმეზე თავდა-ვიწყებით შეყვარებულს, არჩევულებრივად ნი-ჭით დაჭიდდობულს კათედრიდან აძევებ, უდიდეს საფრთხეს უქმნა ერის ინტელიტუ-ალურ პოტენციალს. არა, დოცენტებს მათ გაუ-წერავთ სიმართლე! — სიმართლე მათ სხვისი ხელებით მოგუდეს. ასეთია ამ მხატვრული ტილოდან გამოტანილი საბოლოო შთაბეჭდი-ლება.

დაამიანი ავად არის, იტანება. — ეს ცხო-ვრების დაისი, სიცოცხლის მწუხრია. მას ღაშე მოჰყუება — სიკვდილი. გურამ ფანჯიყიძის რომანში ოთარ ნივარძის სიცოცხლის დაისი თანაშ იაშვილის სიყვარული პასუხობს. უანგა-რო მკვობრობა, წმინდა სიყვარული მათ შო-რის დაამიანის უფიქრების დაფიონი და სი-ხარულია. ჩაქრეთ ეს სიხარული, ამოგლეჩეთ მეგობრობის ინდივიდუალისაცია რომანიდან და თქვენ ძირიანად შეარყეეთ მის სიუფეტურ-კომპოზიციურ ტრუტურას, ჩანასახშივე ჩა-კლავთ მის ესთეტიკურ სულს...

რა არის ახალი თემის, იდეის, გამოცდილე-ბის, მოსოფლგანცდის, განწყობილებების მხრივი და, თუცა არის, ღირდა თუ არა მისი მხატვ-რული განვითარება; შეიძინევა თუ არა ენო-ბრივი გამოხატულობითი საშუალებების შე-მდგომი განვითარება? აი, ის კითხვები, რომ-ლებიც ბუნებრივად გვებადება ზოლზე მწერ-ლის უყოფილ ახალი წიგნის გამოჩენისთან და-კავშირებით. გ. ფანჯიყიძის შესაშე რომანი, „აქტიური შიის წილიწილი“ თვალნათლივ გვი-ჩვენებს, თუ როგორ იბეწევა, ძლიერდება, ღრმავდება მწერლის სიყვანი, ცხოვრებისეუ-ლი და ლიტერატურული გამოცდილების გამ-დღერების შესაბამისად. ტექნიკური, მეცნიერ-რული სამყაროს ესთეტიკონების ეფექტურ ცდებს უკვე „მეშვიდე ცაში“ ვხვდებით. აქ, „აქტიური შიის წილიწილი“, ეს მხატვრული მეოთხე იმდენად სრულყოფილია, რომ მისი

საშუალებით ავტორი არა მარტო <sup>მეცნიერული</sup> გზიარის აზროვნების თავისებურების გადმოცე-მას ახერხებს, არამედ, გეხატავს რა ამ თავი-სებურებას, ერთდროულად ახალი კუთხით გვიხნის მისი სულიერი სამყაროს მეტად შნი. შეწელოვან მხარეს: გავარწმუნებს, რომ ნოდარ გელოვანი, ფიზიკოსი, მეცნიერი, ვალს ეს არ იხდის მეცნიერების წინაშე, არამედ ცოცხ-ლობს მეცნიერებით, სულთქავს თავისი საქმით. ანიჭებს რა თავის გზირს ისეთი ასოციაციურ-რი, მეტაფორული აზროვნების უნარს, რომლის საფუძველს ფიზიკის ცნება წარმოადგენს, მწერალი გვიჩვენებს იმასაც, თუ როგორ იე-რება მეცნიერება, ახტარქიკია საყუთრივ მე-მანურ, გრძობით სფეროში: „ასე მეგონა, გულს ერთბაშად დაეჭაბა მაღალი ძაბვის მძლავ-რი ელექტრონული მუხტი, დაეჭაბა, დაიშა-ლა, ნაქირქლებმა მთელი ორგანიზმი გასჭო-ლა და სხეულიც უმატვე განიმუხტა“.

აზროვნების ასეთი ტრუტურა მხოლოდ ისეთ პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს, რომე-ლშიც ორგანულადაა შერწყმული მეცნიერისა და ხელოვანის ინტინქტები. რომანში ვხვდე-ბით „მეცნიერული, ტექნიკური“ შედარებებს მთელ სისტემაში. პიროვნების სულიერი სამყა-როს გახსნის ცდა ამგვარი მხატვრული ხერხით მხატვრული იწოციაცია და გურამ ფანჯიყიძის პროზის ნოვატორულ ხასიათზე შეიგნისწენს.

მხატვრულ ლიტერატურაში და, რასაკვირ-ველია, რეალურ ცხოვრებაშიც შეიძლება შე-ხვედეთ ჭკვიან, წესიერ და ძლიერ პიროვნებას, რომელიც, კეთილი მოსწრაფებებისა და ასევე კეთილი საქმიანობის მიუხედავად, ვერ იშა-ხტურებს ჩვენში სათანადო სიმამიანს და სი-ყვარულს — მას მშვენიერების ინტინქტი აე-ლია. „აქტიური შიის წილიწილის“ მთავარი გზირი, გურამ ფანჯიყიძის სამივე რომანის პე-რსონაჟებიდან, ყველაზე უფრო მეტად არის დაჭიდდობული სილამაზის შეგრძნების აღ-ღოთი. იგი აღიქვამს ღამაშს, მშვენიერს, რო-გორც დაამიანის, ასევე ბუნების სხვა ქმნილე-ბებს. პოეტური ხედავს ფერებს სეუთოდგა-მის პერსონაჟი, ბუნების ტყვილს საყუთარი ტყვილივით აღიქვამს, „მგზავნივი ხმა ჭერ ჰა-ერში გაიშალა, შერე მთის კალთებს შეესკდა. გაღმა-გამოღმა ჭალაში კლდეებს ანგრევდა. და გზა გაჰყავთ ბარტოს სახადოებისაკენ. ვიღმა ტყეში მოკიტყებულთა ადგილი გამოწინდა მო-უშუშებელ აარსავით. თითქოს მთას ფერც-ზე ოსხუთხედავ ტყავი ააჭრებო“.

მწერალი თანამიმდევრულია მთავარი გზი-რის ესთეტიკურული გეშვნების გამოყენებაში, ესთეტიკურისა და ეთიკურის, პოეტურისა და მეცნიერულის დაპირისპირებასა და ხინთე-ში. ნოდარ გელოვანის მიერ თავისი ოთახის კედელზე მიმაგრებული ფოტოგრაფიის აღწე-რა ისეთ პიროვნულ დონეზეა შესრულებუ-ლი, რომ ჩვენ გზირს მშვენიერების უბრალო

მწერტელად კი არ აღუქვამთ, არამედ პიროვნებად, რომელსაც თვითონ შეუძლია სიღამაის სიტყვებში დატყვევება.

განსაკუთრებულ რელიეფურობასა და პლასტიკურობას ნოდარ გელოვანის სახე იმ პიროვნებებთან ურთიერთობისას ავლენს, რომლებიც სულერი თვისების ტაღაცა ნიშნით უპირისპირდებიან მას როგორც მუმანისტს, ბულოვანს, მეცნიერს.

რომანში ბევრი საკიბორჩხტო, აქტუალური, დრმა და მძაფრი პრობლემა წამოყენებული. მწერალი მსჯელობს მეტაფიზიკურისა და რეალურის ანტინომიაზე, მეცნიერებისა და ადამიანური თვისებების ურთიერთმიმართებაზე, ოქაზზე, ახალგაზრდობაზე, სიყვარულზე, ადამიანის დანიშნულებაზე, ფატალიზმზე, შემთხვევითობასა და კანონზომიერებაზე, ჩვენი პლანეტის ბედ-იღბალზე, დიდ ადვალს უთმობს კარიერიზმის საკითხს. სინტერესოა ავტორის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, საერთოდერთი შეხედვით, უკვე იმატომ, რომ კარიერისადმი ინდიფერენტის, გულგრილობის ის ისეთ დადებით ხასიათებს ანიჭებს, როგორც თამაშ იაშვილი და ოთარ ნიფარაძე არიან, კარიერისადმი სწრაფვა უარყოფითი თვისებაა. მაგრამ შევხედოთ ამავე პრობლემის გადაწყვეტას მოვლენათა განვითარების ასპექტიდან, დავუვიადოთ ორი ანტიპოდის — ნოდარ გელოვანისა და ზურაბ გომართელის ურთიერთმიმართებას. მიეროსამყაროს ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ლევან გვირიტიელმა თავი მოკლა. ნოდარიცა და ზურაბიც ამ ინსტიტუტის თანამშრომლები არიან. პირველ რიგში დირექტორის თანამდებობა ეკუთვნის ნოდარ გელოვანს, რადგან ფიზიკის ამ დარგში მასზე კარგი სპეციალისტი

რეპუტაციას არ არის. მაგრამ ნოდარ გელოვანი რთელმა იცის, რომ ნოდარს, მანუკელის მსგავსად, არსა და მკლევარს, არ ეცლება ადმინისტრაციული მუშაობისათვის და ყოველ დღეს სხარობს, რათა დაარწმუნოს კოლეგა, რომ ინსტიტუტის დირექტორის პოსტი, ნოდარის შემდეგ, მას ეკუთვნის. სხვადასხვა ფორმალური მონაცემების მიხედვით შეიძლება ეს ასე იყოს, მაგრამ გომართელის ღტოლვა თანამდებობისაყენ ნოდარის ზილს იწვევს. მიუხედავად ამისა, იგი არ არის საბოლოოდ წინააღმდეგი ზურაბ გომართელის კანდიდატურისა. ვინაიდან მისთვის სულერთია თუ ვინ იქნება ინსტიტუტის ზედმძღვანელი. უკვე აქ, გომართელისა და გელოვანის დიალოგში, გამოისახება ავტორის პოზიცია კარიერის მიმართ. იგი უარყოფს, რასაკვირველია, გომართელის „მეთოდს“ ხაყუთარი თავის დაწინაურებისა, მაგრამ უსიტყვოდ, დუმით იგი არც ნოდარ გელოვანის ინდიფერენტის აპართებს. ნოდარ გელოვანს მორალური უფლება არა აქვს უარი თქვას ინსტიტუტის დირექტორობაზე და გზა გაუხსნას ისეთ პიროვნებას, რომელიც მის თვალში ბრიუვი გაიჭვრა და რომლის არსებობაც კი მისთვის არაფერს ნიშნავს. კარიერისტი, ჩვეულებისამებრ, ან უნიქოა, ან ნიჭის ის წილი, რაც ბუნებამ არგუნა, ჩაბშობილი აქვს. მიიღებს რა მიზნისაყენ, ყველას, ვინსაც კი გზაზე ხვდება, უყურებს ან როგორც საშუალებას, ან როგორც დაბრკოლებას მიზნის განხორციელებაში. არ დავუშვათ ასეთი ადამიანების აღწევება, არ ვენდოთ იმით, ვისაც ძლიერ გასჭდომია თვითგანადიდების ეთნი. ასეთია ავტორის მიერ განვითარებული მორალური იმპერატივი.

გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს სერგი ღურშიშიძეს დაბადების 75 წლისთავი შეუსრულდა. „მთიბის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავენ ამ შესანიშნავ თაჩოს, უსურებენ ჩანმრთელობას და შემოქმედებით გამარჯვებებს.

## სარგი ღურშიშიძე

### პეიზაჟები ილია ვეკუას ცხოვრებისა

ილია ვეკუა 1947 წელს ნიკო კეცხოველია გაშაცნო.

— ილიკო, ეს შევენახეობა-მეღვიწეობის ინსტიტუტის დირექტორია. სერგი, შენ იყო, ვინც არის ილია, ჩემსავით რბილი კაცი არ გეგონოს, მაგარი მომთხოვნია და ფრთხილად იყავი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების დაწყებას ვუცდიდი და ვფიქრობდი: თუ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე ნიკო კეცხოველი რბილი ზღმწაღაწეულია, როგორი უნდა იყოს ილია ვეკუა?!

საერთო კრების დამთავრების შემდეგ პრეზიდენტმა ილია ვეკუა, ნიკო კეცხოველი და მე თავის სამუშაო ოთახში მიგვიწვია. მოხსენის ჩემი მოკლე ინფორმაცია ინსტიტუტში არსებული მდგომარეობის თაობაზე. მათ აინტერესებდათ: მოიშუშა თუ არა ინსტიტუტმა ომისდროინდელი იარები, მოისპო თუ არა თანამშრომელთა შორის დაქვრებები, რა მდგომარეობაშია დაპირატორები, ექსპერიმენტული ბაზა, საცდელი ვენახები, რატომ გადაეწვიებთ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურაში ჩარიცხვა. ნიკო კეცხოველმა პრეზიდენტმა და აკადემიკოს-მდივანს შეახსენა, თუ რა მდგომარეობაში ჩავიბარე 1948 წელს მევენახეობა-მეღვიწეობის ინსტიტუტი თელავში. სიტყვა შემდეგი ფრაზით დამთავრა — საქმის კიდევ უფრო მეტად გაფუჭება შეუძლებელი იყო.

— ბატონო სერგი, თქვენ რომ საქმე კიდევ უფრო მეტად გაგფუჭებინათ, აი, ეს იქნებოდა ორიგინალური და საინტერესო, — მომმართა ნიკო მუსხელიშვილი. უველამ გაიცინა.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურაში ჩემი ჩარიცხვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნებართვისა და შუამდგომლობის გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომ მიწდოდა მეჩვენებინა, რომ ინსტიტუტში ნორმალური მდგომარეობა და შეიძლებოდა დირექტორის ორი წლით მოსკოვს მივლინება.

— ილიკო, შენ რას იტყვი, რას გვიჩვენებ? — ჰქვითა პრეზიდენტმა აკადემიის აკადემიკოს-მდივანს. ილია ვეკუამ მე შემომხედა: ორბის გამოხედვა მქონდა, ცალი თვალი ოდნავ მოექუბა და დაუინებით მომჩერებოდა.

— თუ საქართველოს მევენახეობა ისეთ მდგომარეობაშია, როგორც აქ ღურშიშიძემ დაგვიხატა, რა დროს დოქტორანტურაში ჩარიცხვა. ისიც გაითვალისწინეთ, რომ დოქტორანტურაში გაგზავნილ კაცს ზელფასს ენახება. საიდან მისცემთ ზელფასს დროებით დანიშნულ დირექტორს? დოქტორანტურაში უნდა გაიგზავნოს არა ადმინისტრაციის წარმომადგენელი, არამედ სამეცნიერო დანაყოფების ზელმწოდებლები, უფროსი მეცნიერი თანამშრომლები. განყოფილებამ თავი უნდა გაანებოს ინსტიტუტის დირექტორის საქმეებში ჩარევას. შე ისიც მიიხრბეს, რომ ღურშიშიძეს ინსტიტუტის გადასაბარებლად კეცხოველი და

ჩვეულებრივი გახდნენ. რა დროს მათთანა? დავინიშნეთ კაცი. გაიღო წლები, კეთილი იმეზის და, თუ შეუძლია, გონიერულად გაუძღვას საქმეს, მეცნიერული კვლევა აწარმოოს და ინსტიტუტსაც მოუაროს. თუ ინსტიტუტში კიდევ არიან ხელშეშლელი პირები, თვითონვე მოაგვაროს მათი საქმე, არავის შეზღუდვება და მოფერება არაა საჭირო, მთავარია საქმე; ვინც ხელს უშლის ინსტიტუტის მუშაობას და უპერსპექტივოა, უნდა მოიშოროს. თუ დურმინიძეს ასე მუშაობა არ შეუძლია და აღმინისტრაციული მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა, არც უნდა დაგვინიშნათ. თქვენ, ამხანაგო სერგი, არ გეწყინოთ, რომ ჩემს მოსაზრებებს პირდაპირ მოგახსენებთ, ყველაფერი თავიდანვე უნდა იყოს ვარკვეული.

ასეთი იყო დაახლოებით ილია ვეჟასის პასუხი პრეზიდენტის შეთავაზებაზე.

ნიკო მუსხელიშვილმა ხელები მოიფშვინტა, დიმილით შემომხედდა და დაშარბავა:—თქვენ განაგრძეთ აქტიურად მუშაობა ისე, როგორც აქამდე მუშაობდით; ვინ იცის, აქნებ როდესაც მართლაც გაგაგზავნონ მოსკოვს. ახლა კი, ხომ ხედავთ, ილია ამბობს, არ შეიძლებაო.

წამოვიშალეთ. ნიკო კეცხოველმა მხარზე ხელი დამარტყა და მანუგეშა:

— სერგი, ნუ გეშინია, როგორც ქუხს, ისე არ წვიმს ბოლშე.

პრეზიდენტის ოთახიდან უხალისოდ გამოვიდეთ... ამის შემდეგ ილია ვეჟასთან შეხვედრას ვერაძობდით, ვცდილობდი ყველაფერი განყოფილებაში, ნიკო კეცხოველთან ვადაშეწყვიტა, მაგრამ სამეცნიერო საქმიანობის წლიურ ანგარიშებს სად ვაქვეყნებდი? ეს საქმე ხომ აუღებიათ აუღებიათ-მღვიანს ხელში იყო?!

დავტა შემოვლოდი და არსებული ტრადიციის მიხედვით. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების წევრები სამეცნიერო სამსახურს მუშაობაში მონაწილეობის მიხედვად თვლავში მივიყვებო. როდესაც ავად ვახლდებოდი, მან მეგობრულად მირჩია:

— სერგო, ილიაც მოიწვიე. შენ არ იცი, რა ვეჯკვი კაცია; იმის შუკვებ ღაპარაკს გულთან ნუ მიიტან. ახლოს ვაიციან და მერც მოგაგონებდა ჩემი სიტყვებო.

დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ ვაპებე და ილია ვეჟასს შეთავაზებ თელავში წამოსვლა ინსტიტუტის მუშაობის განაცხადად. ჩემი წინადადება მიიღო და დამპირდა — აუცილებლად ჩამოვიდა, მაგრამ თუ რაიმე არ მომეწონა, თქვენი თანამშრომლების თანდასწრებით გაგაკრიტიკებო.

მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის სამეცნიერო სამსახურის ხელმძღვანელად, საინტერესოდ, საქმიანად ჩაიარა. მე ჩემს მოხსენებაში ავადმითხმის ხელმძღვანელობაც ვაგაკრიტიკე. ამას, როგორც შემდეგ დავრწმუნდი, ი. ვეჟა არ

მოელოდა. მან ჩვენი შენიშვნები გაიხიარა, მაგრამ ჩვენც სამართლიანად ვაგაკრიტიკებდით. კარად იგრძნობოდა მისი მეცნიერული და სახელმწიფოებრივი მიდგომა. მნიშვნელოვანი ამოცანები დაგვისახა და დახმარებასაც დაგვიპირდა. სამეცნიერო სამსახურის ხელმძღვანელების შემდეგ ინსტიტუტში ბანკეტი გამართა. ილია ვეჟა აქ უკვე უკველის მიმართ თვალიანი და ყურადღებიანი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ნიკო კეცხოველმა გარდაბანში გაიწვია, ზოგადი მიწათმოქმედების ინსტიტუტის წლიური ანგარიშის განხილვასი უნდა მიმეღო მონაწილეობა. ილია ვეჟა ამ ინსტიტუტშიაც დაესწრო სამეცნიერო სამსახურის ხელმძღვანელად საინტერესო შენიშვნები გააკეთა.

რაც დრო გადიოდა, ჩემი უკმაყოფილება მის მიმართ თანდათან მცირდებოდა. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ ილია ვეჟა 1947-1950 წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ავადმითხმის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების მუშაობაში, ხშირად ექვემოდა ხოლმე განყოფილების ინსტიტუტებს და დიდ დახმარებას უწევდა მათ. ილია ვეჟა და განყოფილების ხელმძღვანელი ნიკო კეცხოველი ყოველმსაივ შეთანხმებულად მუშაობდნენ.

1950 წელს ილია ვეჟამ მონოგრაფიისათვის „ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები“ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიიღო. ილიას უმაღლეს მეცნიერულ ჭიდილს მისაგონა ამხანაგე და მეგობარი ულოცავდა. მეც მივედი მისალცად. მადლობა ვადაშინებდა და მთხოვა, სახსპურის დამთავრების შემდეგ არსად წახვდიეთ, დღეს ჩემთან ოქაში ვისადილოთ; ჩვენს ვარდა მხოლოდ ბატონი ნიკო მუსხელიშვილი და მისი მეუღლე იქნებიანო.

დანიშნულ დროზე შენ ვეახელი. სურფა მხიარულად წარამართა. ორივენი — მასწავლებლები და მისი მოწამე, ნიკო და ილია, უადრესად შედნიერება იყვნენ. ილია ბატონ ნიკოს უდადების მოწინააღმდეგე და პატივისცემით ექვემოდა. კარგად შეგვიფიქრონდით და ბატონმა ნიკომ თავისი საყვარელი სიმღერა „სად შენი და სად იმის თვლები...“ იმღერა. ნიკომ სიტყვა სთხოვა თამადას, მასხინქელს:

— ილიკო, სოფელ შეშელეთიდან ჩამოსულმა ახალგაზრდამ მეცნიერების მწვერვალს მიადღიე. შენი დიდი გამარჯვებით დღეს მრავალაა განსარბული, მაგრამ ბუნებრივი იქნება ისიც, რომ ეს შენი წარმატება ზოგს არ უხაროდეს; შენ ესეც ნორმალურ მოვლენად უნდა ჩათვალო. სერგი, დავლით კიდევ ერთხელ ილიკოს სადღეგრძელო და ვუსურვოთ მუდამ მშენებლის ასეთი შემოქმედებითი შემართება.

ილიამ გაიცინა, ბატონი ნიკო დამწმიდა: — ჩემზე ნუ ფიქრობთ, ყველაფერი რიგზე





მცენიერებათა აკადემიასთან, ქართულ მათემატიკურ სკოლასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, საქართველოს საზოგადოებრიობასთან.

1965 წელს ნიკო მუსხელიშვილისა და ილია ვეჯუას წინადადებით აკადემიის აკადემიკოს-მდივანად აირჩიეს. ამ დროიდან კიდევ უფრო გაფართოვდა ჩემი საქმიანი ურთიერთობა ილიასთან. ილია ვეჯუა საქართველოში 1965 წელს დაბრუნდა, მაგრამ არც მანამდე ურთილა იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პასუხისმგებელი; აკადემიის ყოველ საერთო კრებაზე ჩამოდიოდა და მის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ერთხელ, აკადემიის საერთო კრების დამთავრების შემდეგ (მაშინ ილია ჯერ კიდევ ციმბირში იყო), ხაციფანი მომხარა:

— ამხანაგო აკადემიკოს-მდივანო, თქვენ რას ფიქრობთ, ვინც თქვენამდე იყო ამავე პოსტზე, მას პარტიული სასჯელი როდემდე უნდა ჰქონდეს, პარტიული მუშაობის წესი „თქვენშე“ დაიოქრესო? — უხერხულობა ვიგრძენი. მართლაც, უველას გადავიწყებოდა, რომ ნიკო მუსხელიშვილს და ილია ვეჯუას დიდი ზნის წინათ პარტიული სასჯელი ჰქონდათ დადებული. იმავე დღეს მივმართე სათანადო პირებს, მოვავიწყე ეს ძველი ამბავი და დახმარება ვთხოვე. უველაფერი მალე მოგვარდა. ნიკოს და ილიას სასჯელეები მოეხსნათ.

1968 წელს, როდესაც აკადემიის აკადემიკოს-მდივანად შესამდე აირჩიეს, ილია ვეჯუა წყენდა: — არჩენების დროს რომ უველამ ზმა მოგვცა, ეს შენ სასარგებლოდ არ ღაპარაკობს; საქმისთვის კაცი არაფერს არ ღებ მთვრიდოს. რა კაცია ის კაცი, ვისაც მოწინააღმდეგე არა ჰყავსო. იქვე იფხა ბატონი ნიკო მუსხელიშვილი და დამიკვა: — ილიკო, არც ახეა საქმე, ამას წინათ ადგილყობის გამგეობაში გვიჩვენებდნენ შე და სერგის, ჩვენ ორივემ ორ-ორი შავი ზმა მივიღეთ, ე. ი. ჩვენ კარგი მუშაკები ვართ. — ილიას გაეცინა და ბატონ ნიკოს არაფერი შეჰკადრა.

1964 წლის 28 ნოემბერს ილია ვეჯუა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს, თბილისში საცხოვრებლად კი, როგორც აღენიშნე, 1965 წელს დაბრუნდა. აკადემიაში მოსვლის პირველსავე დღეს ბატონ ნიკოსთან ერთად შევედით. შევადრეთ თუ არა კარები, ნიკო წამოდგა, ილიას შემოეგება და მიესალმა:

— ილიკოს გაუმარტოს! — ბატონი ნიკო ილიას ყოველთვის ილიკოს ეძახდა. ილიამ ზედი ზამოართვა, მოკეთხა. სამივენი შავიდან მივუსხედით. წამიერი დუმილის შემდეგ ილიამ ნიკოს მიმართა:


— მოსკოვში ვაგივებ, რომ მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების თავმჯდომარე ავირ-

ჩევით. განყოფილების ხედობის უცხოეთში ვიყავი და ამიტომ ანტიკომუნისტური ნაწილეობა ვერ მივიღე. თქვენი ეს საბჭო მებრტად გონიერული და უმეხველად გამართლებულია. ქართული მათემატიკური სკოლის წინსვლას რაც შეეშალა ზელი, ისიც საქმარისია ახლა უველას მთავარი ამოცანაა უფრო მალე ავიწიოთ მეცნიერული კვლევის დონე მათემატიკაში. ამის შესახებ ჩვენ მოსკოვშიაც გვექონდა მსჯელობა. სერგი იქაც ესწრებოდა ჩვენს საუბარს და მანაც კარგად იცის ჩემი შეხედულებები. მათემატიკის მდგომარეობა საქართველოში, კერძოდ მათემატიკის ინსტიტუტში, ის არაა, რაც უნდა იყოს და რაც შეგუფერება შენ, ნიკო! თუ შეასრულებ დაპირებას და შე ჩამაბარებ მათემატიკის ინსტიტუტს, მე მას მოვუდევი, გამრავალვლებ, ახალგაზრდობას მოვხედე, კარგად იცი, რასაც ვაყვეთებ. შე ამისთვის არ ჩამოვსულვარ, რომ ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დავიკავო, შადლომა დემტოს, საორგანიზაციო სამუშაო ახასოდეც დამკლებია. ახლა უველაფერი შენზეა, ნიკო. ერთი კი გარკვევით უნდა იცოდე: შე უველა ჩემს მეგობარს და არა მეგობარს, ძველსა და ახალ „ოპონენტს“ მოვეკვიციე ერთნაირად, ერთი და ამავე მიდგომით, მხოლოდ საქმის პოზიციიდან. მანაკივე, რომ პირველი შეხვედრისთანავე ასე გელაპარაკები, მაგრამ ამა ვაიხხენე, რამდენერ დამირდი — „ილიკო, ვაღმოდო და ჩაუდეკი მათემატიკის ინსტიტუტს სათავეში“. გარკვევით გამაგებინე შენი საბოლოო გადაწყვეტილება. რასაც ვთხოვ, თუ არაა შესაძლებელი, მაშინ საქართველოში მათემატიკის გასაქიერებლად შე სხვა ზღას უნდა მივმართო.

ბატონი ნიკო პაპიროსის პაპიროსზე ეწეოდა. ორივენი ლელავდნენ. არც შე ვიყავი კარგ მდგომარეობაში; მათ შორის ასეთ საუბარს შესამდე ვესწრებოდი. მოსკოვში ამ საკითხზე მსჯელობას მსტისლავ კელდშიც ესწრებოდა და ილიას თხოვნას უპერდა მხარს.

პრეზიდენტმა ვიცე-პრეზიდენტის მიერ დასმულ კითხვას ფაქტურად არაფერი უპასუხა. — ილიკო, დაისვენე, ბინის საკითხი საბოლოოდ მოავკარე; აკადემიაში ახლებურად ერთად ვემუშაოთ და უველაფერი თავის დროზე მოგვარდებაო.

ვადიოდა თვეები და ილია ამაოდ უძლიდა საკითხის გადაწყვეტას. ნიკო არც მის ამბობდა, არც არას. მათემატიკის ინსტიტუტის ზედმეძღვანელის პოსტის დატოვება მათემატიკის მეცნიერებიდან მოწყვეტად მიანდა და არ ეთმობოდა. ზოგჯერ იტყოდა ზოდმე: იქნებ სკობს, პრეზიდენტის პოსტი დატოვო, ვიდრე ინსტიტუტის დირექტორისაო. ნიკოსა და ილიას შორის ერთგვარი დაძაბულობა შეიქმნა, რასაც ჩვენც ვგრძნობდით და რაც, რა თქმა უნდა, არ იყო სასურველი. ეს მდგომარეობა



1966 წლის დანაწევსში ძირფენვიანად შეიცვალა ილია ვეკუა თბალისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს. აქ ილია მისთვის ჩვეული ენერჯით შეუდგა მუშაობას. სულ მალე უნივერსიტეტთან გამოუენდებითი მათემატიკის ინსტიტუტი შექმნა. შემდეგში ილია ზემორობად ზოღმე: — გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი მე კი არა ნიკო მუსხელიშვილმა დააარსაო.

ნიკო მუსხელიშვილსა და ილია ვეკუას შორის ურთიერთობა ძველებურად კარგი, ჩვეულებრივი გახდა.

1972 წელს ნიკო მუსხელიშვილმა 81 წლის ასაკში თავისი სურვილით დატოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პოსტი. აკადემიაში უძველა მოვლიდა, რომ ილია ვეკუას პრეზიდენტად არჩევა არაკეთილად წინააღმდეგობას არ წააწუდებოდა. ასე არ მოხდა. გამორჩენენ ძაღები, რომლებმაც გაართულეს პრეზიდენტის არჩევის საქმე, ილიას წინააღმდეგ წაიღენენ. დამხმარეს საქართველოს კ ცენტრალურ კომიტეტში და დამაჯალს: მოვათობირებოდი წამყვან, ცნობილ მეცნიერებს იმის თაობაზე, თუ ვის შეეძლება შეცვალოს ნიკო მუსხელიშვილი და მათი აზრი მომხმუნებია რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის, ილია ვეკუა ავადმყოფობს და დავასვენოთო. მე, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ილია ვეკუას მივაშურე. მან დინჯად მომისმინა, გამაშეორებინა ჩემი ინფორმაცია, შემოხვევით არაფერი გამოგჩრესო, და დაბეჭოებით მირჩია:

— ნახე ევგენი ხარაძე. მოვლამარაქე. თუ დოაწმძება, შემდეგ შეატყობინე რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. მე უვალაზე შეასფერ კანდიდატად ევგენი მიმჩნია.

იმვე დღეს ვეახლე ბატონ ევგენის ბინაზე და უვალაფერი ვუამბე. შექმნილი მდგომარეობა არ მოეწონა. მტკიცედ და საქმიად ნაწეუნი ტონით დამბარა:

— გადაეცით იმ პირებს, ვინც თქვენ მეცნიერებაში მოათობირება დაგვავალათ, რომ ილია ვეკუა საქართველოშია და მუსხელიშვილის შედეგ უმეტველად ის უნდა იყოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ხელმძღვანელმა ამხანაგებმა მოისმინეს ჩემი ინფორმაცია და საკითხის გადაწყვეტად რკოებით გადადეს, შესაფერ კანდიდატს ჩვენ თვითონ შევარჩევთო. პრეზიდენტის კანდიდატის გამოტენა გაკიანურდა. ამასობაში საკუთრივ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მტკისლავ კელდში ჩაერია საქმეში და ნიკო მუსხელიშვილი ილია ვეკუამ შეცვალა.

1972 წლის 3 მაისს ილია ვეკუა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად იქნა არჩეული; ნიკო მუსხელიშვილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტად ავირჩიეთ. ვიცე-პრე-

ზიდენტებად ევგენი ხარაძე, აკადემიის პრეზიდენტი ვიქტორ დიმიტროვი და ამ სტრუქტურის პრეზიდენტი არჩეული.

მეცნიერების მართვის ზოგერთ საკითხზე ძველსა და ახალ პრეზიდენტს განხილავებული შეხედულებები ჰქონდათ. ნიკო მუსხელიშვილის თვალსაზრისი დაახლოებით ასეთი იყო: მეცნიერება ბუნების ნიჭიერ, ერუდირებულ, შრომისმოყვარე, გამბედავ პირადებს მოჰყავს წინ. მეცნიერული მიღწევების ზუსტად წინასწარ დაგეგმვა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ აკადემიის ხელმძღვანელობის ძირითადი მოვალეობაა ვულფსურით უსწინოს უძველა მეცნიერულ კოლექტივს, შეამჩნიოს ორიგინალურად მოაზროვნე მეცნიერი მუშაკები და, უპირველეს ყოვლისა, მათ დაეხმაროს, უდიდეს შესახვევაში, ხელი მანაც არ შეუშალოს, ეხვედღიოთ საქმე იქნება. ხელმძღვანელობის შედეგით ჩარევა საქმეს აფუჭებს. სხვა ზიტყვით რომ ვთქვათ, მეცნიერება ფაქიზი ნაგებობაა და მას ნატიფი მშენებლები ესპირობა. როდესაც ინსტიტუტებს ჩვენს განკარგულებებში, ბრძანებებს და დადგენილებებს ვუგზავნი, არ უნდა ვიფიქროთ, რომ მათი შესრულება ისე ადვილად მოხდება, როგორც სიადილითაც ისინი ჩამოვყალიბებთ, დაქვერთ. არ უნდა დავიფიქროთ, რომ მეცნიერებაში დიდი ნახტომები ცალკეული ადამიანის ტვინში მომხდარი „აჩუქებების“ შედეგია. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო. მივეთვ ვასაქანი, მეტი თავისუფლება ნიჭიერ შემოქმედებ.

ამ მოსაზრებათა გამო ბატონი ნიკოს პრეზიდენტობის პერიოდში აკადემიის ინსტიტუტების დირექტორები შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდნენ; ინსტიტუტებს უშუალო კავშირი ჰქონდათ მინისტრთა საბჭოსთან, სამინისტროებთან, უწყებებთან. ამ მიმართულებით პრეზიდენტს განსაკუთრებული წინააღმდეგობა გაუწია ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ძოწენიძემ. იგი მოითხოვდა, რომ ინსტიტუტის დირექტორს არ ჰქონოდა უფლება უშუალოდ, თავისით მიემართა მთავრობისათვის. ვიდრე ნიკო მუსხელიშვილი აკადემიას მეთაურობდა, აკადემიის ინსტიტუტების დამოკიდებულება არ შეზღუდულა.

ილია ვეკუამ მეცნიერების მართვაში დიდი ყურადღება დაუთმო გეგმორებას. მისი პრეზიდენტობა დამთავრა იმ პერიოდს, როდესაც საქართველოს კ ცენტრალურმა კომიტეტმა გააძლიერა ხელმძღვანელობა და დახმარება აკადემიისადმი, საერთოდ მეცნიერებისადმი. პრეზიდენტის მუშაობის სტილი სრულიად ესადაგებოდა იმ ახალ მოთხოვნებს, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა აუენებდა მეცნიერების წინაშე. საქართველოს მეცნიერების წინსვლის მთავარი შტაბი აკადემიის პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო. ილია არ უარ-

ყოფდა ინსტიტუტებსა და ცალკეული მეცნიერების როლს, მაგრამ მოითხოვდა ყველა მეცნიერული კვლევის, ყველა სამუშაოს დაგეგმვას, სახელმწიფოებრივი გეგმების შემუშავებას უფელ დარგში. გვისაუბრებდა, რომ პრეზიდენტი სათანადო უზრაველებას არ აქცევდა ლენინურ პრეზიუმე წარსაღვენ გამოკვლევებს, შრომებს; ხშირად არც კი ვიცით, რაზე მუშაობენ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები.

ილიამ წინ წამოსწია ისეთი პრობლემების მეცნიერული კვლევა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკისთვის. განსაკუთრებული უზრაველება მიჰქონდა კოლხეთის პრობლემას და საქართველოს მთიანეთს. შექმნა ე. წ. სვანეთის კომპლექსური ზუსტადის კომისია და მის მუშაობას თვით ჩაუდგა სათავეში. შემოიკრიბა კოლხეთი და სვანეთი.

თუ ნიკო მუსხელიშვილის უზრაველება ძირითადად ფუნდამენტური გამოკვლევებისადმი იყო მიპყრობილი, ილია ვაკუამ ფუნდამენტურ გამოკვლევებთან ერთად უზრაველებას ცენტრში მოაქცია აგრეთვე დარგითი სამუშაოები, ისე როგორც ამას პარტია მოითხოვდა. გააძლიერა კონტროლი ინსტიტუტების მიმართ; ხშირად იყო ინსტიტუტებში და ყველაფერს ადვილზე ვენობოდა. დირექტორებს აგრძობდათ უშუალოდ მიმართვა ზემდგომ ინსტანციებში. ყველა საკითხი ჭერ აჯადუბის ხელმძღვანელობაში უნდა გადაწყვეტილიყო და შემდეგ მუხსენდებოდა რესპუბლიკურ თუ საკავშირო მოაზრობას.

აჯადუბის მიუღმა კოლექტივმა აქტიურად დაუჭირა მხარი ილია ვაკუას ახალ წამოწყებებს და აჯადუბა შედარებით მკლედ დროში კიდევ უფრო ახლოს მივიდა რესპუბლიკის პრაქტიკულ საქმიანობასთან, წარმოგებასთან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აჯადუბა მხარში ამოუდგა საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტის ახალ ხელმძღვანელობას.

ილია უფელ ახალ წამოწყებას საპატიო პრეზიდენტს, ბატონ ნიკოს მოახსენებდა მოკლემ; თითქმის უფელ სადამოს მასთან იყო და მეორე დღეს ჩვენთან საუბარს ასე იწყებდა: — გუშინ ბატონ ნიკოს ვაყუცანი ჩვენი ახალი გეგმა. მოგვიწონა. ახლა საქმე ჩვენზეა, თუ როგორ ვაჯადუბებთ, რამდენი ხნის განმავლობაში და რა დონეზე შევასრულებთ.

აჯადუბის პრეზიდენტი ყველა ვეჭრო, ინსტიტუტების კოლექტივები გარძობდნენ, რომ ილია ვაკუა საქართველოში დაბრუნდა როგორც დიდი გამოცდილების მქონე, თავისი დამაშნულები და მისწების შედმიწვენი მკლედ. მასტაბურად და პრინციპულად, მტკიცე ნებისყოფის, ენერგიული ხელმძღვანელი. ყველას ვაკუასთხოვდა: ყველაზე მეტად გულგრილობას ვერ ვიტან. მიჩვენა წინააღმდეგობა გამაწიოთ, ვიდრე უხშირდ დამაშნულებით

და შემდეგ გულგრილად ადვილდებოდათ თუ რა მოხდებოდა.

ვარწილად ერთ-ერთი ინსტიტუტის მუშაობას; ინსტიტუტის დირექტორს დიდი ფინანსური დარღვევები ჰქონდა, მისი თვითნებობა ზღვარს იყო გადასული. პრეზიდენტმა მცირე პრეზიდენტი ყველა წვერს სთხოვა აზრი გამოეთქვა. საუბარს მკაცრ ფორმებში მომდინარებდა. იყო ისეთი მომენტები, როდესაც პრეზიდენტი უჩვეულოდ ადვილდა და საოვალიე მაგიდაზე დაანარცხა. მეტი დაძაბული მდგომარეობის წარმოადგენდა კი შეუძლებელი იყო. ამ ვითარებაში ერთ-ერთმა ჩვენგანმა თავი დაიღწია მტკიცედ შეიკავა, არაფერი თქვა, არც დირექტორს მიემხრო და არც მცირე პრეზიდენტს. როდესაც თათბირი დაშორდა და ინსტიტუტის წარმომადგენლები წავიდნენ, ილიამ გვთხოვა დავრჩენილიყავით.

— არასოდეს არ იფიქროთ, რომ თქვენ ყველაზე ჰკვიანი, ყველაზე წინააღმდეგული კაცი ბრძანებით და სხვები კი სულელები არიან, — მიმართა პრეზიდენტმა მას, ვისაც თათბირზე ხმა არ ამოუღია. — ეს თქვენც დაგლუპავთ და საქმესაც. რას ჰგავდა დღეს თქვენი მოქმედება? განა ეს კოლექტივობაა, განა ეს საქმის სიყვარულია? თუ სხვა დროსაც თქვენ ასე მოქმედებთ, ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთ. იქნებ ჩვენი აზრის წინააღმდეგი იყავით? ბრძანეთ, ვინ გიშლით? ეს იქნებოდა წესიერი მოქმედება თქვენი მხრივ. — ასე გაქვარებულ ბატონი ილია არც მინახავს.

ილია ვაკუა განსაკუთრებულ უზრაველებას აქცევდა აჯადუბის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევას, უდიდეს საპასუხისმგებლო სახელმწიფოებრივ, ეროვნულ საქმედ მიანიჭდა აჯადუბის შეცება ახალი მეცნიერული ძალებით. არჩევნების პრაქტიკული მხარე მე მქონდა მონდობილი და სისტემატურად მოხვდა მასალებს კანდიდატებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდა გამოჩენილ მეცნიერებზე; დიდ უზრაველებას აქცევდა კანდიდატების შესახებ გავრცელებულ საზოგადოებრივ აზრს, პრინციპული ხასიათის საკითხებს უთანხმებდა ჩვენს გამოჩენილ მეცნიერებს — აჯაი შანიძეს, ივანე ბერიტაშვილს, გიორგი ახლედიანს, ალექსანდრე ჩანელიძეს და სხვებს; მათი მოთხოვნის საფუძველზე ითვალისწინებდა არჩევნებს მეცნიერების ახალ მიმართულებებში.

ახლა პრეზიდენტმა განსაკუთრებით გააძლიერა უზრაველება მუშაობის დარგებისადმი.

— ინტორიკობა მინდოდა და ბატონმა ივანე ჩაიხიშვილმა არ დამართო ნება, საბუნებისმეტყველო ფაულტეტზე დამტოვა. ახლა მინდ მთელი აქტიური მონაწილეობა ჩვენი ეროვნული დარგების განვითარებაში. — იტყუადა ბოლმე.

ილიას არასწორად მიანდა, რომ აქედნობას ჩამოაშორებს სასოფლო-სამეურნეო დარგის ინსტიტუტები და რესპუბლიკისათვის შეტად საჭირო ერთ-ერთი მოქმედი სამეცნიერო განყოფილება დაშორებს. დიდხანს ფიქრობდა როგორ მოქცეულიყო. ბოლოს გადაწყვიტა:

— ალადვირით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება იფრდიდულად. გადავცეთ დროებით ბიოლოგიური განყოფილება და ბოტანიკური ხალხები; იქაც ხომ არის სოფლის მეურნეობისათვის სასარგებლო მეცნიერული კვლევები? იქნებ შემდეგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რამდენიმე ინსტიტუტში მიიწვ დაგვიბრუნოს. რატომ არ უწყვენ ანგარიშს ამ ვარაუდებს, რომ როდესაც დარგობრივი ინსტიტუტები ფუნდამენტური კვლევის ინსტიტუტების გვერდით მუშაობენ, ეს მათ მეცნიერულ დონეს მაღლა წყვეს, ბოლო თეორიული კვლევის ინსტიტუტები გულისხმობს უფრო ახლოს მიიტანენ ჩვენს რესპუბლიკისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო პრობლემებზე მუშაობას.

ილიას მუშაობას დიდი ხალხის და გასაქანი შემატა. მისი დიდი ხნის სტრუქციის შესრულებაში პირველ ვიცე-პრეზიდენტად არჩეულ იქნა ევგენი ზარაძე. თითქოს უველაფერი შესანიშნავად აეწერა; გაძლიერდა მეცნიერული კავშირები რესპუბლიკის შინ და გარეთ, მეცნიერება დაუახლოვდა ინტროდუქციას, დაისახა ფართო მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის გეგმები.

ილიას უყვარდა ქალაქგარეთ, როგორც თვითონ იტყოდა, ბუნებაში გასვლა. განსაკუთრებით შირადად ვიუჯავთ ხოლმე კოჭრის ტყეებში. გადაწყვეტილი ჰქონდა მეცნიერთა დასახლებული სახლის აშენება კოჭრის მისასვლელთან; ადგილიც ამოარჩია და აკადემიის პრეზიდენტის წევრებს აჩენა. ბოლო წლებში, როდესაც შედარებით შეუძლოდ იყო, უფრო ქვევით ჩამოინაცვლა და კოჭრისა და დასახლებთან რომ ახალგაზრდა წიწვნარია, იქ დადიოდა. — აქედან მზის ჩასვლა კარგად ჩანს, თანაც რა შესანიშნავი ზაგრა, რა არსმატია. ახალგაზრდა უველაფერი კარგაიო, — გვეტყოდა ხოლმე.

ერთხელ შემოღვამაზე კოჭრის ახლოს, იქ სადაც მეცნიერთა დასახლებული სახლი უნდა აშენებულიყო, მიწდორზე წამოწვა; ერთი შტაკეული მიწა შემოხაზა და დათვალა, თუ რამდენი სხვადასხვა მცენარე იყო ამ ფართულ-აღმოსნა რამდენიმე ათეული.

„რამ განაპრობა ამდენი სხვადასხვა მცენარის თანამეგობრობა; ვინ გადაწყვიტა, რომ ეს მცენარეები ერთმანეთის გვერდით უფილიყვენ, რაშია საქმე?“ — შევითხოვოდა. ბიოლოგიის მიმართ მისი ინტერესი ჩემთვის ადრევე იყო ცნობილი. მთხოვდა ხოლმე, მომეხსენებოდა, თუ რა აქვს საერთო ადამიანს მცე-

ნარესთან, მიკროორგანიზმებთან, სპორულია ის მხარე ანტირეტება, რაც საერთო იყო უველა ცოცხალი ორგანიზმისათვის. უნდოდა, გარკვევით სცოდნოდა, თუ რას წარმოადგენდნენ მეცნიერული თვალსაზრისით ბიომინი, ლეპეტიფიკაცია, ლისენკო; მათი წიგნებიც ჰქონდა შეძენილი.

— ჩვენი წამყვანი მეცნიერების ბრალია, რომ წლების მანძილზე „მეცნიერული“ ვიგინდარები ბატონობდნენ ნიმივლ მეცნიერებაზე, როგორ მოითმინეთ ამდენი „მეცნიერული ნავეს“ თავზე დაურა; გაიკლებით უფრო ენერჯიულად უნდა გებრძოლიათ მათ წინააღმდეგ. თქვენც, ჩვენც, უველა დამანაშავ ვართო, — გამოქონდა განაზრინი.

— სხვათა შორის, სერჯი, ჩვენ, მათემატიკოსებმა შენი მასწავლებლის და მეგობრის ოპარინის წინააღმდეგ საქმოდ მაგარი არაა გავაზავეთ ლენინური პრემიების კომიტეტი. ოპარინმა, ნაცვლად იმისა, რომ ლისენკოს შებრძოლებოდა, მშვედლად დაიკავა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელობა, აკადემიკოს ორბელიის ადგილი. მე სიმართლის სიცოცხლის ფასადაც არ დავთმობდი. იქნებ ოპარინს მართლა ეცუთვნის მეცნიერული დასახლებებისათვის ლენინური პრემია, მაგამო შე, სობოლევმა, ლავრენტიევმა და სხვა მათემატიკოსებმა ოპარინის წინააღმდეგ იმიტომ მივეციეთ ხმა, რომ იგი ლისენკოს მხარეზე იყო. ბატონმა ნიკომ ეს აქტი არ მოგვიწონა და არც ხელი მოგვიწერა, ამა თქვენ საადან იციო, ბიოლოგიაში რა ხდებაო.

მე არ მინდოდა, რომ ილიას ალექსანდრე ოპარინზე, ამ ბრწინვალე მეცნიერსა და ადამიანზე, არასწორი წარმოდგენა ჰქონოდა და დაწერალებით მოვუყუე მისი ცხოვრებისა და მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამბები. გავიდა დრო და ილიამ შეხედულემა შეიკვალა:

— შენი ოპარინი ახლოს გავიცანი, ხანტერტოს პაროვნება უფოლა. როგორც ჩანს, მე მართალი არ ვყოფი, როდესაც მის საწინააღმდეგოდ შედგინოლ წერილზე ხელი მოვადწერე. შეგვეძლო და ჩვენს უფლებებში შედიოდა, მივეცემოთ თუ არა ლენინურ პრემიას, მაგამო ჩვენს მიერ მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი დასახაიება რალა საჭირო იყო, — აკრიტიკებდა თავის მოქმედებას.

ილიას საბჭოთა კავშირის უშადლენი საბჭოს დეპუტატად ირჩევდნენ. ამომარჩევლებს წინასწარ უნდა შეხედებოდა თიანეთში, წინასაარჩევლო კამპილის დროს დეპუტატობის კანდიდატებს შშირად ახალათ ხოლმე ახლოლები, მეგობრები, და ჩვენც. რამდენიმე კაცი — შ. ძიძიგური, მე და სხვები, გავუვით ილიას.



შეხვედრებმა ბრწყინვალედ ჩაიარა. საქმიანი და ღრმა შინაარსიანი იყო უველა შეხვედრა; ირგვლივ სიყვარულისა და პატივისცემის ატმოსფერო სუფიერდა. ერთი დღის განმავლობაში სამჭერ მოყვანილნი იყვნენ და მათ შორის სამივე შესანიშნავი, მაგრამ სრულიად სხვადასხვა შინაარსისა იყო. გამომსვლელთაგან ილიას განსაუბრებით მოეწონა მასწავლებელი ქალის წიკლაურის გამოხვლა, რომელმაც ილიას ასეთი ფრაზით მიმართა: „შათაში ხალხი მკაცრია, მაგრამ სიყვარული ნამდვილი იცინაო“. ილიას თავდაპირველად მსგავსი აზრის გამოთქვა: „მაგრამ ნებისყოფის კაცი სულ სხვაგვარად ხიბობს გამოცემის“.

საღამოს სუფრასთან მიგვიპატიეს. იმდენი ღვინო და თქმულება მოვისმინეთ, რომ თავი ხალხური პოეტის საღამოზე შეგონა. სიტყვა ადამიანს ჩამოვარდა და ერთმა ტრესპუბლიკის დამსახურებულმა პენსიონარმა მასწავლებელმა ქალმა შემდეგი ამბავი გვიამბო:

მთის სახალხო პოეტისა და თქმელს ღამით სტუმარი სწევია. ოქანში მხოლოდ სტუმრის თანხრომი ვაჟი ყოფილა, დანარჩენები სხვა სოფელში დღეობაზე უყოფილიყვნენ წასული. ახალგაზრდა მასპინძელს ცუდიღია, რომ სტუმარი გამოკცეული პატიმარი იყო და თუ გამოვლადებოდა, ვინ იყო სტუმარი, დასჯა არც მასპინძელს ასცდებოდა. რა უნდა ექნა? ბავშვობა მათ ერთად ჰქონდათ გატარებული, ტოლები იყვნენ, ერთად უოცნებიათ, საქმეებშიც ერთად უფლობათ... მასპინძელმა შეგონა მათი შეიქმნა, დაასურა და მოსვენა. სტუმარი დღით ადრე გაშორდა იქაურობას, მაგრამ უველაფერი მათს ცნობილი გახდა; ოქანის წვერი დაამატებდა. სოფლის თავაყებში თბილისის გაგზავნეს, იქნებ აპატონს, ხომ იცინა, მთის ადამიანს როგორია, მასპინძელი დამანაშავე არ არისო. რამდენიმე თვის შემდეგ ორივენი დასაქნა.

შეიქნა მსჯელობა: წარად მოიქცა თუ არა მასპინძელი. უველას ილიას აზრი აინტერესებდა.

— მე ხალხის ადამიანს დიდ პატივს ვცემ, ადამიანს საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა; მასში ხალხის ძალა და სიბრძნეა ჩაქსოვილი. მე უუფლონად მოვუქცეოდა ისე, როგორც ის ახალგაზრდა მასპინძელი მოიქცა. შემდეგ რაც მოხდა, ეს სულ სხვა საქმეა. ადამიანს დაცვამ შეიძლება მსხვერპლიც მოითხოვოს, მაგრამ ხალხის მორალი მასზე მაღლა უნდა დავაყუროთ; როგორ გინდათ გავარდით ახალგაზრობა?—გამოთქვა თავისი მოსაზრება დეპუტატობის კანდიდატმა. ამომჩრედელები დიდად ქმეყოფილნი იყვნენ, რომ მათი მომავალი დეპუტატი, გარდა იმისა, რომ დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა, დიდი ვაჟაკიც ყოფილა.

თანეთიდან გვიან ღამით წამოვიდით. ვა

ტყეში ვადიოდა და ილია მისი ატლაცებული იყო, — ნეტავ ჩვენი მომავალი არ გათავდებოდეს.

ილია ადამიანს დიდ მოთხოვნებს უყენებდა; ადამიანს ხალხის გაკეთილშობილებას უნდა ემსახურებოდესო. აღელვებდა ზოგაერთი ჩვენი ზნე-ჩვეულების გადაკვარება. მისი ვიცი-არე-შიდენების დროს ჩეხოსლოვაკიის აკადემიამ მიგვიპატივა ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, რაფიელ დვალი და მე შეუღლებიბიურთ. მიგვიღეს შესანიშნავად უველანი ჩვენი-ჩვენი სპეციალისტის ინსტრუქტორის მუშაობას გაეცანო. ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ოფიციალური მიღების შემდეგ ქალაქგარეთ, მონადირეთა სახლში საადლო გავიმართა. სუფრაზე უველაფერი უხვად იყო. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც თითოეულ ჩვენთაგანს თითო შემწვარი ხოხობი მოგვართვეს. ჩეხოსლოვაკური ხოხობი ვაცილებით უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე ქართული ხოხობია. ილიამ ჩეხოსლოვაკიის აკადემიის პრეზიდენტს მკითხა:

— ბატონო პრეზიდენტო, რაშია საქმე, ატლამ მხოლოდ სტუმრებს მოგვართვეს ასეთი რაოდენობით შემწვარი ხორცი?

პრეზიდენტმა თავის თანხმულე პირებს გადახედა და ილიას უპასუხა: — ჩემი შეგობრები თქვენთან თბილისში იყვნენ და როდესაც დაბრუნდნენ, გაკვირვებით უვეზოდნენ: ქართულები უზომო რაოდენობის ხორცს ჰმადნენ, მათ სუფრაზე ხორცილები სართულზედ არის დალაგებულიო. ამიტომ მოგართით სათითაოდ ჩვენს ტყეში გამოზრდილი ჩვენებური ხოხობები. თუ რამეში შეეცდით, გვაპატიეთ, თქვენს აქ ყოფნაშივე გამოვასწორებთ.

საღამოს სასტუმროში ილია ამბობდა:

— ხომ შედავთ, ჩვენმა გადაკვარებულმა ზნე-ჩვეულებამ აქ, ჩეხოსლოვაკიაში რა მდგომარეობაში ჩაგვყენა. აკადემიამ ჩვენს ზნე-ჩვეულებებსაც უნდა მიხედოსო.

ილია მკაცრი, მაგრამ მგრილობარე, ადამიანის მოყვარული კაცი იყო. მრავალი შემთხვევა ჰქონია ამაში დავრწმუნებულიყავი. უვეზრდა ხალხში ყოფნა, ხალხთან ურთიერთობა. აფხაზეთის მოგზაურობისას სხვა ამხანაგებთან ერთად შოთა ძიძიგური და მეც ვახლდით. წარმოდგენილი ზემითა და პატივისცემით მიიღო ილია ვეკუა აფხაზეთის მოსახლეობამ. მას აფხაზეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიანიჭეს ლიბნში სახალხო ზემი გაუმართეს. განუწვევებლავ მოდიოდნენ სხვადასხვა სოფლის წარმომადგენლები და ადგილობრივი ადამიანის მიხედვით ასრულებდნენ უველა საპატიოებო ცერემონიას; ჩვენ მათი ზნე-ჩვეულებების მიხედვით თითქმის სულ ფეხზე ვიდექით. ეს ზნე-ულო ზარ-ზეიმი რამდენიმე დღე გავრძედა.



ხარობისა და ხალხი და უდიდესი კმაყოფილი იყო თვითონ ილია.

კიდევ ერთი პატარა ამბავი. აქადემიას მსტიხლავ კელდისი ესტუმრა მეცნიერებთან ერთად, ისინი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წამყვანი ინსტიტუტების მუშაობას გაეცნენ. ბოლო დღეს ილიამ დამთბა და გამაფრთხილა: არსად წახვიდე, კელდისს სურს ქაშვიტის ეკლესიაში ღაღად გუდიაშვილისეული მოხატულობა ნახოსო.

სამიჯნო წვედით. საღაშო ხანი იყო და სანთლების შექმნე კელდის მხატვრობა შორიდან კარგად არ მოჩანდა. ამიტომ მსტიხლავ ვხუროლოდის ძემ მოისურვა საკურთხეველში შესვლა. მოვედი მღვდელმთავართან, ნებაართვა ელბოვე. უნაო მისობა. მოვიშველიე ჩემი თანამგზავრების მეცნიერული და საზოგადოებრივი ტიტულები, მაგრამ არც ამან ვაჭრა. საუბარი რომ გაგივრძელდა, ილია მიხვდა, რაშიც იყო საქმე და თვითონაც ეახლა, შეეცა. მღვდელმთავარმა არც მას მისცა დასტურტი. კელდისმა დამწვიებება დაგვიწო: — არა უნაუბ, რაც ვნახეთ, ესეც დიდებულთაო. ის იყო უნდა გამოვსულიყავით ეკლესიიდან. რომ მსტიხლავ ვხუროლოდის ძემ ჩვენს პრეზიდენტს დაუძახა: ილია ნეტორის ძევ, აქეთ მოხრძანდით. ნახეთ, კარების ზემოთ რაგორი მოხატულობაო. მღვდელმთავარმა გააგონა თუ არა „ილია ნეტორის ძე“, ჩემთან მოვიარდა — „ვიწ ილია ევ კაციო“.

— ილია ევეთა, ხომ ვითხარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტიამეთქი!

ჩემი ბოლო სიტყვები მას ალბათ არც ვაუგონია. ეცა პარდაღარ ილიას და ორთვე მხარზე ეაშორა. — ილია ბატონო, თქვენ წმიდა კაცი ბრძანდებით, თქვენთვის ეკლესიის არც ერთ ადგილას მისვლა არაა აკრძალული; წამოიყვანეთ ევ თქვენი სტუმარყო. — გარგანებული იდგა კელდისი და არ ესმოდა, თუ რა ხდებოდა. წაგვიძვრა წინ მღვდელმთავარი და შევიდით საკურთხეველში, უველაფერი დავათვალიერეთ. კელდისი ადტაცებაში მოვიდა მხატვრობით.

— ილია ნეტორის ძევ, გუდიაშვილზე ნაკლებ სანტერესო არ იყო ამ მღვდლის დამოკიდებულება შენდამი; შენ სიცოცხლეშივე ჩაკრიცხვს წმინდანება, — ხუმრობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ილიას საბედისწერო დაავადება თანდათან გააღიერდა, ხმა დაუსუსტდა და საქარო გამოსვლები უჭირდა. თავს მასიც არ წოგავდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საქმეს მისი შეუძლოდ ყოფნა არ დასტუქობოდა. მხოლოდ არ მაგალიის დავასახლებდ.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციის მუშაობის განმეილების რამდენიმე წინადღებთი ამიხსნა, თუ რა არის გამოთქმა

უნდოდა და მოხოვა მის მაგალითად. მეცნიერებათა აკადემიის წევარი სრულე. მაგრამ ილიას ჩემი სიტყვა არ მოეწონა; როგორც შემდეგში ამიხსნა, უველაფერი ისე არ მოიქვამს, როგორც მას სურდა. ილია იძულებული გახდა თვითონაც წამოეტყვა სიტყვა. თავს ძალა დაეთანა და მოიარა სარედაქციო კოლეგიის მუშაობის განაუჭრობესხლად მნიშვნელოვანი ღონისძიებები შესთავაზა.

ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მისი მოსაზრებების მიხედვით ჩემი გამოხვლა დამაწყაყოფილებლად მიუჩნევია.

რომ დღე მიმდინარეობდა აქადემიაში კელდისის პრობლემებისადმი მიძღვნილი ფართო სამეცნიერო სესია. მრავალი მეცნიერი და სოფლის მეურნეობის პრაქტიკული მოღვაწე, ორგანიზატორი მონაწილეობდა სესიის მუშაობაში. უველა დიდი ინტერესით ელოდა რას იტყოდა შემაქამებელ სიტყვებში პრეზიდენტი. ილიას თავისი სიტყვის თვისებები ჩამოერჩილი ჰქონდა, მაგრამ უკანასკნელ წუთებში ეველმა უღალატა და მოხოვა მისი თვისების მიხედვით სიტყვა შე შეთქვა. ამ მდგომარეობიდან როგორც უნდა გამოვსულიყო. ჩემმა გამოხვლამ დააწყაყოფიდა და სესია დამწვიდებულმა დახურა. სესიის უველა მონაწილე მიხვდა, რაც მოხდა, უველას გახვევა ერთგვარი სევდა...

ილია საოპერაციოდ მოსკოვს გაემგზავრა. რამდენიმე კვირის შემდეგ საავადმყოფოში ეინახულე. იქდა მშვიდად და თავის ახალ მონოგრაფიაზე მუშაობდა. უველაფერი დაწერილე ბით მოწყალოდა. ისეთივე ინტერესი ჰქონდა აქადემიის საქმეებისადმი, როგორც ადრე. დაავადებაშივე წამოსვლის წინ ქალბატონმა თამარმა მისი მურნახალი ექიმი გაამოსწო. მურნახალი ქალი გაციებულ იყო; რამდენი წელია ილია ნეტორის ძის მურნახალი ვარ და არ მახსოვს მას ეთიხოს ჩემთვის, თუ რა დაავადება აქვს და რას უნდა ელოდოს. ჩემს ხანგრძლივ საექიმო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა ერთ არ მქონია.

სავადმყოფოდა ბშირად იწერებოდა წერილებს კონკრეტული დავალებებით. ვვთხოვედა იმასაც, რომ აქადემიის საქმიანობის ანგარიშის შედეგინისა მისთვის განსაკუთრებულე ადგილი არ მოგვეჩინა. ვაკოვ, რომ აქადემიის ალექსანდრე ბარამიძის პრეზიდენტიხათვის მიემართა თხოვნით ვათავისუფლებინათ დიტერატორის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან — აღმინისტრაციული სამუშაო მეცნიერულ მუშაობაში ხელს მიშლისო. ხანწრაფოდ მოგვეწერა წერილი, რომ მცირე პრეზიდენტს აქად. ა. ბარამიძის თხოვნა არ დეკმაყოფილებინა. ვცრულად ახსიათებდა ბატონ ალექსანდრეს მოღვაწეობის და ინსტიტუტის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოკლე-



ნად მიჰქანდა, რომ ასეთი გამოჩენილი მეცნიერი ედგა ინსტიტუტის სათავეში. ამჯერად ხასიათის წერტილებს ზნობად ვღებულობდით. ბატონი ევგენი ხარაძე, რომელიც მას ცვლიდა, ურველთვის ცდილობდა მისი მოსაზრებები პრაქტიკულად განეხორციელებინა. ილიას, ვიდრე ცოცხალი იყო, აკადემიასთან საქმიანი კავშირი არ გაუწვევდა.

მოახლოვდა ილიას დაბადების 70 წლისთავი და შოთა ძიძგური და მე მოსალოცად შინ ვეახლეთ. ცოტა ხნის შემდეგ ილიას ინსტიტუტის საქართველოს ტელევიზიის მეცნიერების განყოფილების გამგე მადეა ლორთქიფანიძე ქალბატონმა მადეამ ილიას სთხოვა ზოგიერთი მასალა იუბილესთან დაკავშირებით და ბოდიშის მოხდით ვააცნო ღონისძიებები, რომელთა შესრულებასაც ტელევიზია ამირებდა. ბატონმა ილიამ უურაოდღეა მიიქცია გამოხსენებულთა საუბარად სიას, რომელშიაც ჩვენც აღმოვჩნდით. იუბილარმა ქალბატონ მადეას სთხოვა ღონისძიებათა შემცირება და, სხვათა შორის, გამოთქვა მოსაზრება — ახლო მეგობრების გამოსვლა, ჩემი აზრით, არ არის აუცილებელი, უზერხულადაც კი მიმანიათ. — ამ დროს ილია უკვე ვეღარ ლაპარაკობდა და უველაფერი ეს ფიქალის დაფაზე დაგვიწერა.

ილიას დაბადების 70 წელთან დაკავშირებული ღონისძიებები ფართოდ ჩატარდა აკადემიაში, უნივერსიტეტში, მათემატიკურ ინს-

ტიტუტებში. მათემატიკოსები ბრებოდნენ ილია ვეჟას მეცნიერული მიღწევების პროაგანდასა და უმაღლეს შეფასებებში.

ილიას უუვარდა წარსულის გახსენება, ძველი ამბების მოყვლა; იგონებდა თავის ბავშვობას, ბავშვობის მეგობრებს, შრომლებს, თავის სოფელს, თანასოფლელებს, განსაკუთრებით თედო ბაბუას.

— ბაბუაჩემი გვებოთა აქანების მონაწილე იყო, უტუ მიქავასთან ერთად იბრძოდა; ხალხმა მას „მართალი თედო“ შეარქვაო, — სიამაყით იტყოდა ხოლმე.

ილია ნათესაების, მეგობრების დიდი მოყვარული და პატივისმცემელი იყო.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, როდესაც სამუშაო ოთახიდან სასტუმრო ოთახში გადაშინაცვლა, თავის მეუღლეს, ქალბატონ თამარ სთხოვა:

— ჩემი შრომების სურათი კაბინეტიდან გადაშოიტანეთ და ისე დაყოფეთ ჩემი საწოლის პირდაპირ კედელზე, რომ გამოდგებით ვუცქიროთ...

გავიდა შეიდი წელი ილიას გარდაცვალებიდან და მის მიერ ავადმყოფობის პერიოდში შექმნილმა მონოგრაფიამ — „გარსთა თეორიის სხვადასხვა ვარიანტის აგების ზოგიერთი წესები მეთოდი“ — მიიღო სსრ კავშირის 1984 წლის სახელმწიფო პრემია.

**სოლომონ ლაიპვილი**

**ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის  
ფურცლები**

ოც წელზე მეტი გავიდა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ბოლო აკადემიური გამოცემის დამთავრებიდან, განვლულ პერიოდში სხვადასხვა მკვლევართა მიერ გამოცემული იქნა მრავალი პუბლიცისტური სტატია, კერძო წერილი და ჩანაწერი დიდი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან. რევოლუციამდელი პრესის „ქართული ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ მრავალტომეულისა და „ი. ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფიის“ გამოცემათა შედეგებით, დადგინდა ი. ჭავჭავაძის ბევრი ახალი შემოქმედებითი და ბიოგრაფიული მომენტი ყოველივე აღნიშნულმა სამართლიანად დააყენა დღის წესრიგში XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის მამამთავრის ნაწარმოებთა ხელახალი გამოცემის საკითხი.

სათანადო ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ ამ სამატიო საქმის განხორციელებას. ცხადია, უტრადლების ზღმა არ უნდა დარჩეს თხზულებათა სრულ კრებულს გამორჩენილი არც ერთი შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი.

ჩვენი მიზანია გამოვამზებროთ ზოგიერთი მიუიწვებელი ფაქტი და დოკუმენტი, რაც უჭიკრობთ, შეაყვებს ილია ჭავჭავაძის ისედაც მდიდარ საზოგადოებრივი მოღვაწეობის მატთანეს.

**I. ი. ჭავჭავაძის პიისტოლარული მემკვიდრეობიდან**

1. 1873 წლის ივნისიდან ი. ჭავჭავაძე ხანგრძლივად იმყოფებოდა პეტერბურგსა და მოსკოვში სათავადაზნაურო ბანკის წესდების დასამტკიცებლად. 1873 წლის 12 ივლისის თარიღით მის მიერ მოსკოვიდან (შედულის ოღლა გურამიშვილისადმი) გამოგზავნილ წერილს

თან ახლავს მინაწერი რუსულ ენაზე: „ვადავცი დიმიტრის საიდუმლოდ, რომ მოლაპარაკებას კრასნოვოდსკის რაზმის თაობაზე ვაწარმოებ მოსკოვსკიე ვედომოსტის რედაქტორთან. მოლაპარაკება ჩერ არ დამთავრებულა“ (იხ. ი. ჭავჭავაძე, ტ. X, გვ. 289). ი. ჭავჭავაძის წერილების გამომცემელის პ. ინგოროყვას განმარტებით დიმიტრი ი. ჭავჭავაძის ქვისლი, ცნობილი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი სომონის ძე სტაროსელსკია (1832-1884 წ.წ.), ხოლო რას უნდა ნიშნავდეს „კრასნოვოდსკი ოტრიად“ — ამ საკითხზე დეწლმოსოლ შეცნენერს არავითარი განმარტება არ გაუუყოფბია.

ქ. კრასნოვოდსკი რუსეთის ხელისუფლების მიერ დაარსებულ იქნა 1869 წ. როგორც ციხე-სიმაგრე. 1873 წლის დამდეგს შუა აზიის დამორჩილების პერიოდში აქ გენერალ კუფმანის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ოთხი სამხედრო შენაერთი: თურქესტანის, მანგიშლაკის, ორენბურგის და კრასნოვოდსკის „ოტრიადების“ სახელწოდებით.

1873 წ. თებერვლის ბოლოს რაზმებმა კოლონებად შეუტეეს ხოის სახანოს და მის დელაქაქს, რომელიც 28 მაისს აიღეს. დასახელებული ოთხი რაზმიდან ხოის აღებაში მონაწილეობა არ მიუღია მხოლოდ „კრასნოვოდსკის რაზმს“, ვინაიდან იგი შუა გზიდან დაბრუნდა უკან, რამაც რუსეთის პრესაში (მთ შორისაა გაზ. „კაკაზიუ“) მიუთქმა-მოთქმა გამოიწვია, რაზმს და მის სარდალს პოლკოვნიკ ვასილ ივანეს ძე მარკოზოვს (მარკოზაშვილს) ბრალად სდებდნენ სამხედრო ხელმძღვანელობის ბრძანების შეუსრულებლობას.

გაზ. „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ 1873 წ. მეორე ნახევრის ნომრებშიდან ჩვენი უტრადლება მიიქცია ამ მოვლენისადმი მიძღვნილმა



ორი ავვისტოს ნომერში გამოქვეყნებულმა უსათურო სტატიაში.

ზღმორეწერელ ამ გრცელ სტატიაში (საე-რთოდ, გაზ. „მოსკოვსკოე ვედომოსტნი“, როგორც ოფიციალურში, სტატიები ძირითადად ქვეყნდებოდა ანონიმურად) დაწერილებით და დაწვრილებად არის ლაპარაკი „ქრასნოვოდსკის რაზმის“ და მისი მეთაურის ე. მარკოზოვის მიერ რაზმის უკან დახვევის ობიექტურ მიზეზებზე. ყეროდ, დასაბუღებულა დიდი სიკვება, უწყლობა, აქლემების ნაყლებობა და სხვა. სტატიაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ რაზმს და მის მეთაურს ე. მარკოზოვს არათუ ბრალი უნდა დაედოს, არამედ მადლობა ე უნდა გამოეცხადოს წინდახეტელობისა და გმირობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა და თავიდან აიცილია ადამიანთა გაუმართლებელი მსხვერპლი.

ცნობილია ი. ჭავჭავაძის განსაკუთრებული, გულბილი დამოკიდებულება თავის ქვისლთან, გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი სტაროსელსკისთან და აგრეთვე ისიც, თუ რაოდენ დაინტერესება იჩენდა დ. სტაროსელსკი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი. ამის ნათელი დადასტურება დ. სტაროსელსკის მნიშვნელოვანი წვლილი ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების უმაღლესი ხელისუფლების მიერ დამტკიცების საქმეში. 1872-76 წლებში იგი იყო ბაქოს გუბერნატორი და ზედამხედველობას უწევდა ე. წ. ბურჟუაზიის სამხედრო ოპერაციებს. მსგებ დავალებულ ქონდა გამოეცლია მიზეზები, თუ რამ განაპირობა „ქრასნოვოდსკის რაზმის“ ე. წ. მარკო. აშყარა, იგი, როგორც კავკასიის სამედიცინაცილოს მაღალი ჩინის წარმომადგენელი, მოკლებული იყო უფლებას ცენტრალურ პრესაში გამოსტელიყო ე. წ. მარკოზოვისა და მისი რაზმის დამცველის როლში.

ბუნებრივია, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ეს მისი ეცისრა ი. ჭავჭავაძეს. „მოსკოვსკოე ვედომოსტის“ დასაბუღებელი სტატია უნდა მივიჩნიოთ ი. ჭავჭავაძის და დ. სტაროსელსკის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად.

ვასილ მარკოზოვის (1838-1908 წ.წ.), ყარსის და დუნების შტურმების აქტიურ მონაწილეს, 1878 წლიდან ინჟანტერიის გენერალ-ლეიტენანტს, ეკუთვნის დიდტანაი წიგნი „ქრასნოვოდსკის რაზმი და მისი თავდასაჯვალი“ (რუსულ ენაზე), რომელიც 1897 წ. გამოიცა პეტერბურგში „ქველი ქრასნოვოდსკელის“ ფსევდონიმით. ამ ნაშრომში იგი დაწერილებით ეხება მისადმი წყაენებულ პრეტენზიებს და აღწერს არსებულ ვითარებას.

2. ი. ჭავჭავაძე თავის მოღვაწეობაში სავანგებო ურთოდებას უთმობდა ერთეული მუსიკალური ზელოვნების აღორძინება-განივით-

არების საქმეს, მზორველობას და განვითარებას. არ აკლებდა ამ სარბიულზე მოღვაწეობას — ლ. აღნაშვილს, ი. რატელს, ფ. ქორიძეს და სხვებს. ამ თეალსარბისით ერთობ საინტერესოა ილიას შემდეგი უცნობი წერილი ქართული საგალობლების ცნობილი შემკრებისა და გამოცემების ვასილ კარბელაშვილისადმი (1858-1936 წ.წ.):

„მოწყალო ხელმწიფე, ვასილ გრიგორისაქ!

დიდ ბოდმს ვიხდი, რომ თქვენი საქმე აქანობამდე სისრულეში ვერ მოვიყვანე. მე დღეს სოფლად მოვდივარ და საშობადს აქ ვიქნები, ქალაქში. გთხოვთ ორშობადს საღამოს შეიღსა ანუ რვა საათზეთ თქვენს საქმეზედ მოვიღპარაკოთ.

თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე“ 8 სექტემბერი 1878 წ.ა

განუზომელია მოწინავე ქართველი საზოგადოების თაოსნობით 1879 წ. დაარსებულ ქართულთა შორის წ. ა. გამავრცელებული საზოგადოების წვლილი ერთეული მუსიკის ნიშნუების შეგროვებისა და გამოცემის საქმეში. ხაზგასმით ღრსია ის დიდი დახმარება, რომელსაც უწევდა აღნიშნული საზოგადოება დ. არაიშვილს, ფ. ქორიძეს, ი. კარგაჩეთელსა და ზ. ჩხიკვაძეს ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელების საქმეში. ვფიქრობ, მზორედ ილიას აქტიური ჩარევის შედეგი უნდა იყოს, რომ ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ ვასილ კარბელაშვილს საგალობლთა ჩაწერისათვის 1879 წ. გამოუყო სათანადო ფულადი სახარბები.

3. ილია ჭავჭავაძე ყოველთვის სათანადო გულისხმირებით ეკლდებოდა ქართულ თეატრს და მის მოღვაწეთა საქმიანობას. ამ შხრიდ იდი ინტერესის შემცველია მისი ხანგრძლივი ურთობრთობა ვასო აბაშიძესთან, რაც არაერთგზის გამოიხატა „ივერიის“ ფურცლებზე მის შესახებ მრავალი სტატიის, მასილუბისა და რეცენზიის გამოქვეყნებით. საილუსტრაციოდ გვიჩნდა დავიზომოთ „ივერიის“ რედაქციის საუბილეო ადრესი, მიძღვნილი დიდი ქართველი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის ვასო აბაშიძისადმი მისი სასცენო მოღვაწეობის 25 წლისათთან დაკავშირებით: „სყავარულო და შეუღარებულ ქართველო მსახიობო ბ-ნო ვასილ!

უხუცესი ქართული გაზ. „ივერია“ და მისი სულის ჩამდგმელი თანამშრომელი სემონი არიან იმისა, თუ ჩვენს საშობოლო სცენისათვის ჰვირფასო და შეუღარებელი შენი ნიჭი 25 წლის განმავლობაში, იმ თავით აქომამდე თანდათან ვით იფურჩქნებოდა, ვითარდებოდა; ან როგორ მიადლია იმ სანატრელს წამს,

1 საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი, ფ. 1. № 4525.

ოდეს ქართველი ყველა წრისა და წოდებისანი ერთნაირად ღირსეულად შეპატივდნენ სამშობლო სცენის ხელოვნების წარმატებასა. ერის სულიერ ვითარებისა და თვითცნობიერების გაღვივების საქმეში სცენას სამატიო ადგილი უჭირავს და შენს ამ კათედრიდგან ასწავებდი შენს შობილს ერს და მასთან ერთად ბევრს სხვასაც თუ რა ღირსება და ნაული ჰქონდათ, რა უნდა ეგმოთ, რა ეჭოთ, ცხოვრებაში სათაყვანებლად რა გეხადათ. შენ მიერ ხორცშესხმული სასცენო ტიპები, რომელთა მსგავსაც მხოლოდ თვით ცხოვრება იძლევა და არა ავტორის კალამი, უკვდავად დარჩებიან, რადგანაც ცხოვრება და შენი ამ ცხოვრების ნიჭიერად დასურათება ერთთვის არ ეწინააღმდეგებიან, სული ერთი აქვთ და ი, ამან აღგამალა, ამან შეგამყო დღის გვირგვინით, საიმოვნებით აღნიშნავდა ხოლმე რა ყოველსავე ამს თავისი ფურცლებზე „ივერია“, დღესაც ატრაცებით ეგებება ამ შენთვისა და ჩვენთვის სანატრელს წამსა და გისურვებს შრავალ-ფაშიერად დღეგრძელობას, რომ ამშობლო სცენას კიდევ ხანგრძლივად ექმნე ძვირფას შემკობლად, სამგალობო აღმზარდელად!

ილია ჭავჭავაძე

მ. საფაროვი, გ. დეკანოზიშვილი, ივ. ახალშენიშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ი. აგლაძე, ი. კუონია, ა. ახნაზაროვი, ალ. სარაქიშვილი, გრ. ყოფშიძე, ივ. მაჭავარიანი, ს. ფიცხალაია.

1902 წ. 3

საუბილყო ადრესს დართული არა აქვს თვისა და რიცხვის თარიღი. ჩვენი აზრით, იგი შედგენილი უნდა იყოს თებერვალში ვინიდან გ. ამშიძის იხბილე გადახდილი იქნა სწორედ ამ თვეში.

## II. ორი მივიწყებული მოგონება

1. უკრაინელი ლიტერატორი ი. ჭავჭავაძის შესახებ.

ი. ჭავჭავაძის შრავალ არაქართულ მოღვაწესთან ჰქონდა მჭიდრო საქმიანი და მეგობრული კონტაქტები. მით შორის იყვნენ ცნობილი რუსი და უკრაინელი მკვლევარი მ. კოვალევსკი, ნ. ტვანცევი, დ. შავალეი, ინგლისელი პროფ. მორფილი, დამმა უორდროუპები, გერმანელი არ. ლაისტი, დიდი აესტრიელი მეცნიერი ჰუფ. პ. შუხარტი და სხვები. მათგან მ. კოვალევსკიმ და ა. ლაისტმა დაგვიტოვეს შესანიშნავი მოგონებები ილიას შესახებ.

2 საქართველოს სახელმწიფო სითეატრო მუზეუმი. ფ. 1. № 757.

მეთხველოს უფრადება გეგმავდა, რომ ლით უკრაინელი ლიტერატორი ი. ჭავჭავაძის ქრეს ძე პოლტავეცის მოგონებებზე, რომელიც მას გამოქვეყნებულ აქვს 1896 წ. გ. ხარკოვში გამოცემულ სანტრესო ნაშრომში: „შთამბეჭდილებები და ნარკვევები კავკასიაზე“. წიგნი შედგება შემდეგი თავებისაგან: საქართველოს სამხედრო გზა, თბილისი, საგურამო, ზედაზენის მონასტერი, ბორჯომი, ქუთაისი, გელათის მონასტერი, ბათუმი, სოხუმი, ახალი ათონი.

ა. პოლტავეცი ი. ჭავჭავაძის შეხვედრით 1895 წელს „ილიაობაზე“ საგურამოში. აწყურად ჩვენ არ შევეხებით წიგნის ღირსებებს, აღნიშნავთ, რომ იგი დაწერილია ქართველ ხალხისადმი დიდი სიმაპობით და მათთვის ბევრ საუფრადებო ცნობას XIX საუკუნის დასასრულს საქართველოს ქალაქების კულტურულ ცხოვრებაზე.

ა. პოლტავეცი შესახებ იგივე მხოლოდ ის, რომ პროფესიით ექიმი, და ხარკოვის მედიკოსი ყოფილა. მისევე ეუფუნის რამდენიმე საფრანგო სტატია კავკასიის თემებზე. მოგონების ავტორი ი. ჭავჭავაძის სტუმრება 19 ივლისს, 1895 წელს ღამე გაუთვია საგურამოში, ხოლო მეორე დღეს 20 ივლისს დასრუბია ილიას დღეობას. მოგვყავს ეს მოგონება მნიშვნელოვანი შემოკლებით.

„ი. ჭავჭავაძის როგორც პოეტის, ახალ ქართულ ლიტერატურაში ისეთივე სამატიო ადგილი უყავია, როგორც ლერმონტოვისა და გოგოლს ჩვენში. როგორც უბელოცისი და სეზოგადო მოღვაწე იგი ქართველთა შორის განსაუთრებელი პატივით სარგებლობს. მის სიტყვას უფრს უგდებენ, ხოლო აზრს სათუთად ეუადებენ. „მუთი თავადი ი. ჭავჭავაძე არის ამ აზრის, „თვით ილიას სურს ასე“, ჩვეულებრივ ასე ამბობენ ხოლმე ქართველები და ედილობენ დაამტკიცონ მისი გავგებობა და იღებების სამართლიანობა.

თავის ბაწყინეაღე განთლბის წყალობით, რომელიც მას მიღებული აქვს პეტერბურგის უნივერსიტეტში, დიდი ნაყოფობითა და ვანუწყვებელი ლიტერატურული მუშაობის შედეგად იგი ფლობს მტკიცე ლოგიკურ აზროვნებას და შესწევს უნარი სწრაფად ამოცნოს და ზუსტად შეაფასოს აღმნიშნები. როგორც თანამოსაუბრე იგი უბაღლოა: მისი ცოცხალი სიტყვა, ზუსტი, მახვილი თქმა, იუმორი, ზოგჯერ სატირაც, მაგრამ უბორბო, მილიანად იზორილებს მსმენელს და ანიჭებს მას დიდ საიმოვნებას. იგი სტუმართმოყვარე და დიდად გულუბვი პირიონებაა. ი. ჭავჭავაძის სახლის ყარი ღიაა ყველასათვის, ხოლო მისი სახელობის დღეს იგი ამერებს ასობით სტუმარს, რომელთაგან ბევრი მასთან რჩება რამდენიმე კვირით. ამ დღეს მის ზინაზე დილიდანვე იგრძნობოდა განსაკუთრებული გამოცოცლება.

არაგვის მხრიდან მოზანდენე ეკიპები, მხედრები, რომლებიც ნაპარდობდნენ თავიანთ მკვირცხლი შედარებით. სტუმრები მოდიოდნენ როგორც ცალ-ცალკე, ასევე ჯგუფებად და უპირავე ხალხი იყვებოდა გულუხვი მასპინძლის ოთახში.

აქ იყვნენ მეცნიერების წარმომადგენლები, პოეტები, სახელმწიფო მოხელენი, სამხედრო კოჩები; საქართველოს ყველა კუთხეში — კახეთში, ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში გამოგზავნა თავიანთი წარმომადგენლები, რომლებიც გამოცხადდნენ, რათა პარტივი ეცათ ძვირფასი ილიკოსათვის. მახლობელი სოფლების გლეხები, სამასამდე კაცის ოჯახებით, გამოწოდებოდა თავიანთ თვალწარმტაც სოფლურ კოსტუმებში შიდადგენ თავადის სახლს. მათთვის სასწრაფოდ მაღალზე და ხალიჩებზე გაიშალა საუბრე, ხოლო შემდგომ მოეწყო სადილი და მშვენიერული უმარავე ადგილობრივი ღვინო, რომელსაც ისინი შეექცეოდნენ ზომიერად. სულ მალე მათ მთელი გატაცებით წამოიწყეს სიმღერები. მღეროდა ყველა.

სადილობის დროს, როგორც განსაკუთრებულად გასართობი, გამოჩნდა სახალხო მომღერალი, მსგავსი ჩვენი კობზარისა, რომელიც მიუხალოვდა რა მასპინძელს, მომბოხებული იმპროვიზაციით შეუდგა მისი კეთილი ხასიათისა და სასახლო საქმიანობის დახასიათებას. ყველა დიდი უკრალდებით უსმენდა სიმღერას ამ უბრალო პოეტისას, ამასთან ერთად სტუმრებს ელოდათ სხვა სასიამოვნო გასართობი: გლეხებმა გამართეს ჭიდაობა, რომელიც წყვილთა შერკინებიდან გადაიზარდა საყოველთაო შერკინებად და დამთავრდა ყოველგვარი სერობილი ვართულების გარეშე.

ვეფრობით, ე. გაბაშვილისა და ი. მანსვეტაშვილის შესანიშნავ მოგონებებით ერთად ა. პოლტავეცის შთაბეჭდილებანი მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ჩვენ წარმოდგენას „ილიაობაზე“.

**2. ილიას უბრალოდობიდან თბილისის ჩინივზის მუშათა წარმომადგენლებამდე.**

ცნობილია, რაოდენ მჭიდროდ ურთიერთობა აყვებოდა ი. ჭავჭავაძესთან ზაქარია ჭიჭინაძეს. ჭვეთით მოტიანილ გამოქვეყნებულ მის მოგონებაში მოთხრობილია, თუ როგორ ჩავყარა საფუძველი ურთიერთობას ი. ჭავჭავაძესა და რკინიგზის მუშათა ერთ ჯგუფს შორის 1906 წ. შემოდგომიდან.

ზ. ჭიჭინაძეს ეს მოგონება გადაუცია ცნობილ ექიმისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ გედევანიშვილისათვის, როდესაც იგი აგროვებდა მასალებს ი. ჭავჭავაძის თხოვნებითა 1911 წლის ცნობილი გამოცემისათვის. მოგონება ინახება გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზე-

უმში დაცულ მ. გედევანიშვილის *საქართველოს* წიგნში. მოგონება ქვეყნდება *სამეგრელოში* შემოცლებით და ავტორის სტილის დაცვით.

„...პირველი სახელმწიფო საათობისი გათავების შემდეგ ი. ჭავჭავაძე თბილისში დაბრუნდა, მოსვლისთანავე მას რაღაც სწულეება გაუჩნდა, ეს სწულეება მას ისე გაუძნელდა, რომ მალე ოპერაცია უყვეს. ამის შემდეგ იგი ნელ-ნელა უფრო ზღებოდა, რამდენიმე ხნის შემდეგ მორბა კიდევ ისე, რომ თავისუფლად ლაპარაკი დაიწყო და მნახველებმა მიღებად შეუძვე მასთან და მიწოდდა ნახვა იმ დროს, როცა იგი ავად იყო. ოპერაცია ახლად აქნდა ნაშენარი...“

ჩემს წინედ ქრისტეფორე მამაცაშვილი მისუღიყო. ეს გამოვიდა და მეც შეველი. ილიას უყვე ტანსაცმელი ჩაეცო და ტახტზე იყო ჩამოშქარდა და დამინახა თუ არა, მაშინვე დამიძახა ასე: „ოპ, ზაქარია, მობრძანდი, მობრძანდი... მესიამოვნა შენი ნახვა და შენთან ლაპარაკი მინდა. მე აღარ დავაძალე ლაპარაკი და შადლობა უთხარი და მასთან განუცხადე ჩემი სიხარული და სიამოვნება, რომ ოპერაცია ასე ადვილად აიტანა...“

ჰო, ესე. ახლა კი დავიწყით ლაპარაკი... სხვა როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ, ესხა რას ბეჭდავ? მე უამბე ზოგი რამ ცნობები მწიგნობრობის შესახებ... მეერ ვილაპარაკეთ ქართულ მამალიანებზე, შემდეგ ქართულ მწიგნობრობაზეც და უკანასკნელად გადაეუდით ქართულ მუშებზედ. ილიამ იკითხა ეს საგანი ასე:

როგორ არიან ქართველი მუშები, ამა მომიყე, შენ იცი, თუ ყველაფერს მიუწყებ... არ იქნება რომ რამოდენიმე კაცი, თუნდ ერთი, ორი ან სამი მეც გაამცო. დიდად დავიმადლებ. შენ მომიყვანე, ვთხოვე ამას, ამის მეტი ხომ არა დამივალდება რა შენთვის. გაამაციანი, მომიყვანე, ნამეტურ რკინის გზის ქარხნის ქართველი მუშები მაჩვენე, ესენი მინდა ვაგიცო.

მე ვაცნობის პირობა მივეცა და მოვახსენე შემდეგი: დიდის სიამოვნებით, გნებავთ დღესეე საღამოს ვახლებთ. როცა კი ინებებთ ჩემი სახლის კარები ყოველთვის ღია იქნება მაგისთანა ხელოსნებისათვის. აქ ი. ჭავჭავაძემ დროც დამინიშნა მოსვლა, რომ მით არც მუშებს წაერთოდ სამუშაო დროც. ამიტომ მე ვარჩიე დღესასწაული დღეებში მოსვლა და ნახვა ანუ ხელოსან მუშების გაგზავნა.

წასვლაზედ ბევრს რამეზე ვილაპარაკედ. მალე გამოვეშველობე და წაველ. წასვლისას კიდევ უთხარი შემდეგი: ამ ერთ კვირის განმავლობაში თქვენ უსაუთოდ ვაიცნობთ ჩვენებურ შეგნებულ მუშებს.

ამა შენე იცი, მარბათ მოიქცეა და მშვიდობით იყავ. ეს იყო უკანასკნელი მისი სიტყვა მე ვა-

მოვემწიფობ და წამოველ.

ერთი ყირის განმავლობაში მე ვნახე რკინის გზის რამოდენიმე ხელოსანი მუშები და ამის შესახებ მოველაპარაკე. ბოლოს, რომელსაც კარგად ვიცნობდი, რომელიც უფრო შევნიშნული იყო, დავავლე მას რამდენიმე მუშის არჩევა და წასვლა ილიასთან. ეს ხელოსანი იყო მიხეილ ქველოშვილი, კავთისბეველი. ამას დიდად ესიამოვნა ესეთი დავალება, მაღლე იშვინა ამხანაგი მუშები და დანიშნულს დროს წაიღინენ ილიასთან. მე არ გავეყევი, ასე ვამუშობინე. მეორე დღეს ვნახე ეს ხელოსანი და ვკითხე ამბავი, მან გადმომცა შემდეგი: მაღლობელი ვართ, რომ თქვენ გავგავაზავენთ, წუხელის სიამოვნებით მიგვიღო, დიდად გაეხარა ჩვენი გაცნობა. ძალიან ესიამოვნა, ბევრს რამეზეც ვილაპარაკე. სწორედ ცოლდა არის, რომ ჩვენი მუშები მას პირადად არ იცნობენ. ეს ჩვენ არ გვეპატიება. ოო, რა შესანიშნავი კაცი ყოფილა.

ამ მიხეილ ქველოშვილის ნაამბობს მოკლედ ვკრი. ამ ხელოსანს და მის ამხანაგებს მასთან სიარული არც შემდეგ მოუსპია. როცა დრო ჰქონდათ, მაშინ ისინი სიამოვნებით მიდიოდნენ და ილია ჭავჭავაძეც სიამოვნებით იღებდა ხოლმე მათ. ერთი ამ მუშათაგანი გლეხი ჭავჭავაძეც ყოფილა, ზელოში სლესარი, ვისი გაცნობა ილია ჭავჭავაძეს დიდად სიამოვნებია. გლეხი ჭავჭავაძეები ქართლში მრავლად არიან თურმე, ეს მეც არ ვიციდი. რამოდენიმე ხნის შემდეგ მე შემთხვევით ვნახე ილია და სიტყვა ჩამოვარდა ჩვენ საქმეებზედ. სხვათა შორის ხელოსნების გაცნობის გამო მაღლობა მითხრა. სთქვა შემდეგი: ვინაირი მუშები ყოფილან, სინატრელია რომ

მათი მგზავნი მრავლად გაჩნდნენ და სხვა რამ ენობები მე ამ ხელოსანებისგან არა შემიტყვია რა, როცა მინახავს და მილაპარაკებია, მაშინ ამ ხელოსნების აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონია. საჭირო კი არის რომ თვით ამ ხელოსნებმა დასწერონ ის შთაბეჭდილება, რაც მათ ნახეს და ილაპარაკეს ჭავჭავაძისთან. ამ ხელოსნების მასთან მისვლა-მოსვლას საზღვარი დაუდო ილიას მკვლევობამ\*...

აქ მოკემულ მოგონებას სანდობას ანიჭებს და აკონკრეტებს მასში მოხსენიებულ მუშის მიხეილ ქველოშვილის მოგონება, რომელიც მას 1965 წელს ჩაუბარებია ი. ჭავჭავაძის საზღ-მუნეუმიისათვის თბილისში.

ეს ორი დოკუმენტი არსებითად ავსებს ერთმანეთს და საშუალებას გვაძლევს წარმოდგინა ვიქონიოთ ი. ჭავჭავაძის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდის ბიოგრაფიის ერთ საყურადღებო ეპიზოდზე.

როგორც დავინახეთ, განხილული ზუთი დოკუმენტიდან სამი ვანეუთენება ი. ჭავჭავაძის ეპისტოლარულ შემკვიდრეობას, ხოლო ორი მემუარული ხასიათისაა. მათი წყალობით ჩვენთვის ცნობილი ხდება ი. ჭავჭავაძის დღემდის უცნობი კორესპონდენტები: ვ. კარბელი-შვილი, ა. პოლტავეცი, შ. ქველოშვილი. გარკვეული ინტერესის შემცველია ი. ჭავჭავაძის ღვაწლი ვ. მარკოზაშვილისა და მისი რაზმის დაუმსახურებლად შეღავთული ავტორიტეტის რეზილიტაციის საქმეში და სხვ. ეფექტობთ, მოტანილი წერილობითი მასალები ერთგვარად შუქს ჰფენენ ი. ჭავჭავაძის დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას და ხელს უწყობენ მის შემდგომ შესწავლის საქმეს.

## ვახტანგ გორგასლის ოჯახური ქრონოლოგია

ფარნავაზიანთა სამეფო სახლის ქრონოლოგია ქართული ისტორიოგრაფიის ერთი ნაგებად შესწავლილი საკითხთაგანია. არადა ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიის მეფეთა ქრონოლოგიის ზუსტ განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის გასაშართავად.

ფარნავაზიანთა სამეფო სახლის მეფეთა ქრონოლოგიით პირველად ვახუშტი ბაგრატიონი დაინტერესდა. მან ქართლის ახალი სახელმწიფოს შემქმნელისა და ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებლის — ფარნავაზიდან (ძვ. წ. IV. III სს.) მოკიდებული, ქართლში მეფობის ვაუქმებად (ვახუშტის ქრონოლოგიით ქართლში მეფობა 568 წ. ვააუქმეს ირანელმა). ფარნავაზიანთა სახლის უველა მეფის ზეობის წლები მიუთითა.

ფარნავაზიანთა სამეფო სახლის მეფეთა ზეობის წლების ვახუშტისეული დათარიღება კარგა ხანს სრულყოფილად ითვლებოდა. XIX ს-ის შუახანებიდან დაიწეს მისი გადასინჯვა. შემდეგში, თბილისის უნივერსიტეტში შექმნილმა მძღვარმა ქართველოლოგიურმა კერამ ახალ საფეხურზე აიყვანა საქართველოს ისტორიის კვლევა. ძველი ბერძენი, რომაული და სომეხი ავტორების თხზულებებში, ასევე მცხეთა-არმაზში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ანტიკური ხანის ეპიგრაფიული ძეგლების მასალებში ქართლის მეფეთა შესახებ არაერთი ახალი ცნობა გამოვლინდა. იწორედ ამ ახალი ცნობებისა და მონაცემების გაანალიზების საფუძველზე შექმნა პავლე ინგოროვამ დიდი მნიშვნელობის ადგილი დაწერილი ნაშრომი — „ძველი ქართული მატრიონი: მოკცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის ბერძნის მეფეთა სია“ (საქართველოს საბუნ-

ძიეო მუზეუმის მოამბე, ტ. XI, — B, 1941 შემდეგში ეს ნაშრომი პ. ინგოროვას თხზულებათა IV ტომში შევიდა). დასაბუთებულ ნაშრომში, ფარნავაზიანთა მოყოლებული ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის მამის — რვე (ლევ) II-ის ჩათვლით, ფარნავაზიანთა სახლის მეფეთა რიცხვა და მეფეთა დიდი ნაწილის ზეობის მიაზღობებითი წლების დადგენის ცდაა მოცემული.

პ. ინგოროვას გამოკვლევა მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართლის სამეფოს ქრონოლოგიისა და პოლიტიკური ისტორიის გასაშართავად. მაგრამ, როგორც აღნიშნეთ, ნაშრომში, ვარდა იმისა, რომ მხოლოდ ფარნავაზიანთა სამეფო სახლის წარმართი მეფეების ქრონოლოგია არის განხილული, ზოგიერთი მეფის ზეობის წლებზე საერთოდ არაფერია ნათქვამი. სწორედ აღნიშნული ხარვეზის შევსების ისახედა მიზნად აყად. გ. მელიქიშვილის 1958 წელს გამოქვეყნებული მრავალმხრივ საინტერესო გამოკვლევა — „ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის“ (ისტ. ინ-ტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I). დასაბუთებულ ნაშრომში გ. მელიქიშვილმა, ვარდა იმისა, რომ ფარნავაზიანთა მოყოლებულა ქართლის წარმართი და ქრისტიანი (მირიან III-დან — ვახტანგ გორგასლის ჩათვლით) მეფეების ზეობის წლების დადგენა სცადა, არაერთი შესწორება შეიტანა პ. ინგოროვას მიერ დადგენილ ფარნავაზიანთა სახლის წარმართი მეფეების რიცხვა და ქრონოლოგიაში (1978 წ. გ. მელიქიშვილი კვლავ შეეხო ფარ-

I ვახტანგ გორგასლის შთამომავალ ქართლის მეფეთა ზეობის წლები დღემდე სპეციალურად არააის უკვლევი.



ნავაზიანთა სამეფო ხაზლის ქრონოლოგიის საქონებს. იხ. „ქართლის (იბერიის) მეფეთა სიგეში არსებული ხარვეზების შესახებ“. „მაცნე“ ისტორიის... სერია, 1978, № 3).

ფარნავაზიანთა დინასტიის მეფეთა ქრონოლოგიის დანახვევად ახლეთ დღეობა სამეფო-ეკლესიის ჩატარების მიუხედავად, დღემდე ფარნავაზიანთა ხაზლის თითქმის არც ერთი მეფის ზეობის ზუსტი თარიღი არ ვიცით. ამის საშუალებას საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ არსებული ქართული და უცხოენოვანი საისტორიო წყაროების მწირი და ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები არ იძლეოდა. ამ ბოლო დრომდე ფარნავაზიანთა ხაზლის რომელიმე მეფის ოქაბური ქრონოლოგიის დადგენაზე ფიქრით კი ზედმეტი იყო. ამ მხრივ განაღობებული არ ყოფილა ქრონოლოგიური მითითებებით ისეთი მდიდარი საისტორიო თხზულებაც კი, როგორც „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“. უფრო მეტიც, ამ ბოლო ხანებამდე დასაბუთებული თხზულება თვით ვახტანგ გორგასლის მეფობის ზუსტი თარიღის დაადგენ მასალასაც არ იძლეოდა. ამ თხზულების ცნობათა გაანალიზების შემდეგ დასკვნა ერთი იყო: „იგი ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიას“ (ივ. ჯავახიშვილი) ამიტომ იყო, რომ, ვახტანგის ზეობის წლების დასადგენად „ცხოვრების“ ცნობათა გაანალიზების შემდეგ, ლ. ჯანაშიამ საერთოდ უარი თქვა ვახტანგ გორგასლის მეფობის რაიმე კონკრეტული თარიღის მითითებაზე და აღნიშნა: „...ჩვენს ხელთ არსებული ცნობები საშუალებას არ იძლევიან ზუსტად დავათარილოთ ვახტანგ გორგასლის მეფობა. ჩერ-ქერობით უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ვახტანგის მეფობა მოდიოდა V ს. მეორე ნახევარზე“ (იხ. მისი, ლაშარ ფარშაპეცის ცნობებში საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 163-168; შტრ., საქართველოს ისტ. ნარკვევები, II, თბ., 1972, გვ. 105-106).

„ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ არსებული ყველა ქრონოლოგიური მითითება, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „ერთ საფუძველზე“ — ეყრდნობა, ვახტანგის დაბადების თარიღზე არის დამყარებული. ამიტომ, საქმრისბის იყო ვახტანგ გორგასლის დაბადების ზუსტი თარიღის მოძებნა (ჩვენი გამოკვლევების თანახმად, ვახტანგე 481 წ. დაბადებულია და 491 წ. გარდაცვლილა. დაწვრილებით იხ. „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი“, „მნათობი“, 1983, № 11), რომ „ცხოვრებაში“ ძველი ქართული საისტორიო ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლისა და მწყობრი საისტორიო წყაროს შინაარსი მიიღო.

„ცხოვრებაში“ არსებული ქრონოლოგიური მითითებანი საშუალებას გვაძლევს არა მარტო V ს-ის საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების (ბიზანტია, ირანი და სხვ.) არაერთი

ქრონოლოგიური საკითხი დაზუსტებული, ლებურად აქნას გააზრებული, ამავედ ვახტანგის ოქაბის წევრთა ქრონოლოგიის ზოგიერთი თარიღიც გავარკვეოთ.

ვახტანგ გორგასლის ოქაბური ქრონოლოგიის საკითხების გარკვევა ჩვენ გვიწევს ვახტანგის მამის — ქართლის მეფე მირდატის გარდაცვალების თარიღის დადგენით დაიწყოთ. ვახტანგი მირდატის გარდაცვალებას 446 წლით ათარიღებს. გ. შელიაშვილი მირდატის (იგივე მირიდატე VII) მეფობას V ს-ის შუახანებში ვარაუდობს (ქსე, ტ. VI, სტ. მითრიდატე VII, შტრ., მისივე ნაშრომი, ისტ. ინსტის შრომებში, ტ. IV, გვ. 170); ლ. ჯანაშიას თანახმად, მირდატის მეფობა V ს-ის 80-90-იან წლებზე უნდა მოდიოდეს (საქართველოს ისტ. ნარკვევები, II, გვ. 84). ზოგი მკვლევარი ვახტანგის გამეფებას 459 წლით ათარიღებს. ივარაუდება, რომ ამ წელს ქართლის ტახტი ვახტანგმა მამის გარდაცვალების შემდეგ დაიკავა, მაგრამ როგორც ლ. ჯანაშიამ აჩვენა, დღემდე ვახტანგის ზეობის არც ერთი თარიღი მერა მეცნიერულ წიდავზე არ იყო დამყარებული მათ შორის ვახტანგის გამეფებისა 459 წელს.

როგორც მირდატის, ისე ვახტანგის ოქაბის სხვა წევრთა დაბადება-გარდაცვალების წლების გარკვევისას ვახტანგის დაბადების თარიღად ჩვენს მიერ მიღებულია 481 წლიდან ათწლით ქრონოლოგიას დავეყრდნობით.

„ცხოვრებაში“ მითითებულია, რომ, როცა ვახტანგე 7 წლისა გახდა, გარდაცვალოა ვახტანგის მამა — ქართლის მეფე მირდატი. 481 წელს დაბადებული ვახტანგე 7 წლისა 488 წელს იქნებოდა. მირდატის გარდაცვალება ამ მითითების საფუძველზე 488 წელზე მოკვდება.

მირდატის გარდაცვალების თარიღად ჩვენს მიერ მიღებული 488 წლის საზუსტით, უფიქრობთ, კვებომოტანილმა მასალამაც უნდა დადასტუროს.

როგორც „ცხოვრებიდან“ ვიცით, მირდატე ვახტანგის ვარდა სხვა ძე არ ჰყავდა. ამიტომ ქართლის ტახტი 488 წელს 7 წლის ვახტანგმა დაიკავა. მაგრამ, ვახტანგის მცირეწლოვნობის გამო, სამეფოს ვახტანგის დედა — რანქართლის მარშალის ბარზაბაძის ასული საგდულტე განაგებდა. დედოფალს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ის სამშედრო ვალდებულებანი შეეზრულებინა, რაც ქართლის მეფეებს ირანის შაჰებისა და რანქართლის მარშალისთან განვალდებოდა. ამ სამხედრო ვალდებულებებიდან უმთავრესი ჩრდ. კავკასიაში მომთაბარე მუნთურქებისათვის დარიალის ზეგარის ჩაქტვა იყო.

უმთავრესწილის შემდეგ სულ სხვა მნიშვნელობას იძენს V ს-ის სომეხი ისტორიკოსის ლაშარ ფარშაპეცის ცნობა 448 წლის წინა ხა.

ქრონოლოგია

ნებში ქართლის მარზანად სომეხი დიდებულის ვასაკ სიენელის დანიშვნის შესახებ. აღნიშნული ცნობის საფუძველზე აჟდ. ს. ერემიანი ვასაკის ქართლში მარზანობა დაახლოებით 429-448 წწ. ათარიღებს (ლ. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 181).

დაახლ. 439 წ. (ილბათ, უფრო სწორი იქნება 438 წელი). ვასაკ სიენელის ქართლის მარზანად დანიშვნა სწორედ ვახტანგის მცირეწლოვანობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ლაზარ ფარპეტის ცნობით, იედიგერდ II-მ ვასაკი როცა ქართლის მარზანად დანიშნა, ვას ალანთა კარის დაცვა დააქონა. ჩვენ ვარაუდობთ, ბარზაბოდის გარდაცვალების (დაახლოებით 442 წ.) შემდეგ მისმა ძემ და მეჭვიდრემ, ვახტანგის ბიძამ, რან-ქართლის მარზანად ვარაზ-ბაქურმა ვასაკ სიენელის ქართლში მარზანობა შედგებოდნენ. 448 წ. ვასაკი უკვე სომხეთის მარზანად ჩანს. ქართლში სასანაანთა ბატონობის მიერ მანძილზე ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ქართლს ახარაანული წარმოშობის მარზანა გაეყვინა.

მოტანილი მასალის საფუძველზე მირდატის გარდაცვალება 438 წლით უნდა დათარიღდეს. ამავე წელს ავიდა ქართლის ტახტზე ვახტანგ გორგასალი და 58 წელი იმეფა.

ვახტანგის დაბადების თარიღის ცოდნა და „ცხოვრებაში“ არსებული მითითებანი საშუალებას გვაძლევს ვახტანგის დების დაბადების შესახებ თარიღიც დავადგინოთ.

„ცხოვრებაში“ არსებული მითითებით, ვახტანგის მშობლებს — მირდატსა და საგდუბტს პირველად ასული შეეძინათ. „მეოფლა დედოფალი საგდუბტ, — ნათქვამია „ცხოვრებაში“, — და შვა ასული, და უწოდა სახელი მისი ზურაანძე“. იქვე აღნიშნულია, „რუაღად ევიდრებოდეს ღმერთსა მეფე მირდატ და დედოფალი საგდუბტ, რათა მოსცეს ძე და შემდეგ მოად ომისისა წლისა საგდუბტ მიუღდა და შვა ძე, და უწოდა სახელი ...ვახტანგ“ (გვ. 148).

შემომოტანილი ცნობიდან გამომდინარე, რადგან ვახტანგი ზურაანძეს დაბადებიდან ოთხ წლის შემდეგ დაიბადა — ზურაანძე დაბადების თარიღი 427 წლით უნდა განისაზღვროს.

„ცხოვრებაში“ შემდეგმ ნათქვამია, რომ ვახტანგის დაბადებიდან „შემდეგ მოად... შეიქმნესა წელსა, შვა საგდუბტ ასული სხუა, და უწოდა სახელი მისი მირანდუბტ“ (გვ. 148). ე. ი. ვახტანგის უმცროსი და მირანდუბტი ვახტანგის დაბადებიდან 4 წელიწადში (431 + 4), 437 წელს, დაბადებულა. მირანდუბტის დაბადებაზე მითითების შემდეგ „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ „შემდეგ მოად ამისსა წელს მერობა, მოყუდა

მეფე მირდატ და დარჩა ვახტანგ მუცლის ქვეშა ურმა“ (გვ. 148). 437 წელს დაბადებული მირანდუბტის დაბადებიდან „შემდეგ მოად მერობე წელი“ 438 წელია — ამ წელზეც ეს ახალი მითითება ვახტანგის მამის — მირდატის გარდაცვალების შესახებ. როგორც „ცხოვრებაში“ ნათქვამი, ამ დროს ვახტანგი „შვიდისა წლისა ურმა“ დარჩა. 431 წელს დაბადებული ვახტანგი 438 წელს — მირდატის გარდაცვალებისას, მართლაც 7 წლისა იქნებოდა.

მის შემდეგ „ცხოვრების“ ავტორი ვახტანგის ოქახური ქრონოლოგიის მითითებისას ოდნავ უზუსტობას უშვებს, რადგან აღნიშნავს: „ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიღეს ოცსნი სანაი ურიცხუნი... და წარიუქანეს დაი ვახტანგისი მირანდუბტ, სამისა წლისა ქალა“ (გვ. 145) 437 წელს დაბადებული მირანდუბტი 441 წელს, როცა ვახტანგი „წლისა ათისა იქმნა“, 4 წლისა იქნებოდა (ეს მცირე უზუსტობა იმხანად წლის განსხვავებული დასაწყისით უნდა იყოს გამოწვეული).

ახლა რაც შეეხება ვახტანგის შვილების დაბადების ქრონოლოგიას. „ცხოვრებაში“ არსებული მითითებანი საშუალებას გვაძლევს მივახლოებით განვსაზღვროთ როდის შეიერთა ვახტანგმა ცოლად ირანის შაჰის ასული ბაღენდუბტი. უნებურად დავადგინოთ ვახტანგის პირველი ძის — დარჩისა და მისი ტყუპისცალი დის („ცხოვრების“ ავტორი მის სახელს არ უთითებს) დაბადებისა და ბაღენდუბტის გარდაცვალების თარიღები.

დარჩისა და მის დის დაბადების თარიღის დასადგენად „ცხოვრებაში“ არსებული ცნობები უშუალო კავშირშია ბიზანტიის წინააღმდეგ დაწყებული ომისა და, ირანის შაჰთან ერთად, ვახტანგის ჰუნების წინააღმდეგ სალაშქროდ წასვლის წლებთან. მათზე კვეთით მოკლედ შევეჩრდებოთ.

„ცხოვრებაში“ არსებული ცნობით, ბიზანტიის წინააღმდეგ ომის დაწყებისას ვახტანგი 22 წლისა იყო (გვ. 159). ამ მითითების საფუძველზე, ომის დასაწყის თარიღად 436 წ. უნდა ჩათვალოს. ვახტანგისა და მისი ბიძის რან-ქართლის მარზანის ვარაზ-ბაქურის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ წამოწყებული ეს ომი, ქართველ მეციხოვნეთა მიერ სამარტლანად არის მიჩნეული ბიზანტია-ირანის ომად. რაც მოავარია, მისი დამთავრება 456 წელს, როგორც ჩვენ ადრე ვაჩვენეთ, ბიზანტიელი ისტორიკოსისა და დიპლომატის პრიკუს პანიელიის ცნობით დასტურდება (იხ. ჩვენი შემოდასახელებული წერილი „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი“).

ბიზანტიათან ომის დამთავრების (456 წ.) შემდეგ ვახტანგ გორგასალი „ვითარ... მოვიდა ქალაქად თხსად მცხეთად“, ნათქვამია „ცხოვრებაში“, „უშვნა ცოლმან ძე და ასული მარჩივად, და მოყუდა შობასა შინა ბაღენდუბტ

დედოფალი, ასული მეფისა" (გვ. 178), ე. ი. დაი და მისი ტუპისცალი დაი 456 წლის წინა ხანებში დაბადებულა, ხოლო ბაღენდუბტი მშობიარობას გადაყოლია; მაგრამ ეგრძელ რამელ წილს მოხდა ეს?

„ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ბიზანტიასთან ომის დასაფარების (456 წ.) შემდეგ, როცა ირანის შაჰმა ვახტანგის ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლის ამბავი შეიტყო, „შეიქცა სპარსეთად და მოყუდა“ (გვ. 178). ამ ცნობის თანახმად ვამოძის, რომ ირანის შაჰი 456 წლის შემდეგ ჩქარა ვარდაიკვალა. როგორც ამჟამად ცნობილია, ივლიდგერდ II შართლაც 456-ის მომდევნო — 457 წელს ვარდაიკვალა. ველიკრომი, სავეშო არ უნდა იყოს „ცხოვრებაში“ სწორედ ივლიდგერდ II-ის ვარდაიკვალბაზე რომა მითითება. ვარდაიკვლილი შაჰი, „ცხოვრების“ ავტორის ცნობით, ხომ ვახტანგის სიმამრი — ბაღენდუბტი დედოფლის შამა იყო.

ამის შემდეგ „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ვარდაიკვლილი შაჰის ნაცვლიდ ირანის ტახტზე ასულმა ახალმა მცირეწლოვანმა შაჰმა მხოლოდ 3 წლის შემდეგ შეძლო ვახტანგის წინააღმდეგ გაოლაშქრება (გვ. 178). ქართლში ირანელთა ეს ღაშქრობა რადგან ივლიდგერდ II-ის ვარდაიკვალბიდან 3 წლის შემდეგ ხდებდა — 460 წელს მოვა (საერთოდ, ამ ღაშქრობისას მცხეთა-თბილისისთან გამართული ბრძოლები „ცხოვრებაში“ ისეთი სიზუსტითაა აღწერილი, აშკარად ჩანს, აღწერილი ამ ბრძოლების მონაწილე რომ იყო).

ქართლში ირანელთა ეს ღაშქრობა, როგორც „ცხოვრებაში“ ნათქვამია, ბიზანტიელთა ჩარევის გამო ჩქარა წავით დასაფარდა და დაზავებულ ვახტანგს ირანის შაჰმა (ამჟერად პეტროვი 459-464 წწ. იგულისხმება) „დაი“ სხოცვა ცოლად, თვით ვახტანგს კი — თავისი მტრების „აბაშთა და ელამთა, ბინდოთა და სინდთა წინააღმდეგ შეშწიობა“ (გვ. 184).<sup>2</sup> დაი, „ცხოვრების“ ავტორი (460 წ.), ირანის შაჰის მტრების წინააღმდეგ ხალაშქროდ მიმავალი ვახტანგის ოქბათან გამოთხოვების ამბავს როცა ვადმოგვეცხვს, წერს, რომ ვახტანგის ძე დაი ამ დროს 5 წლისა იყო (გვ. 185).

460 წელს დაი თუ 5 წლისა იყო, ერთი მხრივ, მისი და მისი ტუპუპისცალი

2 ირანის შაჰთან ერთად ვახტანგ გორგასლის ეს ღაშქრობა, „ცხოვრების“ ავტორის ცნობით, 3 წელი ვაგრძელდა (გვ. 196), ე. ი. 468 წელს დასთარბდა. „ცხოვრების“ ცნობებიდან მიღებული ეს წელი ზუსტად ემთხვევა სამეცნიერო ლტერატურაში პუნებთან პეტროვის ომის დასაფარების თარიღს (იხ. ჩუენი წერილი „რომელი ქვეყანაა ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ აბაშეთი?“, „მშათობი“, 1964, № 7).

დის დაბადებმა, ხოლო მხრის, ვახტანგის პირველი მეუღლის — ბაღენდუბტის ვარდაიკვალბა 456 წელს მოვა. 456 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ ღაშქრობიდან დაბრუნებულ ვახტანგს დაი შართლაც ახალი დაბადებული დახედულია.

აქვე დგება ერთი საკითხი. თუ ბაღენდუბტი 456 წელს ვარდაიკვალა, 456 წელს, მცხეთაში დაბრუნებამდე, ვახტანგმა არაფერი იყო და ამის შესახებ?

რა თქმა უნდა, მეუღლის ვარდაიკვალბისა და ტუპი ქალ-ვაჟის დახედების ამბავს შეუფს მაშინვე შეატუპიონებდენ. სწორედ ამის ასახვა უნდა იყოს ბიზანტიანთან საჯავო მოლაპარაკებისას, იმპერატორი თავის ასულს რომ მიჩრდებდა ვახტანგს. მიჩრევი მეუღლის ვარდაიკვალბის შემდეგ, როგორც ჩანს, ვახტანგმა იმპერატორთან დანათესავება ვადაწუვიტა, რაზედაც იმპერატორი დღიანამდდა. ამ დროს მას ბაღენდუბტის ვარდაიკვალბის ამბავი რომ არ სცოდნოდა, ქრისტიანული კანონიერობა საშართლიდან ვამოდინარე, იგი შეორე ცოლის შერთვას არ მოაწადინებდა.

როგორც ვეფხვეთ აღწინწეო, ქართლში მიბრძოლი ირანის შაჰი ბიზანტიელთა შუამდგომლობით როცა ვახტანგს დაუზავდა, ვახტანგს „დაა“ სხოცვა ცოლად. „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ვახტანგი შაჰის ამ წინადადბას დათანხმდა და „...მისხვა სპარსთა მეფესა დაა მისი... ცოლად, რომელსა ერქუა შირანდუბტი. რომელი წარტუენულ იყო ოსთათან და ვამოცხნა ვახტანგს. ზუარანძე ამისთვის არა მისცა, რამეოდ დაწინდებულ იყო სომეხთა პიტახსისა“ (გვ. 185). ეს ამბავი, როგორც ვთქვით, 460 წელს ხდება და ამ დროისათვის ზუარანძე უკვე დაწინდული უყოფილა, ამიტომ შაჰისათვის უმცროსი და შირანდუბტი მიუთხოვებია. შირანდუბტი 487 წ. დაიბადა და 460 წლისათვის იგი 28 წლისა იქნებოდა. ერთი შეხედვით, იმ დროისათვის 28 წლის ქალშვილი ვასათოვარი აღარ უნდა უყოფილიყო, მაგრამ „ცხოვრების“ ავტორი, აღბათ, არც ამჟერად ცდებდა.

როდის უნდა შეერთო ვახტანგს ცოლად ირანის შაჰის ასული ბაღენდუბტი?

447 წელს იოსელი ღაშქრობიდან დაბრუნებულმა ვახტანგმა ირანის შაჰს დიდი ძღვენი ვაუგზავნა „და ითხოვა სპარსთა მეფესაგან ასული... ცოლად, ხოლო სპარსთა მეფემან მოსცა ახული მისი ცოლად, რომელსა ერქუა ბაღენდუბტი“ (გვ. 185). მაგრამ, როგორც ჩანს, იმხანად შაჰს თავისი ასული ქართლში არ ვამოუგზავნია, რადგან შაჰმა ვახტანგს „მოუწოდა ბრძოლა ბერძენთა ზედა“. ბიზანტიელთა წინააღმდეგ ამ ბრძოლის დაწყებისთანავე, 453 წელს, ვახტანგი უკვე 22 წლისა იყო, ბაღენდუბტი მას 456 წელს უნდა შეერთო, 456 წელს

კი, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ბაღდადში მშობიარობას გადასვა.

რადის უნდა შეერთო ვახტანგს მეორე ცოლი?

ქვრ კიდევ 466 წელს, ბიზანტიასთან საზავო მოლაპარაკებისას, შეპირდა ვახტანგს იმპერატორი თავის ასულს, მაგრამ ვახტანგმა მისი ქართლში მოყვანა დიდხანს ვერ მოახერხა, თუმცა ვახტანგი მას, როგორც ეს „ცხოვრებიდან“ ჩანს, თავის ცოლად თვლიდა. ამიტომ იყო, რომ, როცა 468 წელს ირანიდან მომავალ ვახტანგს შამხა ცოლად შესთავაზა „თუხოვანი მზეთია“ (ე. ი. სასანიანთა საჯავო დედასი ქალი), ვახტანგმა უპასუხა: „არა ქვრ არს ჩემგან ორთა ცოლთა პერსობა, რამეთუ მვიც მუ ცოლი ასული კეისრისა“ (გვ. 196).

ირანიდან ურბანში (ეფესი, ახლანდ. ქ. ურფა თურქეთში) მოსულ ვახტანგს იერუსალიმიდან მობრუნებული ზუარანძე და დედა — საგდუბტი (ე. ი. 468 წელს საგდუბტი ისევ ცოცხალი იყო, ამის შემდეგ „ცხოვრებაში“ იგი აღარ იხსენიება) დახვდნენ და როცა მოადგნენ გზას „გასაყოფელსა ბერძენთასა და სომეხთას“ (გვ. 196), ვახტანგმა „წარადინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა“ (გვ. 196). და იმპერატორმაც მისცა „ასული თვისი, სახელთი ელენე“ (გვ. 196). ამ ცნობის საფუძველზე, ელენეს ქართლში მოყვანა დაახლოებით 469 წელს ივარაუდება.

ელენე დედოფალსა და ვახტანგს, „ცხოვრებაში“ არსებული ერთი ცნობით, სამი ძე და ორი ასული შეეძინათ (გვ. 199), მაგრამ შემდეგში ორ ძეზე — ლეონზე და მირდატზე — და ერთ ასულზეა მითითება (გვ. 204; „ვახტანგის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში აღნიშნულია: „...ელენემ შვა ვახთანგისგან სამი ვაჟი და ერთი ქალი“, გვ. 183).

რადის დაიბადნენ ვახტანგის ძეები — ლეონი და მირდატი — და ასული, „ცხოვრებაში“ არავითარი მითითება არ არის, მაგრამ არამარადიანი მონაცემებით, მიახლოებით განსაზღვრა მაინც ზერხდება (მესამე ძეზე, რომელიც სომხურ თარგმანში იხსენიება, არაფრის თქმა არ შეუძლია, შეიძლება იგი ვახტანგის უმცროსი ძე იყო და ადრე გარდაიცვალა).

468 წელს ირანიდან დაბრუნებული ვახტანგის სააღმშენებლო საქმიანობის აღწერის შემდეგ, „ცხოვრების“ ავტორი გააშუქავს: „ეთათჳს წარქედს ამას შინა ეჰმნი ჩაოდენიშე“ ირანის ტახტზე ახლი შამხ ავიდაო, რომელმაც „მოუვლინა გორგასალსა მოციქული“ და სობოვა ასული მიეტა ცოლად და თან ბიზანტიის წინააღმდეგ საომრად წაუძოლოდა (გვ. 199-200).

როცა აღნიშნული სათხოვართ შამხს მოციქული ქართლში მოვიდა, „ვახტანგ აუნებდა ქალაქსა ტფილისისსა და საფუძველ

ოდენ დაედა“, „მაშინ ვახტანგს დაედა მშენებნულ იყო ვითარ სამოცისა წლებს“ (გვ. 199).

ვახტანგმა ირანის შამხ შემონათვალზე უარი უთხრა, რის გამოც ბიზანტიის წინააღმდეგ საომრად წამოსული ირანის შამხ 491 წელს ქართლში შემოვიდა. გააღმწვევტი ბრძოლა „ირსსა ზედა“ მოხდა, ბრძოლაში ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა და ჰალევე გარდაიცვალა.

ამ ელჩობისა და ბრძოლის თარიღი ჩვენ ვახტანგის ძეებისა და ასულის დაბადების თარიღების გასაჩვენებლად გვიანტერესებს. „ცხოვრების“ მონაცემებიდან ჩანს, რომ ვახტანგის ასული, რომელსაც შამხ ცოლად სობოვა, ლეონსა და მირდატზე უმცროსი იყო და იგი 490-491 წლისათვის გასათხოვარი წლოვანებისა იყო.

ვახტანგმა ელენე, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, დაახლოებით 469 წელს ჩამოიყვანა ქართლში. ვახტანგის უფროსი ძის ლეონის დაბადებამას თუ 470 წლისათვის ვახტანგის შვიბთ, მომდევნო ძის — მირდატისას — 472 წლით, მაშინ ვახტანგის ქალიშვილი დაახლოებით 474 წელს უნდა დაბადებულყო და 490-491 წლისათვის, იგი 16-17 წლისა იქნებოდა. ასე რომ, „ცხოვრების“ ავტორის ცნობები ამტკიცებენ მისაღებია.

„ცხოვრებაში“ ვახტანგის სიმამრად ლეონი არის დასახელებული (გვ. 203). თუ ამ შემთხვევაში წუარო არ ცდება, მაშინ გამოდის, რომ ვახტანგს, საქართველოში უძველესი დროიდან არსებული ტრადიციისამებრ, თავისი ძეებისათვის სიმამრისა და მამის სახელები დაურქმევია.

491 წელს დაჩის ტყუპისცალი დაი ცოცხალი აღარ უყოფილა. რადგან ირანელთა ქართლში დაშრობის წინ მხოლოდ დაჩისა და მისი დისწულის კახეთში, ლაპოტის ხევეში გახიზნავენა არის მითითება (გვ. 200).

491 წელს, ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის ტახტზე დაჩი ავიდა, დაჩის გამეფებიდან ცოტა ხნის შემდეგ (491 წლიდან დედოფალი ელენე და მისი ორი ძე ვახტანგისგან მიცემულ „დასავლთს ქართლისასს“ ფლობდნენ. ზღუდულობით — წურდას, ზამთრობით ორბუს იუენე) ელენეს უფროსი ვაჟი — ლეონი გარდაიცვალა (გვ. 206). რაც

3 რადგან 456 წელს, ბიზანტიასთან საზავო მოლაპარაკებისას, მოხდა ვახტანგის ელენეზე დანიშვნა, დედოფალი ელენე იმპერატორ მარკიანის (450-457) ასულად უფრო უნდა იქნას მიჩნეული, ვიდრე ამ ზავის შემდეგ, 457 წ. ტახტზე ასული ლეონისა. მითუმეტეს ბიზანტიური წყაროებში ლეონის მხოლოდ ერთი ასული — არიანა (იგი იმპერატორ ზენონს ჰყავდა ცოლად) არის ცნობილი.

შეებება მირდატს, მას დაიბნევა ვახტანგისაგან მიღებული სამფლობელოს მაგიერ მისცა „ვახტანგი ურავნიოვან მტკურამდე“. ამ აქტით მირდატის სამფლობელო მოიცავდა ტერიტორიას „ურავნიოვან და ტახისკრითან ვიდრე ზღუამდე სპერასა“ (გვ. 205). იგი როდის გარდაიცვალა, არ ვიცით, მაგრამ ზევს გვგონია, რომ VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპიოს კესარიელის მიერ ქართლის შეფედ დასახტელებული გურგენი, რომელიც 523 წლის აქანუების შემდეგ თავისი ცოლ-შვილით ბიზანტიაში გადასახლდა, მირდატის შთამომავალი იყო (დაწერილებით იხ. ჩვენს საყანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, „ქართლის პოლიტიკური განვითარება VI ს-ის დამდეგიდან VII ს-ის 30-იანი წწ. დასასრულამდე“, თბ., 1978, რუსულ ენაზე).

რაც შეეხება დაიხს ვარდაცვალების თარიღს რადგან ვახტანგ გორგასლის ვარდაცვალების თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში 502 წელი იყო მიღებული, თავისთავად ავულისხმებოდა, რომ დაიხს 502 წელს უნდა ასულიყო ქართლის ტახტზე. ამიტომ, რომ ქართულ ენციკლოპედიაში (ტ. 3, სტ. დარჩი) მისი მეფობა: VI ს-ის დამდეგითაა განსაზღვრული.

ვახტანგი დაიხს მეფობის ხანგრძლივობას 15 წელს ანგარიშობს (გვ. 115). „ქართლის ცხოვრებაზე“ არსებული ერთი მინაწერით დაიხს 14 წელი იმეფა. აქედ. ს. ჭანაშვიას ვარაუდით, „დაიხს მეფობა მეფობით-შეეცხეს საუწყუნების მიჯნაზე მოდის“ (იხ. მისი, „შრომები, I, თბ., 1949, გვ. 12).

დაიხს მეფობა არ უნდა უოფილიყო ხანგრძლივი. ტახტზე ასვლიდან მან თუ მართლა 14 ან 15 წელი იმეფა, მაშინ იგი 505-6 წელს უნდა გარდაცვლილიყო. ამ ქრონოლოგიით მას დაახლოებით 50 წელი უცოცხლია. თავის მეფობის დროს დაიხს „განსრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და, ვითარ ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოდ“ (გვ. 205). ე. ი. 491 წელს, როცა ვახტანგი გარდაიცვალა, იგი „აშენებდა ქალაქს ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედგა“. თბილისის ქართლის დედაქალაქად გადაქცევა დაიხს მეფობაში 491-505 წლებში მოხდა, მაგრამ როდის დაიწყო ვახტანგმა შშენებლობა?

498 წელს, როცა ვახტანგი ირანიდან ძღვე-

ვამოსილი დაბრუნდა, მართალია, შშენებლობითი საქმიანობა წამოიწყო, მაგრამ ამ დროს თბილისის შშენებლობის დაწყებაზე „ცხოვრებაში“ არაფერია ნათქვამი. თანაც ვახტანგს თბილისის შშენებლობა 488 წლიდანვე რომ დაეწყო, 491 წლისათვის, როცა იგი გარდაიცვალა, „საფუძველი ოდენ“ არ ექნებოდა დადებული. უძველესი, შშენებლობა თბილისის ქართლის დედაქალაქად გადასაქცევად მან 482-484 წწ. ანტიირანული აქანუების შემდეგ დაიწყო.

ეს აქანუება, როგორც ცნობილია, ვახტანგმა წამოიწყო, მას აღბანები და სომხებაც მიემხრნენ, მაგრამ აქანუება დამარცხდა, 484 წელსვე ირანის შაჰი პეროზი ეტალიტებთან ბრძოლაში დაიღუპა, ქართლში შოკთი ირანელი სარდალი ზარმიშტა მანარავუბტი ირანში გაიწვიეს. ირანის ტახტზე ასული ახალი შაჰი ვალარში (484-485), ძველი სომხები ავტორების ცნობით, სომხეთისა და აღბანეთის მიმართ მნიშვნელოვან დამოხმებზე წავიდა. ასეთი დამოხმობა ქართლის მიმართ შეტი უნდა უოფილიყო. რადგან აქანუებას ვახტანგი მეთაურობდა, თანაც ამიერკავკასიის არც ერთ ქვეყანაში მის გარდა შეფედ აღარ იყო. რა თქმა უნდა, ასეთი პიროვნების კვლავ განაწევნებას ვალარში მოერიდებოდა და ქართლს აღბანეთისომხეთზე მეტ შედევითებს მისცემდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 484 წლიდან თბილისში აღარც ირანელთა გარნიზონი იქნებოდა. ასე რომ, თბილისის ქართლის დედაქალაქად გადასაქცევი შშენებლობის დასაწყის თარიღად 485 წელი უნდა იქნეს მიჩნეული, რის გამოც 491 წლისათვის „საფუძველი ოდენ“ იყო დადებული. „იორსა ზედა“ ბრძოლის შემდეგ კავად I-მა ქართლში ირანელთა ბატონობა ძველი ფორმით აღადგინა და, სავარაუდებელია, ვახტანგის ასულიც წაიყვანა.

ზემოაღნიშნული, ვფიქრობთ, კიდევ ერთი დადასტურებაა თ. გორდანიას მოსაზრებისა — „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“. თვითმხილველის მიერ რომ უნდა იქნეს შედგენილი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, მასში არსებული მდიდარი ქრონოლოგიური, პოლიტიკური და სხვა სახის მითითებებთა გამო, აღრვშუასაუწყუნების ქართული საისტორიო ლიტერატურის უდიდეს ძეგლად გვესახება.



უღევი ფყარო

„საისტორიო მოამბის“ ეს ვაგერთიანებულ ნომერი ძირითადად ეძღვნება საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ მეგობრულ კავშირს — „გეორგიევსკის ტრაქტატს“. ნომერი იწყება გ. პაიჭაძის წერილით — „საეტაპო მნიშვნელობის ხელშეკრულება — გეორგიევსკის ტრაქტატის დადების ისტორიის მასალები“, მას მოსდევს ნ. თარხნიშვილის „დადი მეგობრობის ფურცლები“, თ. ტრეაძის — „რუსული ორიენტაციის გზით (შოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიის მასალები XVIII ს. მეორე ნახევრისა)“, გ. ვაზუნიას — „გენიალური მწერლისადმი პატივისცემის გრძნობით (ლევ ტოლსტოისთან ქართველი ახალგაზრდობის ურთიერთობიდან)“, ს. ლეკოშვილის — „აკაკი წერეთელი და რუსული საზოგადოებრიობა“, ფ. ლომაშვილის — „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი დოკუმენტები“, ი. ბერიძის — „თბილისის კომუნალური მეურნეობა 1921-1940 წლებში“.

დასახელებული წერილები უკვე საკმარისია, რომ წარმოგვანა შეგვექმნეს ნომერში შთაბეჭედ მასალებზე. მართალია იმ დღეებში, რომელთაც „საისტორიო მოამბის“ ეს ნომერი ეძღვნება, დიდი ხანია გაიარეს, მაგრამ სიბაბუ და აქტუალურობა გამოქვეყნებულ საბუთებისა უფელათვის მიმზიდველი იქნება.

სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულებანი ყველანი საეტაპონი არიან, მაგრამ 1783 წლის ხელშეკრულება მაინც საქართველოსათვის უფელაზე მნიშვნელოვანია. ეს მნიშვნელობა მაშინვე ისეთი ეფექტური არ იყო, როგორც მან შემდეგ, XIX საუკუნის დამდევიდანვე შეიძინა, მაგრამ იგი მაინც საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის შემობრუნების მიხედვებელი ვახდა — მან აღკვეთა სხვადასხვა ხალხთა, ბრბოებისა თუ სამხედრო ძალების თავდასხმები ჩვენს ქვეყანაზე, რომელთაც წინა საუკუნეების მანძილზე გამანადგურებლად იმოქმედეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ სტრუქტურასა და ეკონომიკაზე საერთოდ.

„საისტორიო მოამბე“, № 47-48. „მეცნიერება“. 1958.

სახელშეკრულებო მასალებს წინ უძღვის გიორგი პაიჭაძის პატარა წერილი, დეკავშირებული მასალის პუბლიკაციასთან, რომელიც გეამცნობს, რომ აქ წარმოდგენილია „პაიჭაძის პოტიომკინის ის პატაეები, სადაც ასახულია გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის ისტორია“. სულ გამოქვეყნებულია ოცდაათი საბუთი, შინაარსითა და ხასიათით მუტად საინტერესონი, რადგან ისინი გეაცნობენ ურთიერთობათა იმ მხარეს, რომელიც საერთოდ არ ჩანს ხელდაიბრე და გინეყუთუნება დიპლომატიურ ურთიერთობას და სხვადასხვა არხებს. გ. პაიჭაძის პუბლიკაციები გვიჩვენებენ, იმ მიწერ-მოწერას, რაც გამართული იყო მეფე ერეკლესა და მეზობელ სახანოთა მმართველებთან (იბრაჰიმ ხანი, სოლეიმან ფაშა, ფათალი ხანი...), დიდ რუს მიხელებთან, სოლომონ პირველთან, სომეხთა კათალიკოსთან და სხვ. ამ საბუთთა გაცნობა წარმოგვიდგენს იმ დახლართულ და რთულ ვითარებას, რაშიც მოქცეული იყო მეფე ერეკლე. მართლაც, დიდი სიფხზილ და გამჭრიახობა იქნებოდა საჭირო იმ რთულ ვითარებაში მართებული ორიენტაციის მოსაძებნად! ჩახლართული ვითარებანი ზოგჯერ რადინირებული მომენტებით იცვლებოდა, არს საბუთებიც აგრეთვე მორთაილია წიგნის ამ ნაწილში. ესენია საზეიმო შეხვედრები, რთული დიპლომატიური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ცერემონიალები, გეორგიევსკი ქართველ დიპლომატთა მიღება, გიოგოლ პოტიომკინის მოხსენებანი, რომლებიც აღწერენ ტრაქტატის დადებისა და მისი რატიფიკაციისადმი მიძღვნილ ზეიმებს თბილისში 1783 და 1784 წლებში.

წინო თარხნიშვილის მომზადებული პუბლიკაციებიც გეორგიევსკის ხელშეკრულებასთანა დაკავშირებული. აქ არის, როგორც სსრ ცენტრალური საისტორიო არქივის, ისე სხვა მნიშვნელოვანი არქივებიდან და სხვადასხვა დროის პუბლიკაციებიდან ამოკრებილი საბუთები. აღსანიშნავია მეფე ერეკლეს წერილები ლეონ ბატონიშვილისა და აბტონ კათალიკოსის რუსეთს გამგზავრებასთან დაკავშირებით, იმავე ერეკლეს წერილი გეატრანიე მეორესთან, ერეკლეს წერილის საბუთები ცი-

ზე-სიმაგრეთა ვასამაგრებლად და ლეთა თარვის აღცეთის შესახებ, ქართლ-კახეთ-იმერეთის ხელშეკრულება ერთობლივ თავდაცვასთან დაკავშირებით, ეკატერინე მეორის წერილი ერეკლესთან და სხვა.

თამარ ტავაძის მიერ დამუშავებული საბუთები XVII საუკუნის ამბებს შეიცავენ. მათი თარიღები მოქცეულია 1615-1696 წლებს შორის. ამ საბუთებით ეცობდებიან ისტორიული პიროვნებანი და ამბები, რომელნიც ტრაქტატის დადებამდე მომხდარ ფაქტებს წარმოადგენენ და ამ ხელშეკრულებასთან არიან დაკავშირებული: მისკეთის მეფის — თევდავისაგან თეიმურაზ პირველისათვის და მისი შვილისათვის საშტრების გამოგზავნა, მეფე ალექსი მიხეილის ძის განკარგულებანი უფლისწულ ერეკლესათვის (თეიმურაზ პირველის შვილისშვილი) ივრალის მიცემაზე, უფლისწულის დედის ევფრესიასთვის წყალობის წერილის გაგზავნაზე, პეტრე პირველისა და მისი ძმის განკარგულებანი არჩილისა და მისი ამაღლისათვის ქაშივირის დანიშვნაზე და სხვ. (სულ 50 საბუთი). ეს საბუთები ილუსტრაციებია იმ ჩვენი ცოდნისა, რაც უკვე ცნობილია ოფიციალური ისტორიის მეშვეობით.

გიორგი ვაბუნიას პუბლიკაციები (სულ 25) სხვა ისტორიულ პერიოდს გვიხატავენ. აგვინალური შწერლის პატივისცემის გრძნობით — არის სათაური კრებულის ამ ნაწილისა და შეეხება მაშინდელი ქართველი ახალგაზრდობის ურთიერთობას ლევ ტოლსტოისთან. პუბლიკაციის წყაროებია სსსრ საისტორიო არქივი, ლიტერატურის მუზეუმი გ. ლეონიძის სახელობისა, ტოლსტოის თხზულებათა სრული კრებულები. ცნობილია ლ. ტოლსტოის დამოკიდებულება მის დროინდელ ხელისუფლებასა და უწმინდეს სინოდთან, რამაც გაამძვინა ამ შწერალთან მაშინდელი ახალგაზრდობის დამოკიდებულება, რომელთა შორის ბევრი იყო ქართველი. ისინია პოლიანა ახალგაზრდობის თავყანისცემის პუნქტი იყო, სინოდსაც არა მხოლოდ რუსეთის ქვეყნიდან, არამედ მთელი მსოფლიოდან მოედინებოდნენ შწერლისა და მოაზროვნის თავყანისცემლები. რამდენი ქართველი მიხატებია ისინია პოლიანის მოძღვრის, რამდენთან დღემყარებია მის მკიდრო ურთიერთობა. ამის სახევენებლად ილია და ნინო ნაკაშიძეების ვასკენებაც კმარა. პირველი საბუთი ის ცნობილი წერილია, რომელიც შწერალმა თბილისელ ახალგაზრდა ქათა ჩგუფს გამოგზავნა 1886 წელს. შწერალმა მიუთითა ახალგაზრდა ქალებს, თუ რა უნდა გაეკეთებინათ საერთო სასარგებლო საქმისათვის, რაში უნდა დაეხარჯათ ახალგაზრდული ძალა. სამწუხაროა, რომ არ ვიცით, ვინ იყვნენ ეს ქალები, რომელთაც მიიღეს შწერლისაგან გამოგზავნილი რჩევა და მოხდა თუ არა რეალიზაცია იმ გონიერი რჩევისა საინ-

ტერესთა კორლე იანოესის, ვასკენის ნაკაშიძის ვლო ოლქის მზრუნველის, ხაჭაბუძის ნაკაშიძის ზრდობის გონების დაცვისათვის ტოლსტოის შემოქმედების „მადე“ გაელენისაგან. მართამ იაშვილის, თბილისელი ახალგაზრდების წერილები ლევ ტოლსტოის მიმართ, ილია ნაკაშიძის ძმის პოლიციის მოძალადეობისაგან გამოსხისათვის ტოლსტოის ზრუნვა, პეტერბურგელი ქართველი სტუდენტის ბორის გეგიძის მილოცვა ტოლსტოისადმი, ანესალიმ (პროკლე) ტამბის წერილი ტოლსტოისადმი კუეიშში მისთვის წიგნების გამოგზავნასთან დაკავშირებით, გიორგი ჯაფარიძის წერილი, თბილისის გიმნაზიის მოწვევებს — კოტე დონდაროვის (იგი გოგელი იურისტი იყო და ამ 40-50 წლის წინ იქ მუშაობდა), გ. არღუთინსკისა და სხვების, აგრეთვე ვარლამ ბაქრაძის წერილები ტოლსტოისადმი და სხვანი შესანიშნავი საბუთებია ქართველი ახალგაზრდობის გონებრივი პორიზონტისა და ტოლსტოისთან მათი ურთიერთობისა. ამ ურთიერთობის მონაწილე უფილან სანდრო შანშიაშვილი, მართამ ანდრონიკაშვილი და სხვანი ჩვენთვის ცნობილია, თუ რა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველმა სტუდენტებამ ლევ ტოლსტოის დასაფლავების ცერემონიაში 1910 წელს. ქართულ შემართულ ლიტერატურაში ფაქტი საყამოდ არის განმარტებული (გრიგოლ და ლადო ჯაფარიძეთა მოგონებები).

სოლომონ ლეიშვილის პუბლიკაციების (სულ 22) წყაროები არის საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი და ზოგიერთი ქართული და რუსული ვაზთი და ეტრნალი. პუბლიკაციები ეხება აკაკი წერეთლისა და რუსი საზოგადოებრიობის ურთიერთობის 1891-1915 წლებში. რუსი შწერლები საფუძვლიანად ვერ იცნობდნენ აკაკი წერეთელს, მაგრამ მისი რამდენიმე რუსულად თარგმნილი თხზულება და თვით აკაკის პოეტური გარეგნობა ბევრს ეუბნებოდა აღბათ მის რუს პატივისცემულებს, რომელთაც გულწრფელი ლექსები დაუწერიათ მისთვის. პუბლიკაციებში არის ვლადიმერ გილიაროესკის, ვლადიმერ ლებედევის ლექსები, მსახიობ ლილია იალორსკიას ადრესი, ანატოლე კრემლევის მიძღვნა, ვლადიმერ კორნეილეს ღებეშა, პავლე საკუნის მილოცვა. ეს საბუთები მართლაც ახალი მიგნებულება (სულ 33 საბუთი) და ამოკრებილია საბუთთა კავშირის ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი და ეცული პოლიციის დეპარტამენტის მასალებიდან. ი. ჯაკევიძის მომავალ იუბილესთან დაკავშირებით ამ საბუთთა გამოქვეყნება, ადრე ჩვენი არქივიდან ამოკრედილ მასალასთან ერთად, მნიშვნელოვანი ფაქტია. ეს პუბლიკაცია იმის შეჩვენებულებაა, თუ ვერ კიდევ რამდენი რამ არის შესასწავლი და წსააიეთი, რაც დაკავშირებულია ი. ჯაკევიძის სახელთან. ი. ჯაკე-

ჰეაქემ რომ პოლიციის მეთვალყურეობაში იმყოფებოდა, ცნობილი ფაქტია, რაზეც მეტყველებს საქართველოში დატული მასალაც და ოქტომბრის რევოლუციის არქივიდან გამოქვეყნებული ზოგიერთი დოკუმენტიც (მაგ., ავთ. იოსელიანის მიერ 1951 წ. დაბეჭდილი). ახლად გამოქვეყნებულ ზოგიერთ ფაქტს ახსენებენ და, როცა შეიქმნება ქართული ელტურის ამ ზეკაცის ცხოვრების მართიანე (დოკუმენტირებული), ეს და ამგვარი სხვა მისალა შესაფერის ადვილს დაუჭერს მასში. ამ ტომში გამოქვეყნებული საქმეები ერთხელ კიდევ ავტოხლებს იმ ამბებს, რაც უკავშირდება პროფკატორ სერგეი დეგაევის სახელს. აღჩინდელი პუბლიკაციებით და ქართული მეშინარული ლიტერატურით ცნობილია დეგაევის „მოღვაწეობა“, მისი ორსახეობა, „საგვირო“ საქმეები. დეგაევის პროვოკაციებს ვერ ასცდებოდა ი. ჰეკვაიამეც, რომელსაც XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან სულ უფრო და უფრო ეზრდებოდა ავტორიტეტი საეროენო მოღვაწისა. იქ გამოქვეყნებული საბუთები ზუსტად აჩვენებს, თუ როდის დაწესდა და როდის შეწყდა პოლიციის მეთვალყურეობა ი. ჰეკვაიამეზე.

ფ. ლომაშვილი საბუთებს უმძლივრებს წინასიტყვაობას, რომელშიც ახლად გამოქვეყნებული მასალა დახასიათებული. პოლიციის კარგად სცოდნია ი. ჰეკვაიამის პოლიტიკური კრდო საქართველოს ავტონომიასთან დაკავშირებით. ასევე მერტყალებად ზუსტად ცნობენ ი. ჰეკვაიამეზე, მის მკვლევარობათა მარშრუტებზე, საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებაზე, რომ ი. ჰეკვაიამე გამორჩეული გონების კაცია და თავისუფლად მოაზროვნე ქართველებში დიდი სახელი აქვს, რომ მასთან იმართება კრებები, რომლებზეც ი. ჰეკვაიამე პოლიტიკური სეპარატიზმის აზრებს აერცვლებს და ახალგაზრდობას აღულებს. ეს საბუთები ი. ჰეკვაიამის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განწყობილებებს დამადასტურებელნი არიან. პოლიციის აგრეთვე სხვა ქართველი ინტელიგენტების — ნიკო ნიკოლაძის, ალექსანდრე ნანვიშვილის, სტეფანე ჰრელაშვილის,

ეგნატე იოსელიანისა და სხვათა მეთვალყურეობა აღუნუსხავს, მაგ., ნ. ნიკოლაძის მეთვალყურეობა თუ რას აეთებდა იგი ამ თუ საზღვარგარეთ.

„საისტორიო მოამბის“ უკანასკნელი პუბლიკაცია ასახავს თბილისის კომუნალურ მერენობას 1921-1940 წლებში. ეს საქმაოდ მოზრდილი ეტაბი იყო ჩვენი დედაქალაქის ისტორიაში; საბუთები ამოკრებილია თბილისის საქალაქო სახელმწიფო არქივიდან, გარდა ორისა, რომლებიც შესულია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის რეზოლუციებშია და გადაწვევებშიც. ახალი დროის ქრონიკას ასახავს ამ გამოქვეყნებული 32 საბუთი. ძველ თბილისელებს ახსოვთ ის პერიოდი როცა ჩვენი ქალაქი ფერს იცვლიდა, როცა დაისახა პერსპექტივა უძველესი ქალაქის განახლების, შენების და ფერისცვალობის, როცა შედგა პირველი მოკრძალებული გეგმები სახელმწიფოებობისა, ქალაქის ელექტროენერგიით მომარაგებისა, წყალსადენისა, კანალიზაციის და სხვა კომუნალური სამსახურთა განახლებისა და მშენებლობისა. ამ მსალეებში ბევრი ცოცრებაი, აღმნიშვნელი მაინდელი ფაქტიური ვითარებისა და პერსპექტიული საუშეაოების, ძველი ქალაქის ცხოვრების გარდაქმნისა. საბუთებში მიმოხილვა და პუბლიკაცია როგორც უკვე ითქვა, ირავლი ბერამეს ეკუთვნის.

„საისტორიო მოამბის“ ეს მორავი ტომი ბევრი მნიშვნელოვანი და საინტერესო ცნობის შემცველია, რაც მთავარია, ეს გამოცემა შესაძლებლობას იძლევა არა მხოლოდ წარმოედგინონ ჩვენი სამშობლოს წარსულის ეს თუ ის მოვლენა, ამბავი და ადამიანები, არამედ იგი საშუალებას ქნის კვლევა-ძიებისათვის, რაც დაინტერესებულ პირთვნებს დაეხმარება აწყოოს გასათვალისწინებლად და გასაგებად. ამდენად ავტორებთან ერთად მადლობა ეკუთვნის სარედაქციო კოლეგიას, მთავარ რედაქტორს (ა. მანელაშვილს) და ყველა მუშაკს, ასეთი მნიშვნელოვანი და შინაარსიანი ტომის დაუშეაებისა და გამოცემისათვის.

სოლომონ ხაუთოვილი.

## ენის ისტორიის კვალდაკვალ

ქართული სალიტერატურო ენის ისტორია თანამედროვე ქართველური ენათმეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ამასთან ნაკლებად შესწავილ სფეროს წარმოადგენს.

ზურაბ ხაჩვიაძე. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შეხავალი. «განათლებლა». 1984.

დღესდღეობით ჩვენს სტუდენტ-ახალგაზრდობას არ მოუბოვება სახელმძღვანელო წიგნი აღნიშნული კერის შესასწავლად. უდიდეს სირთულეს ქნის ის გარემოება, რომ, თუმცა ძველი და თანამედროვე სალიტერატურო ქართულის გრამატიკული სტრუქტურა ძირითადად შესწავილია, მაგრამ ამას ვერ ვიტყვი ე. წ. გარდამავალი ხანის — XII-XIX

საუკუნეების სამწერლობო ქართულზე. დღეისთვის არ გავაანია ფუნდამენტური გამოკვლევები ამ ხანგრძლივი ეპოქის მნიშვნელოვან ლიტერატურულ-სამეცნიერო თხზულებებისა თუ საისტორიო ძეგლების ენის შესახებ. ცხადია, ყოველი ახალი გამოკვლევა სალიტერატურო ენის ისტორიის სფეროში ცხოველ იტერესს იწვევს.

ახლანდელ გამოკვლეობა „განათლებლამ“ გამოაქვეყნა ზ. სარჯველაძის წიგნი „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესახებ“. მასში ავტორმა თავი მოუყარა თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო კვლევის შედეგებს და ამასთან განსაზღვრა კვლევის ძირითადი მიზანობები: სალიტერატურო ენის ისტორიის კურსის შექმნის თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ წინამდებარე ნაშრომში იძლევა უმდიდრეს მასალას ქართული ენის ისტორიული გრამატიკისათვის, რამდენადაც მასში ზუსტადაა აღწერსული ძველი ქართული ენის წიაღში განხორციელებული ყველა ძირითადი ცვლილება როგორც ფონეტიკურ, ისე გრამატიკულ სისტემაში. დადგინდა ამ ცვლილებათა ქრონოლოგია.

ნაშრომში ქართული ეპიგრაფიული და ხელნაწერი ძეგლების შესახებ მსჯელობისას (I თავი) მკვლევარმა წარმოიხილა როგორც ქართულ და რუს მკვლევართა, ისე უცხოელ ქართველოლოგთა ლაქა და დასაბუთებულია დიდალი ლიტერატურა, რომლის მეშვეობითაც მკვლევარს შეუძლია თვლი მიაღწეოს ქართული სალიტერატურო ენის შესწავლის ისტორიის კლასიკური ხანიდან მოყოლებული ვიდრე თანამედროვე ეპოქამდე. წიგნი გამოქვეყნებულია საკითხთა ფართო წრე. ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხს ირგვლივ არსებულ თეორიებს; ზოგადადაა მიმოხილული ისეთი პრობლემური საკითხები, როგორცაა სალიტერატურო ენის ნორმები და ცოცხალი მეტყველება, სალიტერატურო ენა და ქართველური ენები, ქართული სალიტერატურო ენის ურთიერთობა უცხოურ ენებთან, ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია და სხვა. ავტორს, ცხადია, არ შეუძლო ყველა ამ პრობლემის ფართოდ და ამომწურავად გამოქვეყნება, ეს არც შეადგენდა ნაშრომის მიზანს, რადგან თითოეული მათგანი მკვლევართა ფართო წრეების მრავალწლიან მუშაობას მოითხოვს, მაგრამ წინამდებარე ნაშრომში აღძრული საკითხები განხილულია ზომიერად, ძირითად პრობლემებთან მისადაგებთ.

ზ. სარჯველაძის ნაშრომის უმთავრესი ღირსება, ზვენი აზრით, ისაა, რომ მასში, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრულია კვლევის ძირითადი მიმართულებანი, წარმომხილელია დღემდე გამოკვლევებულ სამეცნიერო ლიტერატურის მნიშვნელობა ქართული სალიტერატუ-

რო ენის ისტორიისათვის და ცხადია მნიშვნელოვანი, მასში ავტორმა მნიშვნელოვანი თული ენის წიაღში დადსტურებულ ინოვაციათა ზუსტ დათარგმნებას. ქართული ენის ფონეტიკური და გრამატიკული სტრუქტურათა ანალიზს ეძღვნება ნაშრომის ძირითადი ნაწილი (გვ. 276-603). ამ ნაწილში გაანალიზებულია და ხელნაწერთა მონაცემებით ილუსტრირებულია თითოეული ინოვაცია, რომელსაც კი ადგილი ჰქონდა ძველი ქართული ენის ეპიგრაფიულ და ხელნაწერი ძეგლები V-VI საუკუნეებიდან ვიდრე XI-XII საუკუნეებამდე. თითოეული ფონეტიკური თუ გრამატიკული მონაცემის ინტერპრეტაციისას ავტორი არ ერიდება უდადეს ავტორიტეტებს და ხელნაწერთა უამრავი ფაქტებით ადასტურებს თავის მოსაზრებებს.

ზ. სარჯველაძის დიდად მნიშვნელოვანი გამოკვლევა, ბუნებრივია, აღძრავს მრავალ საინტერესო საკითხს, რომელთა საბოლოო დადგენა მომავლის საქმეს წარმოადგენს. ამჟამად ზვენი შევებებით ორ მათგანს, რომელთა გამოვალისწინება, ზვენი აზრით, საკურო იქნება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის კურსის შექმნის პროცესში.

უპირველესად ყოვლისა შევებებით ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემას. საბრტყეობით წიგნი ამ საკითხს ეძღვნება II თავი. ავტორი კრიტიკულად განიხილავს არსებულ მონაცემებს, კერძოდ, იყენა წყაბიშვილის მიმოთხზვას ქართული დამწერლობის წინარქისტორიულ ხანაში წარმოშობის შესახებ, ე. წ. „მამუროცის თეორიას“, გ. წერეთლის მოსაზრებას ქართული დამწერლობის ფინიკურებიდან და ძველი არამეულიდან წარმოშობის შესახებ, თ. გამყრელიძის და სხვათა შეხედულებებს. საბოლოოდ ავტორი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა ბერძნულიდან მომდინარეობს და ქრისტიანობის შემოღების შემდეგ უნდა შექმნილიყო, კერძოდ, IV საუკუნის მეორე ნახევარში ახ. წ.-ით.

ზ. სარჯველაძის წიგნი მხოლოდ გაკრითაა მოხსენიებული რ. პატარიძის ფართოდ ცნობილი გამოკვლევა „ქართული ასომთავრული“ (თბ., 1980) და მიითვლება სამეცნიერო ლიტერატურის სიაში. ვფიქრობთ, რომ ეს გამოკვლევა უფრო ფართო განხილვის მოთხოვნაა, რადგან მასში, ა. წყაბიშვილის დებულებებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია კომპლექსური კვლევის შედეგებზე დამყარებული და მკაცრად არგუმენტირებული მწყობრივი შეცნირული სისტემა ასომთავრული დამწერლობის წარმართულ ხანაში შექმნის შესახებ, რომლის ხელდასაბუთებში უარყოფა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, შეუძლებელია. რ. პატარიძე არ უარყოფს ქართული ასომთავრულის ბერძნულ ანბანთან სიახლოვეს, უფრო მეტიც, იგი გა-

მოყოფს ბერძნულ ანბანურ ჯგუფს ასომთავრულ ანბანში (იხ. „ქართული ასომთავრული“, გვ. 101). ამასთან აღნიშნავს, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში ასახულია ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპი.

რ. პატარიძემ ამ გამოკვლევაში დასაბუთა, რომ ასომთავრულ ანბანში ჩაქსოვილია ქართული წარმართული რწმენა; რომ ამ ანბანის შეიქმნა ასო-ნიშანი (ა, ბ, თ, ლ, ც, პ, ჟ) წარმართულ ღვთაებათა იდეოგრაფიკულ-ფონეტიკურ წარმოდგენებს; ქართული ასომთავრული ანბანის ასოთა რიცხობრივ მნიშვნელობაში, რ. პატარიძის დასკვნით, განხორციელებულია საკალდური რიცხვები, აგრეთვე შინისა და შთაბრის კალენდარული სისტემები.

ქართული ასომთავრული ანბანის წარმართულ ხანაში წარმოშობას ადასტურებს აგრეთვე მკვლევარი ელენე მაჭავარიანი. ასომთავრული ანბანის გრაფიკული საფუძვლების სტრუქტურული კვლევის შედეგად, მკვლევარმა საბოლოოდ ასეთი დასკვნა გააკეთა „ასო-მონაზულთათა პალეოგრაფიული ცვალებადობის საფუძველზე ადრეული განვითარების ხანგრძლივობის გათვალისწინება და ასევე გრაფიკული წყობის ძველ არქიტექტურულ ფორმებთან შესაბამისობა შესაძლებლობას გვაძლევს ქართული ასომთავრული გრაფიკული სტრუქტურის შემქნა ქრისტიანობამდე ხანის დავუკავშიროთ“ (ფურც. „სახეობათა ზელოვნება“, 1977, № 10).

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც უნდა შევხებით, ეს არის ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია.

სარკვევნიო ნაშრომში განხილულია რამდენიმე თვალსაზრისი ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის შესახებ, კერძოდ, ა. შანიძის მოსაზრება სამი პერიოდის — ძველის, საშუალოსა და ახალი სალიტერატურო ენის — გამოყოფის შესახებ; აგრეთვე ძველი ქართული ენის სამ მიკროპერიოდად — ხან-მეტურად, პემეტურად და ხანარევიად დაყოფის შესახებ. მეორე მხრივ, ავტორი ვაკანობის ა. ჩიქობავას თვალსაზრისს ქართული სალიტერატურო ენის ორ პერიოდად, ძველ და ახალ ქართულად, დაყოფის შესახებ. ზ. სარჯველიძე კრიტიკულად განიხილავს თითოეული პერიოდიზაციის მეცნიერულ არგუმენტაციას და საბოლოოდ არც ერთს არ მიიჩნევს დამაკმაყოფილებლად.

ზ. სარჯველიძის მეორე ზემოთ განხილული ორივე პერიოდიზაციის საწინააღმდეგოდ წარმოდგენილი არგუმენტაცია უდაოდ საინტერესოა და გასათვალისწინებელი, მაგრამ წინააღმდეგობა არ ჩანს, თუ რა საფუძველზე არ იზარება იგი მოსაზრებას საშუალო ქართლის დამოუკიდებელ პერიოდად გამოყოფის შესახებ. ცხადია, საშუალო ქართული ჯერჯერობით არაა შესწავლილი ძველი და თანამე-

დროვე ქართლის დონეზე, მაგრამ ხოლო წინააღმდეგობა გამოქვეყნდა რამდენიმე წინააღმდეგობა ქართული საშუალო ქართლის როგორც დამოუკიდებელი პერიოდის ენობრივი სტრუქტურის სპეციფიკისა. მზედველობაში ვაკანის უპირველესად უკოლისა ი. ქავთარაძის ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული ენის ისტორიისათვის“ (თსუ გამოც., თბ., 1964), რომელშიც მდლადი დოკუმენტური მასალის საფუძველზე განაწილებულია XII-XVIII საუკუნეების სალიტერატურო ქართლის ფონეტიკური სტრუქტურის თავისებურებანი. ი. ქავთარაძის დასკვნა ასეთია: „XII და მომდევნო საუკუნეების ქართული ეს არის ახალი ეტაპი ქართული ენის ისტორიაში, ეს პერიოდი გრძელდება XVIII საუკუნემამდე“ (გვ. 379). „XII-XVIII სს. ქართული არის ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს საშუალო ქართული“ (იქვე, გვ. 380).

სარკვევნიო წიგნის 272-ე გვერდზე ზ. სარჯველიძე სრულად სამართლიანად მიუთითებს: „XII-XVIII საუკუნეთა ძველები თეატრულ მრავალფეროვანია. ვაკანს სასულიეროსა და საერო მწერლობის თხზულებანი, საისტორიო ფანრის ნაწარმოებები, საისტორიო დოკუმენტები, იურიდიული ხასიათის ძეგლები. შესაბამისად მრავალფეროვანია სალიტერატურო ენის სტილიტიკური შესაძლებლობანიც. ცხადია, ყველა წერილობითი ძეგლის ჩვენება ერთნაირად ფასეული ვერ იქნება სალიტერატურო ენის ისტორიისათვის“. ავტორი ჩამოთვლის ექვს ფაქტორს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია XII-XVIII საუკუნეთა სალიტერატურო ქართლის შესწავლისას.

- 1) ნაწარმოების ფანრის გათვალისწინება; 2) ძველის ორიგინალობის საკითხი; 3) თუ როგორია ძველი მოღწეული ჩვენამდე, პირვანდელი სახით თუ შეცვლილად; 4) რომელი კუთხის წარმომადგენელია ავტორი; 5) მნიშვნელოვანია ავტორის ენობრივი პოზიცია ცოცხალი მეტყველებისადმი დამოკიდებულების საკითხში; 6) რომელ სალიტერატურო სკოლას მიეკუთვნება მწერალი.

უნდა შევინიშნოთ, რომ, ჯერ ერთი, საშუალო ქართლის დამამთავრებელ ეტაპად ვერ მივიჩნევთ XVIII საუკუნის დასასრულს, რადგან XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ მძლავრად იგრძნობა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საწერლობო ქართლისათვის ნაწარმოებები მოვლენები — ანტონ კათალიკოსის საენათმეცნიერო მოძღვრებისა და მისივე თხზულებათა ენის გაყვანის შედეგად დამკვიდრებული ზელოვნურად გაატიკულირებული გრამატიკული ფორმები და სინტაქსური კონსტრუქციები.

მეორეც, თვით საშუალო ქართლის ფარგლებში შეინიშნება ისეთი მნიშვნელოვანი თა-

ვისებურებანი, რომელთა ერთობლიობაც განსაზღვრავს მისი როგორც დამოუკიდებელი საფეხურის ფონებულად მიგვაჩნია ზ. სარჯველაძის სტრუქტურის სპეციფიკას.

საშუალო ქართლის გრამატიკული სტრუქტურის საფუძვლიანი შესწავლა უფროდ მრავალ სპეციფიკურ თავისებურებას წარმოაჩენს. საესეზო მართებულად მიგვაჩნია ზ. სარჯველაძის დასკვნა იმის შესახებ, რომ „ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის პრობლემა საბოლოოდ შეიძლება გადაწყდეს ენის ისტორიის დეტალური შესწავლის შემდეგ“.

შენი შენიშვნები ემსახურება ქართული ენის ისტორიის საკითხთა შეფასებას. ზ. სარჯველაძის წიგნის სახით ჩვენს წინაშეა მნიშვნელოვანი გამოკვლევა, უმდიდრესი დოკუმენტური მასალის შემკული ფუნდამენტური ნაშრომი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისა და ძველი ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხებზე, რომელიც უდავოდ საიმედოდ დასაყრდენი იქნება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში.

ნორა კიბინიძე.

## უკანასკნელი წიგნის გადლი

სამართლის ცნება, როგორც ცნობილია, რთული ისტორიული ფენომენია. იგი სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი ნიშანთაგანია. მაგრამ დროისა და ეპოქის ეს ნაყოფი, როგორც ზედნაშენი, თვით ატანს ზემოქმედებას საზოგადოების განვითარებაზე.

ყოველი მოცემული ეპოქის სამართალი, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწყობის საშუალება, საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის განსაზღვრულ ისტორიულ ეტაპზე პროგრესული მოვლენა და გონივრული ინსტიტუტია. პროგრესული ის სამართლებრივი სისტემა, რომელსაც ზურგს უმაგრებს ისტორიული გამოცდილება და ამავე დროს ისტორიული აუცილებლობა.

არც ერთ სამართლებრივ სისტემას არა აქვს აბსოლუტური და საბოლოო მნიშვნელობა. მაგრამ, ცხადია, განვითარების ყოველი ახალი საფეხური შემდგომისათვის აუცილებელი და მტკიცე საძირკველია. ამიტომაც ვაღიბებდენი ვართ დაეფასოთ წინაპართა ღვაწლი ამ საქმეში.

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანმა წყაროებმა ჩვენამდე შედარებით მცირე რაოდენობით მოაღწია. აღბათ ესეც იყო მიზეზი, რომ უცხოელ ქართველოლოგთა შორის ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელდა შეხედულება, რომ ფეოდალური საქართველოს სამართლებრივი განვითარების დონე რამდენადმე ჩამორჩებოდა ლიტერატურულ-კულტურული განვითარების ისტორიულ დონეს.

ამასთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ სხვა სახის

ქმნილებათა მსგავსად ქართული საერთო სამართლის ძეგლები ვაკუუმი-მონასტრებში არ ინახებოდა და ამიტომაც ამ სახის საბუთები უფრო მეტად განადგურდა. ამავე დროს ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიც სათანადოდ არ იყო გამოცემული და მეცნიერულად შესწავლილი.

თუ გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და რუსეთში სამართლის წიგნების გამოცემაზე ფილოლოგების, ისტორიკოსების და ნაწილობრივ სამართლის ისტორიკოსების არაერთი თაობა მუშაობდა, საქართველოში სულ სხვა ვითარება იყო. ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლები გამოქვეყნება დადვილდა. ამიტომ ქართველმა მეცნიერებმა ხელი მოჰკიდეს ქართული სამართლის ძეგლების გამოცემის საქმეს, რამაც მოითხოვა სერიოზული ისტორიულ-ფილოლოგიური სამუშაოს შესრულება.

ქართული სამართლის ძეგლების კლევასში დიდი წვლილი შეიტანა აწ განსვენებულმა პროფესორმა ივანე სურგულაძემ, მან სხვადასხვა დროს გამოსცა ივანე ბატონიშვილის „სქუდეგა“, ოპიზის სიგელი, გიორგი მესამის სიგელი, ქსნის ერისთავის სიგელი, სიმონ მეფის სიგელი სამარავეთქმებლო სასამართლოს შესახებ და ა. შ.

1970 წელს დაიბეჭდა ივ. სურგულაძის ნაშრომი „ქართული სამართლის ძეგლები“. ამ წიგნში აერთოს განხილული აქვს ქართული სახელმწიფო სამართლის ორი უმნიშვნელოვანესი ძეგლი — „ხელმწიფის კარის გარიგება“ და „დასტურამალი“. გამოკვლევასთან ერთად აქ ზემოხსენებული ძეგლების ტექსტთა ახალი გამოცემა აბის განხორციელებული. ამასთან ერთად, ნაშრომში მოცემულია „ხელმწიფის კარის გარიგების“ რუსული თარგმანიც. მეცნიერს განზრახული ჰქონდა „დასტურა-

ივ. სურგულაძე. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები. „საბჭოთა საქართველო“. 1984.



მალს" რუსულ ენაზე თარგმანი, მაგრამ ვერ მოასწრო.

ივ. სურგულაძეს შესწავლილი ჰქონდა „დესტრუქტორების“ თხემთმეტი ხელნაწერი, რომელთა საერთო მოცულობა სამი ათას გვერდზე მეტია. ავტორს დადგენილი აქვს, რომ „დესტრუქტორების“ წარმოადგენს სხვადასხვა მეფეთა დროს შედგენილ გარიგებათა კრებულს. ევროპოდ, მასში გამოვლენილია ადრინდელი ფენები რომელთა გვიანდელი რედაქციაც ვახტანგ მეექვსეს ეკუთვნის. ივ. სურგულაძემ შესწავლა აკად. ნ. მარის და ე. თაყაიშვილის არქივი, მიიღო იქ „ხელშეწყობის კარის გარიგების“ მარისეული თარგმანის ფრაგმენტებს და გაითვალისწინა ის თავის გამოცემაში. აკად. ნ. მარის და ე. თაყაიშვილს ერთად უნდა გამოეცათ „ხელშეწყობის კარის გარიგების“ რუსული თარგმანი, მაგრამ ეს განზრახვა ვერ განახორციელეს. რამდენადაც ივ. სურგულაძეს ხელთ ჰქონდა „ხელშეწყობის კარის გარიგების“ ე. თაყაიშვილისეული რუსული თარგმანი, მან ის თავისი თარგმანის პარალელურად გამოსცა ზემოხსენებულ „ქართული სამართლის ძეგლებში“ 1970 წელს.

„ხელშეწყობის კარის გარიგების“ ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ნუსხა ნაკლებია, აქვს ნახევარზე მეტი. ამასთან ერთად თვით ტექსტის აღვილებიც არეულია. ამის გამო ძეგლის ტექსტის დადგენა და სწორად გაგება მნიშვნელოვანი შეცნობარული ამოცანაა. თარგმანის პროცესში უეჭველად დედნის ტექსტის გაგების საკითხი წამოიჭრება. ამიტომაც ნ. მარის შივრ შესრულებულ თარგმანის ფრაგმენტებს, ე. თაყაიშვილის და ივ. სურგულაძისეულ რუსულ თარგმანებს დიდი მნიშვნელობა აქვთ „გარიგების“ გაგებისათვის. აი ამ მუშაობის შედეგებიცაა შეყავებული სარეცენზიო წიგნში. ამრიგად, ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლები ივ. სურგულაძეს უკვე გამოცემული ჰქონდა, როდესაც მან განიზრახა ცალკე წიგნად გამოეცა „ქართული სამართლის ისტორიის წყაროები“. ეს ნაშრომი უკვე ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

ავტორს აქ ცალ-ცალკე აქვს განხილული ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორცაა XI საუკუნის ცნობილი ძეგლი — ოპიზის სიგელი, დავით აღმაშენებლის ანდერძი, გიორგი მესამის 1170 წლის სიგელი, გრიგოლ კახისთავთერისთავის 1248 წლის „დაწერილი“, ება თორგობის 1259 წლის შეწირულები „დაწერილი“, „ხელშეწყობის კარის გარიგება“, „წესი და განგება მეფეთა კურთხევისა“, „ძეგლი ერისთავთა“, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის-ღება“, XIV ს. მესხეთში შედგენილი ბეჭასა და აღბუღის სამართლის წიგნი, ქანის ერისთავის 1470 წლის სიგელი, სვიმონ მეფის

1590 წლის განწესება მეკობაძეთაგან, 1595 წლის სიგეტი, სასამართლოს განაჩენი გიორგი საყაძისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის საქმის გამო 1620 წლისა, სასამართლოს განაჩენი მანუჩარ და პაპუნა ციციშვილების საქმეზე, გიორგი მეფეთაგანის სიგელი, ვახტანგ მეექვსის განკარგულებით შედგენილი სამართლის წიგნთა კრებულთ.

ავტორს ცალკე აქვს განხილული ქართული საეკლესიო სამართლის შესწავლისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორცაა მცირე და დიდი სკულის კანონები, მონასტრის ტიპიკონები, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლის წერა“, სამთავისის სამწყსოს საკანონო წიგნი, „მუნება სასჯულოა“, „ეთაღიკოსთა სამართალი“, „მბიჭინთის იადგარი“ და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში მთლიანად მიიწე არ არის თავმოყრილი ქართული სამართლის ძეგლები.

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის ისეთი მნიშვნელოვანი წყაროები, როგორცაა „მუშინიკის მარტილობა“, „ეკლესიათი მცხეთელის მარტილობა“, „აბოზ სერაბა“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „სეპაპით ზარზუმელის ცხოვრება“, „ქართლის ცხოვრება“ მთელი მისი რთული სხვადასხვა შემაღვენილი ნაწილებით, მინდატურთუხუცესის სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი, თამარ მეფის წყალობის სიგელი, კახეთის საბაჟოს გარიგება 1750-1760 წლებსა, 1765 წლის დადგენილება ტყვეობიდან გამოქცეული გლეხების შესახებ, ერეკლე მეორისა და ანტონ I-ის განჩინება, კანონი მორიგე ქარის შესახებ, ვახტანგ ირაკლის ძის განჩინება 1782 წლისა და მრავალი სხვა განხილულია ავტორის მიერ 1952 წელს გამოცემულ წიგნში, მაგრამ ნაშრომის მოცულობის შეზღუდულობის გამო არ არის 1984 წელს გამოცემულ სარეცენზიო თხზულებაში.

1952 წელს გამოცემულ წიგნში ავტორმა ცალკე თავები მიუძღვნა სტრაბონის გეოგრაფიაში, პროკოფი, კეისარელისა და ალფარკიუს თხზულებებში დაეცულ ცნობებს საქართველოს შესახებ, 1940 წელს აღმოჩენილ არმაზის ობიექტთან წარწერას და ა. შ. ამიტომაც, მან, ვინც ივ. სურგულაძის წიგნს — „ქართული სამართლის ისტორიის წყაროები“ ზღუდა აიღებს წასაკითხად, უნდა გაითვალისწინოს ზემოხსენებული გარემოებაც.

გარდა ამისა, უნდა აღეძინოს, რომ ქართული სამართლისთვის ძვირფას ცნობებს ვიძულებით გიორგი მთაწმიდელის „იოვანესა და ეკვთიმეს სიხვრებაში“, საეკლესიო კრების 1702 წლის განჩინებაში „სამონასტრო წესისა და რივის თაობაზე“, ვახტანგ მეექვსის სამეგვიდრეო კანონში“, 1748 წლის საეკლესიო კრების კანონებში, 1762 წლის საეკლესიო

კრების დადგენილებებში საეპისკოპოსოთა მართვის შესახებ, ანტონ პირველის „სამწყსოს საქმეთა განწესებაში“, „მცნებაში მღვდელთათვის“, სოლომონ პირველის 1761 წლის განწესებაში და მრავალ სხვა ძეგლში.

მართალია, მკითხველი პროფ. ივ. სურგულაძის წიგნში ქართული სამართლის ისტორიის ყველა წყაროს შესახებ ამოწურავ ინფორმაციას ვერ იპოვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმ ნაშრომის გამოქვეყნება უფოლდ სისარგებლო საქმეა. მასში ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელი მნიშვნელოვანი წყაროები მაღალ მეცნიერულ დონეზე არის განხილული.

ავტორმა ყურადღება მიამჯობა იმ ვარაუდებს, რომ უკვე XI საუკუნის მეორე ნახევარში ქართული იურიდიული ტერმინოლოგია იმდენად ყოფილა სრულყოფილი, რომ ის სუბიექტურ და ობიექტურ სამართალს ვარაუდულად ანსხვავებდა ერთმანეთისაგან. ცნობილია, რომ დღესაც კი ენების დიდ უმრავლესობას მხოლოდ აღწერილობითი ზერხით თუ შეუძლია მათი ერთმანეთისაგან გამოჩენა.

XI საუკუნის ქართულ სამოქალაქო სამართალში ეხვდებით ქონების სრული საკუთრების უფლებით გადასვლის კლასიკურს „ხელშეწყობითა სრულითა და შეუძრავითა უფლ-

ბითა“. ესეც სამოქალაქო სამართალში მკაცრად რების მაღალ დონეზე მივიჩნევთ. მართალია, მართალია გვინდა დავუმატოთ, რომ XII საუკუნეში საქართველოში არსებობდა ტერმინი „პატრონობა“, რომელიც საკმაო სიხშირით გამოხატავდა საკუთრების ცნებას იმ სახით, როგორც ის მაშინ ესმოდათ. „პატრონობა“ მოგვიანებით საბოლოოდ დამკვიდრებული „საკუთრების“ წინამორბედი იყო. ქართული სამართლის ისტორიის საკითხების შესახებ აგრეთვე სხვა მრავალი საინტერესო დაკვირვება მოცემული ივ. სურგულაძის აღნიშნულ ნაშრომში.

„ქართული სამართლის ისტორიის წყაროები“ — ლექსონოსილი მეცნიერის უცანასკნელი წიგნი — მართლაც კარგი შენაძენია მკითხველთა დართო აღუდიტორიისათვის; და ჩვენც გემართებას, რომ კეთილი სიტყვით მოვიგონოთ მისი ავტორი.

აქვე უნდა დავსინოთ, რომ, როგორც მკითხველი ჩვენი მკითვრ წერილის წაკითხვითაც იგრძნობდა, ძალზე სისარგებლო საქმე იქნებოდა ივანე სურგულაძის მნიშვნელოვანი გამოკვლევების თავმოყრა და ერთ ვრცელ კრებულად გამოცემა.

გიორგი ნაგაჩიანიძე.

## კალმოსილება მართალი სიტყვისა

ბოლო წლებში თვალსაჩინოა ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის აღმავლობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ანტიკური ცივილიზაციის ლიტერატურული ძეგლების ჩვენს ენაზე თარგმნასაც. ამ მხრივ მოდელზე შემოქმედდა შორის გამოირჩევა შვედარი და პოეტი-მთარგმნელი, ელნისტი გიგლა სარიშვილი, რომელმაც ქართულად აამეტყველა ეზოპეს, პელიოტორეს, ანტიკური ლირიკის კორიფეების, ევრიპიდესა თუ სხვათა ნაწარმოებები, მაგრამ მის ნაღაწეს, უწინარეს ყოვლისა, ამშვენებს ესკილეს ტრაგედიების პირველი (და ჭრჭერობით ერთადერთი) სრული ქართული თარგმანი. ახლახანს კი მკითხველი ვაქცნო გიგლა სარიშვილის ახალ ნაშუშვარს — სახელთვანი ბერძენი ორატორის დემოსთენეს „ფილაიკების“ თარგმანს (მთარგმნელისავე წინასიტყვაობითა და შენიშვნებით).

დემოსთენე, ფილაიკები, თარგმანი ძველი ბერძნულიდან, მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი საკვლედი კოლევია, „განათლება“, 1984.

დიდია დემოსთენეს (ძვ. წ. 384-322 წწ) დეწლი საეკობრიო დემოკრატიული აზროვნების ისტორიაში; ბერძენი მკვერპეტყველი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე შეუპოვარ იცავდა საზოგადოებრივი თუ პირიველი თანისუფლების უწმინდეს იდეალებს და მსხვერპლადც შეეწირა ტირანიის წინააღმდეგ უთმობროს ბრძოლას.

გიგლა სარიშვილი სასურველ დონეზე თარგმნის როგორც ანტიკურ პოეზიას, ისე პროზასაც, მაგრამ დემოსთენეს სიტყვების ქართულად გადმოღებისას მთარგმნელის წინაშე ახალი ამოცანა იდგა — თარგმანში უნდა შენარჩუნებულყო ორატორული ხელოვნებით მაღლობილი სახელმწიფო მოღვაწის აზროვნებისა და მხატვრულ-პუბლიცისტური სტილისათვის დამახასიათებელი ყველა უმთავრესი ნიუანსი თუ შტრიხი, როგორცაა, ექვათ, აზრის სინათლე და ლოგიკური სიმწყობრე, განმეორებანი, ირონია... და, რაც მთავარია, გამობატულოყო, რომ ეს სიტყვები ორატორის არა მხოლოდ ცივი, ვამპრობი ვონების ნაყოფია, არამედ მისი მხურვალე გულისთქმაცაა. მთარგმნელი მაქსიმალურად ცდილობდა დედ-

ნისეულ ტექსტისათვის ნიშანდობლივი თვისებების შენარჩუნებას, რაც მეტად რთულ პრობლემას წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, ქართულ თარგმანში ყველა სიმნივე ძირითადად დამტყუანა, რის დისტორიაციაც იკმარება ორატორის „მესამე ოლინთოსური“ სიტყვის თუნდაც ერთი ფრაგმენტის, სადაც დემოსთენეს ხალხისადმი უანგარო და უმჭიკვლო ერთგულების ნიმუშად აქვს ნახსენები არისტიდეს, მილტიადესა თუ სხვა მთადართა ცხოვრება და გულსტიკიელი ამბობს:

„...სახელმწიფო მოღვაწეობით გამდიდრებას კი არ ღამობდა ეს ხალხი, არამედ საერთო დოვლათის გამრავლებას ესწრაფოდა ყოველი მათგანი... სამართლიანი მმართველობით იმსახურებდნენ და იხვეჭდნენ ისინი კეთილსეულებს... მაგრამ ახლა როგორღა მისდით საქმენი ჩვენს კეთილშობილთ? რამდენადმე წინანდებურად მანაც?.. ზოგი მათგანი მათხოვარი იყო და მდიდარი ხაზად, უსახელო იყო და სახელი ვაგდო, ზოგმა კიდევ საზოგადოებრივ სასახლეებზე დიდებული ბინები წამოიკიმა. იმდენადვე ვუაზრესდა სახელმწიფოს მდგომარეობა, რამდენადვე გაუმეომებსდა მათ...“

ანტიკურ ხანაში წარმოთქმულ სიტყვებს რომ ჩვენი ეპოქის თარგმანშიც სიტყვების ელფერი დაქრავდეს, მთარგმნელი ალავალავ მიმართავს ლექსიკურ თუ სტილისტიკურ არქაიზებს, რითაც უმრავლეს შემთხვევაში მიზანს აღწევს. ერთი სიტყვით, დემოსთენეს „ფილიპეები“ ქართულად ეროვნული მკვირვებრველების საუკეთესო ნიმუშთა პუნბლიცისტურ-ლიტერატურული ენის სიმღღეზეა თარგმნილი.

„ფილიპეები“ შეიცავს ორატორის სიტყვებს, წარმოთქმულ სხვადასხვა დროს მაკედონიის მეფის, ფილიპ მეორის (ძვ. წ. 359-336 წწ) — ალექსანდრე მაკედონელის მამის — წინააღმდეგ იმ დროს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ისეთი პოლიტიკური ვითარება მოქმდა, რომ ერთადერთი სერიოზული ძალა, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო წინ აღდგომოდა ფილიპეს დამპყრობლურ ზარბეებს, ათენის დემოკრატიული სახელმწიფო იყო, როგორც სამბერძნეთის უპირველესი და უძლიერესი მხარე. აი, ამ ფონზე იშლება ვითარება და ძირითადად მთავრდება კიდევ დემოსთენეს მოღვაწეობა.

ზერმენი ორატორი მაკედონელ მეფეს ებრძვის, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ფილიპეს მოქმედება არ მიაჩნია სამართლიანად, რადგანაც მაკედონელმა დამპყრობელმა ტყუილის, სიტყვა-ფიცის გატეხისა და მახვილის გზით მიადგინა ძალმოსილებას, რაც ყოველთვის დროებითი და სწრაფარმხვედრა, ვინაიდან უსამართლო, ცრუ, მ. ი. არაკვიდრ საფუძველს ეყარება. დე-

მოსთენე იმის გამო უპერს მხარს უჭერს წინააღმდეგ მებრძოლთ, რომ ვერცა... „...ომს ეწვეიან... არა დიდებისა ან შიშებისათვის, არამედ იმისთვის, რომ ახსნან სამშობლო განადგურებისა და დამონებისაგან...“ (პირველი ოლინთოსური“ სიტყვა).

მაშულის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დემოსთენეს ცნობიერებასა და მოღვაწეობაში განუყოფლადაა გადაჭაპურული დემოკრატიისათვის ბრძოლისთან, რადგან ტრანია სამშობლოს, საზოგადოებისა თუ პიროვნების, საბოლოო ანგარიშით — ყველასა და ყოველივეს დაქვეითება-დამონების უმთავრესი წყაროა...

დემოსთენე, ცხადია, თავისი პოლიტიკის შემუშავებისა და არჩეული ეურსის ცხოვრებაში გატარებისას, კარგად ითვალისწინებდა იმდროინდელ საშინაო თუ საგარეო-საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას და ზედაღდა, რომ ათენური დემოკრატიის კრიზისი უფრო შინაგანი მიზეზებით (კონფლიქტები კლასთა შორის, მეკრთამეობა-მომხვეველობის სენი, დაქირავებული ჯარი...) იყო განპირობებული, ვიდრე გარეგანი ფაქტორების შემოქმედებით. დიდი ორატორი მთელს თავის ნიუსს, ძალასა და ენერჯიას არ იშურებდა, რათა დემოკრატიული სამშობლო კარსიმღღეარი კატასტროფისაგან ეხსნა.

მაგრამ „რადგან ფუმი და ფშურტა ყოველი სიტყვა, თუ მის საქმე არ ახლავს“ (დემოსთენე, „მეორე ოლინთოსური“), გაიხსენით, თუ რა მოკვება შედეგად ორატორის ცეცხლოვან გამოსვლამ ფილიპეს წინააღმდეგ: კვლე შეიქმნა გარი ათენელ მოქალაქეთაგან; ძვ. წ. 340 წელს ათენის ფლოტმა პელესპონტთან სასტიკად დაამარცხა მაკედონელთა საზღვაო ძალები; ძვ. წ. 338 წელს სამბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოთა კოალიციამ ათენის მეთაურობით ხერმონთან ბრძოლა გაუმართა ფილიპეს. ეს უკანასკნელი შეტაკება გადამწყვეტი აღმოჩნდა ელადის (და არა მარტო ელადის) ისტორიაში: მაკედონელებმა სრული გამარჯვება მოიპოვეს, რითაც წერტილი დაუსვეს ათენური დემოკრატიის არსებობას და საფუძველი ჩაუყარეს თავიანთ შემდგომ ძლევამოსილ წინსვლას, რაც სულ მოკლე ხანში ალექსანდრე დიდის უზარმაზარი იმპერიის შექმნის დავიარგვინდა.

და თუმცა დემოსთენე ჯერ ფილიპეს მოკვლას, ხოლო შემდეგ კი მისი სახელოვანი ვაჟის უტყარი გარდაცვალებასაც მოესწრო, მაინც ვერ მიაღწია საწადელს: თავისუფლების მოყვარი ორატორი ვერ შეურთგდა სანუყარი იდეალთა მსხვერველს და თავი მოიწამლა. მთარგმნელის თქმით, „...დემოსთენეს სიკვდილთან ერთად ჩაესვენა ელინური დემოკრატიის მშვენიერება, მაგრამ მზე არა კვდება. პირველად ელადში ამბარწყინებულმა თავისუფლების მშვენიერმა დროთა განმავლობაში მონობით დაბ-

წლებული თითქმის მთელი მსოფლიო გაანათა და ამ შუას ერთი ჩაუქრობელი სხივთაგანი დე მ ო ს თ ე ნ ე ა\*.

დემოსთენეს ხმა დაუდნობლად ჰაახშეს, ოღონდ — მხოლოდ დროებით, რადგან ყოველთვის, როდესაც კი დემოკრატიას იმპერიული საფრთხე მოეძალდება, თავისუფლების მომხრენი ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში მიმართავენ დაღ წინაპართა, მათ შორის, დემოსთენეს მემკვიდრეობასაც. ასე იყო, მაგალითად, როცა ანტიკური სამყაროს მეორე უდიდესმა ორატორმა ციცერონმა ანტონინუსის სამხილებლად წარმოთქმულ სიტყვებს „ფილიპიკები“ უწოდა სახელად, ბერძენ ოქროპირთან სულერი თანაზიარობისა და მისი ხსოვნისადმი უსახლვრო პატივისცემის ნიშნად. დემოსთენეს სიტყვათა ტექსტებს ტრადიციულად კრისტიანული ეპოქის რიტორის, ბერძენი მწვერმეტყველის თხზულებათა ერთერთი გამოცემლის, ანტიოქიელი ლიბანიოსის (314-399 წწ) მცირე წინათქმებითურთ თარგმნიან. ქართული მთარგმნელიც ამგვარად მოქცეულა და სავსებით მართებულადაც, რადგან ლიბანიოსისეულ წინასიტყვაობაში მოკ-

ლედ და ამომწურავადა განმარტებულია დემოსთენეს სათანადო გამოსვლის ტექსტი და პირობები. ვარდა ამისა, გიგლა სარიშვილმა საჭიროდ ჩათვალა, „ფილიპიკებისათვის“ ბოლოს დაერთო ფილიპეს წერილის თარგმანიც, რითაც ვეცნობით შაკედონელი შეფის პოზიციას ათენელებთან სადავო საკითხების ირგვლივ.

რაც შეეხება მთარგმნელისეულ წინასიტყვაობასა და კომენტარებს, აღსანიშნავია, რომ გიგლა სარიშვილი ამჟერადაც ესწრაფვის მისთვის ჩვეულ ლაკონიურობას, მაგრამ წინამდებარე წიგნი თანამიმ დევრულია და გააზრებული და უფრო სრული შენიშვნების დართვით მეტ სამსახურს გაუწევდა მკითხველს.

და ბოლოს, ეს მცირე წერილი გვინდა ერთი სურვილით დავასრულოთ: კარგი იქნება, თუკი მთარგმნელი კვლავაც განაგრძობს დაწყებულ საქმეს და მკითხველს შაწოდებს დემოსთენეს სიტყვების პირველ სრულ ქართულ თარგმანს.

**ზაზა სინაბურლიძე.**

● რედაქციის მისამართი:  
თბილისი, რუსთაველის პარკი, № 12.

● ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11,  
მთ. რედ. მოადგილის — 98-56-18, 3/მე, მღვ.  
ნის და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17,  
98-56-20.

საქ. კ. ც. -ის გამომცემლობა, 1985.

ვადაცა ასაწყობად 14. 03. 85 წ. ზელმოწერილი დასაბეჭდად 25. 03. 85 წ. ანაწყობის ზომა 7 1/4 X 12, ქალაქის ფორმატი 70 X 108, ფო-ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 05425. ტირაჟი 35.000. შვკვ. 455. საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

3360 80 333.



0603360  
0603360  
76128

661/50

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ